


K 34 138  
2

ଓଡ଼ିଆ  
ବ୍ୟାକିଳା

# საქართველოს “კულტურული”



საქართველოს  
კულტურული  
მრავალები  
გიგანტები

განათლება  
თაღლისი

1966




საქართველოს  
კულტურის მინისტრი

თითქმის რვა საუკუნე გვაშორებს „კეფხისტყა-  
ოსნის“ შექმნის დროიდან. მაგრამ ცხოვრების სისჩ-  
ძნით გამობარი ეს უბერებელი წიგნი ახლაც გვხიბ-  
ლავს და გვარაცხს შაღალი საკაცობრით იღეალე-  
ბით, საოცრად მდიდარი და ნაირსიხოვანი მხატვრუ-  
ლი სამქარელებით, უბალო პოეტური მოღრებით.  
ზედალერი ეს ჩაქისოვილია მშევნიერ სიცეკეტში, თა-  
ვიდან ბოლომდე შეაფრია და მიმზიდველად ჩოშ კი-  
თარ ფეხი.

შოთა რუსთაველის მა ჩავდავი პოემის „ტექსტი  
ჩეენი გამომცემლობის დავალებით შემია ეპრალიძემ  
პროზად გარდათქვა. იგი მაზნად ისახავს დაეხმაროს  
„კეფხისტყაოსნის“ გეითხველს, განსაკუთრებით მო-  
სწავლე ახალგაზრდობას, მისი შინაარსის უკეთ შეთვი-  
სებაში.

K 342 138



ასაბთა მაფის აოსგევანის ამჟამური ციტატები

ერაბეთში მეფობდა როსტევანი, სვებედნიერი და დიდებული ხელმწიფე, ბრძენი და ენამჭევრი, თავმდაბალი და გულმოწყალე, უხევი და სამართლიანი განმგებელი. უთვალავი ლაშქრის პატრონი იყო, თავად ხომ სწორუპოვარი მეომრის სახელი მოეხევდა. ვაკი არ ჰყავდა მეფეს, ერთადერთი ასული ესვა, უებრო თინაონი. რა გაიზარდა, გაივსო და გაიბადრა. მშვენებით თვით მზეც დაეჩაგრა, ქვეუნის მანათობელი გამხდარიყო, მზის დასთა მოდასე. მცვრეტელი ერთობ დაეტყვევებინა. მისი ქება ისევ ბრძენს თუ შეეძლო, ათასჯერ ათას ენას მოღლიდა.

სხვა აგ არ ესვა მეფესა, მართ ოდენ მარტო ასული,  
სოფლისა მნათი მნიობი, მზისაცა დასთა დასული,  
მან მისთა მცვრეტია წაულის გელი, გონება და სული,  
ბრძენი ხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული

ერთხელ როსტევანმა თავისი ვეზირები მოიხმო, გვერდით მოისხა და წყნარი, ალერსიანი სხა-ბაასი გაუბა. თქვენი რჩევა მჭირდება, ერთად უნდა მოვისაუბროთო, ბრძანა. ყარდი რომ დაიყვავილებს და დატენება, ტურფა ბალნარში მაგიერი სხვა იფურიჩქნება და ჰყვავისო:

„რა ვარდმან მისი უკავილი გაახმოს, დამჭენაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“.

საჩართველოს პარლამენტის იურიდიკური გიგლიორთება
---

-- ჩემი დრო წავიდა, — შესჩივლა მათ კოსტერამა, —  
სიბერემ დამრია ხელი, ყოველ ჭირზე უფრო ძნელშა საბე-  
რემ, დღეს თუ ხვალ მოვადები. რა გაეწყუჩქრებულები  
წუთისოფლისა. ჩაესვენა ჩემი მზე და ახლე უმღელერეულები  
შევსცერი. რაღა ფასი აქვს იმ ნათელს, ბნელი რომ მოს-  
დევს?! რამე უნდა ვიღონოთ, მოდით, ჩემი შემკეიღრე დავ-  
სვით ხელმწიფედ, მზის უმჯობესი ჩემი ასული!

— მეფეო, რა სათქმელია თქვენი დაბერება? მაგას ნუ  
ბრძანებთ, ვარდი ჭერ არ დაგენობიათ, — მოწიწებით მოახ-  
სენეს ვეზირებმა, — კიდევაც რომ დაკენეს, სურნელებითა  
და ფერთა სიტურფით ვარდი ხომ მაინც ზველა სხვა ყვა-  
ვილს აღემატება?! ამიტომ ვამართებს, კვლავ მას დავსჯერ-  
დეთ. ან არადა, მილეულ მოვარეს ვარსკელავმა როვორ უნ-  
და შეპბედოს შეცილება?! თქვენი რჩევა, ხელმწიფეო, თუნდ  
ავი ყოფილიყო, მაშინაც კი სხვისას კარგს აჯობებდა. მით  
უფრო უნდა შესრულდეს თქვენი ეს კეთილი სურვილი:  
ტანტი მას უბორთ, ვისაც თვით შზეც დაუჩრდილავს. პირ-  
ფერობით არ გეუბნებით, შეიშვენებს მეფობას, ეს უთქვენო-  
დაც მრავალგზის გვითქვამს. მსგავსად მისი შექმოსილი სი-  
ლამაზისა, მისი საქმეც ნათელია და ბრწყინვალე. თინათინი  
თუმცა ქალია, მაგრამ ნამდვილად ხელმწიფედ არის დაბადე-  
ბული. ლომის ლეკვები, ძუცა და ხვადიც, ხომ თანასწორი  
არიან: „ლეკვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვადია“.

როსტევანის სარდალი ავთანდილი ძე იყო არაბეთის მხე-  
დართმთავრისა:

საროსა მქონი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მოვარისა,  
ჭერთ უწევერული, სადარი ბროლ-მინა საცნობარისა.  
მას თინათინის შეენება ჰქლევდის წამწამთა ჭარისა.



გულსა მისსა მიწოდებოდა მისი ქეონდა დაძალულად,  
რა მოქმედობის, კერ-შეკრებელმან ვარდა შექმნის ფერ-ნაცვალად,  
ნაბის, ცეცხლი გაუახლდის, წალელი გახდის უფრუნველისად.

ასე შესაბრალისია სიყვარულით გულმოკლული ტექსტი მართვა  
როსტევანმა რომ თავისი ასულის გამეფება ბრძანა, ავთან-  
დილს ეს დიდად ეამა, ჭმუნვის ალი გაუნელდა, დაუცხრა:  
ხშირ-ხშირად მომიხდებაო ნახვა თინათინისა, მისი ბროლ-  
ფიქალის პერეტით დატყბობა, და იქნებ ეს ეწამლოს ჩემს  
ფერწასულობის, ჩამომაშოროს კაეშანით, ფიქრობდა ვაბუკი.

არაბთა დიღმა მბრძანებელმა მოელ სამეფოს აუწყა: ჩემი  
ასული ხელმწიფელ დაუსვი, ვისი შუქიც ყველას მზისაებრ  
უნათებს, მოდით და ქება შეასხით, დიდებით შეამკეთო.  
მოელმა არაბეთმა მოიყარა თავი. რიცხვმრავლობდა დიღე-  
ბულთა ჯარი. მოსულიყო პირმზე ავთანდილი, უთვალავი  
ლაშერის სარდალი, მოსულიყო ვეზირი ხოვრატიც, მეფის  
ურჩეულესი მხლებელთაგანი. ისეთი სამეფო ტახტი დაედ-  
გათ, ფასი არ დაედებოდა. პირნათელი, სახეგაბადრუ-  
ლი თინათინი მამამ მიიყვანა, ტახტზე დასვა და საკუთარი  
ხელით დაადგა თავს ვეირგვინი, სკიპტრა მისცა და მეფის  
სამოსით შემოსა. თინათინის მადლიანი და ბრძნული მზერა  
ყველას მზის სხივად ეფრქვეოდა. ხელმწიფემ და მისმა მხედ-  
რობამ უკან დაიწიეს, თაყვანი სცეს და მეფედ იკურთხეს.  
სხვებმაც აღარ დაახანეს და ქება-დიდება შეასხეს. ტკბილად  
აეღერდა ბუკ-წინწილათა ხმა. ზეიმი გაჩაღდა.

თინათინს ტირილი შოერია, ცრემლს აფრქვევდა, ყორ-  
ნის ფრთასა და ბოლოსაეთ შავ წამწამებს მორცხვად დაბ-  
ლა ხრიდა. თავი იმის ღირსად ვერ მიეჩნია, რომ მამის ტახტ-  
ზე მჯდარიყო. ამახედ ტიროდა და ცრემლით ირწყავდა ვარ-

დის ბალივით აყვავებულ ლაწვებს. როსტევნი მოიგოძა / და  
ამხნევებდა:

— ყოველ მამას ხომ შეიღი რჩება მემკურნეობის შესახურ-  
შად. რა მომასვენებდა, სანამ ჩემს ტახტუ მიწურული ტერ-  
ცავდი, უამისოდ გულს რა დამიამებდა, მწველ ცეცხლს რა  
ჩამიქრობდა?! ნუ სტირი, ასულო ჩემო, და გამიგონე, რასაც  
გერტვი! დღეს არაპეტში მეფე შენა ხარ, ამიერიდან ეს სა-  
მეფო შენთვის მომინდვია. საქმეს ბრძნულად გაუძეხ, თავ-  
მდაბალი და გონიერი იყავ! მზე თანაბრად ჰავებს სხივებს სურ-  
ნელოვან ვარდსაც და მყრალ ბალახსაც. ასევე შენც ნუ მო-  
გწყინდება ნურც დიდებულთა და ნურც მდაბიოთა წყალობა.  
გახსოვდეს, უხეი ურჩს დაიმორჩილებს, თავზე უკერძოლს და-  
აბამს, თანაც ძალდაუტანებლად, მისივე ნება-სურვილით.  
საბოძვარის უხვად გამცემი იყავ და არც შენ მოგაყლდება:  
ზღვებსაც ხომ კიდეც ერთვის შენაკადები და კიდეც გაედი-  
ნება ხოლმე.

„მეუეთა შეგან სიუხვე, ვით ედებს ალვა, რგულაა,  
უხესა პორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია.  
სმა-ქამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?  
რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დავარგულია!“

მამის დარიგებას ხალისით ისმენდა და ბრძნულად ეწა-  
ფებოდა თინათინი, ვისაც მშვენებით, შეუქბრწყინვალებით  
მზეც დაეჩრდილა. მზე თვითონ ცდილობდა მისებრი ყოფი-  
ლიყო, თინათინობას ჩემულობდა: „თინათინ შეხსა სწუნობ-  
და, მაგრა მზე თინათინებდა“.

როსტევანს ნადიმი გაემართა, სვამდა და მღეროდა, დი-  
დად მოილხენდა. თინათინმა თავისი ერთგული გამზრდელი  
იმო და უბრძანა: მომართვი მთელი ჩემი საუფლისწულო

განძეულობა, შენ რომ დაბეჭდილი და შენახული გაქრის, გა-  
ხსენით ჩემი საუნჯე და ყველაფერი აქ მომიტანეთ, ნურა-  
ვინ დამალავს, რაც რამ შიგ დევსო, მეჭირებელი მომართებული  
ცხენის ჭოგი მოასხასო. მოართვეს და „გარდა ჭურჭელი უზურ  
გარიშო, ულევი“. რაც კი ყმაწვილქალობაში სიმდიდრე მო-  
გროვებოდა, სულ იმ დღეს დაარიგა. ქალი თუ კაცი, მდა-  
ბიონი. თუ დიდებული — ერთობ საბოძეარით ავსო,  
„პგვანდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსაა“. მოლაშერე-  
ნი მიუშვა და განძეულობას ავაზავებივით იტაცებდნენ,  
უებრო არაბულ ტაიპებსაც დაერივნენ და მიშეავდათ, რო-  
გორც ომში ნაშოვნი ნადავლი.

მეორე დღესაც როსტევანს უამრავი ხალხი მოეწვია ნა-  
ღიმად. სვამდნენ, კამდნენ, ხილს შეექცეოდნენ. სუფრის  
თავს იჯდა პირმზე ავთანდილი, „მშერეტთაგან მოსანდომია,  
სპათა სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“. კაბუკ სარ-  
დალს მოხუცი ვეზირი სოგრატი უმშვენებდა მხარს. დიდი  
შხიარულება იყო. ანაზღად ხელმწიფებ მოიწყინა, ფერიც  
გაუკრთა. მონადიმენი ჩურჩულით ერთმანეთს შესჩიოდნენ:  
ნეტავ, რა დაემართა მეფეს, უწინდელი წყენა ან ცუდი რამ  
თუ მოავონდა, თორემ მისი დასალონებელი აქ არაფერი მო-  
მხდარაო. ავთანდილშა სოგრატს შესთავაზა: ვკითხოთ, მისი  
უნდაბური ვის რა გვიქნია, თანაც გავეხუმროთ, იქნებ გუ-  
ნებაზედ მოვიდეს, მგონია, არ გაგვაწილოსო. აღარ დაუხა-  
ნებიათ, მყისევ წამოიმართნენ „ტანითა მით კენარითა“, თი-  
თომ თითო ჭიქა აივსო, როსტევანს მოწიწებით მიუახლოვდ-  
ნენ პირმომცინარენი და მუხლი მოუყარეს. ვეზირმა ლალად  
და ენაწყლიანად შეჰქადრა:

„დაგიღრევაა, მეფეო, აღარ ვიცინის პირით,  
მართალ ხარ: წახდა საჭურჭლე თქვენი მძიმე და ფურცელი  
ჟელასა გასცემს ასული თქვენი საბოძვარ-ხშირით  
უოლამცა მეფედ ნე დასეი! თავსა ჩად უგდა პატარა ვაზუა“

რა ეს მოისმინა, როსტევანს თუმცა გაუკეთერდა, რომელიც  
გამიმდედაო, მაინც გაუღიმა და დაუმადლა, კარგი ჰქენ, რომ  
მითხარიო, წყალობასაც შეჰქირდა.

— არა, ეგ არ მიმიძის, — დასძინა მან, — ტყუის და  
ყბეღობს, ვინც სიძუნწესა მწამებს! მე ის მაღონებს, დავ-  
ბერდი და ერთადერთი ასული მყავს ნახათუთევი, ღმერთმა  
ეკ არ მიბოძა, რომ მშვილდოსან-მოასპარეზედ. დამგვანებო-  
და. ცოტათი ისევ ავთანდილი თუ მომეღრება „ჩემგანვე ნა-  
ზარდობითა“, ამოდენა საბრძანებელში სხვა არავინ არის,  
„რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია“.

ავთანდილი მშვიდად და მოკრძალებით უსმენდა მეფეს,  
ბოლოს თავი დახარა და გაიღიმა. ღიმილმა ერთობ დააშვე-  
ნა, მისი თეთრი კბილებიდან გამომკრთალი ელვა ველ-მინ-  
დორს მოეფინა. რას იცინი, მითხარ, ჩემი ნუ გერიდება, რა  
არ მოგეწონა, დასაგმობი რა მითქამსო, ჰკითხა მეფეპ. მო-  
გაბსენებო, მოწიწებით უთხრა ჭაბუქმა, ოღონდ პირობა მი-  
ბოძე: რასაც გეტუვი, კადნიერებად ნუ ჩამომართმევ, არ გა-  
მირისხდე და არ ამიკლოო. როსტევანმა თინათინის მსე და-  
უფიცა, რომ შენგან საწყენის თქმასაც არ ვიწყენ, არ გაგი-  
წყრებიო. მაშინ ავთანდილმაც შეჰქადრა თავისი სათქმელი:

— ნუ იკვენით მშვილდოსნობას, ნაკლები მშვილდოსანი  
არც თქვენი ფერხთა მტვერი ავთანდილი გახლავთ. ამაოდ  
გიბრძანებიათ, მოასპარეზედ არავინ მგავსო, ამას ბურთი და

მოედანი გამოაჩენს. სანაძლეო დავდოთ, მოწმეობა იმართება  
მოყმენი წავიყვანოთ.

— იცოდე, არ შეგარჩენ მაგ შეცილებას, უკარჩულებელი  
მწიფემ. — რახან თქვი, წავიდეთ და ვისრული მოწმეა  
კარგი მოყმენი ვიახლოთ, „მერმე გამოჩნდეს მოედანს, ვის-  
ძი უთხრობდენ ქებასა!“

დათქმული პირობით კმაყოფილნი ლალობდნენ, იცინოდ-  
ნენ, დროს ტკბილად ატარებდნენ. სანაძლეოც დადეს: ვინც  
უარესი მშვილდოსანი იყოს, სამ დღეს თავშიმველი დადი-  
ოდესო. მერე როსტევანმა მონადირებს უბრძანა, ნალირთა  
ჭოვი მინდვრად მოასხით და აღარსად გაუშეათო. ლაშქარს  
გამოუხადეს, სახვალიოდ მზის ამოსვლისას მოდით, ერ-  
თად მოგროვდითო. ნალიმი დაიშალა, ყველანი წავიდ-წამო-  
ვიდნენ, ნაამებნი და გახარებულნი.

## არსევანისა და ავთანეირის ხარისხი

ქლერ დილით მოეიდა სასახლეში ავთანედი-  
ლი, „იგი ნაზარდი სოსანი, ძოწეულითა მოსილი, პირად  
ბროლ-ბადახშოსანი“. ოქრომკედით ნაქარგი მოსახვევი მოეხ-  
ვია, წელი ხმლით დაექშვენებინა, თეთრ ტაიქზე ამხედრებუ-  
ლი მეფეს ელოდებოდა. როსტევანი მოიკაზმა, ცხებზე შეჯდა  
და გამოვიდა. სანადიროდ გაეშერნენ. ურიცხვ ლაშქარს ვე-  
ლი დაეფარა, ზეიმობდნენ, ურიამულობდნენ. ვრცელ მინ-

დორს ირგვლივ შემორტყმოდნენ. ხელშითემ ირამეტი არე-  
ული მშვილდოსანი იხმო და უბრძანა: თან გამოვკვერით და  
„მშვილდსა ფიცხელსა მოგვცემდით, ისარსა პრექტორშედი-  
თა“, ნასროლი დათვალეთ და ნაკრავი შეადგინდა მარცხე-  
რეებმა ნადირი მორეკეს, მინდორს ყოველი მხრიდან უთვა-  
ლავ ჯოგად მოაწყდა

ირემი, თხა და კანჭარი, ქურპიკი მალლა მხლტომელი.

შეს პატრიონ-ყმანი გაუხდეს, პერეტალმცა სჭობდა რომელი  
ამა, შშეილდი და ისარი და მკლავი დაუშრომელი!

როსტევანი და ავთანდილი მარჯვედ დაერიცნენ ნადირს და მუსრს ავლებდნენ. მათგან დაპრილი მხეცი წინ ერთ ნაბიჯსაც ვეღარ დგამდა. ველი წითლად შეეღებათ, თავადაც ნადირთა სისხლში მოსვრილიყვნენ. მათი ცხენების ნატერფალთაგან ამდგარი მტრის კორიანტელი მზეს აბნელებდა. ავთანდილის ახოვანებით მოხიბლული მჭვრეტელი ჭაბუქს „ალვას, ედემის ხეს“ ამსგავსებდნენ.

ასე გალიეს ვრცელი მინდორი, შეუსვენებლივ ვადაიჯი-  
რითეს. მინდვრის ბოლოს მდინარე დიოდა, მის ნაპირას  
კლდეები აძართულიყო. ნადირთა ჭოგი მახლობელ ტყეში გა-  
უჩინარდა, სადაც ცხენი ვერც გაივლიდა. როსტევანი და ავ-  
თანდილი უკან გამობრუნდნენ დაღლილ-დაქანულნი, „იგი  
მაშვრალნი ორნივე მოსწყდეს, რაზომცა მხნენია“. მეგობ-  
რულად ოხუნჯობდნენ, მე გაჯობეო, ერთმანეთს სიცილით  
აჯავრებდნენ. მერე, როცა მშვილდოსანნი წამოეწივნენ, მე-  
ფემ მათ უბრძანა, ყოველივე მართალი გვითხარით, ხათრით  
ნურაფერს დაგვიმალავთ. მათ მოახსენეს:

— ახლავე რომ დაგვისტო, მაინც ვერ ვიტყვით, რომ  
თქვენი მშვილდოსნობა, ხელმწიფო, მაგისას შეედრებოდეს.

ავთანდილის დაკოდილ მხეცთაგან ერთიც ფლობისა და რომ  
წინ ნაბიჯი წაედგას. ერთად ორივეს ასჯერ თუ დაგიხო-  
ცავთ, ოლონდ ავთანდილს ოცით მეტი მოუზრუნველყონის  
შეუტყორცნია, ერთიც არ აუცდენია, უწევს კარგი უზრუნველყო-  
მრავლად დაგვიწმენდია, მიწით მოსვრილი.

მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,  
უხარის ევრე სიკეთ მისისა განაზარდისა,  
აქვს მიწერობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,  
სიცილით ლალობს, მიეცა გელით ამოსლვა დარდისა.

დადი ხის ჩრდილში შეისვენეს. ლაშქარმაც იქ იწყო  
მოდენა, ბზის უმეტესი შეიქრიბა. მხიარულად ერთობოდ-  
ნენ, ტყისა და მდინარის ჭვრეტით ტკბებოდნენ.



## არაპთა მეუისაგან ვეუხვისგყარსანი მოყმის ნახვა

მდინარის პირას უცნობი მოყმე დაინახეს. იჯ-  
და და გულმდელარედ ტიროდა, ცრემლით მორწყული ლაწ-  
ვები დათრთვილული ვარდივით უბრწყინავდა: „ცრემლსა  
ვარდი დაეთრთვილა, გულსა მდულრად ანატირსა“. ლომბმირ  
ვაჟკაცს ხელთ სადავით ეპყრა შავი შერანი და მკლავის უმ-  
სხოსი ნაკედი მათრახი ეჭირა. მოყმის აბჯარიცა და ცხენის  
აკაზმულობაც თვალ-მარვალიტით უხვად იყო მოოქვილი.

ბეწვიანი სამოსი ეცტა, ვეფხვის ტყავისაგან შეკერძოს. თუ  
ზედაც ვეფხვის ტყავის ქუდი ეხურა.

როსტეეანმა უცხო ჭაბუქის მმბის გაგება მუშაორზული  
მსახური მიუგზავნა, მეახლეო. მოციქული მიუდგულშეზრიც  
კარგა ხანს სიტყვაც ვერ შეპბედა მწუხარე ფიქრებით სულ-  
მთლად დაპყრობილ რაინდს, თავდასრილი რომ იჯდა და  
ბროლის წვიმა გიშრის თვალებიდან ლვარად ჩამოსდიოდა:  
„მუნცე წვიმა წვიმა ბროლისა, ჰვია გიშრისა ღარი სად“.

განცვიფრებულმა და დამფრთხალმა მსახურმა მხნეობა  
მოიქრიბა და მოახსენა მეფის ნაბრძანები. ჭაბუქს სიტყვაც  
არ გაუგონია, თათქოს სმენა დახშობოდა. მახლობლად დაბანა-  
კებული ლაშქრის ხმაურსაც ვერ გრძნობდა. გულამოსკვნი-  
ლი სისხლიან ცრემლს აფრქვევდა. მსახურმა ერთხელ კიდევ  
შეპყადრა მეფის შენათვალი, მავრამ იგი არ უსმეოდა, წე-  
უჩერებლივ ტიროდა მღუმარედ, ბაგეც არ გაუხსნია:

არცა დაავდო ტირილი, არცა რა გაიგონა მან,  
არცა გახლინა ბაგეთოთ თვი ვარდისა კონამან.

მსახური გაწბილებული დაბრუნდა უკან და როსტევანს  
მოახსენა: ეტყობა, იმას თქვენი არაფერი უნდა, ვერა გაეა-  
გონე რა, იმად შემაგვიანდაო. მეფეს გაუკვირდა და თან გა-  
წყრა. მხლებელთაგან თორმეტი რჩეული მეომარი იხმო და  
უბრძანა, უცხო მოყმე აქ მომგვარეთო.

თავს წამომდგარ მეომართა აბქრის ჩხარუნმა შეაკრთო  
მტირალი ჭაბუქი. ცრემლიანი თვალები შეიმშრალა და მი-  
იხედ-მოიხედა. შორიახლო ლაშქარიც რომ ღაინახა, ვაიმეო,  
ერთი კი თქვა, და ცხენს მოახტა. ხმალ-კაპარჭი შეისწორა,  
მძლავრი მკლავებით ცხენი სხვა მხარეს მიაბრუნა და გაეშუ-  
რა. აინუნშიაც არ ჩაუგდია, რას ეუბნებოდნენ მეომრები.

შესაპყრობად რომ დაედევნენ, მაშინ კი შევი დღი დაუკუნა,  
მტერთაც შეებრალებოდათ: ერთმანეთს ჰქონა და უმწეოდ  
დახოცა, ზოგსაც მათრახი გადაუჭირა დაუმჯორა უფლებელის  
ჩაკვეთა.

### პირველი მუხლი

განრისხებულმა ხელშრიფებმ ლაშქარი მიუსია. სანამ მდევ-  
რები ახლოს მივიღოდნენ, ვაბუქ უკან არც მოუხედავს. რა-  
ოდენიც დაეწია, ერთობ მუსირი გაავლო. როსტევანი და ავ-  
თანდილი ცხენებზე შესხდნენ და უცხო მოყმეს გამოუდგ-  
ნენ გამწარებულნი. იგი თამამად და ამაყად მიღიოდა, მოხდე-  
ნილად მიირჩეოდა მერანშე წამომართული და ველს მზისა-  
ებრ მიაფენდა შექს. რა შენიშნა, თვითონ მეფე მომდევსო,  
ცხენს მათრახი გადაუჭირა და წამსვე თვალთაგან გაუჩინარ-  
და, გეკონებოდა, მიწამ შთანთქა ან ზეცაში აურინდაო.  
უკვირდათ, მისი წანარბენი კვალიც რომ ვერსად იპოვეს,  
გრძნეული დევივით ასე როგორ გაქრაო. ლაშქარი მკვდრებს  
დასტიროდა. დაჭრილთ სწრაფად უხვევდნენ იარებს.  
მეფეს სინარული მწუხარებად შესცვლოდა, ბრძანა: ვხე-  
დავ, ლმერთს ჩემი შეება-სიამე მობეზრებია და ესაა მი-  
ზეზი, რომ მწარე ნალველი მარგუნა, გული სამუდამოდ და-  
მიწყლულაო, რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა მისი ნება-სურ-  
ვილიო.

ეს თქვა და დალვრემილი გამობრუნდა უკან ვაი-ვიშით.  
გართობა-ასპარეზობა მოიშალა, სადღა იყო ლენინი და საკრავ-  
თა ტებილი ეღერა. სასახლეში დაბრუნებისთანავე მეფემ  
განსასვენებელ დარბაზს მიმართა. ერთადერთი ავთანდილი  
შეჰვევა, შვილივით რომ მიაჩნდა.

თინათინმა რომ მამის უგუნებობა შეიტყო, მისი სამყო-  
ფისაკენ გასწია. იყითხა, ხომ არ სძინავსო. მოახსენეს, მო-


წყენილი და ფერწასული ზის, მარტო ავთანდილი ახლოს  
მოწყენის მიხეზიც უთხრეს — უცხო მოყმის ნაცვის ამბავი.  
თინათინი აღარ შევიდა, უკან გამობრუნება არჩია ჭრივი ცუკლი  
გავიდა ხანი. როსტევანს ასული მოენატრუ ცუკლი  
მომგვარეთ ჩემი თინათინი — ჩემი შნო და სინარული, ჩემი  
სიცოცხლეო. შეუთვალა: მოდი, დარდი გამიქარვე, გულდა-  
წყლულებულს მეწამლე, გატყვი, რაც მანაღვლებსო. თინა-  
თინმა მამას მაშურა. სახე გავსებულ მთვარეს მიუგავდა.  
მეფემ ასული გვერდით დაისვა და სათუთად უალერსა, თა-  
ნაც უსაყვედურა: წვევას რას ელოდები, რატომ თვითონ არ  
მინახულებო.


— მეფეო, — მიუგო თინათინმა, — თქვენი მოწყენა  
თუ შეიტყო, ვინ გაბედავს გეახლოს, რავინდ თამამიც იყოს.  
თქვენი უგუნებობა თვით მნათობთაც დაამხობს. ოლონდ ეს  
კია, „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეპვ, კმუნვასა ესე სჯობდეს“.

— რაოდენ შეწუხებულიც ვიყო, შენი ჰერეტა და სი-  
ახლოვე, შვილო, მაინც მახარებს და სევდას მიქარვებს, —  
უთხრა როსტევანმა. — მჯერა, მიზეზს როცა გაიგებ, შენც  
აღარ გამამტყუნებ, რაზედ ოხრავს და კვნესისო.

„უცხოსა და საკეთებელსა ყმასა რასმე გარდევეიდე,  
მისმან შექმან განანათლა სამყარო და ხშელთა კიდე,  
რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე,  
ჩემიალ ნახვად არ მოვიდა, გაეგულისდი, წავეკიდე“.

შესაპყრობად მეომრები დავადევნე, მაგრამ ერთობ მუსრი  
გაავლო და ეშმაკივით დამკარგა, ვაუჩინარდა. ჭერ კარგად  
ისიც არ ვიცი, ცხადი იყო, თუ მომეჩვენა. უეჭველია,  
ღმერთს მოვსძულდი, ჩემი მხიარულება დაენანა და ტკბილი  
წყალობა ბოლოს ასე ჩამამწარა, დაშავიწყა ბეღნიერების

დღენი, თითქოს არასდროს მქონებოდეს. ამიტოდან  ვინ მანუგაშებს და ვერც გამახარებს რამე.

— მეფეო, ან ლმერთსა და ან ბედს რად ჭრდებანზე  უკუდღურით შეპყადრა თინათინმა. — შემოტკიცდით შველმასას თვის კეთილის მოსურნეა, ყველას მოწყალე თვალით უმშერს. მე ამას გირჩევ: თქვენს თვალუწვდენ სამფლობელოში ამბის მცნობელნი დაგზავნე და მალე გაიგებ, ძეხორციელია ის მოყმე, თუ მოჩვენება იყო.

ქვეყნის ოთხივე მხარეს კაცნი გაგზავნეს უცხო მოყმის საპოვნელად. მთელი წელიწადი ძებნეს, მაგრამ მის მნახავ-  
საც კი ვერსად ვერავის წააწყდნენ. გულნატკენი დაბრუნდ-  
ნენ, ამაოდ დამაშვრალნი.

— მართალი ყოფილა ჩემი ასული და მემკვიდრე, — ბრძანა როსტევანმა, — თურმე ეშმაკის სიცრუე და სიბილ-  
წე მინახავს, ჩემდა სამტროდ ზეცით ჩამოსული. აღარას ვნალვლობ, დარდი მომქარვებია.

ეს თქვა და მხიარული დროსტარება გამართა. საცა კი ბომლერალ-მოსაკრავე და მუშაითი ეგულებოდათ, უკლებ-  
ლივ უხმეს. იყო ერთი მუსიკობა და თვალის სეირი. შერე ყველანი დარბაზის შეიწვია. იმდენი საბოძვარი გასცა, სიუხ-  
ვეში ვერავინ შეეტოლებოდა.



თიცათინისაგან ავთანდილის გაგზავნა  
უცხო მოყვის საძებნელები

საქართველოს

ბიბლიოთის

პეტანდილი შინ მარტო იყო, პეტანგისამა-  
რა იჯდა, ჩანგს უკრავდა და ზედ ლალად დამლეროდა. მონა  
ზანგი შემოვიდა და მოახსენა, თინათინი ვიხმობსო. ჭაბუკის  
ნატვრაც ეს იყო: მისი ჭვრეტითა და სიახლოვით დატებებო-  
და, ვისზე ფიქრითაც ცრემლი ბევრჯერ უღვრია. პირისპირ  
პირველად წვდებოდნენ ერთმანეთს. ნაირფერი სამოსიდან  
უშკობდესი აირჩია, კოხტად გამოეწყო და მისი სამყოფისავენ  
ამაყად გასწია, მოლუშული დაუხვდა სატრფო:

იგი უებრი ქუშად ჭდა, ელვისა მსგავსად შეენდა,  
მთვარესა მისთა შუქოთაგან უკუნი გარდაქუნდა.

სიასამურის ბეჭვის უსაპირო სამოსი ტანთ შილიფად ეც-  
ვა, ძოწისფერი რიდე აშლილად მოებურა, თეთრ ყელზე  
ხშირი თმანი მიმობნევით ეხვინენ. ავთანდილს დინჯად შეს-  
თავაზა დამჯდარიყო, შორიახლოს დაისვა. ჭაბუკი პირისპირ  
მოკრძალებით უპირეტდა, უზომო სიხარულით სავსე.

— არ მინდოდა მეთქვა, მაგრამ მეტი ველარ გავძელი, —  
უთხრა მას თინათინმა. — ახლაც, რომ გეუბნები, ვძრწი და  
ვილევი. იცი, რაზე ვიხმე ან რად ვზიგარ პირქუშად და და-  
ღვრემით, ასე გონწართმეული?

— თქვენი შესაძრწუნებელი რამ ჩემგან როგორ ითქ-  
მის? — მიუგო ავთანდილმა. — „მზესა მთვარე შეეყაროს, და-  
ილევის, და-ცა-ჭნების“. მეც ამ დღეში ვარ, თავი დამვიწყე-

ბია, აზრისა და მიხვედრისათვის საღა მცალია, დეიტონის მი  
თხარით, რა გიმძიმთ და რით განკურნება ეგ სიმძიმილი.

თინათინს ხალისი შეემატა, მოტკა, სიჭრულუსულებები  
გაუხდა:

— აქამდე შენგან შორს მეჭირა თავი და, ვიცი, გაგა-  
ოცებს ნატურის ასე უეცრივ ასრულება. მაგრამ ჯერ ის ვი-  
თხრა, რა ჭირშიაც ვარ ჩავარდნილი. ვახსოვს, შენ და როს-  
ტევანი ნაღირობიდან რომ ბრუნდებოდით და უცხო მო-  
ყენეს გადაეყარეთ? მას შემდეგ სულ იმაზე ვფიქრობ და ამ  
ფიქრმა დამანელა. გემუდარები, ცა და მიწა შეაჯერე და ის  
მოყვე მონახე. თუმცა აქამდე საამისოდ ერთმანეთისათვის  
არაფერი გვითქვამს, მაგრამ ვიცი, შემიტყვია, შორით რომ  
მეტრფი:

“ვიცი, რომე გაუწეველლად თვალთათ ცრებლი გისეტყვია, შეუცყრისარ სცვატელსა, გული შეწი დაუტყვია”.

ესეც სათქმელია, ჩემი სამსახური ორნაირად გმართებს: ჯერ ერთი, როგორც მოყმეს, ვისი სწორიც არავინა გვყავს, მერე როგორც ჩემს მიჯნურს. წალი და, საცა უნდა იყოს, ის უცნობი მოყმე მოძებნე. ამით უფრო მეტადაც შეგიყვარდები. ბილწი ეშმაკი დათრგუნე და ურვა გამიქარევე. მხნედ იყავ, გულს იმედის ია-ვარდი გიყვაოდეს. სამ წელიწადს ძებნე. იპოვი — გამარჯვებული და მხიარული დაბრუნდები. ვერ იპოვი — დავდგერებ, რომ მოჩერენება იყო. მოხვალ და „კოკობი და დაუფრჩვენელი ვარდი დაგხვდე დაუმცნარი“. ვფიცავ, შენ ვარდა ქმრად სხვა არავინ ვინდომო, თვით ხორციელი მზეც რომ გამომეცხადოს. თუ გიმტყუნო, ქვესქნელს დავინთქე და იქაც შენი სიყვარულით ვიტანჯებოდე, გულში მახვილგანაწონები.

ჭაბუქმაც შეპფიცა და საალერსო სიტყვები შეჰყადრია და  
უდასტურა, რომ სწამდა, სჯეროდა მისი. უცხო მოყმას ძებ-  
ნაც აღუთქვა, თუმცა დიდი ხნით განშორებული შეზუტები  
ნიერ უამს, ენით გამოუთქმელად ეძნელებოდა მართვე

მოახსენა ყმაშიან: „მშეო, ვინ გიშერი აწამწამე,  
სხვა პასუხი რამცა გვაღრე, ანუ რამცა შევიწამე?  
მე სიკედილსა მოველოდი, შენ სიცოცხლე გამიწამე,  
ეითა მონა, სამსახურად განალამცა წავე, წა, მე!“

— ღმერთს მზედ გაუჩენიხარ და თვით ცის მნათობნიც  
ერთობ გმორჩილებენ, მე როგორ უნდა შეგურჩო, შენი  
უხვი წყალობის შუქით გამობარი! წავალ, ეგ მაცოცხლებე-  
ლი შუქი ყველგან მომწვდება და „ვარდი ჩემი არ დავნების“.

კვლავ შეპფიცეს ერთმანეთს და პირობა შექრეს. მიგნუ-  
რობის ჭირი სიამედ შესცვლოდათ. ენამჭევრობდნენ, ლალობ-  
დნენ, ბედნიერების ღიმილით გაბადრულნი.

ერთგან დასხდეს, ილალობეს, საუბარი ასაღ აგეს,  
ბროლ-ბადაშში შეხვეული და გიშერი ასაღაგეს.  
ყმა ეტყვის, თუ: „შენთა შპერეტთა თავი ხელი, ა, საღ აგესა  
ცეცხლთა, მანდით მოჰყებულთა, გული ჩემი ასაღაგეს“.

მოყმე ადგა და წავიდა. აღარ იცოდა, როგორლა გაექ-  
ლო უმისირდ. უკანვე იხედებოდა გახელებით, თვალი ვერ  
მოეშორებინა. მოვარდისფრო ღაწვები ცრემლის სეტყვას  
დაეზრო და დაეთხოთვილა. გული გულთან გაეერთებინა სა-  
სიყვარულოდ. ფიქრით შეპლალადებდა: აღრე დამაჩნდა,  
მშეო, შენი სიშორე, ბროლისა და ლალის ცეროვანება ქარ-  
ვის უყვითლესად გამხდომიაო. მაშინ რალა ვქნა, როცა  
მართლა დიდი ხნით ვეღარ გიხილავ! მაგრამ წესად დამიდ-  
ვია, სატრფოსათვის თუნდაც მოვკვდებიო.

შინ მივიღა და დასაძინებლად დაწევა, ტიროდა, ცოტოლი/ ვერ შეეჩერებინა. ქარისაგან შერხეული ვერხვიეთ იშნიქე/ ბოდა და ტოკავდა. ჩათვლემდა თუ არა, სატექნიკო ჭრის შესახებ/ ბოდა და შემკრთალი ხმამაღლა გაჟყვიროდა, პრესტიტურის შესახებ/ კიცად გატანჯული. ლაწვებზე ისევ ეფრქვეოდა მარგალიტის ცრემლი სატრაფოს მოშორებით სევდაშლილს.

რა გათენდა, კოხტად მოირთო და მოიყაზმა, ცხენზე შე- ჯდა და სადარბაზოდ გაემართა. ხელმწიფესთან მოციქული შეგზავნა, შეუთვალა:

— მეფეო, გამიგონია, რომ მთელი ქვეყნიერება თავად ხმლით დაგიმონებით. ახლა მე მინდა წავიდე, „მოვიარო, ვი- ლაშქრო და ვინაპირო“, თინათინის გახელმწიფება გარეშემო ყველას ვამცნო, მტერთ გულში ლახვრად ვაძგერო, მორჩილ- ნი ვახარო და ურჩინი ვატირო.

მეფე დიდად მაღლიერი დარჩენოდა, ებრძანა: ომები, ლომო, არც აქამდე დაგკლებია, მავრამ ვაჟკაცი ხარ და ახლაც სავაჟკაცი საქმეზედ მიგიწევს გული, წალი, ოღონდ მე რა- ლა ვქნა, თუ ხანგრძლივ მერგო შენი სიშორეო.

მოყმე შევიღა, მოწიწებით მაღლი მოახსენა და შე- ჰქადრა:

— ხელმწიფეო, მიკვირს, რა ლირსი ვარ, რომ ჩემი ქება ვიბრძანებიათ?! ღმერთმა ქნას, კვლავ მენახოთ და ამით ბნელი გამთენებოდეს, ერთმანეთს კვლავ მხიარული შევ- ხედროდეთ.

მეფე ყელზე მოეხვია და შვილივით გადაკოცნა, მერე გული აუჩვილდა და ცრემლი გადმოყარა. ძლიერ, ძლიერ შეჰყვარებოდათ ერთმანეთი, „სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი!“

მოყმე გზას გაუდგა, მხნედ და ამაყან ჭილოდა, თუცა  
შძიმე დარღი ფეხდაფეხ ასდევნებოდა: თენა თინები თვალწინ  
ედგა მოუშორებლივ და მისი ცეცხლით იწვერდა, კასპერიშის  
განაპირა მხარეში ავთანდილს მაგარი ციხე-ქალაქი ჰქონდა,  
მტერთა საზაროდ ზეიადად აღმართულიყო, უძვირესირო,  
კლდეების გალავნით მოზღუდული. ჭაბუკი ჭერ იქითკენ მი-  
ეშურებოდა. ოცი დღე იარა, ხშირად ღამეც სიარულში და-  
ათვენდა. რა შიგიდა, მთელ მის სამფლობელოს სიხარული  
მოედო. დიდებული მოეგებნენ, ძღვენს უხვად სძლვნიდ-  
ნენ. მისი ნახვით ყველა ხარობდა. გამგზავრების მოსწრაფემ  
იქ სამიოდე დღე დაყო. წასვლის წინ შერმავინი იხმო, თა-  
ვისი გაზრდილი მოყმე-ჭაბუკი, და „დაისვა სავაზიროსა“,  
უთხრა:

— მრცხვენია შენი, შერმატინ, ამას ახლა რომ გეუბნე-  
ბი. ყოველი ჩემი საქმე იცოდი და მუდამ მხარში მედექი,  
ის კი არ მითქვამს აქამდე, თუ რაოდენი ცრემლი მიღვრია.  
მაგრამ, ვისთვისაც ვიტანჯებოდი, ახლა მანვე გამახარა:

„შოუკლავარ თინათინის სურეილსა და სიყვარულსა,  
ცრემლი ცხელი ასოელებდის ნარგისთავან ვარდსა ზრულსა,  
ვერ ვაქენდი იქანამდის ჭირსა ჩიმგან დაფარულსა,  
აწ მიბრძანა საიმედო, იმად მხედავ მხარულსა.“

იმ გადაკარგული მოყმის ამბავი შემიტყველ, დამიბრუნდები  
და გულის წადილს მაშინ აგისრულებო. სიყვარული და ერთ-  
გულება შემომტკიცა, „მომცა წამალი გულისა, აქამდის და-  
დაგულისა“. მოყმე ვარ, პატრონის სამსახური მმართებს,  
ქვეშევრდომს მეფის ერთგულება შეჰქერის. ესეც არ იყოს,  
მან ხომ მტანჯველი ცეცხლი დამივსო, გული დამიამა. წა-

ვალ, ხიფათსა და განსაცდელს მხნედ შევეძლები,  თუ კაცი არ შეუდრევს ჭირს, მიუხდეს მამაცურად".  
— მე და შენ რომ ვართ, ასეთი მოყვარულზე მუშაქული  
პატრონი სხვა არავინაა, — დასძინა აეთანდოლმა გრიშვან  
მაც გთხოვ ნათქვამი გამიგონო: მივდივარ და შეს გტოვებ  
მონაცვლეულ, ჩემი მხედრობის შეთაურად. თუ არ შენ, ამ  
საქმეს სხვას ვერავის მივანდობ. ლაშქარი ალაშქრე, ღია-  
ბულთ მოეპატრონე. საზღვარი გაამაგრე, ფხილლად იყავ,  
მტერმა მახლობლად ვერ იბოვინოს. ხელმწიფიანთ უჩემობა  
არ აგრძნობინო: ამბის გასაგებად კაცი უნდა გავზავნო, ჩემ  
მაგიერ წერილი მიუწერო და უებრო ძლვენი უძლვნა.

„ლაშქრობა და ნადირობა შენი ჩემსა დაასახე,  
აქათ სამ წელ მომიტადე, ხემიალი შემინახე,  
მე ნეოუმცა შემოვბრუნდი, ალვა ჩემი არ დაჭნა ხე,  
არ მოებრუნდე, მომიკლოვე, მიტირე და მივაგლახე.“

მაშინდა შეპერდე მეფეს უსიამო ამბავი, ჩემი სიკვდილი  
აცნობე, „მიპხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთაოეს გარ-  
დუვალია“. აი, მაშინ კიდევ უფრო მეტი სიმხნე გმართებს.  
სშირ-ხშირად მომიგონე, ადრე არ დამივიწყო. გახსოვდეს, ჩე-  
მი გაზრდილი ხარ, ცრემლი ნუ დაგენანება. ჩემი სულის და-  
საურვებლად ნურაფერს დაიშურებ, „გლახაკთა მიეც სა-  
ჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“.

აეთანდილის ნათქვამშა შერმადინი გააოცა და თავზარი  
დასცა, თვალთაგან მდუღლარე ცრემლი გადმოსცეივდა, გულ-  
მოკლულმა მოახსენა:

— ვიცი, რომ წახვალ, ~~არ~~ დადგები, ამიტომ მაგას არც  
მე გიშლი. ეს კი როგორ მიბრძანე, ჩემ ნაცვლად დაგტოვე-  
ბო, შენი მაგივრობა რანაირად უნდა გავწიო, სად შენ და

სად მე?! ხომ მიწა გამეთხარა და დავიძარხე, რა „შესრუტოსა გიგონებდე“, სჯობს, მეც თან წამიყვანე, ლიკი ერთად გავიპაროთ!

— გამიგონე, — მიუგო ავთანდილმა, — უძრული მარტო უნდა გაიჭრას. ვიცი, გამიჭირდება, მარტო უნდა ბედნიერება ვირუნახავად და გაურჩელად ვის მოუხვე-ჭია?

„შარვალიტი არეის მიქსდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად.

კაცი ცრა და მოლალატე ხამს ლახერითა დასჭრელად.“

ვის გავუზიარო ხვაშიაღი ან სამფლობელოს მოელა-პატრონობა ვის მივანდო? შენ გარდა საამისოდ შესაფერისი სხვა არავინ მეგულვის. მარტოობა ვერას დამაკლებს, თუ ციურ ძალთა დასი მფარველად მექნა. „ფათერავი სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“. ეგების კვლავ დავბრუნდე, ღმერთმა სულმთლად არ გამიმეტოს დასაკარგავად. თუ სამი წლის თავზედაც არ გამოვჩნდი, მაშინ კი გლოვა გმართებს. ანდერძს დავტოვებ, მთელი ჩემი სამფლობელო შენ გმორჩი-ლებდეს.

## ავთანეიდის ხარიძი თავის მოყვათა მიმართ

„მოყმენო ჩემნო! ეს წერილი მე, თქვენს ფერხთა მტვერს, საკურარი ხელით დამიწერია. თავი ერთად შეიყარეთ და მოისმინეთ. ზოგი ჩემი გამზრდელი ხართ, ზო-

გიც — გაზრდილი. თქვენი ურთგულება და გამოსახული მოცდილი მაქვს, საწადელი მუდამ მორჩილად და მოწინებით შეგისრულებიათ ჩემთვის.

„ლხინსა და გართობას მცირე ხნით ველად წერილი წარმოიქმნავ ჩემს მშვილდ-ისარს მივენდე, თავს იმით დაკარგები მეტად საქმე გამომიჩნდა, მარტოდმარტო უნდა გარდავიხვეწო და წლევანდელი წელიწადი უცხოობაში დავყო. ამას გემუდა-რებით, სამეფო მტერთავან დაულეწელი დამახვედროთ. ჩემ მავიერ შერმადინს ვტოვებ. ვიდრე მე მოვალ, ან თუ ცოცხა-ლი ვეღარ დავბრუნდი, ის იქნება თქვენი პატრონი.

„ყოვლთა მშეებრ მოგეცინოს, ვარდს არ ჰრეიდეს, არ აჭინობდეს, შემცოდესა ჯელაფასა ვითა ცვილსა დააღნობდეს“.

თვითონაც იცით, შვილივით გამიშრდია. მას ისევე უნდა მორ-ჩილებდეთ, თითქოს ავთანდილი იყოს. როგორც კი გიხმოთ, მხარი მიეცით და „აქმნევინეთ ყოვლი საქმე, ჩემგან ქმნილი“. მე თუ დათქმულ დრომდე აღარ გამოვჩნდე, გლოვა და მწუ-ხარება გმართებთ“.

წერა რომ დაასრულა, წელთ ოქრო შემოირტყა და გაემ-ზადა, რომ უცხოობაში მწირივით ევლო. შინ აღარ შეყოვნე-ბდეს, მაშინვე გზას დაადგა გამინდვრებამდე სიარული ქვე-ითად ისურვა, მოყმეთა ამაღაც გაიყოლია, შემდეგ კი ცვე-ლანი დაითხოვა, განმიარტოვდა და შამბნარში გაუჩინარდა. მიღიოდა და განუყრელად თან სდევდა მტანჯველი ფიქრი თინათინზე.

იგი ველი გაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა.

ვინმეცა ნახა სულიერმან, ანუ ვინმეცა გაეკიდა?

ეის მახვილი ცერას დანებს, მისი მელავი გაეკიდა,

მისგან ტვირთი კაეშნისა ტვირთად ვარგად გაეკიდა.

გავიდა სანი. მხლებელთ ნადირობა დაემთავრებათ და  
პატრონი მოიკითხეს, მაგრამ სადღა იყო. გამალებული და  
უწყეს ძებნა, ცხენებს დაგელვებდნენ, ყველაფრთხოების  
მაინც ვერა გაიგეს რა. დაღონდნენ, სიხარული, შეზოგადება  
შეეცვალათ. „გულ-მოკლულნი ცრემლსა ცხელსა გარდა-  
ჰყირიდეს“.

შერმადინმა დიდებულები ერთად შეკრიბა და ავთანდი-  
ლის წერილი წაუკითხა. რა მოისმინეს, ყველას გული დაეწვა.  
თავში ხელს იცემდნენ სიმწრის ცრემლმორეულნი, სინანუ-  
ლით ამბობდნენ: „ლმერთი, ლომო, შენად ნაცვლად სხვასა  
ვისცა დანერგიდეს!“ მერე შერმადინს მოახსენეს: თუმცა  
უავთანდილოდ ჩვენი სიცოცხლე უხალისო და უგემურია,  
ტახტსა და ქვეყანას შენზე ლირსეულს, აბა, ვის დაუტოვებ-  
დაო, რასაც გვიბრძანებ, უცილობლად იმას ვიზამთ, შენი  
მორჩილი ვიქნებითო. თაყვანი სცეს და პატრონად დაისვეს.

## ავთანდინის ნასვლა უცხო მოყვის საძირება

**მ**ეით ბრძენი დიონოსი და ეზროსიც გვე-  
მოწმებიან, რომ „საბრალოა, ოდეს ვარდი დაეთროვილოს,  
და-ცა-ეზროს“. ავთანდილსაც, თითქოსდა „ახალმან ფიფქ-  
მან დათოვა ვარდი, დათრთვილა, დანამა“, ლაწვებზე ცრემ-  
ლი უბრწყინავდა. ლერწამივით ტანაყრილი ჭაბუკი, ფერთა  
ციაგით ლალი რომ დაეჩავრა, სამკვიდროს ტოვებდა და  
უცხოობაში საყარიბოდ მიეშერებოდა:

ვის ბადაბში არა ჰგვანდეს და ლერწამი ტანად ეწყოთ,  
ივი საღმე გაღარიბდეს, სამყოფთაგან იაბეზროს.



აეთანდილმა მინდორი ჭირითთ გაიარა ღრუჟულურუშუ ჯკე  
ზლვარს გასცდა. თინათინისაგან დაშორება სტრუქტურული წერტილი  
ხევრებდა და დარღს უასკეცებდა. წავიდა, მაგრამ გული მას-  
თან დარჩა. თავს იმით ინუგეშებდა, იქნებ კვლავ მეღირსო-  
სო მისი ნახვა. არათუ შეება-სიხარულის დათმობა, მისთვის  
სიკედილიც კი ეადვილებოდა და ლხინად მიაჩნდა: „შენთვის  
სიკედილი მეყოფის ლხინად ჩემისა თავისად“. და მაინც ვა-  
რამი სულ უფრო მძაფრად ეუფლებოდა ჭაბუკ მიჯნურს,  
„ვარდი მის მზისა გაყრილი უფრო და უფრო ჭაბუკიდა“. სა-  
სოწარკვეთილი ზოგჯერ ხანჯალსაც წაეტანებოდა — გულში  
დავიცემო, მაგრამ მსწრაფლ სიმხნეს მოიკრებდა და ვონს  
მოეგებოდა. დადიოდა აეთანდილი უცნობ აღგილებში უცხო  
მოყმის საძებნელად. მგზავრებთან მეგობრობდა, ცდილობ-  
და მათგან შეეტყო რამე.

შენ ექებს, ცრემლი მტირალსა სდის ზღვათა შესართავისად.  
უჩნდის ქვეყანა ტაბტად და მელავი საღებლად თავისად.

მიწის პირი ერთობ მოვლო, მაგრამ იმ მოყმის ამბის მსმე-  
ნელსაც ვერავის მიაგნო. ამასობაში სამი წელი სამ თვედ მი-  
იწურა. ბოლოს, სადლაც მწირსა და უდაბურ ადგილს მო-  
ხვედრილიყო, მთელ თვეს ძეხორციელი არ ენახა. დიდი გა-  
საკირი ადგა, ისეთი, თვით ვისსა და რამინსაც რომ არ დას-  
დგომიათ. დღე და ღამე სატრთოს მოვონებაში იყო, მასზე  
ფიქრითლა სულდგმულობდა.


დიდი და მაღალი მთის წვერზე დაისადგურა. იქიდან  
ოვალწინ გადაეშალა ვრცელი მინდორი, მთელი კვირის სავა-

ლი იქნებოდა. მთის ძირას პატარა მდინარე დოლა, უცილო დაც იოლად გადასასვლელი. მდინარეს მიაღვა, კერტ წიგ წასვლა გადაწყვიტა, ვერც უკან დაბრუნება. უჭირეს უკეთეს მოთვალა, ვადამდე ორი თვედა დარჩენოდა, გრძელი რეზიუმე და და კვნესოდა. ცალკე იმას შიშობდა, ვაითუ საიდუმლო გამიმულავნდეს და ყველაფერი ცუდად დატრიალდესო. საგონებელში ჩავარდნილიყო, აღარ იცოდა, რა ექნა:

— უკან დავბრუნდე, ჩემს მნათობს რაღა პასუხი მივუტანო, ამდენი ხანი რომ ფუჭად გამილევია? რა ვუთხრა იმისი, ვის საძებნელადაც წამოვსულვარ, კორიც რომ ვერა გამიგია რა? არ დავბრუნდე და კვლავაც ვეძებო, შევიტყობ კი მის ამბავს? ამასობაში დათქმული დრო გავა, შერმადინი იმედს გადაიწყვეტს და ლაწვებზე ცრემლის ლვარი ამაოდ დაედინება. მეფესაც ეახლება და, როგორც თვითონვე დავავედრე, ჩემს სიყვდილს აუწყებს. სასახლეში მწარე გლოვის მიეცემიან და... „მერმე მივიღე ცოცხალი, სადმე სხვაგან მე რებული!“

ამას ფიქრობდა მტირალი, ეს უშფოთებდა გონებას, ამიტომ შეკლალადებდა ლმერთს საყველურით: „სამართალნი შენი ჩემთვის რად ამრუდენ“, ამდენი სიარული წყალში რად ჩამიყარე, სიხარული რად წამართვი და ნაცვლად ვირი რად დამიბუდე გულში, მთელი ჩემი დღე და მოსწრება ცრემლსა და ვაებაში რომ მიდისო.

ისევ და ისევ ცდილობდა თავი გაემხნევებინა — კმარა, დღეს იქით ნუ მოვადებიო, გული გაემაგრებინა — დარდით ნულარ დაღნებიო. რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა ჩემი ხვედრი: „ავსა კარგიდ ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერ-

ვინ იშობს“. თუ ღვთის ნება და შეწევნა არ აქნა,  თია, ვერაფერს გავხდები, ცრემლს ამაռდ ვღვრიო.

მთიდან ძირს დაეშვა და მდინარის გასწორივ ტყისპირა შამბნას გაუყვა. გაოცებული იყო: ქვეყანაზე კარგი მიმდევა ვინ გამიშვია და იმ მოყმის ამბავი როგორ გადას მიმდევა უკაველად მართალი ყოფილან, ქავიდ რომ თქვესო, და თუ ასეა, რაღა მაქვს სატირალი, ტყუილად ცრემლს რაღად ვღვრიო?

+ ავთანდილმა მდინარე გადალახა, ტყე გაიარა და გა-  
იმინდვრა. ტაჭი აუჩქარებლივ მიპყავდა და თითქოს მიირ-  
ხეოდა. სევდასა და ბოლმას დაეპყრო:

გასცუდებოდეს შელავნი და მისნი სიამავნია,  
ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა შენ საყნია.

უკან გამობრუნება დააპირა. ოხერა-კვნესა აღმოხდა და გზა  
ისევ განავრძო. მინდორზე თავქვე დაეშვა და მანძილი თვა-  
ლით მოზომა. მთელ თვეს ძეხორციელი არ ენახა. შორიახლო  
საზარელი მხეცები იყვნენ, აოც კი ცდილა დაეფრთხო. თუმცა  
ჯავრისაგან გაცეცხლებულიყო და გულამოსკვნილი კვნესოდა,  
„ეგრეცა ჭამა მოუნდის აღამის ტომთა წესითა“. როსტომ-  
გმირის მკლავზე უგრძესი ისრით ნაღირი მოკლა, შამბნა-  
რის პირას ჩამოხტა და კეესით ცეცხლი გააჩირა. ცხენი სა-  
ძოვარზე რომ მიუშვა და მწვადის შეწვას უცდიდა, დაინახა,  
ექვსი ცხენოსანი მისკენ შორმურებოდა. ჯერ იმედი გაეღვიძა,  
იქნებ იმ მოყმისა რამე იცოდნენო, მაგრამ მძარცველებს  
მიამსგავსა და ხელი ჩაიქნია: მათგან რა უნდა გაიგო კარგიო,  
ესეცაა, აქ ხომ ძეხორციელს, ალბათ, დღემდე ფეხი არავის  
არასდროს დაუდგამსო!

მშვილდ-ისარს ხელი დაავლო და მათკენ მღვმარე გამარტა. შენიშნა, რომ ორ წვეროსან კაცს უწევერული ასალებაზე  
და მოთქმა-ტირილით მოჰყავდათ. თავში უოფეულურულული  
ლი, სისხლით დაცლილს გული შეღონებოდა, უწეველურულულ  
თქავდა. შეეხმიანა: ძმანო, ვინა ხართ? ყაჩალებს მიგამსგავ-  
სეთო!

— დამშვიდდი, — მიუგეს მათ, — გვიშველე რამე, ამ  
ცეცხლისაგან გვიხსენი! თუ ვერაფერი გვარგო, მოგვისამძიმ-  
რე, სატირალი მოგვიტირე, ლაწვნი შენც დაიკაწრე, ჩვენი  
ჭირ-ვარამი შენც გაიზიარე!

ავთანდილი მათ მიუახლოვდა და, რა მოგსვლიათო, გა-  
მოპყითხა. ისინი უამბობდნენ, გულმდულარედ მტირალნი:

— ჩვენ სამივენი ძმები ვართ, ხატაეთს დიდი ციხე-ქა-  
ლაქი გვაქვს. გვითხრეს, აქეთ კარგი სანალირო ადგილებიაო,  
და ჩვენც გამოვეშურეთ, თან უთვალავი ლაშქარი ვიახლეთ.  
მდინარის პირას დავბანაკდით. სანალირო მოგვეწონა და  
მთელი თვე დავრჩით. მთასა თუ ბარში უამრავი მხეცი დავ-  
ხოცეთ. სამივენი დაუცდენლად ვისროდით, ჩვენი ბადალი  
არავინ ჩანდა. მერე ერთმანეთსაც დავეცილენით — „მე  
უკეთ მოვჰქმლავ, მე გვიბო“. ბევრი ვიდავეთ, მაგრამ სამარ-  
თალი ვერ გავაჩინეთ, უარესობას უუკადრისობდით.

— დღეს ლაშქარი ავყარეთ და შინისაკენ გზას გავუყე-  
ნეთ, ირმის ტყავით დატვირთული. გადავწყვიტეთ, ერთხელ  
კიდევ გვეცადა ბედი და დანამდვილებით გაგვეგო, თუ ვინ  
ესჯობდით, ვის უფრო მარჯვე მელავი გვქონდა. დავთქვით,  
მარტონი წიგსულიყავით, თითოს თითო მეაბჯრელა გვეახ-  
ლებინა, ნადირიც თავად წამოვეფრთხო და ისე გვესროლა.  
„მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ლრენია“, მხეცი

მუსრი გავაკლეთ, ზევიღან გადაფრენილი ფრინველიც  
გაგვიშვია ცოცხალი.

— ანაზდად პირქუში და მრისხანე მოყმეული მოწინდეთ. შეს  
მერანზე იჯდა, „თავსა და ტანსა ემოსა გარეუმზუმუშუტუშ  
ვია“. მისი მსგავსი მშვენება კაცის თვალს ჭერ არ ენახა. რა შევხედეთ, მის ელვათა შუქს თვალი ვერ გავუსწორეთ,  
ვთქვით, მზე ციდან ქვეყნად ჩამოსულაო! მოყმის შეპყრობა  
მოვიწადინეთ. მე, უფროსმა ძმამ, უმცროსთ ხევწა-მუდარით  
გამოვსთხოვე, მაგან თვითონ მოვული-მეთქი. მომდევნო ძმამ  
მისი ტაიკი შეიხარბა, ქებით მოიხსენია. უმცროსმა, მარ-  
ტომდარტო მოვერევიო, დაიქადა, ვაი, რომ არ დავუშალეთ,  
მისკენ გაექანა და ჩვენც უკან მივყევით, იმ მოყმეს დავე-  
დევნეთ. იგი კვლავ მშვიდად მიღიოდა, მშვენებით გაბრწყი-  
ნებული. მეტად ახლოს რომ მივეტანეთ, თითქოს სისხლი აემ-  
ლვრაო, მოთეთრო-მოვარდისფრო ლაწვები წითლად აელეწა,  
ამით შნო და ლაზათი თითქოს შეემატა კიდეც:

ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდი თხელნი ანატიფნა,  
იგი ტკბილნი გონებანი ჩვენოვის მეტად გაამყიფნა.

არც ძირს ჩამოვყარა და არც ზეითად დაგვტოვა. სულაც არა-  
ფრად ჩაგვაგდო, იარალიც არ უხმარია, „მისნი მკვახედ  
მოუბარნი მათრახითა შეგვამწიფნა!“ უმცროსი ძმა თავისას  
მაინც არ იშლიდა. მივცივდით და ვცადეთ ალარ მიგეეშვა.  
ეს უბედური ხელით მისწვდა და, შეჩერდით, ესეც რომ  
შეპბედა, მოყმემ მათრახი გადაპერა და თავი შუაზე გადა-  
უფრიწა, ძირს მკვდარივით დასცა:

„მისი რასმე მეადრებელი მოამდაბლა, მოამიწა,  
თვალთა წინა წავეიციდა ლალი, კუშტი, ამაყი, წია!“

ამის შემდევ უკან არც მოუხელავს, მშვიდად და თქმის-  
რებლად გასწია. „აგერა მივა, ნახეო, ივი მჩერებრ და მთვა  
რებლად“, — შორს უთითებდნენ მწარედ მტრისჭმულებული  
ტაიპოსან მხედარზე, ძლივს რომ მოჩანდა.



ასე მოულოდნელად აუსრულდა ავთანდილს გულის სა-  
წალელი და წილად ერგო „ღაწვთა ცრემლით არ-დათოვნა“:  
ვისაც ეძებდა, მის კვალს მიაგნო. უხაროდა, რომ ამდენი ხნის  
ყარიბად სიარული ფუჭად არ დაკარგულიყო. გამოვლილი  
ხიფათი და გაჭირვება ალარც კი აგონდებოდა:

კაცია მიპხედეს საწალელი, რას ეძებდეს, უნდა პოვნა,  
შაშინ შისგან ალარა ხამს გაჩდასრულთა ჭირთა ხსოვნა.

— ძმანო, მე იმ მოყმის საძებნელად მოვშორებივარ სა-  
მკვიდროს და ამ უდაბურ ადგილას მოვსულები, — უთხრა  
მათ ავთანდილმა. — ახლა თქვენი წყალობით მიმიკვლევია  
ესოდენ ძნელად მოსახელებელი მისი გზა-კვალი. ასემც თქვენ  
აგსრულებოდეთ გულის წადილი, მე რომ ამისრულდა! ასემც  
ღმერთმა უშველოს თქვენს ძმას და თქვენი დასალონი არა  
ინებოს რა!

თქვა თუ არა ეს, თავისი საღვომი უჩვენა და შესთავაზია:  
დაჭრილი ჩრდილში გადასვით და თქვენც მოისვენეთ, და-  
ლლილ-დაჭანცული იქნებითო. თვითონ კი დეზით ცხენი გა-  
ქუსლა და საბმელიდან თავდახსნილი მიმინოსებრ ლალად  
გაფრინდა. მოყმისაკენ მიეშურებოდა როგორც „მთვარე,  
მზისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა“. მწველი ცეცხ-  
ლი მოეშორებინა, წუხილი გასცლოდა. აი, საკაა დაეწევა.  
ახლა სხვა საფიქრალი გაუჩნდა: როგორ მივიღეს და რა  
უთხრას? გონივრულად უნდა მოიქცეს, თორემ ვაითუ „შმა-

გი უფრო გააშმავოს“, და მაშინ ხომ ყველაფრთხოების ჩაუარა ავთანდილს! არა, რამე უნდა იღონოს:

„ხაში, თუ კაცმან ვონიერმან ძნელი საქმე გამოტაჭირვა უნდა არ ხიწყნარე გონიერისა მოიძეულოს, მოიძავოს“. გიგანტურებ

— რაკი ასე გულამლვრეული და გახელებულია, — ფიქ-  
რობდა ავთანდილი, — პირისპირ სასაუბროდ არავის მი-  
უშევებს. დავეწიო, ერთმანეთის შეხლა-ჭიდილი არ აგვცდება.  
ან მომელავს, ან შემაკვდება, და ამით ხომ მისი ამზავი „და-  
იმალვის მეტის-მეტად“. ქვეყნად ისეთი არსება ვის გაუგონია,  
რომ თავისი ბუღე და სამყოფელი არა ჰქონოდეს? დავაცდი,  
მივიდეს, საკა მისასელელია, და, რანაირი ზღუდითაც უნდა  
იყოს მოვლებული, შევალწევ და იქიდან შევიტყობ, რისი  
შეტყობაც მწადია.

ორი დღე და ღამე ასე იარეს, უცხო მოყმეს ავთანდილი  
მალულად კვალში ედგა. დამაშვრალთ ერთხელაც არ შეუსვე-  
ნიათ, არც არა უკამიათ რა. მესამე დღეს საღამო უამს დიდ  
კლდეებს წააღვნენ. ძირს მღინარე დიოდა, მისი ნაპირები  
ხშირ შამბნარს დაეფარა. კლდეთა შეა დიღრონ ხეებს ტა-  
ნი მაღლა აეყარათ, თვალს ძლივს აუწვდენდი.

შორიახლო გამოქვაბული ყოფილიყო, უცხო მოყმემ მდი-  
ნარე გადალახა და იქით გაემართა. ავთანდილი ჩამოქვეეთდა,  
მაღალი ხე შეარჩია, ცხენი დააბა და თვითონ იმ ხეზე ავიდა  
სათვალთვალოდ. ვეფხვის ტყავით მოსილმა ჭაბუქმა ტყე  
რომ გავლო და გამოქვაბულს მიუახლოვდა, იქიდან ჭალი  
გამოეგება: შავი ჭუბა ეცვა, ხმამაღლა ატირდა, მისი ცრემ-  
ლი ზღვას ერთვოდა.

მოყმე ცხენიდან ჩამოხტა, ყელს მკლავებით მოეჭდო და  
შესტირა: „დაო ასმათ, ხილნი ზღვასა ჩაგვიცვივდეს“, სანამ

დრო იყო, ვაი, რომ ვერ ვიპოვეთ, ვისი ცეცხლითაც მაშენ  
თო. ეს თქვა და მკერდში მჭიდლი წაიშინა, ცრემლი წვიმისა-  
ებრ მოსდიოდა. აეთანდილი შორით უჭვრეტლერში შეტეხში  
განცვიფრებული.



ივი ტევრი გაეხშირა დანაგლექსა მათსა თმასა,  
ერთმანერთსა ეხვეოდეს, ყმა ქალსა და ქალი ყმასა,  
იზახდიან, მოთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი ხმასა.

სიმწრისაგან სახე დაეხოკათ. მერე ერთმანეთს სისხლი მოს-  
წმინდეს, სული მოიბრუნეს, ცოტათი დაწყნარდნენ. ქალმა  
ტაიჭი გამოქვაბულში შეიყვანა და აკაზმულობა მოხადა.  
მოყმეს აბჯარი შეხსნა და ისიც შეიტანა. შიგნით შევიდნენ  
და იმ დღეს გარეთ ალარ გამოსულან. აეთანდილი დალონდა,  
რანაირად უნდა გავიგო მისი ამბავიო, საგონებელში ჩავარ-  
დნილიყო.

რა გათენდა, ქალი გამოვიდა, ისევ შავი ემოსა. მერანს-  
ლაგამი ამოსდო და შეკაზმა. შემდეგ წყნარად და უხმაუროდ  
აბჯარიც გამოიტანა. მოყმეს წესად ჰქონებოდა დადებული,  
ამაზე მეტხანს არ დარჩენილიყო. გამოთხოვებისას ერთმა-  
ნეთს მოქცეივნენ და აკოცეს. ჭაბუკი ცხენზე შეჭდა და გზას  
გაუდგა. ისედაც დალვრემილი ასმათი უარესად შეწუხდა:  
ტიროდა, მკერდში მჭიდლი იცემდა, ხშირ თმას ბლუგა-ბლუგად  
იგლეჭდა. უცხო მოყმე იმავე გზით წამოვიდა, წინა დღეს  
რომ გაევლო. აეთანდილი მალულად ხეს ამოეფარა და გა-  
ფაციცებით უჭვრეტდა:

აეთანდილ ახლოს კედა ნახა სახე მისივე კაცისა,  
ულვაშ-აშლილი, წვერ-გამო, „ნეთუ მზეაო, — თქვა, — ცისა?“  
ეყნისა სული ალვისა, ქართაგინ მონატაცისა.  
ასრე უჩნს მოკლვა ლომისა, მართ ვითა ლომისა ვაცისა.

მოყმემ რომ შამბნარი კარგა შორი მანძილით უჯან მოიხსე-  
ვა და გაიმინდურა, ავთანდილმა შვებით ამოისუნოვა:   
— ამას რა სჭობია, — ფიქტობდა იგი, — უჩიტეს მწყვეტი  
და, ახლა ქალი მარტოა. მივალ, შევიძყრობ, ჰუ გადასტუმრების  
ბობინებ, ჩემსასაც ყველაფერს ვეტყვი. ღვთის წყალობით სა-  
ქმე ღიდებულად მოეწყო: რასაც ვეძიებდი. ისე გავიგებ, უმას  
ყმასა ხრმალი არა ვპეტა, არც მისი დავისობინო».

## ავთანდილისა და ასმათის შეხვედრა და საუბარი

ავთანდილი ხიდან ძირს ჩამოვიდა, ცხენი ახს-  
ნა, ზედ შეკდა და გამოქვაბულისაკენ გაემართა. კარები ღია  
იყო. იქიდან გულმდულარედ აცრემლებული ასმათი გამოიჭ-  
რა: პერნებოდა, „დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლ-ბავმული“.  
მაგრამ, ტარიელის ნაცვლად სულ სხვა მოყმეს რომ შეეფე-  
თა, ფიცხლად გაიქცა და ისეთი კივილი მორთო, კლდეები  
ბანს გამოსცემდნენ. ჭაბუქმა-აღარ დაახინა, სწრაფად ჩამო-  
ხტა, დაეწია და შეიძყრო: ქალი არწივის კლანებში მოქცე-  
ული კაკაბივით ძრწოდა და ცდილობდა თავი დაეხსნა უცნო-  
ბისაგან, ვისი შეხედვაც კი ზიზღა ჰევრიდა. შეველელად  
ტარიელს უხმობდა, მაგრამ სადღა იყო. ავთანდილმა მოწი-  
წებით მუხლი მოუყარა და ეხვეწებოდა: გაჩუმდი, ადამიანი  
ვარ, მხეცი ხომ არა, ნუ გეშინია, არაფერს გერჩი! აგრე რომ

გაჰკივი, რა დამიშავებია? იმ მოყმის ამბავი მიამზე და /შენ-  
გან მეტი არა მინდა რაო:

ტრამი 13 წლის შედეგი

„უფერო-ქმნილი მინახეან ვარდი და ისი კანი და კრისტენი  
მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პიონ-ბავშვიანი?“

— დამესხენი, თუ გიყი არა ხარ, ხოლო თუ გიყი ხარ.  
ჰყუაზე მოდი! — ტირილით შესჩივლა ქალმა. — მეტაც  
ძნელი რამის გაგება აღვილად გწადია: მას რომ გადახდომია,  
კალმით არ აიწერება, ტყუილუბრალოდ დროს ნუ ჰყარგავ  
და „ნუ ელი მაგა ამბისა მბობასა!“ რას გადამეკიდე, რა  
გინდა ჩემგან? სულერთია, რამდენჯერაც მეტყვი. მითხარიო,  
ასი იმდენჯერ, ვერა-მეთქი, გიპასუხებ. ნირს მაინც ვერ შე-  
მიცვლი: „ვითა სიცილი ტირილსა, ვაგლახი მიჯობს მღე-  
რასა.“

— შენ რა იცი, საიდან მოვსულვარ და რა ჭირი გამომი-  
ვლია! — უთხრა ავთანდილმა, — რა ხანია ვეძებ იმ მო-  
ყმის ამბავს და აქიმდე ვერავეინ ვნახე, რომ სცოდნოდა. ახლა  
შენ მიპოვნიხარ და, რაგინდ განაწყენებულიც იყო ჩემზედ.  
ვერ დაგეხსნები, მაინც უნდა მიამბო.

— ეს ვის გადავეყარე, — თქვა ქალმა, — სად მე და სად  
შენ?! ის რომ აქ არის, ამდენს იმიტომ ბედავ: „მზე არ  
მახლავს, შეგეტყვების, თრთვილო, ასრე მით მაწყენო!“  
გრძელი სიტყვა მოსაბეზრებელია და მეც მოკლედ მოგახ-  
სენებ: ვერათრის გულისთვის ვერ გიამბობ, რაც გინდა,  
ისა ქენი!

ავთანდილმა კვლავ აფიცა და მუხლმოყრილი ევედრა,  
მაგრამ ვერათერი ათქმევინა. ბოლოს, ხვეწნა-მუდარა მო-  
ეწყინა, სახე აელეწა, თვალებში სისხლი მოაწვა, გაგულისე-



ბული ქალს მივარდა, თმებით დაითრია და წელში დაწარმოებინა:

— ვერა, ამდენ ჯავრს ვერ შეგარჩენ! რა კატეგორიული ტირებ და ცრემლს ტყუილად მაღენ?! გილერეინა მათთვის და ამის მეტს აღარას დაგიშვებ, თუარა, ღმეროთმა ისე მტერი მომიკლას, როგორც შენ მოგვლა!

— ეგ მეტად უმწეო ხერხი მოგივონია, — მიუგო ქალმა: — თუ არ მომკლავ, ხომ უვნებელი დაურჩები და, სანამ ჭირი მინახავს, რად უნდა გითხრა რამე? ხოლო თუ მომკლავ, მაშინ ხომ „სასაუბროდ აღარ მედგას ზედან თავი“. ვერ ვიცნობ, ვინ ხარ, რას გადამეკიდე?! სანამ ცოცხალი ვარ, მისი ამბის საამბობლად ენასაც ვერ დამაძრევინებ, მირჩევნია, თავი ნებით შეგაკლა და „ვითა უსტარი ბეჭითი ადვილად დაგახევინო“. ნუ გვონია, რომ სიკედილი ტანჯვად მიმაჩნდეს და ამით შემაშინო. თუ მომკლავ, პირიქით, ტირილსა და ვაებას მომაშორებ, „შემშრების ცრემლთა ფონია“. სიცოცხლეს ჩემთვის მაინც ჩალის ფასილა აქვს.

ვერა, ასე მართლაც ვერაფერს ვათქმევინებ, სხვა რამე უნდა მოვისაზროვ, ვაიფიქრა ავთანდილმა. ასმათს ხელი უშვა, ცალკე დაჭდა და ცრემლთა ფრქვევა დაიწყო. ქალს მოუბოდიშა: ვაი, რომ ვაგარისხს, და ახლა, არ ვიცი, ცოცხალს რაღა დამარჩენსო! ქალი პირდაპირ დაუჭდა და ვერ ისევ მწყრალად შესცემულდა, არ მომტკბარიყო.

ავთანდილ ქვე ზის ტირილად, აღარას მოუბარია,

ვარდისა ბალსა მოგუბდა ცრემლისა საგუბარია.

კვლა იქით ქალი ატირდა, მისთვის გულ-ნალმობარია.

ასმათს მტირალი მოყმე შეებრალა და მღულარე ცრემლს აღისწელ ლვრიდა. მაგრამ, უცხო კაციაო, ამიტომ არას ეუბ-

ნებოდა. ავთანდილმა შეატყო, რომ ქალს გული და კუნძულებინა და აღარ უწყრებოდა. ჭაბუკი ადგა, მუხლო მოუყარა და თვალცრემლიანი შეეხევწა, შენდობა სტანდატი ნუ არ.

— გაგარისხე და, ეიცი, ახლა უკვე ჭრის კულტურული უკან-წევ, შენგან ყარიბად და ობლად შთენილს. მაინც გთხოვ მაპატიო, „ამად რომე შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესან-დობლად“. თუმცა სამსახურის გასაწევად თავი „ავად მოგაწონე“ და ლირისი არა ვარ დამეხმარო, მაგრამ ისიც ნუ დავავიწყდება, რომ მიჯნურს შებრალება უნდა. ნუ გამწი-რავ, გული მოიბრუნე და სანაცვლოდ თვით სიცოცხლესაც არ დავიშურებ შენთვის: „სულთა მოგცემ გულისათვის, სხვა მეტიმცა რა გაქონე!“

ქალმა რომ მოყმისაგან, მიჯნურიო, გაიგონა, ცრემლი გა-უასკეცდა და გულამოსკვნილმა ხმამაღლა ტირილი მორთო. ავთანდილი საწადელს ეწია და გაიხარა: ამ სიტყვის გავო-ნებაზე ფერი უმიზეზოდ არ შეეცვლებოდა, უიპეველად ვი-სიმე მიჯნურობით მალიმალ აფრქვევს ცხარე ცრემლსო, გაიფიქრა ჭაბუკმა და ასმათს კვლავ უთხრა:

— დაო, მიჯნური მტერსაც კი შეებრალება: ესეც იცი, იგი არათუ თავს არიდებს სიკვდილს, თვითონ დაეძებს მას. მეც ხომ

—ვარ მიჯნური, ხელი ვინშე, გაუჩივალლად სულთა დგმისად, ჩემმან მზემან გამომგზავნა საძებარად იმა ყმისად, ლრუბელიცა ვერ მიაქცედების, მე მისრულვარ სადა, მი, ხად! გელი თქვენი შიპოვნია, მისი შენდა, შენი მისად”.

იმ მოყმის სახე გულში ღრმად ჩამიბეჭდავს და საძებნელად გახელებული გამოვჭრილვარ, ლხინსა და სიხარულს მოკლე-ბული. ახლა შენ ხელთა ვარ: გინდ დამატუვევე და გინდ თა-ვისუფლება მომანიჭე, ან მომკალი და ან მაცოცხლე!

— ეგ კი კარგი რამ მოიგონე და თქვი, წელაზდელს უკავ-  
რად უკეთესი, — უკვე სიამტკბილობით უთხრა ქალმა. წელან  
რომ გულში მტრობის თესლი ჩამითესქმაშიც მტკლეს ი  
წაგიღე თავი, გზა-კვალი აგირიე და დაგალოშე მტკლეს მტკლეს  
ხან შენდა ბედად მიჯნურობა ახსენე, ამიერილან დასედ უფ-  
რო ერთგული მოყვარე გაბოვნივარ, შენი ნება-სურვილის  
მონა-მორჩილი. ახლა, რასაც გეტუვი, გამიგონე და, შენ  
რომ დაეძებ, იმას უკველად იპოვი.

„ოუ არ მოშისმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა ცრემლსა ჰპილდები,  
მოგხვდების მდერევა სოფლისა, მოქვედები, გა-ცა-სწბილდები!“

— შენი ნათქვამი, იი, რას მაგონებს, — მიუგო ავთან-  
დილმა: — გზაზე თურმე ორი კაცი მიღიოდა, ერთი წინ,  
მეორე კი კარგა მოშორებით. უკანაშ ნახა, რომ წინ მიმავა-  
ლი ჭაში ჩაგარდნილიყო. ოხერითა და ტირილით ჩასძახა:  
მეგობარო, მანდ მომიცადე, თოკის მოსატანად წავალ, შენი  
ამოყვანა მშაჲდიანო. ქვემოთას ამის გაგონებაზე მწარედ გას-  
ცინებოდა და მეტად გაოცებულს ამოეძახა: „არ გელოდე,  
სად გაგაქცე, სად წავიდე?“

— ახლა, დაო, ჩემი ყელის საბელი შენ ხელთაა, უშენოდ  
უმწეო ვარ, — დასძინა ავთანდილმა. — შენ იცი, რასაც მი-  
წამლებ გახელებულსა და გონებაარეულს. ამ დღეში რომ  
ვარ, მიტომ გთხოვ შველას, თორემ აუტკივარი თავი ვის შე-  
უხეევია!

— შენი ნაუბარი მომეწონა, — უთხრა ქალმა, — ვეტყო-  
ბა, უკველად კარგი ჭაბუკი ხარ, ბრძენთაგან საქებარი. რა-  
ხან აქამდე ამდენი ჭირი აგიტანია, გამიგონე და ახლაც იქო-  
ნიე ცოტაოდენი მოთმინება. რასაც ეძებდი, ეს-ესაა გი-  
ბოვნია კიდევაც, ოლონდ ერთი რამ იცოდე: იმ მოყმის ამ-

ბავი ენით უთქმელი და დაუჭერებელი რამდეა, კვერცხით  
რომ ვერ ეზიარები, თუ თვითონვე არ გაამბო. თვისლთ  
ცრემლი შეიშრე, დაწყნარდი და მოთმინებიფასუდუფლება

„მოილოდინე, მოეიდეს, რაზომშცა დაგურუჩენი,  
დადუმდი, ვარდსა ნე აზრობ, ცრემლითა ნე ითოვენების“.


თუ ჩვენი სახელის გაგება გწადია, გეტუვი: იმ მოყმეს ტა-  
რიელი პქვია, მე კი — ასმათი. ურკისაგან გაშმაგებული ერთ  
ადგილას ვერ ძლებს, გაიჭრება და „მინდორს არონინებს  
ტანსა მცევრსა, მემაჯანსა“. მეც აქ გაუნელებელი ცეცხლით  
ვიწვი და სულ ოხვრა-კვნესაში ვარ. ნანადირევი მოაქვს და  
იმით ვსასრულობთ. მეტს ნურას მკითხავ. გვევიდები, არსად  
წახვიდე, მოიცადე. რომ მოვა, შევეხვეწები და რამეს მოვა-  
გვარებ: ერთმანეთს გავაცნობთ, ვეცდები შენი თავი შევა-  
ყვარო, მერე კი ყველაფერს თვითონვე გიამბობს. შენც სა-  
ტროოს სერვილს აუსრულებ და გაახარებ.

ავთანდილს ასმათის რჩევა ქუცაში დაუკდა და დაყაბულ-  
და, ხელი ხელს დაპქრეს. ამ დროს ხევიდან ხმაური მოესმათ  
და მიიხედეს — ტარიელს მდინარე უკვე გადმოევლო:  
„მთვარე წყალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოფინება“. მყის-  
ვი მოშორდნენ იქაურობას, გაერიდნენ.

— ხედავ, რაც გეწადა, ღმერთმა აღარ გალოდინა და ვი-  
ბოძა, — უთხრა ქალმა ავთანდილს, — ოღონდ ჯერ გამოქვა-  
ბულში უნდა დაიმალო. ძეხორციელი არავინაა, რომ იმ მო-  
ყმეს უვნებლად გადაურჩეს. როგორმე უნდა გვახერხო,  
შენი ნახვა ეამოს.

ავთანდილ ქალმან დამალა ქვაბს დამალვითა მალითა.  
იგი ყმა ცხენსა გარდახდა, შეენოდა კაპარჭ-ხრმალითა,

ატირის შალლად ცრემლითა, ზღვათაცა შესამალითა,  
ავთანდილ სარქმლით უკერეტდა ჭვრეტითა იღუმალითა.



ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანაშტნური რიცხვები  
დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან იგი გადაირია  
შეხსნა, შეიღო აძარი, ცხენიცა შეიცვანა მან,  
დაღუმდეს, ცრემლინ მოქცეოთა შემან გიშრისა დანამან.

ავთანდილ სარქმლით უკერეტდა, ტყევე, საკნით ნააზატები.  
მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყევისა ნატები,  
მას ზედა დაჭდა იგი უშა, სულთქევას კიჩ-მონამატები,  
სისხლისა ცრემლსა გაეწინა შუა გიშრისა სატები.

ასმათმა კვესით ცეცხლი დაანთო, ხორცი შეწვა და ტა-  
რიელს აუქნელად მიართვა. მან უხალისოდ ერთი კი ახლი-  
ნა და ძლიეს პირში ჩაიდო, მაგრამ უცოხნელივე გამოყარა.  
ჭამას თავი ანება და დასაძინებლად მიწვა. ის იყო თვალი  
მოაყტუა, რომ შეკრთა, ხმამალლა წამოიყვირა და გიყივით  
წამოიჭრა, „იზახდის და წამ-წამ იქრის გულსა ლოდი, თავსა  
კეტი“. ასმათი საცოდავად კუთხეში მიყუჟულიყო და, მისი  
შემყურე, სიმწრით სახეს იკაწრავდა.

— რად დაბრუნდი, ხომ არაფერი შეგემთხვა? — ჰე-  
თხა ქალმა.

— გზად ერთი მეფე გადამეყარა, — მიუგო მან, — მინ-  
დვრად გამოსულიყო და ნალირობდა, მხეცთა მომრეკელი  
გარეშემო მიმოეფანტა. უთვალავი ლაშქარი და დიდხალი  
ბარეით დატვირთული აღალი ახლდა. „სევდად მეცა კაცთა  
ნახვა“, გულს მწველი ცეცხლი უფრო შემომენთო. ახლოსაც  
არ გავკარებივარ, ჩემივე თავი შემებრალა, ვიცოდი, უარე-  
სად გავხდებოდი. გამკრთალი უკან გამოვბრუნდი და ტყეში

დავიმალე: იქნებ გზა ამიქციოს, არადა ხვალ წაფილ, რო-  
გორც კი გათენდება-მეოქი.

— უღრან ტყეში მარტოდმარტო მხეცებული ჩაუსა-  
ხარ და ძეხორციელს არავის იახლებ, — ტყების ჩაუსა-  
ცრემლი ღვარიად გადმოედინა, — მაგით იძას ზომ ვერას  
არგებ და ამაოდ რაზე იმწარებ სიცოცხლეს, „დღეთა შენთა  
ცუდად ჰლევ რად?“ მიწის პირი ერთობ შემოგივლია და ნე-  
თუ ერთი კაცი მაინც ვერ ნახე, რომ დარღის მომაქარვებ-  
ლად, შემაქცევრად თან იახლო?!

თუ თვითონვე გვახლოს,  
იცოდე, შენებურად ნუ გაშმაგდები და არ ეკვეთო: ვირ-ვა-  
რამი არც უამისოდ გაკლია და რა მაღლი იქნება შენთვის,  
რომ ერთმანეთს თავი შეაკლათ?

— დაო, ეგ შენი ნათქვამი შენი გულივით სიკეთით სავ-  
სეა, — მიუგო ტარიელმა, — მაგრამ რა ვქნა, ჩემი წყლე-  
ლის წამალი რომ არსად არის! ვის შეუძლია იპოვოს ასეთი  
კაცი, თუ იგი ქვეყნად არც გაჩენილა? ჩემი ერთადერთი შვე-  
ბა და ლხენა სიკვდილია, სხვა არაფერი. ლმერთს ჩემს ბე-  
დობაზე კაცი არსად დაუბადებია, მასთან სიახლოვე და სა-  
უბარი კიდევაც რომ მწადდეს. შენ გარდა, დაო, ხორციელი  
არავინა მყავს. სხვას ვის აუტანია ან თუნდაც ვინ ცდილა  
აეტანა ესოდენი გასაჭირი?

— მეშინია, ამას რომ გეუბნები, და ძალიან გთხოვ არ გა-  
მიწყრე, — შეპკაღრა ქალმა: — რახან ლმერთმა წილად მარ-  
გუნა შენი მრჩეველი და მეხვაშიადე ვიყო, იმას როგორ და-  
გიმალავ, რაც რამ უკეთესი მინახავს. ოლონდ ჯერ ეს  
უნდა გითხრა, რომ უსაზომო არაფერი ვარგა, შენ კი ზომას  
გადასულხარ.

— არ ვიცი, რას მეხვეწები, გამაგებინე მაღნუ, — ლომა  
რა ტარიელმა. — ულვთოდ საიდან გავაჩინო ისეთი კაცი,  
ვინც მხარში ამომიდგება და ჩემს ჭირ-ვარამს უკუჩინებელი!  
როცა ღმერთს ჩემი უბედობა სწადია, მე რა გადამდებარებული  
ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ ასე გავნადიოდი, ამ  
დღეში ჩავვარდი.

— მომეტებული რჩევა-დარეგებით თავი შეგაწყინე, —  
მოახსენა ასმათმა, — მაგრამ, თუ ისეთი კაცი მოგვარო, თა-  
ვისი ნებით გეახლოს და მისი გაცნობით ილხენდე, დაიფიცე,  
არ მოჰქლავ და არც არას ავნება.

— თუ მიჩვენებ, დიდად გავიხარებ, — მიუგო ტარიელ-  
მა. — თვით მის სიყვარულს ვფიცავ, ვის გამოც გახელე-  
ბული ველად გამოვჭრილვარ, რომ იმ კაცს „არას უუზამ  
უგემურსა, არაოდეს გავამწარება“, შევიტებობ და ვამებ,  
რაც კი ჩემგან ეამება.

## შესვერება ზარიერისა და ევთანერისა

**ს**მათი ადგა და ავთანდილის მოსაყვანად  
წავიდა. არ ეწყინაო, „შეაგულიანა, „ხელი მოჰქიდა, მოჰყვან-  
და, ვით მოვარე მოსავანებლად“. ტარიელმა რომ დაინახა,  
მშესა ჰვავსო, გაიფიქრა:

გამოეგება ტარიელ, პშართებს ორთავე მზე დარად,  
ანუ ცით მოვარე ულრუბლი შექთა მოჰყვენდეს ქვე ბარად,

რომე მათთანა ალეისა ხეცა ვარგიულს ხედ არად  
ჰგვანდეს შეიძთავე მნათობთა, სხვაღმცა რისად კუპევი მა ჯა რად

მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დატრატეს წევა  
ვარდა ხლეჩდეს, ბავეთავინ კაბილი თეთრნი გამოსახულია, ეს  
უკალი ცელსა გარდააჭვდეს, ერთმანერთსა აუკინძურეს, მაგრა ეს  
ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

მერე ერთად დასხლნენ და მდუღარე ცრემლი დიღხანს  
სცვიოდათ. ასმათი აწყნარებდა, ევეღრებოდა: „თავთა ნუ  
დაპხოცო, ნუ ბნელ-იქმთ მზესა თქვენითა ბნელითა!“ ტა-  
რიელს სიცოცხლის ხალისი ჯერ მთლად არ ჩატრობოდა, მი-  
სი „ვარდი იყო დათრთვილული, არ დაზრული“.

— შენი ამბის შეტყობას ვისწრაფი, — უთხრა მან ავთან-  
დილს. — მე სიკვდილსაც აღარ ვასსოვარ, მომიძულა და  
ხელი ამაღო. შენ კი ვინ ხარ ან აქ საიდან მოხვედი?

— „ლომო და გმირო ტარიელ, ვის თავი გინაზებია“, —  
მოხდენილად მიუგო ავთანდილმა, — მე არაბი ვარ, არაბეთს  
ძიდვას სარა-სასახლენი. ჩემი ხელმწიფის ასული მიყვარს,  
მიჯნურობის გაუნელებელი ცეცხლით ვიწვი. არ მიცნობ, მაგ-  
რამ, თუ გაგონდება, ნახვით კი გინაზივარ, — დასძინა მან და  
ტარიელს როსტევანის ლაშქრის შემუსერის ამბავი შეასხე-  
ნა. — მას აქეთ ბევრი გძებნეს, მაგრამ შენი კვალი ვერსად  
მიაკვლიეს. მერე ჩემმა დამწველმა, მშვენებით რომ „ვერ  
მზე ჰგავს, ვერ ეთერია“, მე გამომგზავნა და მიბრძანა, იმ გა-  
დაკარგული მოყმის ამბავი შემიტყვე და გულის საწადელს  
მაშინ გწევო.

„სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა.  
არ გიყვირს, გავძელ ვერ-ჰერეტია მისისა მე ლიმილისაში!“

აქამდე შენი მნახავიც ვერავინ მეპოვნა. ახლა ჩატაული / სამარტინი / ცველებს წავაწყდი, შენ რომ მათრახით ჭკუაზე მოგეყვანა, და მათ მომასწავლეს.

### ტარიელსაც მოაგონდა მაშინდელი მათი გრძელებული იყო

— მახსოვს, თუმცა ეს დიდი ხნის წინათ იყო, — თქვა მან, — შენ და შენი გამზრდელი ერთად გნახეთ, სანადიროდ გამოსულნი. ჩემი დამღუპველი მომგონებოდა და იმაზედ ვტიროდა. რას მერჩოდით, რა გინდოდათ ჩემგან, საერთო და საზიარო, აბა, რა გვქონდა?! თქვენ გალალებულნი დროს ატარებდით, მე კი ლაშვებზე ცრემლი ლვარად ჩამომდიოდა. გათამამებულებმა ქვეშევრდომნი შესაპყრობლადაც კი დამადევნეთ, მაგრამ, ვეონებ, „ჩემად ნაცვლად თანა მკვდართა მიიტანდით“. ერთი კიდევ მოვიხედე და, რა დავინახე, შენი პატრონი მომწერლი ხელმწიფობით დავინდე და ხელი არ ვახლე, ხმაც არ გამიცია, ისე გამოვერიდე და გამოვფრინდი ჩემი ცხენით, უჩინარს რომ ჰგავს: წამწამის დახამხამებასაც ვერ მოასწრებს კაცი, ისე გამომაქროლებს და გავშორდები, ვისგანაც კი უსიამოვნებას მოველი. იმ ხატაელთაც მიღმა არას მივერჩოდი, უშნოდ და კადნიერად ჩემი მორევნა რომ არ მოენდომებინათ. ახლა მარჯვედ მოხვედი, დიდად მეამა, „ტანად სარო და პირად მზე“ გმირი ვაჟკაცი რომ გნახე! გარჯილხარ, მაგრამ გასაჭირი უკვე გამოვლილი გაქვს, უკან მოვიტოვებია. რა გაეწყობა, ძნელია იპოვო ქვეყნად ლვთივ განაწირი კაცი.

— მაგ ქების ლირსი სულაც არა ვარ, თვითონვე ბრძენ-თა საქებელო! — მიუგო აეთანდილმა, — „სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა“, ამდენმა ტანჯვა-ვაებამ და ცრემლთა დენამ ამიტომაც ვერ შეგცვალა!

„ამა დღეშინ დამივიწყა, გული ჩემი ვინ დაბინდა, —  
დამიგდია სამსახური, იგი იქმნას, რაცა ვინდა  
თავუნდი ეპრეცა სკობს, თასეჭრმცა მინა მინცა,  
შენ გვახლო სიყდილამდის, ამის შეტი არა შეწყვეტილია!“



— გაოცებული ვარ, — თქვა ტარიელმა გულმარტუშ-  
თვის სამაგიერო სიკეთე არაფერი გამიწევია, ასე გულმხურ-  
ვალედ როგორ მექცევი?! მაგრამ წესია, მიჯნურს მიჯნური  
შეიბრალებს. სატრიუოს მაინც ვერ დაგაშორებ, გულისწორს  
არა შეეწონება რა ჩემ საძებრად მას გამოუგზავნიხარ და,  
აი, ღვთის ნებით გიპოვნივარ, შენც ვაუკაცური ცდა არ და-  
გიყლია. ოლონდ ახლა ჩემს ამბავს რა გიამბობს, იმას რა ენა  
იტყვის, თუ რადა ვარ ველად გაჭრილი! მე თვითონვე ვთქვა,  
გაუნელებელი ცეცხლი დამწვავს და დამანაცრებს.

— მაგ ცეცხლს, ლომო, ცრემლით რას უშველი! — შე-  
ჰქადრა ასმათმა. — მე არ შემფერის გაქეზებდე, უამბე-მეთ-  
ქი. თავად მოგეხსენება, „არს უკეთესი, რაცალა სწადს განგე-  
ბასა ზენასა“. და მაინც ვერ გავჩუმებულვარ: რახან ამ მო-  
ყმეს, ვხედავ, შენთვის თავი გამოუდვია, „ცნას მიზეზი შენ-  
თა წყლულთა, ქმნას, რა ლონე დაედების“. უამბე და, მკო-  
ნია, გიშველის რასმე. მეც ბევრი მეხვეწა, ბევრს ეცადა მე-  
ამბნა, მაგრამ ამას როგორ ვიზამდი, თუნდაც ღმერთს საამი-  
სოდ ძალი და გაძლება მოეცა!

ტარიელი საგონებელში ჩავარდა. ისედაც დამწვარსა და  
ალმოდებულს ეძნელებოდა ცეცხლზე კიდევ ნავთი დაესხა.

— რაც გამოვტრილვარ, მას მერე სულ ჩემთანა ხარ და  
რად ვერ მიხვდი, რომ ჩემი წყლული უკურნებელია, „უწამ-  
ლო არს ლები ესე ლებული!“ — შეუტია ასმათს. — არადა  
აქეთ ცხარე ცრემლით მტირალი ეს მოყმე მითუთქავს გულს.



ეს თქვა და ახლა ავთანდილს მიუბრუნდა:

— მისმინე და გიაშბობ. ჩაც გინდა დამემართოს, არას  
დავიშურებ შენთვის, რახან ერთმანეთს ვეძმის. მაგრა მარტინ  
ლუპები, შენ მაინც იცოცხლე და გაიხარე.

ყმასა უთხრა: „ეინცა კაცმან ძმა იქმოს, თუ დაცა იღოს,  
ხამს, თუ მისოვის სიკედილსა და ჭირსა თავი არ დაპრიდოს.  
ლმერთმან ერთი რით აცხოენოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!  
შენ ისმენდი, მე გიაშბობ, ჩაც გინდა წამეციდოს.“

მოდი, ახლოს დამიჯექი. — უთხრა ასმათს, — თან წყალი  
მომიტანე და გონიმიხლილს მოსაბრუნებლად მკერდზე მაპ-  
აურე ხოლმე. მოვკვდე, მოთქმა-ვაებით დამიტირე და სამარე  
გამითხარე, აქვე დამმარხე, „აქა მიწა მიაკვანე“.

ლილები შეიხსნა, სამოსიდან მხრები ამოყარა, თითქოს  
ევიწროებაო, და საამბობლად გაემზადა. „ვითა მზე ჯდა  
მოლრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა“, ბაგები გაშეშე-  
ბოდა, სიტყვის სათქმელად ვერ გაელო. მერე ერთთავად ხმა-  
მაღალი ოხვრა-ქვითინი აღმოხდა და მდუღარე ცრემლი გად-  
მოყარა.

მოთქვამს: „პა, საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო,  
იმედო და სიცოცხლეო, ვონებაო, სულო, გულო,  
ვინ მოგვევთა, არა ყიცი, ხეო, ეღებს დანერგულო!  
ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა გულო, ასერ დადაგულო?“

გარელისაგან თავისი ეპის მარგა  
ავთანდიშვილი

უკრაინული

პიგადები

პიგადები

— მისმინე, გულისყური მომაპყარ და ჩემს  
ამბავს გიამბობ, თუმცა უზომოდ მიმძიმს, ენას ძლიესლა ვიბ-  
რუნებ. ვაი, რომ მისგან ვახარებას არასდროს მოველი, ვის-  
თვისაც ვაშმაგებულვარ და „ვისგან შევუცავ სევდათა, სისხ-  
ლისა ღვართა დენასა“.

— ინდოეთის შვიდი სამეფოდან ექვსი ფარსალანს ეპყ-  
რა, უხვსა და მდიდარ ხელმწიფეს, „ტანად ლომსა და პირად  
მზეს“, ამაყსა და უძლეველ მეომარს, ერთი რომ მთელ აზმს  
უმკლავდებოდა. მეშვიდე სამეფოს მამაჩემი, სარიდანი,  
ფლობდა: მტერი შეემუსრა და შიშის ზარი დაეცა, ვერც  
აშეარად და ვერც ფარულად საზიანოს ვერავინ ვერას უბე-  
დადა, ცხოვრობდა მშვიდად და დროს სიამით ატარებდა,  
„ნადირობდის და იშვებდის საწუთო-გაუმწარავი“.

— მტერი ხომ ყველგან დამიჩოქებია, შორს გამირეკავს  
და მომიჯნავე მიწებიც წამირთმევია, — გაიფიქრა ერთ დღეს  
სარიდანმა, — ტახტზე დიდებით ვზივარ და ვზეიმობ. მაინც  
ვერ მომისვენია: მარტოობა მომბეზრდა, გულს კაეშანი შე-  
მომწოლია. წავალ, მეფე ფარსალანს ვეახლები, მთელი ინ-  
დოეთის ხელმწიფეა და ჩემს სამეფოსაც მოეპატრონოსო.

— მოციქული მიუგზავნა და შეუთვალა, ქვეშევრდომად  
შემიწყნარეო: მინდა თქვენ წინაშე ჩემი ძალ-გულოვნება გა-  
მოვცადო და ერთგული ნამსახურობის სახელი დამრჩესო.  
ფარსალანში ეს რომ გაიგო, დიდად გაიხარა და პასუხად შე-  
უთვალა: ღმერთს მაღლობას ვსწირავ, რომ მეფემ, ვისაც



ინდოეთს ტახტი ჩემებრ გიპურია, ეს მოიწადინეო, მომრძნელი, „ასრე პატივ გიე, ვითა ძმამან და მშობელმან“ ვერცხლი

— ფარსალანმა ამირბარობა უბოძა და უწინდასამიზუსკავე გამგებლოდ დაუმტკიცა. ამიერიდან ცალკე საურტოს შეფი აღარ ერქვა სარილანს, თორემ ისე კი არათერი დაპკლებია. ხელმწიფებ. როგორც ტოლი და სწორი, ისე მიიღო, მისით თავიც მოსწონდა, ამბობდა: სანაძლეოს ვდებ, თუ ვინმეს ჩემებრი ამირბარი ჰყავდესო. სარილანიც კმაყოფილი იყო:

„ლაშქრობდის და ნალირობდის, იძლევდიან მტერნი ზავსა,  
მას არა ვპვავ, ასრე ვითა მე სხვა კაცი არა მვაესა“.

— ინდოეთის ხელმწიფეს და „დედოფალსა მზისა დარსა“ ერთი დიდი საღარდებელი გასჩენოდათ: შეილი არა ჰყავდათ, თუმცა საამისო უამი კარგა ხანია მოსულიყო. ამ ამბავს ლაშქარიც შეეშფოთებინა.

— წყეულიმც იყოს ის დღე, რა დღესაც მე ამირბარს შევსძენივარ! ფარსალანს გახარებოდა და ებრძანებინა: შვილად გავზრდი, ჩემებრ ეგეც ხომ ხელმწიფის გვარისა არისო. მართლაც, მეფე-დედოფალმა შვილად ამიყვანეს და ტახტის მემკვიდრედ მზრდიდნენ. ბრძენთ მიმაბარეს, რომ ხელმწიფური წეს-ჩვეულებანი მესწავლა. ასმათ, შენა ხარ მოწმე, ახლა რომ ფერმიხდილი ვაჩ, მაშინ

„მზესა მე ვსჭიბდი შევნებით, ვით ბინდსა უამი დილისა,  
იტყოდეს ჩემი მნახავი: მსგავსია ედემს ზრდილისა,  
აშ მაშინდლისა ჩემისა სახე ვაჩ ოდენ ჩრდილისა“.

— ხეთი წლისა ვიყავი, დედოფალი რომ დაორსულდა. ტარიელმა ამოიხხრა, მერე თვალცრემლიანმა დამძინა, ქალი გაუჩნდაო. რა ეს თქვა, გული შეუღონდა. ასმაომა

მეტადზედ წყალი აპურა და მოაფხიშლა. წროყმებ რონე /მო-ირიბა და განაგრძო:

— ფარსალანმა დიდი ლხინი და ზეღვის ფრთხოების კულტურული მხრის მეფენი ნაირნაირი ძეირფასის შეტყობინების მუშავებინ და მიულოცეს. ხელმწიფემ უამრავი განძი გასცა, ლაშქარი საბოძვარით აიცსო.

— ზრდა ერთად დაგვიწყეს. მეფე-დედოფალს თანაბრად მივიჩნდით და უუყვარდით. ისეთი იყო, „ქება არ ითქმის ენი-თა“, მაშინვე მზესა ჰგავდა, მისი შუქი მზისაზე სამგზის მეტადაც ნათობდა! ახლა იმ ჩემი დამდაგველის სახელი უნდა ვახსენო...

აქ უკვე ვეღარ გაუძლო და გონი დაკარგა. ავთანდილ-საც ტირილი მოერია, მისი ცეცხლით გული დაეწვა. ქალმა ტარიელს წყალი ასხურა და მოასულიერა.

— მისმინე და მაინც გიამბობ, თუმცა ჩემი სიკვდილის დღე, ვხედავ, ახლა კი ნამდვილად მოსულა. მეფის ასულს ნესტან-დარეჯანი ერქვა. შეიდი წლისა უკვე დინჯი და გონებადაუნჯებული შეიქნა. აბა, თვალადობა რაღა საკითხავია:

„მოვარისა მსგავსი, შევენებით მზისაგან ვერ-შეფრობილი,  
მისა კით გასძლებს გაყრასა გრძი აღმასი, წთობილი!“

ამ დროს მე უკვე შემეძლო ოშში მტერი მემუსრა. ფარსალანმა რა შეატყო, რომ მეფობა მის ასულს ეწადა, მე მამასთან დამაბრუნა. დროს ბურთაობასა და ნადირობაში ვატარებდი, „კით კატასა ვხოცდა ლომსა“.

— ნესტანს ხელმწიფემ ცალკე სასახლე აუგო:

„ევად ფაზარი სხდა, კუბო დვა დაგუნდისა, ლალისა, კარზედა ბაღჩა, საბანლად სარაჯი გარდის წყალისა.  
ივი მუნ იყვის, მეფების ვისგან სახმილი ალისა!“

დღე და ღამე სასაკმევლით ალვას უკმევდნენ. ხან კონტა  
იყო, ხან კიზევ, როცა ჩრდილი იდგა, ბალში წამოვიდოდა,  
სასახლეს ფანჯრები ძვირფასი უარდებით ჰქონდა, მუჭატება  
გული და „ვერვინ ვხელევდით, შეაქმნა პირი უძლებელებეკ“  
თა“. გადიოდა დრო, „მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს  
განაზარდითა“. თან ასმათი და ორი მსახური ახლდა, სიბრძ-  
ნის მასწავლებლად კი ხელმწიფის და, ღავარი, ჰყავდა მიჩე-  
ნილი:

„ღავარ იყო და მეუისა, ქვრივი, ქაჯეთს ვათხოვილი,  
მას სიბრძნისა სასწავლებლად იყოთ მეცემან მისცა შეილია“.

— მეფე საკუთარ ძესავით მზრდიდა და გვერდილან  
აღარ მიშორებდა: დღისით ხომ განუყრელად მასთან ვიყა-  
ვი, ღამითაც დასაძინებლად შინ აღარ მიშვებდა. თხუთმეტი  
წლისა მოწიფეულა ვაჟააცი გავხდი, „ძალად ლომსა, თვალად  
მზესა. ტანად ვპგვანდი ეჟემს ზრდილსა“, სროლასა და ასპა-  
რეზობას მიქებდნენ:

„მოსრნის მხეცი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან,  
შეჩმე ვიბრუთი მოედანს, მინდორით შემოქცეულმან,  
შევიდი, შევექმი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩეეულმან,  
აწ საწუთონსა ვამყარი პირმან ბროლ-ბადახშეულმან!“

— დიდი უბედურება შეწვია, მამა მომიკელა. ფარსალანს  
შვება-ლხენა გლოვად შეეცვალა. ვინც სარიდანის შიშით  
ძრწოდა, მისი სიკვდილით გული დაიამა, მტრები ხარობდ-  
ნენ, ხოლო ერთგულთ და მოკეთეთ ვაება შეექნათ.

— მე ბნელში ვიჯექი სიცოცხლევამწარებული, დღედა-  
ღამ მოთქმა-ტირილისა და ოხვრა-კვნესისაგან ვერავის დავე-  
წყნარებინე. ამ ყოფაში ერთი წელიწადი რომ დავყავი, ჩემ

გასაყვანად დიდებულები მოვიღნენ, მეფეს გამოწვენაც და  
შემოეთვალა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებული!  
ჩვენ უფრო გვტკივის იგი, ვინ დაგვაკლდა, სწორებულებულია“.  
შავი სამოსის გახდა ებრძანებინა, მამაჩრდის ზურავი უჭირ-  
ბარობა და მისივე საგამგებლო ერთი სამეფო სრულად ებო-  
ძებინა, ასი საგანძურიც ზედ დაერთო.

— ეს რომ გავიგე, მწუხარების ჩაუქრობელი ცეცხლი  
ერთთავად მომედო, „ავენთი, დამწვეს მამისა სახმილთა და-  
უშრობელთა“. რას ვიზამდი, გამოვყევი და დიდებულებმა  
უკუნი ბნელიდან გამომიყვანეს. მეფე-დედოფალმა დიდი პა-  
ტივი დამდო: შორს მომუგებნენ, მშობლებივით გადამეხვივ-  
ნენ და ჩამკოცნეს, ისე მეპყრობოდნენ, როგორც ლვიძლ ძეს.  
გლოვიდან ჩემი გამოსელის გამო ზეიმი შექნეს. რა ნადიმად  
დასხდნენ, ახლოს დამისვეს, მამაჩრდის ორივე საგამგებლო  
დინგად შემომთავაზეს. შევეურჩე, მისი მაგივრობის გაწევის  
ფიქრით შეძრუნებული, „მისეულთა წესთა ქცევა მიჩნდა  
ზარად“, მაგრამ არ მომეშვნენ და მეც დავმორჩილდი. მას  
შემდეგ დიდი ხანია და ბევრი რამ დავიწყებული მაქვს, აღარ  
მახსოვს, და მაინც გიამბობ ჩემს ამბავს. რაგინდ გამიძნელ-  
დეს. ვაი, რომ

„ცრუ და მუხთალი სოფელი მიწუივ ავისა მქმნელია,  
მისთა ნაკვესთა წინწალი დამეცეს ხანგრძლად მწეველია“.



## ვაგიოღის გამიჯნახაგის ამბავი

უკროცხულები

პიგდეირთუება

— ერთ დღეს მე და მეფე ნადირობიდან

ვბრუნდებოდით, — განაგრძო ტარიელმა, კარგა სის ტირი-  
ლის შემდეგ გული რომ შეიმაგრა. — ფარსადანმა ხელი  
ხელს ჩამკიდა და, ასულს მოვინახულებო, წამიყვანა. იმ უამს  
რომ ვიხსენებ, არ გიკვირს, სული როგორლა შიდგას?!

— ბაღში შევედით. იმის უტურფეს მოსალხენსა და გან-  
სასვენებელს კაცის თვალი ვერ ნახავდა. ფრინველები სირი-  
ნოზის ხმაზე უფრო საამოდ გალობდნენ. ლარებიდან ბევრგან  
იღვრებოდა ვარდის წყალი. კარვის კარს ოქსინოს ფარდაგები  
ფარავდა.

„მეფემან ამა დურაჭთა მითხრა მიტანად ქალისა,  
გამოეუხევენ და წაველით ჩემად სადებლად ილისა,  
მაშინ დავიწყე გარდახდა მე საწუთრისა ეალისა,  
ალმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა!“

ვიცოდი, ფარსადანის წადილი იყო „არეისგან ნახვა  
მის მზისა დარისა“. მეფემ კარი შევლო, მე კი გარეთ გავ-  
ჩერდი. ვერაფერს ვხედავდი, მარტო მათი საუბარი მესმოდა.  
ფარსადანმა ასმათს უბრძანა, დურაჯები გამოართეი და მო-  
იტანეო.

„ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდევ მოფარდაგულსა,  
ქალსა შეეხედენ, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა!  
მოვიდა, მიესცნე დურაჭნი, მოხოვა ცეცხლითა დაგრძასა,  
ვამე, მას აქათ სახმილსა დავცემავ ნიადაგულსა!“

ახლა სადღაა, დაიკარგა, ვისი ნათელიც თვით მზად ამტებდა: „აშ წარხდეს იგი ნათელნი, მზისაცა მოწუნაუნი!“

რა ეს თქვა, მის გახსენებას ვეღარ პჰრემიტო, უფრო მეტად ამოიგმინა და გონი წაუვიდა. ასმათსა და ტებელი მუჭა უეღარ დაემორჩილებინათ, მათი ტირილის ხმას არემარე ბანს აძლევდა. გული ეკუმშებოდათ, „ემირთა მემუქარე“ ვაჟკაცა ასეთ ყოფაში ჩავარდნილს რომ ხედავდნენ. ქალმა ტარიელს წყალი ასხურა და მოასულიერა, მაგრამ ჭაბუქმა დიდხანს სიტყვა ვეღარ გაიღო: სევდას სულმოლად დაეცყრო, მწარედ ქვითინებდა და ცრემლით ალბობდა მიწას. მერე ძლივს ამოთქვა. „ვამე, რა დიდი ზარია“ ჩემთვის მისი სენებაო, და წუთისოფლის სიმუხთლეც დაიჩივლა:

„მიმნდონი საწუთროსანი მისთა ნივთთავან რჩებიან,  
იშეებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ეერ მოურჩებიან,  
ვაქებ კეუასა ბრძენთასა, რომელნა ეურჩებიან.  
ისმენდი ჩემთა ამბავთა, თე სულნ შე-ღა-შრჩებიან!“

— დურაჯები მივეცი და... თავგზა ამებნა, მქლავი მომი-  
დუნდა და მუხლი მომეკვეთა, გულწასული ჩავიკეცე. ცოტა-  
თი გონს რომ მოვეგე, ტირილისა და ვაების ხმა შემომესმა.  
თვალი გავაზილე და დავინახე, „გარე მომრტყმოდეს გალაბნი,  
ვითა ჩამსხდომნი ნავისა“. დიდ დარბაზში ვიწევი, ძვირფასი  
საგებელი მეგო. ხელმწიფე თვალცრემლიანი თავს მადგა, და-  
მტირდა და სახეს იხოვდა. დელოფალს ცრემლის ზღვა და-  
ეყენებინა. შემლოცველნი მოეწვიათ და მათ ეთქვათ, ეშმაკე-  
ული სენიაო.

— მეფემ თვალგახელილი რომ მნახა, ყელზე მომეხვია  
და ცრემლნარევი ხმით მითხრა: შვილო ტარიელ, ნუთუ ცო-  
ცხალი ხარ, ხმა ამოიღე, თქვი რამეო! მე პასუხი ვერ გვეცი.

შმაგივით შევკრთი, გულს სისხლი მომაწვა და პონი გმლა  
დავკარგე.

— თუ ი სადმე შემლოცველი და სჯულისმოქმედული  
უცელა თავს დამახვიდეს. ხელთ ყურანი ეპყრათ გჭირებული მიუკა  
მიეითხავდა. აქაოდა ავი სული დასცემიაო, არ ვიცი, რაებს  
ჩმახავდნენ. სამი დღე უგონოდ ვიყავ, „ცეცხლნი უშრეტინი  
მწვიდიან“. ზოგჯერ გიყივით წამოვიჲრებოდი და სიტყვას  
არეულად წამოვროშავდი. მკურნალთაც უკვირდათ: ეს რო-  
გორი სენია?! ეტყობა, „სევდა რამე შემოჲყრია“, სხვაფრივ  
სამკურნალო არა სჭირს რაო.

„სამსა დღესა დარბაზს ვიყავ, არ ცოცხალი, არცა მკვდარი,  
შერმე ცნობა მომიერდა, მიღწედი რასმე მიუმხვდარია“.

პაი, რა დღეში ვარ, სიცოცხლის ნიშანწყალი წამსვლია-  
მეთქი! — გავითიქრე და შემოქმედს შევევედრე: — შეისმინე  
ჩემი ხეეწნა-მუდარა, ნუ გამწირავ, გაძლების ძალა მომეცი,  
ცოტათი მაინც გამამაგრე, რომ შინ მივლასლასდე, აქ ყოფ-  
ნა გამამელავნებს-მეთქი. ღმერთმა შემიბრალა და მისი წყა-  
ლობით „მო-რე-ვჭობდი, გული წყლული გავარკინე“.

— წამოვჭექი. ამბის შესატყობად მეუე კაცს კაცზე გზავ-  
ნიდა და, რომ ახარეს, წამოვდაო, თავშიშველი გამოიკრა,  
სიხარულით არ იცოდა, რა ექნა. დედოფალიც სირბილით წა-  
მოსულიყო. აქეთ-იქით ძოშისხდნენ და საკუთარი ხელით მი-  
მასპინძლეს, „მახვრიტეს სანვრეტელია“.

— მეუეს მოვაძსენე: პატრიონო, ახლა გული უკეთ გამიხ-  
და, ცხენზე შეჭდომა მომენატრა, მინდა არემარეს თვალი მი-  
მოვავლო-მეთქი. ცხენი მომგვარეს, შევჭექი, მეუეც თან გა-  
მომყვა. მივიარ-მოვიარეთ და მერე შინისაკენ გავემართე.

ხელმწიფე სახლამდე მიმუვა და უკან გავაბრუნე. მის უარე-  
სად გავხდი, ცრემლსა და ნალველს გავიყვითლებინა. გელი  
უფრო დამწყლულებოდა:

### ურარცხული

„ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლების შენიშვნები ეს პ  
შელი უფროორე დამიჭრა ათიათასმან დანაშან“.

ვნატრობდი, ნეტავი მოვკვდე, მეტის რისიღა ღირსი ვარ-  
მეთქი.

— ანაზდად მეკარემ შემოიხედა და ფარეში იხმო. და-  
ვინტერესდი, რაღაც ამბავი უნდა ყოფილიყო. ასმათის მსახუ-  
რი გეახლაო, მომახსენეს. ვუბრძანე, მოსვლის მიზეზი ეკითხ-  
ათ. შემოვიდა და სააშიერ წერილი გადმომცა. რა წავიკითხე,  
გავოცდი: გულის წამლებელ ტურფათაგან მოწონება და ყუ-  
რადლება არ მაკლდა, მაგრამ ასმათისაგან ამას არ მოველოდი  
და დიდად მეწყინა, სევდა უფრო დამიმძიმდა. საიდან ვუყვარ-  
ვარ ან ამის თქმა როგორ გამიბედა? მიუყოლობა მაინც არ  
ვარგა, უკადრისობაში ჩამომართმევს და, ჩემგან რომ იმედს  
გადაიწურავს, კიცხვას დამიწყებს-მეთქი, ვფიქრობდი მე. ავ-  
დექი და მივსწერე, რაც პასუხად აშიკობას შეშვენოდა.

„დღენი გაშონდეს და გელი უფროორე დამწევეს კელავ ალავ,  
ველარ ვუკერეტდი ლაშქართა, მინდოოს თამაშად მავალთა,  
დარბაზს ვერ მივე, მეურნალთა დამიწყეს მოსლევა მრავალთა,  
მაშინ დაუიწევ გარდახდა სოფლისა ლხინთა და ვალთა“.

მკურნალთ ვერა მარგეს რა, გულს ბნელი კვლავ ბინდად შე-  
მომწოლოდა. სხვამაც ვერავინ შემატყო, თუ რა ცეცხლით  
ვიწვოდი. სისხლის სიმეტე დამწამეს და ხელმწიფემ ბრძანა,  
გამოუშვითო. გამოვაშვებინე, რომ ჩემი დარდი და ვარამი  
დამეფარა, მიზეზი არავის შეემჩნია.

— გულმილეული და სევდიანი საწოლს ფლერები, მარტვილი ვიყავი. ფარეში შემოვიდა და, ასმათის მსახური გეაზლეთ, მომახსენა. ვუბრძანე შემოეყვანა. რას ამოვუჩემ პატივზე გულმილი სადა-მეთქი, გავიფიქრე. წერილი მომართვა კუჭუჭული მუშავ პლისოდ წავიყითხე. შევატყვე, შეხვედრას ჩქარობდა. პასუხად მივსწერე: მართალი ხარ, რომ გიყვირს რაზედ ვგვიანობ, მაგრამ ნუ გგონია, მოსვლას დაგზარდები, რაკი მიხმე-მეთქი. თუმცალა რა მეასმათებოდა, გულში ლახვარგაწონილს.

— გაუძელი, ეგ ლახვარი ნუ დაგალონებს და ნუ დაიმჩნევ! — ვიმნენვებდი გულს, — მე ასე არ შემშვენის: „ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ“, დაეკვდებიან, საქმეს ათასნაირად გასინჯავენ და, თუ გამიგეს, მაშინ ხომ მათი მიწა-წყლიდან ფეხი უნდა ამოვიყვეთო, ინდოეთში აღარ გამაჟაჭანებენ-მეთქი.

— სასახლიდან კაცი მომივიდა, ამბის შესატყობად მეფეს გამოეგზავნა. შევუთვალე: მოვგობინდი, თანაც ის უფრო მახარებს, მანდ რომ მოვდივარ და გეახლები-მეთქი. სასახლეში მისულს ხელმწიფე შემეხუმრა, შემაგულიანა: აბა, მსგავსი რამ მეტი ნურა დაგემართება რაო. მერე აღარ დაახანა და

„ქარენია შემსვა უკაპარტო, წელთა არა არ შემაბა, შეკდა, ქორნი მოუტივნა, დურაჯები დაინაბა, შეეილდოსანი გასაგვნნა, იტყოდიან: «შაბა, შაბა!»“

ნაღირობიდან დაბრუნებულნი ნაღიმად დავსხედით. დიდი მოლხენა იყო, სიმღერას სიმღერა მოსდევდა. მეფემ წვეული უხვად დაასაჩუქრა, „გასცნა მრავალნი თვალნი, ლარიბად ქებულნი“, ყველანი საბოძვარით აავსო.

— ვდეილობდი სევდა მომექარეებინა, მაგრამ ამაოდ. მას რომ „ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად“.

ტოლ-სწორნი თან წავიტანე და შინ მიეეღი. ქვემი ტაბაკი და  
ჰირ-ვარამი რომ დამეფარა, ნადიმი გავმართე და სმა გავიჩა-  
ლე. ფარეშმა ყურში მიჩურჩულა: ქალი გუჭურუ ცულმწერი  
პირისახე საბურველით მოუბურავს, თქვენე გუჭურუ ცულმწერ  
ამირბარის ნახვა თუ შეიძლებაო. ვუბრძანე: საწოლს შეიყვა-  
ნე, თვითონ დავიბარე-მეთქი.

— მე რომ ავდექი, ყველა წასასვლელად იემზადა. ვსოთხო-  
ვე, არ დაშლილიყვნენ, მალე დაბრუნებას დაეპირდი. გამოვე-  
დი და საწოლისაკენ გავწიო. მსახური კარის მცველად დავი-  
ყენე. გულს ვაქეზებდი, როგორმე გაეძლო და ულირს საქცი-  
ელს არ მორიდებოდა: „გული მივეც თმობა-ქმნათა აუგისა  
საკრძალველად“. კარი შევაღე, თუ არა, ქალი წინ მომეგება  
და თაყვანი მცა, მოწიწებით მითხრა: ბედნიერია, ვინც თქვენ  
წინაშე მოსვლას ელირსებაო. გამიკვირდა: საყვარელს თაყვა-  
ნისცემით ვინ მისალმებია? ეტყობა, არ იცის აშიკობა-მეთქი,  
„თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა!“

— შევედი და ტახტზე ჩამოვჭექი. ქალი ნოხის კიდეს  
მოადგა და შეჩერდა, ჩემ გვერდით დაჯდომის ღირსად თავი  
არ ჩათვალა. ვუთხარი: მანდ ას უზიხარ, შენ თუ ჩემი სურ-  
ვილი და სიყვარული გაქვს-მეთქი. მას ერთხანს არა უბასუ-  
ნია რა, სიტყვაძვირობდა. მერე მითხრა:

— სირცხვილით ვიწვი, რომ მაგისთვის მოსული გგონი-  
ვარ. მაგრამ „აწ მიდებს იმედსა შენგან ცდისაღა მალობა“,  
თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამის ღირსი ვიყო: საამისოდ  
ღმერთს წყალობა დაუკლია ჩემთვის. ძალიან, ძალიან მერი-  
დება თქვენი, იმ წერილის ვამო ახლაც გონება მებნევა.  
თღონდ იცოდეთ, მე არაფერ შეუაში ვარ: პატრონს ხაორი  
ვერ გავუტეხე, ესოდენ ღილი გამბედაობა მისი გულისოვის

გამოვიჩინე. აი, წერილი და, რასაც მე ვერ გერივო, ხელი  
შეიტყობოთ:

უკრიცხულე

„ეზომ დიდი შემართება გულსა შისა უინება იგული ირი მისა  
ამან წიგნმან გავაგონოს, ჩემთვის რაცა უთქმევია.“



## ნესტან-ჩაგაჯანის პირველი ნეგილი მიჯნებთან და გარიელის პასუხი

— 3ნახე, მისგან იყო, ვისი ალითაც გუ-  
ლი შედაგვის. „მოეწერა მზისა შუქსა“: ლომო, დარღსა და  
ტკივილს ნუ დაიმჩნევ, თავს რაზედ იყლავ, მე შენი ვარ,  
ოლონდ უაზრო გახელება და გონის დაკარგვა მძულსო:

„ბედითი ბნედა, სიკედილი რა მიჭრობა გონია?  
სქობს, საკვარელსა უჩენენ საქმენი საგმირონია!“

მოელი ხატაეთი ჩვენი მოხარუეა, ახლა ერთობ გამდგარან და  
ჩვენგან ეს არ მოითმინდა, მათი კავრი ამომყარეო:

„წა, შეები ხატაელთა,“ თავი კარგად გამაჩვენე!  
გიკობს, ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კალამცა რაღ დასტენე?“

გამოგიტყდები, შენთან შეულლება აქამდეც მეწადა, მაგრამ  
საიმისო უამი, აბა, როდის მოგვცემია, ერთმანეთისაოვის რომ  
სურვილი გავემხილა. ამას წინათ კარვიდან ფარულად გი-  
კვრეტდი გახელებულს. რაც თავს გადავხდა, ყველაფერი კარ-  
გად ვიცი. ახლა დამშვიდდი, გული დაიწყნარე: „მზემან მე-



ტი რაღა გიყოს, ამა, ბნელი გავითენე!“ დაწარეს მოგახსენებსო.

— მიბრძანა, ასე ვქნათ, ასე აჭობებსო, ქართველი უკავშირი, რომელიც უკვე აღარ მეკრძალებოდა ტარების მისამართ რაკობდა: — ვინც გინდა შეგამჩნიოს, ჩემს ნაუბარს ნურავის გაუმხელ, ხოლო როცა ჩემ სანახავაზ თვითონ მოვა, ვითომ შენთან სააშიყოდ მოსულიყოს, „უთხარ, ასრე ნამუსობდეს“ ამირბარიო, შემოგევედრათ.

— რჩევა ჰქონდი დამიჯდა, მომეწონა გონიერება და სიბრძნე

„მისი, მშესაცა რიცება პქონდის ნახვისა ვისისა,  
მისგან მომეცა მოსმენა არ საუბრისა მქისისა,  
ვისთა შექთაგან უკუნსა პგვანდის სინათლე დღისისა“.

ენა ვერ იტყვის, რა უზომო ლხინსა და შეებას მისცემოდი. სიხარულით გული საგულეში აღარ მეტეოდა, გამალებით მიძევერდა და მეურნებოდა. სახე ბედნიერების ლიმილს გაებადრა: „მუნ პირი ჩემი გაბროლდა და ლაშვი გამელალოდა“. წერილი თვალებზე დავიფარე, ვუყვავებლი, ვეალერებოდი.

— „მოვარეო, შენმცა მზე ვით მოგერია?“ — მისცერე პასუხად. — „მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია!“ თავი სიზმარში მგონია, ჩემი გადაარჩენა ვერ დამიჯერებია. მაგრამ, რაკი მნათობად აღმომიბრწყინდი, ამა, მკედარი გავცოცხლებულვარ, ამიერიდან უგონოდ აღარ გავხდები. გწამდეს, არ გიმტყუნებ და შენს სამსახურს, რაც გინდა იყოს, თავს არ ავარიდებ-მეთქი.

— ბარათი ასმათს გადავეცი და დანანებით ვუთხარი, მეტი ვერაფერი დამიწერია-მეთქი. მერე ოქროს ჯამით რჩე-

ული თვალ-მარგალიტი მივაჩოვი. მან მარტო წრიდი მისამართ  
ბეჭედი აიღო და თქვა: სხვა არა მინდა რა, სამაცხოვროდ  
ესეც კმარა, სამკაულო არ მაკლია, მისით საჭირო უფლიში  
მეთხოვა და წავიდა.

პირდაპირ მეტე

— რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! გულს ლახვარი აღარ მი-  
სერავდა, „ლხინშან ბნელი განმინათლა, დაშრეს, ცეცხლი  
რომე მწვიდეს“. შევედი და ტოლ-სწორებთან ზაღიმადვე და-  
ვჭექი. მხიარულმა საბოძვარი უხვად გავეცი. ვზეიმობდით და  
ვხარობდით.



## ჩაგიერის ნიაირი ხაზავოთა მაჟავსთან

— ხატავთის შეფეხს მოციქული მივეგზავნე,  
მივსწერე: ღმერთმა ძლიერება ნუ მოაკლოს ინდოეთის ხელ-  
მწიფებეს! თვითონ იცით, მისი ერთგული და გამგონე „გაძლების  
ყოველი სული შშიერი“, ხოლო ვინც უორგულებს და ურჩო-  
ბას გაუწევს; სანანებელი შეექნება-მეთქი.

— ჩევენო ძმაო და ვატრონო, თქვენგან არ ვავიმშარებით,  
ესე რა პნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით!  
თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოვეპარებით,  
სჭობს, რომე გენანენე, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით”.

— მოციქული რომ გავისტუმრე, გულს უფრო მომეფო-  
ნა, შეება ვიგრძენი. პასუხის მომლოდინე სამეფო დარბაზს  
ტოლებში ვნადიმობდი, დროს ვატარებდი. დავწყნარდი, რა-

ხან „დამევსო ცეცხლი წვად მოუთმინები“, ფრანგული  
აღარ ვეპირებოდი. მაგრამ სურვილთა მოზღვავება ჩოგვერ  
ლხინს მაინც ჩამამწარებოდა და, სევდა რომ უკიდიშნებული  
წუთისოფლის გმობას მოვყვებოდი, მერედგ ჩრდილოეთი რალოდ!  
ბედნიერი ხომ მაშინ ვიყავი:

„მაშინ სოფელმან საწუთოთ მოუხვის, რაცა ვინები,  
აწ ხელ-შექმნა, რომე სახლოდ მხეცოაცა მოვეწყინები“.

## ნისტანისაგან გაიიღის ხმობა

— ერთხელ ღამით სასახლიდან შინ დავ-  
ბრუნდი და საწოლს შევედი. ჩამოვჭექი, მასზე ფიქრმა წამი-  
ლო, ძილი ახლოსაც არ შეკარებოდა. კარგ გუნებაზე კი ვიყა-  
ვი, მისგან რომ საიმედო წერილი მქონდა. მცველმა კართან  
ფარეში იხმო და რაღაც უჩურჩულა. ასმათის მსახური მო-  
სულიყო. კუბრძანე, საწოლს შემოეყვანათ. მოეწერა: ვიბ-  
მობს, შენი ნახვა უნდაო იმას, „ვისი მესვა გულსა დანა“. სი-  
ხარულით ღამე დღედ მეჩვენებოდა, ავფორიაქდი, თავს ვე-  
ლარ ვიმაგრებდი: „ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა  
ჯაჭვთა მანა“. თან მსახური წავიტანე და გავეშურე.

— ბალში შევედი, ხმის გამცემი არავინ ჩანდა. წინ ასმა-  
თი შემომეგება, მხიარულად გამიცინა და

„მითხრა: «ვაშალ ამოვილე, არ გასვია გულსა ნარი,  
მოდი, ნახე ვარდი შენი უფრპენელი და დაუშენარი»“.



წამიძღვა, ბადახშით შემცულ ტურფა კარავონ მიმდევანი და  
მძიმე ფარდაგი ასწია. შიგნით ის იყდა და ანათებდა, კიბირითა  
შეისაებრ ელვა-მქრთალითა, მე შემომხედის ლურჯებულიშებულის  
ტბისა თვალითა“. დიდხანს ვიდექი, ტჭირული ისტორიული  
ურულად შემომყურებდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ მაღირსა  
მის სასურველ სტუმარს. ასმათი იმმო და რაღაც მოიუბნეს,  
მერე ასმათმა მინურჩულა: „აშ წადიო, ვერას გითხრობს“.  
მისი მოშორება საშინლად მეძნელებოდა, გული ამიწრიალდა,  
ზედ ჭმუნვის ალი შემომენთო.

„ვთქვი: «საწეოთოო, ვის წერან გული დარშანთა მიარე,  
მაშინ მიკეცა იმედი, ლხინი რად ვაშიზიარე?»“

— ასმათი გამომყვა და წამოვედით. მამხნევებდა, სიხა-  
რულს მიქალდა: ეგრე რომ გამოვიშვა, გულს დაღად ნუ და-  
იმჩნევ, „სიმძიმილთა ერთო ლახაშ, სიხაჩულის კარი აღი“, შე-  
ნი შერცხვა და ვერა გითხრია რა, მერე კიდევ ამაყი და თავ-  
მოყვარეა, თავისთავს ეკრძალება.

— დაო, ჩემი დამწვარი გულის წამალს შენგან მოველი,  
— ვუთხარი მე, — გაფიცებ, ხშირ-ხშირად მოიწერე მისი ამ-  
ბავი და ურევის ალი „დამიშრიტე, ლოდინით სულს ნუ ამომ-  
ხდი. რაც იცოდე, უკლებლივ მაცნობე, ნურას დამიშალავ-  
მეთქი.

„შევკე, წამოვე, მდიოდა ნაკალი ცრემლთა მილისა,  
საწოლს შემოვე, ხელ-ქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა,  
ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულერჩესი ლილისა,  
ლაშე მერჩია, მეჭიდა არ-გათერება ღილისა“.

## ურთიერთები

— ხატაეთიდან მოციქულის წარმატება

ნენ. რამაზ მეფეს ამაყი და უკადრისი პასუხი შემოეთვალა,  
მწერლა: გამიჯვირდა, ეგ რა მოგიწერია, როგორ თუ მანდ ვი-  
ხმივარ, „ვინ ვჰქატრონობ ბევრსა ერსა?!“ ამის მეტად აღარ  
ვნახო, წერილი მოგეწეროს:

„არც თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე-უმაგრონია,  
ვინ არის ოქენი ხელმწიფე, ჩვენსედა რა პატრონია?!“

— ვუბრძანე და მთელი ინდოეთის ლაშქარი აწევის. ვარს-  
კვლავთ უმრავლესი შეიკრიბა, ყოველი კუთხიდან ფიცხლად  
იმდენი მოაწყდა, ტევა აღარსად ძყო, „ერთობ ლაშქრითა აივ-  
სო მინდორი, კლდე, კაპანია“. მეფის წითელ-შავი დროშა ავ-  
მართე და აღლუმიც დაიწყო. ვნახე, მეომრები მოხდენილად  
შეჭურვილიყვნენ, მომეწონა მათი

„სიჩაუწე და სიერთ, კელულად დარაზმელობა,  
ტაიკთა მათთა სიმალე, აბგართა ხეარაზმულობა“.

ლაშქარს გამოვუცხადე, რომ გზას დილით დავადგებოდით.  
დარღმა დამიპყრო, თავი შემებრალა, ავზე ავი ბედისად მე-  
ჩვენა, ვფიქრობდი: ჩემი მზე თუ არ ვინახულე, არ ვიცი, რა-  
ნაირად გავემგზავრო-მეთქი. შინ რომ მივედი, გულს სევდა  
უარესად შემომაწვა და თვალთაგან მდუღარე ცრემლი ლვა-  
რად გაღმომედინა: „თვალთათ, ვითა საგუბარით, ცხელი  
ცრემლი გარდმომჩერეფდა“. კვლავ ჩემს უბედურ ბედს ვუ-  
ჩიოდი, რომ გუნებისად ბიჭიც ვერ გადამედვა საოცნებო ვარ-  
დისაკენ, და გამწარებული თავისთვის ვეკითხებოდი: „ხელ-  
მან ვარდი რად იხელთა, რათგან ასრე ვერ მოჰკრეფდა?“



—ქარი ფარეშმა შემოალო წლები უმშებეს  
წერილი მომართვა. არ ველოდი, გაოცებას შემცირო მეწერებს ა  
გინმობსო „შენი მზე შენ, მისთვის მოსურვებულსა, მოდი,  
სჯობს მანდა ტირილსა, საქმესა ბედით ვებულსა“. მე რომ  
მმართებდა, იმდენ სიხარულს დაიტევდა კი ეს გული?! რა შე-  
ლამდა, გავეშურე. ბაღში შევედი, ასმათი ისევ იქ მელოდე-  
ბოდა, საღაც უწინ მენახა. გამილომა და მითხრა: წამომყევი,  
„მოგელის ლომსა მოვარეო“. წამიყვანა და

„შემავლო სახლი, ნაგები კედელი ბანის-ბანითა,  
ვამონინდა მოვარე ნათლითა გარე შუქ-მონავანითა,  
ფარდავსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწვანითა,  
საქრძალვე და ღარიბი, უცხო პირად და ტანითა“.

შევედი და ნობის ნაპირთან შევჩერდი. მისი ჭვრეტით მტან-  
ჭვილი ცეცხლი ჩამიქრა, „გულსა ბნელი განმინათლდა, ზედა  
ლხინი ადგა სვეტად“. ნებივრად დაბრძანებულიყო და ნათელს  
ისე აფრქვევდა, „მზისა შუქსა სჯობდა მეტად“. თავი და-  
ეხარა და ჩემგან სახეს იფარავდა, წამით თუ ამომტყორცნი-  
და ქურდულ მზერას. ასმათის პირით დაჭდომა შემომთავაზა. ასმათმა მის შორიახლოს დამსვა. გული, მანამდე წუთისოფ-  
ლის მაწყვევარი, ლხინით ამვესებოდა. მიყვირს, ცოცხალი რო-  
გორლა ვარ, მის ნათქევამს რომ ვიგონებ! ვიცი, გეწყინაო, მი-  
თხრა, ამას წინათ რომ უბრად გაგიშვი და

„მზემან გაყრითა დაგავწე, ვთა უვაეილი ბარისა,  
დაგრქიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაკუბარისა,  
მავრა ხამს ჩემგან სირცეეილი და რიდი ამირბარისა“.

თუმცა ქალს მამაკაცის დიდი მოკრძალება მართებს, ჭირთა

უთქმელობა და დამალვა კიდევ უფრო უარგება. მე აუ სხვების დასანახავად მიცინია, მალულად ვაი და ვიში რითქვამს. ახლა გამოტეხილად გეტუვი: მას აქეთ, რუსული უზენაშე ამბავი ვიცით, ვფიცავ, ცოცხალი თავით გრძელებული უკავშირის ქვე „გეტრუო, ღმერთმან მიწა მექნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!“ წადი, ხატაელებს შეები, მათი ქვეყანა დალაშეჩრე, ღმერთმა ქნას, გამარჯვებული დიდებით ღამიბრუნდი! მაგრამ მე რა მეშეელება, სანამ ისევ გნახავდე? ფიქრითა და ოცნებით მაინც სულ ერთად ვიყოთ: „გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიჭირე!“

— ძეხორციელი არავინ ლირსებია, რის ლირსადაც მე მხდი-მეთქი, — მივუგე მოწიწებით, — შენი შუქით გარემოსილს ბნელი გული გამოენებია!. ღვთისაგან არ მივირს, მისი მოწყალება ხომ ანაზღეულია. გწამდეს, შენი ვარ, სანამ არ დავმიწიდები. შენი გულისთვის დასაწველად ცეცხლში ისე გადავეშვები, თავი არც კი შემეწყალება. მაგრამ რახან არ მომკალი და ცოცხალი დამარჩინე,

„შენ სინათლედ თვალთა ჩემთა მიჩნდე შზეებრ სანახველად, აუ შევება ხატაელთა, მუნ გამოვჩნდე ლომი ქველად“.

— კვლავაც შევფიცე და შემომფიცა, მითხრა: შენ ვარდა თუ ვინმე მოვიწონო და ვინდომო, ნუმც მიცოცხლიაო. ერთხანს კიდევ დავრჩი, ტკბილად ვბასობდით. ხილს შევვექეოდით. მერე, წამოსასვლელად რომ ავემზადე, ცრემლი მომერია: „მეძნელებოდა სიშორე მისი ბროლ-ბადახშ-მინისა“. მოვდიოდი და „მისთა შექთა შვენებანი“ გულს ნათლად მადგა. დიდად ნასიამოვნები და გახარებული ვბრუნდებოდი, თითქოს ახლად დავიბადე:

„ჩემალ ჩნდა იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა, აუ მივირს, მისსი გამყრელსა გული მიც კლდისა ტანისა!“



— ღილა რომ გათენდა, ბუქინის წერტილი  
დაფს ჰერით-მეთქი, ვუბრძანე. მოელი ლაშქარი შესაძლო  
ლად გამზადებულიყო და ნიშანს ელოდა. „ლომმან მივჰმარ-  
თე ხატაეთს“, მხნელ და ფიცხლად გავეშერეთ, უვალი გზით  
მივდიოდით. კარგა მანძილი გვერდა გავლილი, როცა ინ-  
დოეთის საზღვარს გავსცდით. ხატაელთა მეფის, რამაზის,  
მოციქულები მომევებნენ და მისგან ძღვნად უცხო და სა-  
კვირველი განძეულობა მომართვეს, ფასი არ დაედებოდა.  
დანაბარებიც მომახსენეს, გულის მოსაფხანი სიტყვები შე-  
მოეთვალა:

— გვაპატიე, რაც შეგცოდეთ, ახლა თვითონვე ვნანობთო,  
აბა, თქვენ რას გაგიმკლავდებით: „ჩვენთა მგელთაცა დასჭა-  
მენ, ინდონო, თქვენი თხანია“. მორჩილებით ყელზე წნელი  
შემოგვიბამს და გვევდრებით: შეგვიწყალე, ნუ ამოგვწყვეტ,  
ცას რისხეით ნუ ჩამოგვიძეცე, შენს ვაეყაცობას ეგ არ შე-  
შეენისო. ლაშქრით მოსულა არ გინდა, თან მცირე რაზმი იახ-  
ლე და მობრძანდი: უომრად და მოურბევლად ჩავაბაროთ  
ციხე-ქალაქი და „თავნი, შვილნი, საქონელი“.

— ვეზირები გვერდით დავისხი და მოვისაუბრეთ. მითხ-  
რეს: ყმაწვილი ხარ და ჩვენ, გამოცდილებით დაბრძენებულ-  
ნი, ამიტომ ვიბედავთ ვირჩიოთ: ნუ მიენდობი, მეტად მუხ-  
თალნი არიან, ლალატით არ მოგვლანო. აჭობებს, მამაც მო-  
ყმეთა ამალით წახვილე, ლაშქარიც შორიახლოს მოგყვეს და  
შიკრიკით შენს ამბავს გებულობდესო. მიდი და ნახე, თუკი

— ვულ-მართლად იყვნენ, მიენდე, აუთე ღმრთისა და მართლა, არ დაგმორჩილდენ, შემრისხდი რისხეითა კე და ქართველი.

— რჩევა ჭეუაში დამიჯდა, მომეწონა „**უარის ნაუაზი-რები**“, და შევთვალე: რამაზ მეფევ, წალეო და მოვალეო, გერაფერი დაგვიმაგრდება, და სიკვდილს მიკოტელე თავობინე. აგრე იყოს, ლაშქარს დავტოვებ და მცირე იმალით წამოვალ-მეთქი. სამასი მამაცი მოყმე შევარჩიე და თან წავიყვანე, ხოლო მთელს დანარჩენ ლაშქარს დავუბარე: შორიახლოს უკან მომყევით, თვითონვე გიხმობთ, თუ დამჭირდა, და მაშინ მომეშველეთ-მეთქი.

— კადევ სამი დღე რომ ვიარე, ხატაელთა მეფის სხვა მოციქული მომივიდა. რამაზს იმჯერად უამრავი უცხო და ძეირუასი სამოსი ეძლენა და შემოეთვალა: შენი სიახლოვე მწადია, ვესწრაფვი მაღლე გნახო ლალი და ჯან-ლონით სავსე. მოსაგებებლად თვითონ წამოვსულვარ და, როცა შევცდებითო, „მაშინ სცნა შენ ძღვნობა იმისთანისა“. პასუხად შევუთვალე: ალსრულდეს ნება თქვენი, მეც ეგ მინდა, ერთმანეთი ტკბილად მოვინახულოთ და მამაშეილურად ვიყოთ-მეთქი.

— იქიდან წასული შესასვენებლად უდაბური ტყის პირს ჩამოვხტი. რამაზის მოციქულნი კვლავ მომიერდნენ და თამა-მად მომესალმნენ, „წინა ტურფათა ტაიჭთა ძღვნად ჩემთვის მოზიდვიდესა“, მომახსენეს, რამაზ მეფე შენს ნახეს მართლაც რომ გულით ნატრობსო, შემოგითვალა, შენკენ მოვეშურები და ხვალ ადრიანად შეგხვდებიო. მოციქულთ „მეტად ამოდ ვუალერსე“, მათთვის საგანვებო კარავი გავამართვინე და მაყრებივით ერთად დაიძინეს.

— კაცზე გაწეული სიკეთე თურმე უქმად არ დაიკარგება.

ერთი მოციქულთაგანი სხვებს უკან ჩამორჩია, მოვადა  მაღ მითხრა:

— თქვენ წინაშე დიდი ვალი მაძევს. ჩემისა მისი გადაიხდება: მამათქვენს ყმაწვილობიდანვე ჭამიტოლის უსტი სი ამაგის დავიწყება და თქვენი გაწირვა რანაირად შემიძლია? მშვიდად მომისმინე და ყველაფერს მოგახსენებო:

„თქვენი მესმა სალატო, საცნობელად გამოვვარდი,  
მეტარი მიმიმ სანახავად ტანი მევერი, პირი ვარდი“.

ამაოდ არ მოტყუვდე, გლალატობსო რამაზი: ასიათასი მეომარი ერთგან ჩაუსაფრებია, სხვაგან კიდევ — ოცდაათიათასი. ასე ფიცხლად იმიტომ გიხმობს და, თუ თავს არ უშველე, ფათერაქს გადაეყრებიო. მეცე მცირე ამალით მოგეგებება და პირფერობით მიგინზობს, ამასობაში აბჯარს ფარულად ჩაიცვამენ და ჩასაფრებულთ კვამლით ნიშანს მისცემენ, მაშინვე მთელი ლაშქარი გარს მოგეხვევა და, „რა ერთსა გცემდენ ათასნი, ევრეცა მოგერევიან“.

— იმ კაცს საამოდ ვებაასე, დიდი მაღლობა ვუთხარი და ალვუთქვა: ნეტავი კი ცოცხალი დავრჩე და სიკეთეს ისე გადაგიძი, თავს თვითონვე შენატროდე. ახლა წალი და შენიანებთან იარე, ეჭვი არ აიღონ. თუ დავივიწყო, საქვეყნოდ შერისხული და ყველასაგან ზურგშექცეული ვიყო-მეთქი. არავის გავენდე, პორივით დავმალე. რაც იქნება, სულერთია, ყოველგვარი ბჭობა უსარგებლოა-მეთქი. ოლონდ ჩემი ლაშქრისაკენ, თუმცა შორს იყო, კაცი ვაფრინე და შევუთვალე: „ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და ვორია“.

— რა გათენდა, მოციქული ტკბილი სიტყვით გავასტუმ-რებინე, რამაზს მოახსენონ-მეთქი: „მოგეგებვი, მოდი, მოვალ

მეცა მალე“. გზას განვაგრძობდი, ხიფათს არ გამოვეცავარ. თუ სიკვდილი მეწერა, მაინც ხომ ვერსად დაუემატებოდი: „განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვემცა საღა და შემდეგ შეუძლებულიყო, როცა ერთ ქედს გადავადეს! ზერდაა შეუძლებელი მინდვრად მტკრის კორიანტელი მოჩანდა. აი, მოდის თავისი ლაშქრით რამაზ მეფე, ჩემთვის რომ მახე დაუგია, მაგრამ დამაცადონ, ჩემი ბასრი ხმლისა და შუბის საკბილო გახდებიან-მეოქი. გავითქმირე და „მაშინ ვუთხარ სპათა ჩამთა, სხევ დიდი დავუსახე“:

— ძმანო! ხატაელნი გვლალატობენ, მაგრამ თქვენი მკლავის სიმაგრეს, მჯერა, ეს ვერ მოაღუნებს. ახლა ხმალი უქმად ნულარ გვარტყია, მტერს მხედ შევუტიოთ! გახსოვდეთ, ქვეყნისა და მეფისათვის სიკვდილიც სანეტაროა, თავს ნუ დაზოგავთ-მეოქი.

„ვუბრძანე ჩაეტა აბგრისა ლალშან სიტყვითა ხალითა,  
დავვეაშმენით საომრად ჭავ-ჭავშენითა, ქაუითა,  
რაზმი დავაწყევ, მიექმართვ, წავე დიღითა სწრატითა,  
მას ღლესა ჩემი მებრძოლი ჩემმანე ხრმალმან დაუითა“.

— რა მივუახლოვდით, შეგვამჩნიეს, ტანთ აბგარი გვეცვა. რამაზის მოციქული მომიერდა, შემოეთვალა: ახლა ხომ ორგულობას ვეღარ შეგვწამებო და გვწყინს, აბგრით რომ გხედავთო. პასუხად შევუთვალე: ვიცი, რასაც მიპირებ, მაგრამ მაგას ვერ ეღირსები! ახლა მობრძანდით და, როგორც წესი და რიგია, შეგვებით, მეც ხელთ ხმალი მიძყრია და მზადა ვარ მუსრი გაგავლოთ-მეოქი.

— მოციქულმა რომ ამბავი მიუტანათ, კვლავ რაღად გამოგზავნიდნენ? ლაშქარს კვამლით ნიშანი მისცეს და იღუმალი ზრახვა გამეღავნეს. ორივე მხრიდან ჩასაფრებულნი გა-

მოვიდნენ და მრავალკეც რაზმებად მოეწყვინეს. მაგრა ვერა  
მავნეს რა. თავს მუშარადი დავიხურე და შემი მოვიდარავი,  
მათ დასალეწად ბრძოლის უინმორეული „ერთს წარსწევდი  
უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად“ წარმომარტივე  
ჰერ, საცა მათი ურიცხვი რაზმი გულდამშვიდებით იდგა.

„ახლოს მივე, შემომხედეს, შვავით, ეს თქეესა,  
მენ მივპმართე მკლავ-მავარმან, სად უფროსი ჯარი დგესა,  
კაცს შები ვკარ, ცხენი ღავეც, მართ ორნივე მიძევდეს მხესა,  
შები გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაჭებ, ხრმალო, ვინცა გლესა!

„შვან ასრე გავერივე, გნოლის ჭოვსა ვითა ქორი,  
კაცი კაცსა შემოვსტუორცი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი,  
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაწირი,  
ერთობ სრელად მოეწყვიდე წინა კერძო რაზმი ორი“.

— ირგვლივ შემომეხვივნენ და დიდი ომი გაჩაღდა. ჩემს  
მახვილს ვერავინ უმავრდებოდა, „ცხენსა კაცი გაკვეთილი  
მანდიკურად გარდავპკიდი“, მივჩეხავდი და სისხლი ჩქეფად  
ჩასდიოდათ. საითაც კი მკლავი გავშალე, შეშინებული ვა-  
მირბოდნენ.

— საღამოეამს ქედიდან მოთვალთვალემ გადმოსძახათ:  
ნულარ დგახართ, წალით, თავს უშველეთ, ცამ რისხვით გად-  
მოგვხედა, საშინელი მტვრის კორიანტელი აქეთ მოიწევს,  
უთვალავი ლაშქარი შიდის და სულმთლად არ ამოგვწყვიტო-  
სო. ჩემი ლაშქარი ამბის გაგებისთანავე ფიცხლად წამოსუ-  
ლიყო, დღე და ღამე გაერთობინათ რაზმი რაზმე მოღიოდა,  
მინდორს ვერ დაეტია და მთის კალთებიაც შეპფენოდნენ,  
„გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლაკსა, ბუქმან ხმა გაიზეარა“. მათ  
დანახვაზე ხატაელებმა იყალრეს გაქცევა. ყისინა ღავეცით და  
უკან ბრძოლით დავეძევნეთ. ინდოთა დიდი ლაშქარიც წამო-

ეწიათ და „დაუწყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულია ულთა“. რამაზ მეფე მოვიხელთე, ხმლით ჩამოვაგდე და დატყვევი. მისი მეომრებიც, ვინც სიკვდილს უაფარებულია აღარ დაგვიხოცავს, ტყვედ წამოვასხით. ლამაზიაუმა დროშიც გაწყვეტილთ, „ტყვეთა მრთელთაცა არ აკლდა კვნესა, რაოთ ვითა სნეულთა“.

— ნაომარ ადგილას დასასვენებლად დაებანაკლით. ხელში ვიყავი დაჭრილი, ნახმლევი მაჩნდა. მეომრები ჩემ საჭვრეტად და ქების შესახმელად მოდიოდნენ და მოდიოდნენ, სათქმელის თქმა კი მაინც ვერ მოეხერხებინათ. ზოგი შორიდან მლოცავდა, ზოგიც საკოცნელად მოიწევდა, გამზრდელი დიდებული ხომ სიხარულით ამიტირდნენ. ჩემგან ხმლით ნაკვეთის ნახვას ყველა გაეკვირვებინა. ერთ კაცს ეყოფოდა, რაც მე სახელი მომეხვევება.

— ლაშქარი სათარეშოდ მივუშვი, ერთობ დატვირთულნი დაბრუნდნენ. მერე რამაზს ვუთხარი: შენი სიმუხოლის ამბავი კარგად ვიცი და ახლა მაინც, შეპყრობილი რომ ხარ, გულმარითლად მოიქეცი, „სიმაგრეთა ნუ ამაგრებ, ყველა ხელთა მომათვალე“, თორემ, რაც მოგივიდეს, თავისთვის დააბრალე-მეთქი. მეტი რა ღონე მაქვსო, მიპასუხა, ოღონდ ერთი ჩემი დიდებული მომეცი, რომ ციხოვანთ მივუგზავნო, და ყველა-ფერს მოგართმევენ, შენი იყოსო. დავუჯერე. დიდებული რომ გაგზავნა, თან ჩემი მოყმენი წავატანე, ციხოვანნი ვიხმე. ყველანი ერთობ მეახლნენ, ურჩობა შევანანე და „კარი ქალაქთა უომრად გავალებინე“. ციხე-სიმაგრეთა და უამრავ საგანძურთა კლიტენი უკლებლივ მომართვეს, მთელი ხატაეთი მოვიარე და ყოველივე მივითვალე. ხალხი დავამშვიდე, თქვენ არას გერჩით-მეთქი:

„ქეცეუანია ჩაესხო, კუბრძანე: «იუვენია თქვენ უკარისლიადა  
მშებან არ დაგწევნ, იცოდით, დაგუარენ გაუგვალავაღ».

### პრივატული

— განძეულობა შესაფერისად გადავინახე შესტატურული  
უცხო და ძვირფას ნივთსა თუ სამკაულს თვლა ათა ჟეოზდათ.  
ერთგან საკვირველ კაბასა და მოსახვევს წავაწყდი, ენახა,  
იტყოდი, ეს რა უცნაური რამ არისო: ეერ მივხვდი, რა იყო ან  
კაცის ხელს როგორ გაეკეთებინა. ვისაც კი ვუჩვენე, ლვთის  
სასწაულიათ, თქვეს: „არცა ლაზულად პეგბოლა მას ქსელი,  
არ ოჩხაულად“, სიმტკიცით ცეცხლში ნაწილობსა და ნაჭედს  
ჰყავდა. ორივე მის საძლვნოდ გადავდე, ვისი შუქიც გულს  
მინათებდა. მერე მეფისათვის შევარჩიი, საარმალნოდ რაც რამ  
უმჯობესი იყო, ათასი მუხლისგარი ჭორ-აქლემი დავტვირთე  
და გავუგზავნე, ამბავიც კარგი შევუთვალე.

გარემონის ხარისი ინდოთა მაფისახი და  
გამარვებით გამარვები

— ქადაგის ხარისი, — ხელმწიფეო, — ვსწერ-  
დი ფარსადანს, — „სვემცა არს თქვენი სვიანად!“ ამბავი  
იმიტომ დაგიგვიანეთ, რომ ხატაელებმა მიმუხოლება თუმცა  
ვერა დამაკლეს რა, თეთოვნე დაზიანდნენ, რამაზ მეფე შე-  
ვიპყარ, ტყვითა და ნიდავლით მოვდივარ-მეთქი. როცა ყვე-  
ლაფერი გავაწესრიგე, ხატაეთიდან გამოვეშურე და განძე-  
ულობა თან წამოვილე. ჭოთ-აქლემით რომ ვერ ავუვედი, ხარ-

ურებიც მოვიშველიე, „აზავრები ვახავრენ“. ტაქტები და ვიხარებდი, რახან საწადელს ვეწიე.

— ინდოეთს გამარჯვებით დაბრუნებული კუჭუჭულან კარგა მოშორებით წინ ჩემი ტკბილი გამზოდელი, ფარსაღან, მომეგება. „რა ქება მითხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია!“ ხელი გამიხსნა და რბილი სახვევით შემიხვია. ახლოს დამისვა, ხალისით მებაასებოდა, შემომხაროდა და მიალერებდა. მოედანს ტურფა კარვები დაედგა, იმ დღეს ნაღიმი იქ გამართა. მთელი ლაშე ვილხენდით და სამოლ შევიქცეოდით.

— დილით ბანაკი ავშალეთ და ქალაქს შევედით. ხელმწიფო ბრძანა: დღეს ლაშქარი შეკრიბეთ და ხატაელთა მეფე მიჩვენეთ, სხვა ტყვეებიც მომიყვანეთო. შეპყრობილი რამაზი რომ მივგვარე,

„ტკბილად ნახა ხელმწიფებინ, ვითა შეიღო სააკანე.  
ორგზლი და მოლალტე ნამსახურსა დავამვანე,  
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე!“

უარსადანმა რამაზს ალერსიანად უმასპინძლა, მეგობრული ბაასი გაუბა. მეორე დღეს ხელმწიფე უთენია მიხმო და ლმობიერად მკითხა: „შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა?“ რახან შეულებულს ლმერთი შეუნდობს, თქვენც მოიღეთ მოწყალება და აპატიეთ-მეთქი, მოვახსენ. მერე რამაზს უბრძანა: იცოდე, ახლა კი უკან შეწყალებულს გაბრუნებ, მაგრამ ამიერიდან აღარ ვნახო, ჩვენ წინაშე თავი შეგერცხვინოსო! ხარკად ათიათასი დრამკანი და დიდალი სტავრა-ატლას-აბრეშუმი დაუწესა. თვითონ და მისი დიდებულებიც დამოსა და წყრომის მაგიერ ტკბილად გაისტუმრა: „შეწყალებული გაგზავნა, უყო რისხვისა ფასია“. რამაზმა დიდად დაუ-

მაღლა, დაღრეა, მოწიწებით თაყვანი სცა და შეკულტორი. თქვენი ორგულობა ღმერთმა სანანებელი გამიხალა და, თუ ლდეს-მე კიდევ შეგცოდოთ, აი, მაშინ ნულარ მატერიალური ჭიხა-რებული წავიდა და თავისიანებიც ყველაზე ტურქული მასნ წაიყვანა.

— ის იყო ინათა, კვლავ მეფის კაცი მეახლა. შემოეთვა-ლა: სამი თვეა, რაც შენ წახვედი, და მას აქეთ აღარ მინაღი-რია. თუ დაღლილობას მოერიო, წამო, წავიდეთო.

„შევეკაზმე, დარბაზს მიეკეთ და გარდა ავაზისა,  
შევარდნითა საესე იყო სრულად არე დარბაზისა,  
შეცა ძვე ჯდა შევაზმული, შევნებითა მსგავსი მწისა,  
გაეხარნეს მისლვა ჩემი, ტურფისა და ლამაზისა.“

მე არაფერი ვიცოდი, წასკლის წინ ფარსადანი დედოფალს თურმე სიიდუმლოდ ეუბნა: ომიდან დაბრუნებული ტარიელ-ის ცქერა ვის არ სწალია, „მან განანათლოს მვერეტელთა გუ-ლი რაზომცა ბნელია“, გამარჯვებას ვზეიმობთ, ნანატრი ეა-მი დაგვდგომია, „აპა დღე ედემს ხლებული“, და რახან გადა-წყვეტილი გვაქვს ჩვენი ასული გავამეფოთ, ბარემ ახლა ნახ-ოს, ვისაც მისი ნახვა უნდა, უკეთეს დროს საღლა ვიპოვითო, გვერდით დაისცი და სასახლის დარბაზს დამხვდით, ჩვენც მა-ლე მოვალთო.

— ქორ-შავარდენი და მწევარ-მექებარი მრავლად ვიახ-ლეთ და გავემართეთ. მინდორი მთის ძირამდე მოვინადირეთ და, შორს აღარ წავსულვართ, უკან აღრე დაებრუნდით. ნა-დირობის შემდეგ ხელმწიფებ ბურთაობა-ასპარეზობაც ჩვე-ულებრივზე ჩქარა დააშლევინა და სასახლისაცენ გავეშურეთ.

— მთელი ქალაქი ჩემ საქვერეტელად გამოფენილიყო. კოხ-ტა ზოლიანი სამოსი მეცვა და ხატაეთს ნაშოვნი უცხო მო-



სახვევი მეხვია. ომში ხმლით ნაიარევი ხელი ყელზე მჭობა  
ჩამობმული და „ფერმისდილ-გვარად ვშვენოდი ვარდი, ცუტ-  
ლითა ნაბანი“. ჩემი ცქერით გავიერბულიყვნენ, პრემიუმ წულები  
დიოდათ. დიალ, ასე იყო, ნამდვილს გეუბნები, პრემიუმ შეკვება

— სასახლესთან ხელმწიფე ცხენიდან ჩამოხტა, მეც ჩა-  
მოვქვეითდი და სამეფო დარბაზისაკენ გავწიეთ. რა შევეღი  
და მას შევხედე, მზეებრ სხივნათელ ღაწვთა ელვამ შემაკრთო.  
ტანთ ნარინჯისფერი ჭუბა ემოსა. ზურგს უკან უამრავი პი-  
რისფარეში დას-დასად ეღვა. მის სიტურფესა და შექმო-  
სილებას

„სრულად ნათლითა აესო სახლი, შეკა და უბანა,  
მენ ვარდსა შეა შეენდეს ძოშ-მარგალიტნი ტყუბანი“.

დედოფალი წამოდგა, წინ მომევება და შვილივით მავრად  
გადამკოცნა, „ღაწვი ვარდი დამილება“. ამიერიდან, ფიქრი  
ნუ გაქვს, მტერთან შებმა აღარ მოვიწევსო, მითხრა.

— ნაღიმშე თავიანთ მახლობლად დამსვეს, მე რომ მე-  
ამებოდა, ისეთ აღვილა: „პირის-პირ მიჯდა იგი მზე, გული  
ვისოფერისა კვდებოდა“. ფარულად შევყურებდით ერთმანეთს,  
გამოსაუბრება კი ვერ გაგვეძედა. თვალს მოვაშორებდა თუ  
არა, სიცოცხლეს ფასი ეკარგებოდა ჩემთვის, ხოლო რა ისევ  
ვუპვრეტდი და მიკვრეტდა, მტანჯველი ცაცხლი წამსვე და-  
მიცხრებოდა. გახელებულ გულს ვიოკებდი, ეცდილობდი მო-  
რიდებით ვყოფილიყავ, რომ რამე არავის შეემჩნია:

„კაცთა კრძალვასა ვაწვევდი გულსა შმაგსა და რეტასა.  
რა უაშეა პირის-პირ საყვარელისა კერებას!“

ფარსაღანმა, მის ხელმწიფობას რომ შეშვენოდა, ისეთი ლხი-  
ნი გამართა. ყველა სასმისი ლალისა და ფირუზისა იყო. უკე-

თეს დროსტარებას კაცი ვერ ინატებდა. უზომოთ გავთმის  
მეფეს ებრძანებინა, მთვრალიც კი შინ არავინ გაემჟალისა-  
არელების ხმაურში, გაჩუმდითო, გაისმა. ყველა მოწერილი  
თავი ზახარა და გაიტრუნა, სიმღერაც შეწყუზვისადეს

— შვილო ტარიელ, — მითხრა ხელმწიფებრ, — ენით აო  
ითქმის, რარიგ გვიხარია! ჩვენ აქ ვზეიმობთ და ნეტარებას  
მივსცემივართ, მტერს კი გლოვა და ვაი-ვაგლახი აქვს, და ეს  
შენ გამოა, შენი წყალობით. მჭვრეტელნი ქებას ამაოდ არ  
გიძლვნიან, ნამდვილად რომ ლირისი ხარ. შვებითა და დიდებით  
გაბრწყინებულს „თუმცა ჩვენგან ახლით შემოსვა გიკუთვნის,  
მავრამ ეგ სამოსი ისე გშვენის და გიხდება, სხვა ვერც შემო-  
გვითავახებია. ასი საუნჯე შენი იყოს, „ვის შუქნი მოგაიფე-  
ნიან“. და, რაც მოგეწონოს, თვითონვე შეაკერვინე, ჩვენ ნუ-  
რას მოგვერიდებიო.

— ასი საუნჯის ასივე ქლიტე მომართვეს. მეფე-დედო-  
ფალს თაყვანი ვეცი და სვესვიანობა დავულოცე. „თვით იგი  
შზენი შხეთანი“ ადგნენ და გადამკოცნეს. მერე იმოდენა გან-  
ძეულობა გასცეს, ანგარიში არ ეგებოდა, ლაშქარი პირთამდე  
აივსო. ხელმწიფე ხელახლა დაბრძანდა მხიარული და ნადი-  
მობაც გავრძელდა. სმამ და სიმღერამ იმატა, ჩანგი და ბარბი-  
თი ისევ საამოდ კლერდა. შებინდებისას დედოფალმა დაგვტო-  
ვა, ჩვენ კი კარგა ხანს დავტჩით, „ძილ-პირამდის სიხარულსა  
სიხარული ჰევანდა ვერა“. მერე ყველანი დავიშალენით, მე-  
ტი სმა და დროსტარება აღარ შეგვეძლო. შინ რომ მივეღი, სი-  
შმაგემ ხელი დამრია და აღარ ვიცოდი, რა მექნა:

„ძალი არ შეონდა ტკვე-ქმნილსა შე ამა ცეცხლთა შრეტისა.  
მევონებოდის, მალხეჭდის გონება მისგან კვრეტისა“.

— ფარეში შემოვიდა ჭიჭიშახები, ზორ

მობურული ქალი გვითხულობსო. მაშინვე გამოვიცან, ვინც უნდა ყოფილიყო, და გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო. წამოვვარდი და წინ მივეგებე. ვისთვისაც ვკვლები და ვიტან-ჯები, „მეამა ასმათის ნახვა მე მისად“. თაყვანისცემა იღარ დავაცალე და ვეამბორე, მერე ხელი მოვკიდე, ჩემი საჯდომის ახლოს დავისვი და ვუთხარი: გამაგებინე, „მორჩი ალვისა ხე“ თავის სამყოფელში, ნეტავ, თუ დაბრუნდა, მისი ამბავი მიამ-ბე, სხვა არა მინდა რა-მეთქი. მოგანსხენებ, უკვე აღარ გერი-დებიო, მომიგო და სიამით დასძინა: დღეს ერთმანეთი ვინა-ხავთ და მეტად მოგწონებიათ, ახლაც შენი ამბის შესატყო-ბად გამოვუგზავნივარო. ეს თქვა და

„წიგნი მომართვა, ჩახედენ, პირისა თემთა შეწენისა, ეწერა: «ვნახე სიტურულ წყალ-გავარისა შენისა, ომ-გარდახდილი ქვეწოდა შენატევები ცხენისა, არ ვეი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრუმლთა დენისა!

«ლერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა, შენთვის მკედარი იღარ ვიტყვი, მაშა მომკლავ უშენოსა, მზემან ლომსა ვარდ-ვიშერი ბალი ბალჩად უშენოსა, შემდან მზემან, თავი ჩემი არეს პმართებს უშენოსა!

«თეცა მიგლის ლვარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო, ამას იქით ნულარა სტირ, ჭირსა თავი არიდენო! შენი მცერეტნი ჩემთა მცერეტთა ავინებენ, არ იდენო. რომე წელან მოგეხვინეს, ივი ჩემთვის არიდენო».

ეგ მოსახვევი მე მაჩუქე და, შენეულით დამშვენდული რომ  
მნახავ, თვითონაც გეამება, თავად კი სამხრეს ციგჭავის და  
თუ ჩემი ხათრი გქონდეს, შენ ეს შეიძიო. იცოცავის ფუტები  
რე, ურვა-ვაება ამის მეტად აღარ გენახოსო. გიგალი ირთება

## გარემოს პირი და უმოწოდებელი

ჩა სამხრე გაიხსენა, ტარიელი საშინლად  
გაშმაგდა, კვლავ ტირილი მოერია, ვარამი უზომოდ დაუმძიმ-  
და. სამხრე შეისნა, ისეთი იყო, ფასი არ დაედებოდა. მერე  
ძლივსლა თქვა: აი, ეს ახლა მე მაქვს, უწინ რომ მას ება  
მკლავშეო. სახესთან სათუთად მიიტანა, მიუალერსა და...  
გონდაკარგული ძირს დაეცა, სიცოცხლის ნიშანწყალიც აღარ  
ეტყობოდა.

ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკვლარი სამარის კარისა,  
ორგნით ჩანს ლები მჯილისა, შართ გული გარდნაკარისა.

მისი შემყურე ავთანდილი მწარედ ქვითინებზა. ასმათის გულ-  
საკლავ მოთქმა-ვაებას იქაურობა აეკლო, ცრემლის ნაკადით  
ქვას ხვრეტდა, დაკაწრულ ღაწვთაგან სისხლი ღვარად სდი-  
ოდა. ქალი გულწასულს წყალს ასხამდა, შველას ლამობდა.  
როგორც იქნა, მოასულიერა, „ცეცხლნი წყლითა დაუშრიონა“.  
ტარიელი წამოჭდა და აქეთ-იქით რეტდასხმული იცქირებო-  
და, ფერი წასვლოდა, „ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრა-

ნად და ვითა სპეტალი. რად გაღავრჩიო, მეტისმეტა უმიმა-  
და. ვაი, რომ ისევ ცოცხალი ვარ და წეთისოფელი, ალა ჩემს  
სისხლს კვლავ ხარბად დაეწაფება, კვლავ უაქერძოშებული-  
იჩიოვლა. სასაუბროდ საღდა სცალოდა, დიდში გადასაცი-  
დავს მათთვის. მერე ავთანდილს მიუბრუნდა:

— თუმცა კონება გიუივით ამრევია, მისმინე და შახტც გი-  
ამბობ ჩემსა და ჩემი ცოცხლად დამმარჩველის ამბავს. წახ-  
ვალ, სატრაფოს ამ ამბის შეტყობით აამებ და გაბეღნიერდები,  
მეც ეგ მახარებს, „ლხინად მიჩნს შეყრა, მოყვრისა მის, შენ-  
გან შეუყრელისა“. აბა, თავად რადა დამრჩენია სასიხარულო,  
ისიც საკვირველია, სული რომ მიდგას!

მერე აღარ დააყოვნა და თხრობა განაგრძო:

— ღისაებრ ტკბილი და მისანდო ასმათის ნახვა დიდად  
მეამა. წერილი წავიყიოთხე თუ არა, ეს სამხრე მომართვა და  
მაშინვე მკლავზე შევიბი, ხოლო უცხო და უებრო შავი მოსა-  
ხვივი მოვიხსენი, საკვირველი კაბაც გამოვიდე, ამ მოსახვევ-  
თან ერთად ხატაეთს რომ მომეხელთებინა, და ორივე სიხარუ-  
ლით გავუგზავნე.

## გარიბების საპასხო ნიგირი საზოგოსთან

— მხეო, შენგან მონაფენმა შეუქმა დამა-  
ტყვევა, შიგ გულში მეცა და სიჩაუქე-სიმამაცე რაღას მიშ-  
ველიდა-მეოქვი, — ესწერდი პასუხად. — ესოდენ ტურფა და

ნატიფი რომ გაშმაგებულმა კვლავ გნახე, თავგზა სურამთლად ამებნა. სიცოცხლე ხომ შენგან მაქვს ნაბორები აა. ვა კი, სინაცვლოდ რა უნდა შემოგზო. აი, მაშინ ჩომ თუ გამწირე და სული შემარჩინე, ახლაც ისევე მხსნელის ქადაგის მიზარდება. „აშ ჩემთვისცა ესე უამი მასვე უამსა დჟიმულის მორმიერება“

— შენეული სამხრე მომიციდა თუ არა, მაშინვე მკლავზე შემოვიბი და ერთობ გავიძარე, თუმცა, მე რომ მმართებს, იმ-დენ სიხარულს რა გული დაიტევს?! მოსახვევი რომ მთხოვე, აპა, მომირთმევია, მასთან ერთ კაბასაც გაახლებ, მისი მსვავ-სი რომ ვერსად ვერა ვპოვე რა. გივედრები, გონლაკარგულს უნუგეშოდ ნუ დამტოვებ, მიშველე რამე, შენ გარდა ხომ ქვეყნად სხვა არავინ მყავს-მეთქი შეების მომწიჭებელი!

რა ასმათი გავისტუმრე, დავწერი და ტებილად დავიძინე, მავრამ სატრფო მეზმანა და შევკრთი: -გამელვიძა, ალარა მყვა, სულ-დგმულობა მომეწყინა“. ღამე ისე გავათენე, მეტაუ არც მომჩერებია.

## ბჟობე ნისან-ღარეჯანის გათხოვებაზე

— პდრე დილით სასახლეში მიხმეს, მყის- დე გავეშერე. მეუღ-დედოფალი ერთად დაბრძანებულიყო, წინ სამიოდე ურჩეულესი დიდებული უსხდათ, სხვა არავინ მოეწვიათ. სკამი შემომთავაზეს და მეც იმ დიდებულთ შევუ-ერთდი.

— სიყმაწვილის უაში უკან დაგვრჩენია, — შემოუცხოვდა  
ხელმწიფებრ, — ღმერთმა უძეოდ დაგვაბერა. მაგრამ მასა რღა-  
რა ვნალვლობთ, რახან ასული ვეყავს ისეთი, „ვესუან, შემშე აშე  
გვაკლია“. ახლა დროა იგი დავაქორწინოთ. საყიშოვე და მარტინ  
კაცს ვეძებთ, რომ ტახტი ჩავაბაროთ და ჩვენი შაგრილობა ვას-  
წიოს: ძვეყავას გაუძლევს და არავის დააჩაგვრინოს, მტერთა  
მახვილის საყბილო არ გავხდეთ და არ ამოვწყდეთო.

— ვითომდა ბჭობას შეფუდექით, თუმცა, ავს რომ მიპი-  
რებდნენ, იმთავითვე მივუხდი და გული გადამელია, მაგრამ  
მხნეობა მოვიყრიბე. დამეშალა, არც მიფიქრია, ეს მე არ შემ-  
შვენოდა, და მოვახსენე: თქვენს უძეობას გული ვერ შერიცე-  
ბია, მაგრამ კმარა „ჩვენად იმედად; ვინ მშესა დაედარების“.  
ვისაც კი სასიძოდ შვილსა სთხოვთ, დიდად გაუხარდება. სხვა  
რა უნდა გვადროთ, თვითონ იცით, რაც უნდა ჰქნათ-მეთქი.

— ხვარაზმის ხელმწიფე თუ მოვცემს შეილს სასიძოდ,  
იმისთანა სხვა არავინ არისო, — ბრძანა ფარსადანმა და დე-  
დოფალმაც კვერი დაუკრა: — მართლაც რომ დიდებული  
მეფეა და მის შვილზე უკეთეს სასიძოსაც ვერსად ვიპოვითო.  
ეტყობოდათ, ყველაფერი წინასწარვე პქონდათ გადაწვევი-  
ლი: ერთმანეთს ცბიერად შესციცინებლნენ და ლაპარაკიც თი-  
თქოს ერცხვინებოდათ. შეცილებას როგორლა შევბედავდი,  
დასტური მივეცი და სულის ამოხდომის ღლეც დამიდგა.

„ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,  
ოდენ დაემიწლი, დაენაცრდი, გული მი და მო კროებოდა“.

— ხვარაზმს კაცი გაგზავნეს და ხელმწიფეს შეუთვალეს:  
მთელი ჩვენი სამეფო უმემქვიდროდ გამსდარა, ერთადერთი  
ასული გვყავს, ჩვენთვის ძის მაგიერია და, თუ შეილს ზედსი-  
80

ძედ მოგვცემ, ხომ კარგი, ქალს კი აქედან ვერავის გვაცებანთვა  
მოციქული საბორვარით სავსე დაპრუნდა, დასაბურავ-ჩასაცე-  
ლით უხვად დაესაჩუქრებინათ. ხვარაშმელთა შუჭერა უზალეს  
გაპხარებოდა და ეთქვა: რასაც ვნატრობდით, ბუდულუშენიშვილი  
გუნა, ილბლიანი შვილი მყოლია, უკეთეს ბეღლს სად ვუპოვი-  
დოთო! სასიძლს მრავალი ახლა სხვა კაცი გაგზავნეს და  
დააბარეს: მობრძანდით, ნულარ დააყოვნებოთ.

## გარემოსა და ნესტენ-ზარაჯანის სჯე-გაასი

— ბერითაობით დალლილ-დაჭანცული და-  
სასვენებლად საწოლს შევედი. გულს მძიმეზე მძიმე სევდა  
შემომწოლოდა და ის იყო მკერზში მახვილის დაცემა კინალამ  
დავაპირე, რომ ასმათის მსახური მეახლა. ამაყსა და ჯან-ღო-  
ნით საქსეს ვინ რას შემატყობლა, მხნედ დავუხვდი. ბარათი  
მომართვა: „ვინ სჩან ალგისა ტანისად, აღრე მოზიო, ვიბრ-  
ძანებს, დაუყოვნებლად ხანისაღ“, მწერდა ასმარი.

— შევფექი და გავეშურე, მასთან მივდიოდი და უზომიდ  
მიხაროდა. ბაღში შევედი, კოშკის ძირას ასმათი დამიხვდა. მოუთმენლად მიშელოდა. შევატყვე, ნამტინალექი იყო.  
„ცრემლი აჩნდა ლაწვთა წთომით“, უწინდებურად იღარ გამი-  
ლიმა, ფალვრემილი მომეგება, ერთი სიტყვაც აჩ უზტქვაშს. მე-  
რე კვლავ ტირილი მოერთ და ცრემლი გაღმოაწვიმა; „აშით

უფრო დამაწყლულა, არა წყლულთა მიაქიმდა. მეტაზ დავ-  
ღონდი, მაგრამ არა ვკითხე რა. მე ერთსა ვთიქრობდი და სულ  
სხვა რამე კი ჩანდა. ქალმა კოშკში შემიყვამებ ჩუმულებისგა-  
დამიწია და, ჩემი მთვარე რომ დავინახე, ცემისში ქრისტიშ მია-  
მექარვა, „გულსა შუქი შემომაღვა, მაგრა გული არ დამიღნა“. გავუძელი, გონი აღარ დამიკარგავს.

„იყო არ-ნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი,  
ეძურა მოშლით პირ-იქრო რიღე, მე მიეკუ რომელი,  
მითვე მწვანითა უებრო მიწოლით ტაბტა შედომელი,  
ცრემლისა ლეარსა მოეცა პირი, ელვათა მკრთომელი.

„ევე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ველხი პირ-გამეხებული,  
არცა მზე ჰკენდა, არც მთვარე, ხე ალეა, ედემს ხებული.  
ასმათმან დამსვა შორს-გვარად გულსა მე ლახვარ-ხებული.  
მერმე წამოქდა წარბ-შერქვით, გამწყრალი, გარისხებული“.

— მიკვირს, პირის შემშლელი და ფიცის გამტეხი. მუხთა-  
ლი და გამწირავი აქ რად მოსულხარო? მაგრამ არ შევჩაჩება,  
სამაგიერო სატანჯველს ღმერთი მოგაგებსო! არ ვიცი, პრალს  
რაში მდებ-მეთქი, მოვახსენე, და პასუხი როგორდა მოგცე? მითხარი, რა შეგცოლუ, შენთვის ფერგამერთალსა და ცნობამი-  
ხდილს ასეთი რა მიქნია-მეთქი. უარესად შემომწყრა: ცრუსა  
და მოლალატეს რა უნდა გელაბარაკო, „მამაცისა სიცრუესა,  
ნეტარ, სხვანი რამცა ჰვენდეს!“ გული იმაზე, მეწვის, დიაც-  
ტრად რად მოკტყუვდიო:

„შენ არ იცი ხვარაშშანი საქმროდ ჩემად მოკვენება?!

შენ ჭდრმილუხარ სავასიროდ, შენი პროცესი ამას ნება,  
შენ გახტეხე ფიცი ჩემი, სიმტკუცე და ივი მცნება,  
ლმექამიან. ქმნას და ღავირინო ცუდად შენი ხელოვნება!“



გახსოვს, მწარედ რომ ქვითინებდი და ცრუშლით კალა  
რწყავდი, მკურნალნი თავს გეხვივნენ და ვერს გშველოდ-  
ნენო, ახლა რახან გამიმეტი, მეც გაგიმეტებ ჭრაქმიშვილის  
უფრო დაზიანდესო. იცოდე, ინდოეთს ისე ჭრაქმიშვილის ქა-  
რონება, რომ, ავად განაებდეს, თუ კარგად, მოზიარედ მე  
არ უყავდე. არა, შენ რომ გვონია, ის არ მოხდება, ამაოდ მო-  
უპთარხარ, უნდოსა და უკულმაროს აზრიც ეგეთი მოგსვლია.  
თუ ცოცხალი დავრჩი, ინდოეთში დიდხანს ვეღარ იბოგინებ,  
ბევრიც ეცადო, თავს ტყუილად წააგებ. ახლა წადი, გამეცა-  
ლეო, „სხვა ჩემებრი ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აპყო!“

რა ამის თქმა დაასრულა, ტარიელმა ამოიგმინა და ატირ-  
და.

— ეს რომ მისგან მოვისმინე, — უთხრა მერე - ავთან-  
დილს, — დიღად გავმხნევდი, თვალთაგან ბინდი ჩამოშორ-  
და და კვლავ ღონე მომეცა მისი ნათლისათვის მეცეირა. ახ-  
ლა სადღაა; დავკარგე! გასაკვირი ისაა, სული რომ მიღვას,  
თორემ სიშმაგეს ვინ დამიზრახავს?! რა ვქნა, ბოროტად  
ბბრუნავ წუთისოფელს ჩემთვის მოუცლია, ვერა და ვერ გამ-  
ძლარა ჩემი სისხლით!

— ბედად დროზედ შევამჩნიე, სალოცავი წიგნი სასთუ-  
მალს გადაშლილი ედო. ავიღე, ჯერ ღმერთს, მერე კი მას ქე-  
ბა შევასხი და შევპატრე: მზეო, შენგან დამწვარ-დადაგულს  
ბარემ სიცოცხლეც მომისწრაფე და ის იქნება, ოლონდ, რახან  
აქამდე არ მომკალ, ერთიღა მათქმევინე. თუ გეცრუო ან რა-  
მე პირფერბით მოგახსენი, ზეცა მრისხავდეს და მზის-შუქი  
ვეღარ ვიხილო! გამიგონე, ავი არა ჩამიღენია რა, და ვანკითხ-  
ვა მალირსე-მეთქი. თავი დამიქნია და მიბრძანა: რაცა გაქვს  
სათქმელი, თქვიო. კვლავ შევპატრე: მზეო, მე თუ შენი ღა-

ლატი გულში გამევლოს, ღვთის რისხეა თავს მესად დაბრ-  
ტყდეს-მეთქი:

### პრივატული

„ვისი ვინდა უშენოსა პირი მეტოს, ტანი მატერი და მაშინ  
მაშინ რაც დაკარი დავტე, რა ლაშვარი ზუღა ეწინს“

— შეფეხ სადარბაზოდ მისმო და დიდებეზირთა ბჭობა გა-  
მართა. დავრჩმუნდი, რომ ზედსიძედ ხვარაზმელი უფლისწუ-  
ლის მოყვანა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ. დამეშალა, მაინც  
არ დაიშლიდნენ და უგნერებად ჩამეთვლებოდა. გული გავი-  
მაგრე და თვისისთვის ვუთხარი: ამჯერად ასე სჭობია, დავუდას-  
ტურო-მეთქი. უარი როგორ შემეკალრებინა, რახან თვითონ-  
ვე ვერ მიმხედარა, რომ ინდოეთი უპატრონოდ არ და-  
რჩენილა:

„ტარიელ აჩს მემამულე, სხესა პშართებს აჩად აჩა,  
ვის მოიფანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?“

ბევრიც ვიუარო, ამით არაფერი გამოვა, სხვა რამ უნდა ვიღო-  
ნო-მეთქი, გავიფიქრე და მხნეობა მოვიკრიბე, თუმცა „მელვა  
გული მხეცისაებრ“ და ტყე-ველად გაქრას ვნატრობდი. რას  
მიქვიან, „ვისმცა მივეც თავი შენი, შენვე რად მე არ წამევა-  
რო?“ ამათდ გარჯილან-მეთქი.

„სულთა ვეყიდდი გულისაოვის; კოშეი აჩად გამებაზრა.  
იგი წვიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდი აზრა,  
ვნახე, ძოწისა მარგალიტი გარე ტურფად მომაზრა.“

— ეს აზრად როგორ მომივიდათ, მითხრა. ვერა,  
შენს ღალატსა და ორგულობას ვერ დავიჯერებ, ღვთისა და  
კაცის წინაშე ასეთი უმაღლურობა რაზედ უნდა გამოგეჩინა?!

გეწადა, აგრე იყოს: ხელმწიფედ მე და შენ ღამებდეთ / გამოხატვა  
სიძე-სძლობას ესა სჯობიაო.



„მოლმობიერდა, მომიტება გამწურალი, გარდისქმური ცნული  
ანუ მზე იყო ქვეყანად, ან მოვარე პირ-გავსებრი ირმის ირმის  
ახლოს დამისვა, მაღირსა აქამდის არ-ლირსებულია,  
შეუბრებოდა, დამივსო ცეცხლი იშითა გზებულია“.

მერე მითხრა: „გონიერი ხამს აროდეს არ აჩქანდეს“, რაცა  
სჯობია, დინჯალ უნდა მოვაგვაროთო. სასიძო რომ არ მოუშ-  
ვა, ვაითუ ამან ხელმწიფე გაამწაროს, „შენ და ივი წაიყიდ-  
ნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!“ მოუშვებ და შემირთავს, ისინი  
იშვებენ და იხარებენ, ჩევენ კი, ერთმანეთს დაშორებულნი,  
ასკეც სატანჯველს მივეცემით, ძოწეული ძაძით შეგვეცვლება.  
არა, ეს მოუთმენელია, რომ სპარსინი გაგვითავადდნენ, ხეარაზ-  
მელთა მონა-მორჩილი გავხდეთო.

— ღმერთმა ნუ ქნას, იმას შენი ქმრობა ელირსოს-მეთქი,  
მოვახსენე. ინდოეთში შემოვლენ თუ არა, უუჩეენებ, რა  
მეომარიცა ვარ, ჩემი ძალგულოვნება, იი, მაშინ ნახონ: ისე  
დავხოცავ, ხელის გაქნევაც ვერ მოასწრონ-მეთქი.

— რაც გინდა იყოს, ქალი ვარ და ქალური გულჩვილობა  
მომდევსო, მითხრა: დიდ სისხლისლერას ერიდე, ლაშ-  
ქარს ნუ იახლებ, სასიძო მიპარვით მოვალ, მის რაზმს კი და-  
ეხსენ, ნუ დახოცავ, კაცმა კაცის სისხლი უბრალოდ რად უნდა  
იტვირთოსო. ისე მოიქეც, ჩემო ლომო და გმირთა მძლევე-  
ლო! ეს იქნებაო ნამდვილი სამართლი, ხმელ ხესაც რომ სი-  
ცოცხლეს არიქვებს: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნ-  
ხელსა ნედლად“.

— რა ივი მოჰკლა, მამაჩემს შეუთვალე, ინდოეთს სპარ-  
სთა საორეშოდ ვერ გავხდი-თქო: ჩემი სამკვიდრო მამულია

და ერთ ციდასაც არავის დავუთმობ, თავი გამანებე, თავი კი  
ციხე-ქალაქს ერთობ გაგრამტვერებ, ტრამალად გაძლიერ  
თქო. ჩემი ნდომა და სიყვარული არც ასესნო, რომ შენი სა-  
მართალს ჩრდილი ვერავინ მიაყენოსო, ხელიწილი უწერდე  
დრეკილი თვითონვე შემოგეხვეწება და „ხელის შოგცეს ჩაერ-  
ჩემი, შეგვფეროდეს ერთგან სხდომა“.

— მისი რჩევა მეტად მომეწონა. მტერს ხმლით ავე-  
ფავ-მეთქი, დავიქადე. მერე წამოსასვლელად რომ წამოვდექი,  
ისევ დაჯდომა შემომთავაზა. მინდოდა მოვხევოდი, მაგრამ  
ვერ შევძედე.

„ხანი დავყავ, გავეყარე, მაგრა გაეხე ვითა ხელი.  
ასმათ წინა ჩამომიძლე, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი.  
ჰირი ბევრგველ ვაათასი, ლხინი ჩემი ვაერთხელი,  
მერმე წასლვა არა მწადდა, ამად მივაღ არ-ფიცხელი“.

## გარიელისაგან ხვახაზმელი სასიძოს მოკველა

— მაცნემ, სასიძო მოდისო, გვახარა. რას  
იფიქრებდა, რაც იმას მოელოდა. მეფეს დიდად ეამა, მიმიხმო,  
ახლოს დამისვა და მითხრა: ეს დღე ჩემთვის ლხინისა და სი-  
ხარულის დღეაო, დიდებული ქორწილი უნდა გადავიხადოთ,  
ყველგან კაცი გავგზავნოთ და მოელი საუნჯე აქ მოვატანი-  
ნოთ, უხვად გავსცეთო საბოძვარი, „სიძუნწე უმეცრულია“.

— ის იყო საქმეს შევუდექი, რომ სასიძოც ჭრავებით.  
აქედან ჩვენები გაეგებნენ, იქიდან ხვარაზმელნი წოდვნები და  
ერთად იმდენმა ლაშქარმა მოიყარა თავი, ტევა აღარ იყო.  
მოედანი კარვებით მოკაზმეთო, ბრძანა ფარსაზღვრები და მის მიზან  
ცოტა ხანს დაისვენოს, მერე კი მოყმენი უშენესობრივი და ეს  
ისინიც „კმარიან იქა ნახვისად“, შენ აქ ინახულეო.

„მოედანს დაუდგი კარვები წითლისა ატლასებისა,  
მოვიდა სიძე, გარდახდა, დღვ, ჰგვანდა, არს აღვსებისა,  
შეიქმნა გასლვა შეიგანთა, ფარია მუნ ხახებისა,  
ლაირეს დგომა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასებისა“.

— თავი არ დამიზოგავს, ჯერისაებრ გავისარჯე და და-  
ლლილ-დაქანცული დასაძინებლად შინ წამოვედი. მსახური მე-  
ახლა და ასმათის ბარათი მომართვა, მწერდა: „ადრე მოდიო,  
გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა“. ცხენიდან არც ჩამო-  
ვსულვარ, ფიცხლად გავეშურე. ასმათი ნამტირალევი დამ-  
ხედა, ვკითხე: „ცრემლსა რასა პმილდი?!“ შენს გადამქიდეს  
სატირალს რა გამომილევსო, შემომჩივლა, მუდამ მოსარჩედ  
როგორ დაგიდგე ან რით გამართლოო?! შემიყვანა, ენახე,  
წარბშეკმუხვნილი იქდა.

„შე ეეღარას იქშის შის მეტსა, შას განენაოლა რომ არე.  
წავდეგ, მიპრძინა: «რასა სდგა? დღე გიჩანს წინ საომარე!  
ანუ გამშირე, შიტურე და კილაცა მოიმულომარე?!»

„მე მეშეყინა, აღარა ვოქვი, ფიცხლად ვარე შემოვბრუნდი,  
უკუ-უპყიფელე: «აშ გამოჩენდეს, არ მინდოდეს, ვისცა უცნდი!  
ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, აგრე ვითა დავძაბუნდი?!»“

— შინ მივედი და ჭაჭვ-იარალით შევიჭურვე, მის მოკვ-  
ლას ვესწრაფოდი. ასი რჩეული მეომარი ვიახლე, შევსხედით

და ქალაქი უხმოდ გავიარეთ. რა მივადექით, კარგის ეპლთა  
ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე“ და „შეკედი, სისიძო ნე-  
ბივრად იწვა და ეძინა, გახსენებაც კი ტაზე მუცელ ფართზე  
ვსწვდი და თავით სვეტს მივახალე. უსისხულური მუცელი-  
ცა მისი სისხლი მწყუროდა. „წინა-მწოლთა დაიზახეს“ და  
საარაյო გლოვას მიეცნენ. ცხენს მოვევლე და გამოვეშუ-  
რე. დიდი განგაში ატყდა, მდევარი დამადევნეს. ვინც კი და-  
მეწია, დავხოცე.

„ქალაქი შექონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი,  
მუნ შეიგან შევე მშეიღობით, ამოდ ივივე მე ვარი!“

მთელ ღამეს, უკუნ სიბნელეში, მდევრის მოსკლა არ შეწყვე-  
ტილა. ჩემი მკლავის ამბავს რომ ეგბულობდნენ, დამფრთხალ-  
ნი თავს ხელით იფარავდნენ, თუმცა ჭერ არა სჭირდათ რა. ყველგან კაცი გავგზავნე და ინდოთ ლაშქარი ვიხმე: ვისაც  
გინდათ მომეშველოთ, აქეთ ისწრაფეთ-მეთქი.

— უთენია ავდექი და შევეკაზმე. დილით მეტის სამი დი-  
დებული მომივიდა, შემოეთვალა: ღმერთია მოწამე, შვილი-  
ვით გამიზრდისარ, და სიხარული გლოვად რად შემიცვალეო?!  
უდანაშაულო ხვარაზმელი უფლისწულის სისხლი რად დამა-  
კისრე, ადრევე რად არ მითხარ, თუ ჩემი ქალი გინდოდაო?!  
რას მერჩოდი შენს ბებერ გამზრდელს, რომ სიცოცხლე გამი-  
მწარე და შენი თავიც დამიკარგე, სიკვდილის დღემდე განუყ-  
რელად თან არ მაახლებინეო.

„მე შევუთვალე: «მეფეო, ვარ უმაგრესი რეალისა,  
თვარა რად მიშლის სიკვდილსა ცეცხლი სირცხვილთა ილისა?  
მაგრა, თვით იციო, ხელმწიფე ხაშს შემნელი სამართალისა.  
მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისაა.“

— მოგეხსენებათ, ინდოეთში ჩამდენი სატარო ციკური,  
სხვა მეფენი ამოწყვეტილან და მთელს მათ სამულობელოს  
ახლა თქვენ დაპატიონებიხართ-მეთქი. მაგრამ კიმურა უფრო უფრო  
თვისაც ძე არ უბოძებია, ერთადერთი ასული უჯრებირი ზოგიერთ  
მცვიდრე მარტო მე დავრჩენილვარ და წესით ჩემ გარდა ტახ-  
ტი სხვას არავის ერგება-მეთქი. აბა, ეგ საღაური სამართალია,  
გადამთიელი გაგვიხელმწიფო, მე წელზე ხმალი მერტყას და  
ინდოეთს მეფედ სხვა დაჭდეს! ვერა, თქვენმა სიკეთემ, მაგას  
ვერ დაგუაბულდებით-მეთქი:

„შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე,  
ინდოეთი ჩემი არის, არვის მიესცე ჩემგან კიდე,  
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოვფხერიდე,  
სხვას მეშველსა გარეგანსა, მოშეალ, ვისცა ვინატრიდე!“



## ნესტან-ჩაგოჯანის ჩაკაგვის ამბავი

— დიდებული გავისტუმრე. დარდი უფ-  
რო შემომაწვა და გამანულა. მისი არა ვიცოდი რა და მომეტე-  
ბულად ეს მტანჯავდა. მინდვრის მხარეს რომ ზღუდე მქონ-  
და აგებული, იმას გადავადეჭ და... საშინელი ამბავი შევიტყ-  
ვე, მიკვირს, თავი რომ არ მოვიკალი! ორი ქვეითად მომავალი  
დავინახე და წინ მივეგებე. ვიღაც მონას ქალი მოჟყავდა, ვი-  
ცანი, ვინც იყო:

„თავ-გაგლეჭილი ასმათი, პირს სისხლი ჩამომდინარე,  
ალარ შიყივდა ლიმილით, არცალა გამიცინა-რე!“

მისი შემყურე დავიბენი და სიშმაგე მომერია. — რა ამაცია  
ჩვენს თავს, რა მეხი დაგვცემია-მეოქი, შორიდასვე შეკვეძი-  
ანე. მან საბრალოდ შემომტირა და ძლიერ ესრა დაწინავლა:  
„ღმერთმან სიმგრძვლე ცისა ჩვენთვის რისხვით წარმატებაზე!“  
ახლოს რომ მივედი, კვლავ ვკითხე: რა დაგვმართოს, მართველი  
თქვიმეოქი. ისევ საცოდავად ამიტირდა, მწუხარებით გაოვ-  
ნებულს დიდხანს ენა ველარ მოებრუნებინა, „მეტად წით-  
ლად უღებვიდა სისხლი ღაწვთა ნაწვეთალი“. მერე მუდარით  
მითხრა: მოგახსენებ, რალას დაგიმალავ? ოლონდ, როგორც  
მე გაგახარო, შენც ისეთი მოწყალება მიყავ: გეხვეწები,  
ღვთის გულისათვის შემიბრალე და „დამხსენ ჩემსა საწუთ-  
როსა“, ნუ მაცოცხლებო!

— როცა სასიძო მოპკალი და ხმა დაგივარდა, — მიამბობ-  
და ასმათი, — მეფე ზე აიჭრა და გამწარებულმა ყვირილი  
მორთო, მყისვე შენ გიხმო. მოგნახეს და, შინ რომ არ იყავ,  
მოახსენეს, სადღაც წასულაო. მაშინ კი მოპყა ჩივილსა და  
მუქარას: ძალიან კარგად ვიცი, რად დაუღრია სისხლიო, მას  
ჩემი ქალი უყვარდა, „რა ნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა  
ვერ დაომიან“. თავი მომიკვდეს, თუ ჩემი და ცოცხალი და-  
ვარჩინო, ღვთის მადლმა, სულს ტანჯვით ამოვხდი, ეს რა მი-  
ყო, რანაირი აუზრდია:

„მე ღმრთისა ვეოთხარ, დაებამს მას ეშმაკისა ბადესა!  
მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?“

აქ ტარიელმა გაიხსენა, რომ ფარსადან წესად ჰქონოდა  
დადებული, თავი იშვიათად დაეფიცებინა, მაგრამ თუკი და-  
იფიცებდა, აასრულებდა კიდეც.

— ვიღაც ავმა და ბოროტმა მეფის ეს წყრომა რა მოის-  
მინა, მივიღა და ყველაფერი შეატყობინაო „დავარ ქაჯსა, ვინ

გრძნებითა ცაცა იცის“, ისევ მიამბობდა ქმარი.  მა ძმამ საქვეყნოდ თავი დაიფიცა, რომ ცოცხალს არა და გარჩენსო. ღმერთია მოწამე, ბრალი არა მიმიძლევს, როგორუმაგ დავარმა, მაგრამ, რახან ასეა, ვის გამოც და პეტრეშვილი უშესება საც ვკვდები, ერთმანეთს ვეღარ ეღირსონო, დაიქადა.

„პატრინი ჩემი აგრევე იყო, წამოხევ შენ ოდეს, შენეულივე რიდენი ებურნეს, ტრიტად ეშეენოდეს“.

დავარი უშვერად ლანძღავდა, რას არ უწოდებდა, თანაც მო-  
თქმა-ტირილით ემუქრებოდა: საქმრო ხომ მოაკვლევინე და  
მეც ტყუილუბრალოდ ვიღუპები, იცოდე, არც შენ გავახა-  
რებ, „აწ ღმერთისა უნდეს, ვერ მიპსვდე“, ვინცა გწადიაო.

„ხელი მიქუო, წამოზიდნა, თმანი გრძელნი დაუუშნა,  
დაალება, დაალურჩა, მედგრად პირი მოიქუშნა,  
მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულთენა, ოდენ უშნა,  
ჭალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლელნი დაუშუშნა“.

— როცა დავარი მისი ცემით გაძლა, ორი მონა ისმო, ქა-  
ჯებს რომ ჰგვანდნენ, და კიდობანი მოატანინა. „მას შიგან ჩას-  
ვეს იგი მზე“ ჰიქურ და უბოდიშოდ, როგორც ტყვედპყრობი-  
ლი. ზლვისაკენ სარქმელი იყო, კიდობნიანად იქიდან გადაიპარ-  
ნენ და გაუჩინარდნენ. გაბოროტებული დავარი გონს მოეგო  
და გამწარდა: ეს რა ჩავიღინე, ნამდვილად დასაქოლი ვარ! სიცოცხლე მაინც მომძაგებია და, ვიდრე ჩემი ძმი მომკლავ-  
დეს, ბარემ თავს მოვიკლავო, თქვა და „დანა დაიცა, მოცა-  
კვდა, დაეცა, გასისხლმდინარდა“.

— არ გიკვირს, მახვილით გული მეც რად არ გავიგმი-  
რეო, შესაბრალისად შემომტირა ასმათმა, ცრემლად რომ  
იღვრებოდა ახლა ის მიყავ, რაც „შმართებს ამისსა მახა-



რობელსა, ზენაარ, დამხსენ სიცოცხლე სულთანგამა-ტავათობობელსა!

— ერთობ გავქვავდი, გული ლოდიერით ჰუჩირიშტაკა, მანც ვანუგეშე: რა შენი ბრალია, წავალ, ჟიქტურისრიცეს უჭ ხმელს შევაჯერებ-მეოქი.

„შეტმან ზარმან გამაშმავა. მომიერდა ცხრო და თრთოლა.

გელსა ვუთხარ: «ნუ მოჰკედები, არას გარგებს ცუდი წოლა, გიჯოსს გატრა ძეპნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლაა».

ვისაც ჩემთან წამოსცლა გინდათ, აპა, უამია-მეოქი, მივმართე მეომართ. შევეკაზმე, შევჭექი და წამოვედი. ასსამოცი რჩეული მოყმე გამომყვა, ჩემთან ხანმონათევი და მისანდო. ზღვას მივაშურე, ხომალდში ჩავსხედით და გავემართეთ. ზღვაში მარჯვე ადგილი დავიჭირეთ, საცა ყოველი მხრიდან მომავალ ხომალდს უნდა გამოევლო, და უნახავი არავინ გაგვიშვია. ამაოდ მოვილოდინე, ვერა გავიგე რა, და „შმაგი უფრო გავე-გშმაგდი“. თურმე ლმერთს ძალშე ვსტულებივარ, ასე რომ გამშირა!

— მთელი წელიწადი რომ დავყავ, „ზღვა-ზღვა ცურვა მომეწყინა“ და ნაპირზე გადმოველ. გული ერთობ გამიმხეცდა, ალარავის ვუსმენდი. მხლებელნი ამომიწყდა და, ვინც ცოცხალი დარჩენილიყო, ისინიც დამეფანტნენ. ორიოდე მსახური და ასმათილა შემჩრია, ტკბილი ასმათი, ვის ამაგსაც ვერასოდეს გადავიხდი.

„შისნი ვერა ვენენ აშავნი ვერცა ღრამისა წონანი,

ტირილი მინიდის ლხინად და მდინდან ცრემლთა ფონანი“.



— მთელი ღამე მევლო. შეგდევის დილით ზღვის

ნაპირას ბალი გამოჩნდა, მეორე მხარეს კლდის მღვიმეები იყო. ისე შევატყვე, ქალაქს მივუახლოვდით. „არ მეამის კაცთა ნახვა, მიღაღვიდეს გულსა დაღნი“, და ქალაქში შესვლას იქ შეჩერება ვარჩივ. შესასვენებლად ლალად აზრდილ ხეთა ჩეროში ჩამოვნტი. მსახურთ პური ჭამეს, მე კი თვალი მოვატყუე, მივიძინე.

— მერმე ავდევ სევდანი, მიღამებდა გულსა მური:

ვერა მეცნა ეგზომ ვრძელად ვერ ჭორი და ვერ დატური, ველთა ცრემლი ასოვლებდა, თვალთა ჩემთა მონაწერია.

— ძახილი მომესმა და იქით გავიხედე: მოყმე იყო, ამა-  
ყად უიოდა და ზღვისპირ შავ ტაიპს ქარივით დააქროლებდა,  
გაფიცხებული „მტერთა ექადა, წყრეპონა, იგინებოზა, ჩი-  
ოდა“, ხელთ სისხლით მოსვრილი ხმლის ნატეხი ეჭირა, თვი-  
თონაც სისხლი ჩამოსდიოდა, დაჭრილი ტკივილს გაემწარები-  
ნა. მისი ნახვის წალილმა შემისყრო, მყისვე მსახური მივადევ-  
ნე და შევუთვალე: შეჩერდი, ლომს ვინ გიბეზავს დაგჩაგროს,  
მიჩევნე-მეოქი. მან აჩ მოუსმინა, ხმაც აჩ გასცა. „უიცხლად  
შევჭე, ჩავეგებე, მე ჩავუსწარ, ჩავე წინა“, და ვუთხარი: შე-  
ჩერდი, გამაგებინე, რა მოგსვლია-მეოქი. შემომხედა, მოვეწო-  
ნე და შეღგა.

— გამიცადა, ღმერთსა პეადრა: «შენ ასეთნი ხენი ვით ხემ!»  
მერმე მითხრა: «მოგახსენებ, აშ სიტყვანი რომე მეოთხენ:»  
ივი მტერნი გამილომდეს, ქამდისცა რომე ვითხენ,  
უკაზმავსა მიღალატეს, საცურველი გარ ვერ ვითხენ!».

მისმა ოფალტანადობამ მეც გამაოცა და მომზრდოს ჩამოხარვა: კარგი ჭაბუკი იარებს არ შეუღრება, დაწყნარდი, ხის ძირას ჩრდილში ჩამოვსხდეთ-მეთქი. დამიჯერა დაჭრისაშე უფრო უძირმანეთს მამა-შეილივით შევეტკებეთ. ერთი ჩრდილში მარტინი ტაქარი იყო, ისრის პირები ფრთხილად ამოულო და წყლულნი შეუხვია. მერე ვკითხე, ვინ ხარ ან ვინ გავნო-მეთქი. გი-ამბობო, დამპირდა და

„პირველ შითხრა: დარა ვაცი, რა ხარ ანუ რას გამსვავსო, ანუ ვვრე რამ დაგლაი, ანუ პირველ რამ ვაგავსო, რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდ-ვიშერი რომე ქრევსო, ლექერთმან მისვან ანთებული სანრელიცა რად დავავსო?!”

შულდაზანზარის მეფე ვარ, ფრიდონი მქვიანო, მითხრა, მახ-ლობლად ქალაქი მაქვს და ტახტი იქ მიდგას, აქედან მოკიდებული ჩემი სამფლობელოა, მცირეაო, მაგრამ „ყოველგნით სიკეთე-მიუწდომელი“. მერე მიამბო:

— პაპაჩემმა ვაჟიშვილები რომ გაყო, ზღვაში ერთი კუნძულია, იგი ბიძაჩემს არგუნა, ოღონდ იმ კუნძულში წილი მციდო. იქ კარგი სანადირო აღილებია, მე არ მერგო, მაინც ვჩემულობდი და ბიძაშვილები მომერჩილნენ. დღესაც გამოველ, ქორ-შავარდნით მინდონდა მენადირა და ხუთიოდე ბაზიერი ვიახლე, სხვა არავინ. ლაშქარს ვუბრძანე დამლოდებოდა. ზღვის შტო ნავით ვადავცურე და კუნძულშე გავედი, მოზიარენი არაფრად ჩამიგდია, ჩემიანებია და რად დავერჩიდო-მეთქი. ვნადირობდი და ყიჯინასა ვსცემდი. ჯავრი მოსვლოდათ. ასე როგორ გაგვითამამდაო. ლაშქარი ფარულად დამახვიდეს, ნავებითა და ხომალდებით გზა შემიკრეს, დრო მიხელთეს, მათ სიმრავლეს რომ არას დავიდევდი. ბიძაშვილები თა-

ვადაც შემსხდარიყვნენ და დიდი ჯარით იქნო ჩემს ლაშქრის  
ეომებოდნენ.

„ვათი შესმა, დავინახე ზახილი და ხრმალთა ქართული წერტილი.  
ნაფი ცხოველები მენავეთა, მით ციფიცე მე კარგი მომენტი მოიტავა,  
ზღვასა შევვ, მომეგება მეომარი ვითა ლელვა,  
სწადდა, მაგრა ვეღარა ქნენს ჩემი ზედა წამოქეცვა“.

უკან ხომ დიდი ლაშქარი მომდევდა, იქიდანაც მიტევდნენ და  
აქედანაც, „არ მომწურვოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე  
ოდეს“, ერთი მხრიდან რომ ვერ დამჯაბნეს, ირგვლივ მომე-  
ჯარნენ. ხმალმა მიმტყუნა, გამიტყდა, ისარიც გამომელია. რა-  
ღა მექნა, ნავიდან ცხენი ვასკუპე და „ზღვა-ზღვა ცურვით  
წამოვუვე, ჩემი მჰვრეტი გავაცბუნვე“. მდევარი მივუბრუნ-  
დებოდი და შავ დლეს ვაყრიდი, უკანე გარბოდნენ. მხლე-  
ბელნი იქვე დამრჩნენ და ყველანი დამიხოცეს.

„აუ იგი იქმნას, რაცადა ენებოს ღმრთისა წადილსა,  
ვავპა, ჩემი სისხლი არ შექმნის, ძალი შემწევდეს ქადილსა,  
ორჩარ გვუხდი ყოფასა მათ საღამისა და დილსა,  
ვეხმობ ყველია და ყორანთა, მათ ზედა ვაქმნევ ხადილსა!“

— უფრო მეტად მომეწონა ფრიდონი, ჩემი გული ერთობ  
მოინალირა. ცუთხარი: რა გეჩქარება, ვერ იარები მოგიშუშ-  
დეს, მეტე კი მეც წამლგშვები და იმათ სულ მუსრი გავავ-  
ლოთ, ჩვენ ორს ერთად რა მეომარი დაგვიმავრდება-მეოქი. ესეც დავსძინე: ჩემი იმბავი არ გეცოდინება და, თუ დრო  
მოვიხელთეთ, უფრო დაწყნარებულად გიამბობ-მეოქი. საჩე-  
მოდ მაგას რა ლხინი შეედრებაო, მომბეკო, სიძვედილამდე შე-  
ნი მადლიერი და მონა-მორჩილი დავრჩებიო. მიგვიწვია და წა-  
გვიძლვა. რა მივედით, ვნახეთ, თუმცა პატარა, მაგრამ მართ-  
ლაც სიტურეითა და სიკეთით სავსე ქალაქი იყო, ყველას

მდიდრულად ეცვა. ნაბრძოლსა და დაწყლულებისა და გარებრებისა ერთი ვაი-ეშით გამოეგება, „პირსა იხოკდეს გვეყოდეს ნახოქსა ვით ნაფოტასა“, ესვეოდნენ და სხალს კუთხიშვილების მეც დიდი ამბით შემხვდნენ, იმათაც გიგანტისა


„კოლა მოვეწონე, ვატურფე მე მისი გარდნავიდარი, შემისახიდიან ქებასა: დაზეო, შენ ჩვენთვის იღარიშ“



## გარებრებისაგან უაღირესი შვერა

— ფრილონი მალე მომჯობინდა, ცხენზე შეჯდომა და იბჭარ-იარალის ხმარება შეეძლო. მისი ნახვა ერთ რამედ ღირდა: ჟყაცი ხმდა, მისთა მვერეტიათვის ლონებრუა ეაჭა რისა!“ ნავ-ხომალდნი დავკაზმეთ და დიდი ლაშქრით საომრად გავემზადენით. უულხელდაკრეფილნი არც ისინი მსხდარან, ჩაბალახი ჩამოებურათ და შებმას გვიპირებდნენ.

— ზღვაში რომ შევცურეთ, წინ რამდენიმე ნავი ერთად მომეგება, ამაოდ გარჯილიყვნენ: ფიცხლად ზედ შევიჯახე, „ქუსლი ვჰყან და ლაპულელივე, დაიზახეს დიაცურ ვა“. მეორე ნავსაც მივსწოდი, კიდეზე ხელი მოვპოლე და „ზღვასა დავანთქი, დავხოცე, ომიმცა რაღა აგესა!“ სხევებმა იყალრეს გაქცევა და სამალავს მიაშურეს. მხილველთ უკვირდათ და ქებას მასხამლნენ. რა ზღვა გავიარეთ და ხმელზე გავედით, ცხენდაცენ შემოგვიტიეს, სისხლისმღვრელი ომი გაჩალდა.



„მუნ მომეწონეს ფრიდონის სიქველე-სიციცხენია  
იბრძეის ლომი და პირად მზე, იგი ალვისაც ხენია“.

ორივე ბიძაშვილის ხმლით მარჯვედ ჩამოყარა, უკანასკნელი გათოკა და, ამის დამნახავი, „მათნი ყმანი ჰატრინ, მისი ყმანი ამაყარნა“. მტრის ლაშქარს ვეკვეთეთ და ზარდაცემული გავფანტეთ, გაქცეულთ „ქვითა დაეპლეწეთ წვივები, ჩვენ იგი გავანატენით“. ქალაქი ფიცხლად დავიჭირეთ. ნადავლი განძეულობა აღარაფერში ეტეოდა. ფრიდონმა საუნჯენი მოინახულა, თავისი ბეჭდით დაბეჭდა და წამოვიდა, ორივე ბიძაშვილი ტყვედ იახლა:

„მისად ნაცელად სისხლი მათნი მოლეარნა და ველთა ასხნა.  
ჩემი თქვეს, თუ: «ლმეროსა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა!»“

— მულდაზანზარს დაბრუნებულთ მოქალაქენი დიდი ერიამულით დაგვიხვდნენ. იყო ერთი ზეიმი და თვალის სეირი, „აყაბთა მქმნელი მშვირეტელთა გულსა მუნ დააბმილიან“. მე და ფრიდონს ქება-დიდებას გვასხამდნენ და მოწიწებით გვიხსენიებდნენ, მას მეფედ, მე კი მეფეთმეფედ მიხმობდნენ.

„დალრეჯით ვიყავ, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდის შეჩეულობით,  
ჩემი ვერ ცნიან ამბავი, მუნ იყო არ-იეფობით“.



საქართველოს განაკვეთი  
სამართლის მმართველობის  
მინისტრის მიერ მიმღები

გიგანტური განაკვეთი

— ერთ დღეს მე და ფრიდონი სანადი-  
როდ გავემართეთ. კონცხზე ავედით და ზღვას გადავიწედოთ.  
აქ ერთი საკვირველი ამბავი გადამხდაო, ანაზღად გაიხსენა  
ფრიდონმა და მიამბო:

— მაშინაც, აი, ამ ცხენზე ვიჭექი, ზღვაში რომ იხვსა  
ჰვავს, ხმელზე კი შავარდენს, და სანადიროდ მივდიოდი.  
სწორედ აქ შევჩერდი, გაფრენილ ქორს თვალს ვადევნებდი.  
მერე ზღვას გავხედე და დავინახე, რაღაც მოცურავდა: შორი-  
დან ოდნავლა ჩანდა, უჩვეულო სიჩქარით მოსრიალებდა, არც  
მხეცს ჰვავდა და არც ფრინველს. გავკვირდი, ნეტავ, რა არის-  
მეთქი. თურმე ნავი იყო, ნაპირისაკენ მოეშურებოდა. მეტად-  
რე „თვალი ამად დავაცეცი, მთვარე უჯდა კიდობანისა, ცა მე-  
შვიდე მასმცა ვეცი!“ კუპრივით შავი ორი მონა ამოძერა და

„ქალი გარდმოსვეს, სისხონი ვნახენ მისია თმისანი,  
მას რომე ელევ ჰქრობოდა, ფერნიმცა ჰგვინდეს რისანი,  
მან განანათლა სამყარო, გაცუდლეს შექნი მზისანი!

„სიხარულმან ამაჩქარა, ამათორთოლა, და-ცა-მლეწა,  
ივი ვარდი შემიყვარდა, რომე თოვლისა არ ეხეწა,  
დავაძირე შეტევება, კოქვი: «წავიდე მათე მე, წა».

ეცებ ჩავსეჩრო, ჩემს მერანს რა სულიერი გარდაეხვეწება-  
მეთქი. ცხენი გავქუსლე, შამბნარი სულ დეზების ცემითა და  
ლაწა-ლუწით ჩავიჯირითე. მაინც ვერ ჩავუსწარი, „ჩნდა ოდენ  
მზისა ტიალსა, გამშორვებოდეს, წამსლვოდეს, ამისთვის და-  
ვიწვი ალსა“.

— ფრიდონის ნათქვამმა გულს ცეცხლი უარესად შემო-  
მინთო. სირცხვილს რაღას დაგიდევდი, ცხენიდან გადმოვიჭე-  
რი და ღაწვთაგან დანაღენ ჩემსავე სისხლში მტკრწყიშეცვლი-  
რე ვუთხარი: მომკალი, მირჩევნია, იგი უჩემოსტებლების სუსტე-  
და ენახა-მეთქი. ფრიდონი ამას ჩემგან არ მოელოდა. გაოცე-  
ბული იყო, მაგრამ ძალზე შევებრალე და „თვალთათ ვითა მარ-  
გალიტი ცრემლი ცხელი გარდოთოვა“, შვილსავით მომი-  
ალერსა, შემეხვეწა და ცოტათი დამაწყნარა. ბევრი ინანა, ეს  
რა წამოვროშეო. მაგას ნუ ნალვლობ-მეთქი, ვუთხარი, „იგი  
მოვარე ჩემი იყო, მით მედების ცეცხლი მდაგად“. რაც თავს  
გადამხდომია, უკლებლივ ვიამბობ, რახან მეგობრად გამომჩე-  
ნიხარ-მეთქი. მართლაც, ავდექი და ვუამბე.

— ჯერ იყო და იმაზე შეწუხდა: ვაიმე, როგორ შევრ-  
ცხვიო! რას ვიფიქრებდი, რომ შენ, ინდოთა მაღალი ხელმწი-  
ფე, ვისაც დიდზე დიდი პატივი გმართებს, ჩემსა იყავ მოსუ-  
ლიო?! მერე, ჩემი ამბის მოყოლა რომ დავამთავრე, მომიმ-  
ტკიცნა და მანუგეშა.

„კელაცა მითხრა: ევისცა ღმერთი საროს მორჩისა ტანად უხებს,  
მას ლაპარანსა მოაშორებს, თუკა პირველ გულსა უხებს,  
იფი მოგვცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქცებს,  
პირსა ლხინად შევიცვალებს, არაოდეს შევვაწუხებსაა“.

— ნამტირალევი დავბრუნდით და სასახლეში განვმარ-  
ტოვდით. შენ გარდა შემწე ვინა მყავს-მეთქი, შევჩივლე, და  
დიდაღ მოხარული ვარ, შენ რომ გაგიცან, ვისი მსგავსიც ქვეყ-  
ნად ღმერთს სხვა არავინ მოუვლინებია. თუ შემთხვევა მო-  
მეცა, ნახავ, რომ ავი მოყვარე არც მე გულივარ-მეთქი, ახლა  
კი ამასა გოთვოვ, ენა და გონება მომაშველე, რამე მირჩიე:

„რა მოვაგვირო, რა მიჯობს სალხენლად ჩემადღეს შისაუკეთესობას ვარგებ, ვიქმნები ვერ-დაშეოცელი წამისალ“.



— ისეთი ბელინიერება მწვევია, მეტს ვერცხლის მუსიკაში მოიხსენია. მითხრა მან. შენ რომ მესტუმრე, ეს ჩემიაქარის მისალი წესაც ლობაა და სამადლობელი რა გაქვს? შენი მონა-მორჩილი ვარ, როგორც გენებოს, ისე მიმსახურეო! მერე კი დასძინა: ამ ქალაქს ვერა ხომალდი გვერდს ვერ აუვლის, საცა უნდა მიდიოდეს, და ამიტომ, თუკი რამ უცხო და საკვირველი ამბავია, ყველას აქ გაიგონებ, ჩვენც მოვილოდინოთ და „აქა მოგვესმის ამბავი, შენ რომე დაუწვავ ალთა“. ვინ იცის, ესოდენი ჭირ-ვარამი იქნებ ლმერთმა კეთილად გიზღოსო. გამოცდილი მეზღვაურნი გავგზავნოთო, რომ „მოგვინახონ ივი მთვარე“, მათ დაბრუნებამდე როგორმე გაუძელი, ისეთი ჭირი ხომ არა არის რა, ლხინი ვერ მოერიოსო: „ყოლა ჭირი არ ეგების, თუმცა ლხინმან არ დასძლია“.

— მყისვე მეზღვაურნი იხმო და უბრძანა: ნავებში ჩასხედით და „ზღვა-ზღვა მოიცურეთ, მოგვინახეთ, საყვარელსა მისსა მისოვის მოასურვეთ“, რაგინდ გასაჭირი შეგხვდეთ, არ დაერიდოთ, თავს ნუ დაიზოგავთო. საცა კი ნავსაყუდარი იყო, იქაც ამბის მცნობელნი გაგზავნა: ყველგან ძებნეთ, ეგების რამეს ყური მოჰკრათ და კვალი დაიკვლიოთო.

— ფრიდონი ცდას არ იკლებდა, რომ მეფეურ პატივში ვყოლოთი. იმასაც ვერ შერიგებოდა, აქამდე რად არ ვიცოდი, ინდოთა დიდი ხელმწიფე მწვევიხარო. ქებას მასხამდა და მიბოდიშებდა, რა ვქნა, შენი მოსაწონი არა ვამაჩნია რათ. ასე გადიოდა დრო. მოლოდინი ლხინად მეჩვენებოდა, თითქოს ალარც ვიტანჯებოდი, მრცხვენოდა კიდეც, უმისოდ რა მეზნიარულება-მეთქი.

— რაღა ბევრი გავაკრძელო. საცა კი ვინმე ფართი და, ამაოდ დამაშვრალნი დაბრუნდნენ, ვერა გაეგოთ რა, რა კი უფრო მდინარეს თვალთაგან კვლა ცრემლნი შეუშროეს. ფრიდონს ვუთხარი: ღმერჩია მოწამე, ეს დღე შეზრდული რავს და გულს მიყლავს-მეთქი. უშენოდ მყოფი გადამარტინი პ მეჩევნება და „დახსნილ ვარ ლხინსა ყოველსა“, ამიტომ თქმაც მიჰირს, მაგრამ სხვა გზა არა მაქვს: რაკი მის ამბავს არსაით მოველოდები, მეტს ვეღარ გავჩერდები, ნება მომეცი წავიდე- მეთქი.

„ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოერწყო ველი,  
მითხრა, თუ: «ძმაო, დღესიოგან ცუდ ჩემი ლხინი ყოველია!»“

მისი ლაშქარი ხომ მუხლმოყრილი მომაწყდა, „მეხვეოდეს, მა-  
კოცებდეს, ატირდეს და ამატირეს“, მეხვეწებოდნენ, ნუ წახ-  
ვალ და მთელი სიცოცხლე შენი მონა-მორჩილი ვიქნებითო.

— რა არ იღონეს, რარიგ არ იწუხეს და ივაგლახეს, მაინც  
ერას გახდნენ. თქვენი განშორება მეც ძალიან მეძნელება-  
მეთქი, ვუთხარი, მაგრამ უმისოდ შვება-ლხენა როგორ უნდა  
ავიტანო! ვიცი, თქვენც დიდად გებრალებათ და „ჩემსა ტყვე-  
სა ვერ გავსწირავ“, წასვლას ნურავინ მიშლით, ამის დაშლა  
არც იქნება, სულერთია, ვერ დავრჩები-მეთქი. რა დაინახა,  
ჩემსას აღარ გადავთქვამდი, აი, მე რომ მყავს, ფრიდონმა ეს  
ცხენი მიძღვნა და მითხრა: „პხედავ, პირი მზისა, თქვენ სარო-  
სა ეგეც ხენი“, ვიცი, მეტი არა გინდა რა, ამასთან სხვა ძლვე-  
ნი რა მოსატანია, ახლა შენ იცი და მაგან, ან კი ქება რად  
უნდა, თვითონვე მოგაწონოს.

„ფრიდონ გამომყე, წავედით, ორთავე ცრემლნი ვლვარენით,  
მენ ერთმანერთსა ვაკოცეთ, ზახილით გაეიყარენით.

სრულად ლაშექარნი მტიროდეს გულითა მართად, ან ენდო  
ვაზრდილ-გამზრდელთა ვაყრასა ჩენ თავნი დავადარით”

— იქიდან წამოსულმა კვლავ ბევრი ვძელებულებულმე-  
ლი შევაჭერე, გაუსინჯავი არა დამრჩენიარებულებულმა-  
ხავსაც ვერსად ვერავის შევხედი და სულმთლად გავმაგდა,  
მძვინვარე მხეცს დავემსვავსე. ბარემ მხეცებთან წავალ,  
იქნებ მათმა სიახლოედ ურვა მომიქარვოს, ამაიდ რაღას და-  
ვეძებ-მეოქი, გავიფიქრე. მერე ასმათსა და მსახურთ ვუთხა-  
რდი: ვიცი, გავსაჭერ და შეგაწუხეთ, თქვენგან დიდი სამდურა-  
ვის ღირსი ვარ, ახლა მაინც წადით, დამტოვეთ, „ნუღარ უჭვ-  
რეტთ ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთათ მონადენთა“, თავს  
უშველეთ-მეოქი. ჰაი, რასა ბრძანებო, შეიცხადეს, მაგას ნუ  
გაგვაგონებ: შენ შემდევ სხვა პატრონი არამც გვყოლია, შენს  
ნაკვალევზე სიარული ღმერთმა ნუ მოგვიშალოს! ოლონდ კი  
შენ „გიქვრეტეთ საქვრეტელსა შვენიერსა, სატურფალსა“  
და მეტი რაღა გვინდაო.

— რაგინდ ხალისიანიც იყო, თურმე უკულმართი ბედი  
ერთობ ღუნესა და დაუდევარს გაგხდის. მეც, თუმცა არას და-  
გიდევდი, მსახურთ მაინც ვუსმინე და ისევ თან ვიახლე.

„მაგრა დაუყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი,  
სახლად საშუოუნი მიმაჩინდეს თხათა და მათ ირემთანი,  
გაუიჭერ, სრულად დატყვბნენ ქვე მინდორნი და ზე მთანი“.

ტყე-ლრე მოხეტიალე ამ გამოქვაბულთ წავაწყდი, კლდეში  
დევებს რომ შეეკაფათ. გულუშიშრად შემოვები და სულ ერ-  
თიანად ამოვწყვიტე. წუთისოფლის სიმუხთლეს მაინც ვერ ავ-  
სცდი: დევებმა მსახურნი დამიხოცეს და ამან დამაღონა.

— იმ დღიდან, ძმაო, აქ დავიდევ ბინა და აქ ვიტანჯები.  
ხან ველად გავიჭრები გაშმაგებული და მხეცებში გავერევი,

„თავსა მათებრვე მხსენები“, ხან ვტირი და გონია ვკისუა. ასმათი შემჩრია მანუელშებლად, მისთვისვე გულამისათა და განაწამები. მას ვიგონებ და ერთადერთი ეს მოგწევა მასულ დამულებს, ვეფხვის ტყავიც მის გამო ამომიჩენებულ რუსები

„რომე ვეფხი შევნიერი სახედ მისად დამისახულ ბლირის ამად მიუვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახივს“.

თუნდ მოელი ქვეყნის ბრძენთ მოიწალინონ, მას რომ შეჰვე-რის, ისეთ ქებას ვერა და ვერ იტყვიან. ახლა, მის დამქარვავს, სიკვდილის მეტი არა მინდა რა, ღმერთსაც მხოლოდ ამას ვეხ-ვეწები, სიცოცხლე მომისწრაფე-მეთქი.

ეს თქვა და გამწარებულმა

პირსა იცა, გაიხეთქა, ღაწვი ვარდი აიხეწა,

ლალი ქარვად ვარდიქცია, ბროლი სრულად დაილეწა.

ავთანდილსაც ტირილი მოერია და წამწამთავან ცრემლი წან-წკარით ჩამოსდიოდა. როვორც იყო, ასმათის ხვეწნა-მუდარამ გაქრა და ტარიელი დაწყნარდა, მერე აეთანდილს მიუბრუნ-და: „შენ ხომ მაინც „გაამე მე ვერას ვერ ამებულმან“, რომ ჩე-მი ბედრეული ამბავი ვიამბე, ახლა კი წალი და, მის ნახვას დანატრებულმა, სატრფოს მიაშურეო.

— უშენოდ რა გამაძლებინებს, — მიუგო ავთანდილმა,  
— წავალ და, ვიცი, თვალთავან ცრემლიც დამეღინება, მაგ-  
რამ მალე ხომ ისევ გნახავ. სათქმელი სხვაც მაქვს, მართალს  
გეაღრებ და ნუ მიწყენ: შენ ვისთვისაც იტანჯები, მავით იმას  
არა დაელხინება რა. გამიგონე, მე უფრო ვატყობ, თუ რა  
სკობია შენთვის, „სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო სა-  
უბარი“. ასეა, როცა ექიმი დასნეულდება, თავად რაგინდ კარ-  
გი მკურნალიც იყოს, მაინც სხვას უხმობს და ის ეტყვის,

„რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომღებარი“, ფას / ჩოქშველება.

„რაცა ვითხრა, მოშინებინე, ბრძენი გეტუეი, არა ხელა ას გმართეს გავონება, არ კეყოფის, არ, ერთქვედ, ერთული კარგად ვერას ვერ მოივლენს კაცი აგრე ზრდულშემცირებული ახლა წავიალ და იმას მოვინახულებ, ვის გამოც გაუნელებელი ცეცხლით ვიწვი. მის სიყვარულს შემოვიმტკიცებ და შენს ამბავს ვუამბობ, მეტი ჯერ მე იქ არა მესაქმება რა, უმაღვე უკან გამოვბრუნდები. ოლონდ ამასა გთხოვ, არ მიმტყუნო, „ლმერთი იღმრთო, ცაცა იცო, ერთმანერთი არ გავწიროთ, მაციცო და შემომფიცო“. თუ იმას შემპირდები, რომ აქედან არსად წახვალ, მეც ჩემს სიტყვას არასგზით არ გავტეხ: ისევ მოვალ და გნახავ, შენთვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ და, თუ ლმერთმა ინება, „ვისთვის ჰქედები, მისთვის ეგრე არ გატირო“.

— უცხო კაცს ეგრე რამ შეგაყვარა ჩემი თავი, რომ ვეღარ მელევი, როგორც იაღონი ვარდს, — უთხრა ტარიელმა, — ლმერთმა ქნას და „ალვა მორჩი, განაზარდი“ ისევ მენახო! იცოდე, შენი დავიწყება არ შემიძლია, ჩემი გულიდან ვეღარაფერი ამოგშლის.

„პირი შენ ნახეად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს, გელი მინდორს არ გაიჭრას, არ თირმოს, არცა ითხოს. თუ გატყუო, მოვალორ, ლმერთმან ჩისხეით გამიეითხოს! შენმან ჰკერეტა-სიახლემან მოშაქარეოს სეედა, მითხოს!“

— ერთხელ კიდევ წრფელი ფიცით შეიტიცნენ ერთურ-თის სიყვარულით გულანთებული მეგობრები, ურვისაგან ღაწვთა იაგუნდი რომ ქარვისფრად ქცეოდათ და ბრძენი გონება გაშმაგებოდათ. ის ღამეც ერთად იყვნენ. რა გათენდა, ცრემ-

ლითა და ვაებით გაიყარნენ, დაღვრემილნი და უზომოდ შე-  
წუხებულნი. ასმათი ავთანდილს შამბნარამდე გაიცავდა,  
მუხლმოყრილი მოწიწებით ეხვეწებოდა, „აფრი მრავალისა  
ჰეველრებდა, მართ ვითა ია ჰევებოდა“. დაო, უჩქერდებოდა რა ძალა  
მაძლებინებსო, უთხრა ავთანდილმა, მალე ჟინჯულებსი, ზოგი  
დიღხანს არ დავრჩები, ოღონდ თვითონ არსად წავიდეს და,  
ფიქრი ნუ გაქვთ, მე არ გაგწირავთ:

„აქათ ორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა,  
შეიგვენით, მიესცემიგარ ჰიტსა რასმე თანისონსა“.

## ავთანდილის აჩახეთს ჩაბერების ამბავი

— იქიდან წამოსულ ავთანდილს აუტანელი  
სევდა შემოსწოლოდა. „პირსა იხოკს, ვარდსა აზრობს“. მის-  
გან დადენილ სისხლის ცრემლს მხეცნი დასწაფებოდნენ.  
ფიცხლად მოლიოდა და შორი გზა მალე გალია. როცა იმ ად-  
გილს მოატანა, საცა თავისი ლაშქარი მიეტოვებინა, თვალი  
მოპქრეს და იცნეს. სიხარულით რომ გული იჯერეს, მსწრაფლ  
გაეშურნენ და შერმალინს ახარეს: „მოვიდაო, აქანამდის ვის-  
თვის ლხინი გაგვემწარეს!“ ერთგული მოყმე პატრონს  
მყისვე

გაეგება, მოეხვია, ზედა დასდეა პირი ხელსა,

ეკოლებდა, სიხარულით ცრემლსა ლვრიდა, ველთა მრწყველსა.

ნეტავი, ცხადია, თუ სიზმარში ვარ, ეს რა მეღირსა, უვნებელს  
გხედავო! ავთანდილმაც მიუალერსა, სიყვარულით მოიკითხა,

უთხრა: მადლობა ღმერთს, თუ არა გაგვიირვებდა რაზე დადებულებმა თაყვანი სცეს და მოწიწებით ეამბორნენ. დაუკარა მარტამდე ყველა სიხარულს მოეცვა. სასახლემდე ზარ-ზეიმით მოაცილეს, აქ ხომ უამრავი ხალხი მოაწყდა ქართველურად.

### ბიბლიოგრაფია

მოეიდა ნახეად უოველი მის ჭალაქისა კრებული.

მაშინვე დაჯდა ნადამად მორქებული, ლალი, შეებელი.

ენა მის დღისა შეებასა უოლა ვერ იტყვის კლებული

რაც რამ ენახა, შერმადინს სრულად უამბო. უცხო მოყმეზე რომ უყვებოდა, ცრემლმორეული თვალს ძლიერ ახელდა. ბოლოს შესჩივლა: უმისოდ ჩემთვის ყველაფერს ერთი ფასი აქვს, სიცოცხლეს ხალისი დაპარგვიაო. შერმადინმა შინაური ამბები უკლებლივ მოახსენა და დასძინა: როგორც მიბრძანე, ისე მოვიქეცი და ხვაშიადი შევინახეო.

ის დღე ნადიმობაში მიიწურა, სადღა წავიდოდა, დალლილ-დაქანცულმა ლამით გამოისვენა და, ინათა თუ არა, შეჭდა და სატახტოსაკენ გაემართა. ფიცხლად მიეშურებოდა, „სავალი სამ დღე ვლო დღისა ათისა: მას ლომისა ნახვა უხარის მის მზისა მოკამათისა“. მახარობლად შერმადინი აფრინა და როსტევანს შეუთვალა: მუდამ განცხრომა-დიდებითამც სულევდე, მეფეონ ლალსა და ამაყს ამას დიდი რიდითა და მოკრძალებით შემოგვალრებ: იმ მოყმისა რომ ვერა გვეცნა რა, თავი მომძაბებოდა, „აშ ვცან და გაცნევ უოველსა, მოვალ შეებით და მშვიდობით“. შერმადინმა რა ეს მოახსენა, გახარებულმა ხელ-მწიფემ ღმერთს შეჰდლალადა: რასაც გეხვეწებოდი, გმადლობ, რომ ამინდინეო!

თინათინს ჟედრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა: „აფთანდილ მოეა წინაშე, გვადრებს ამბავსა მოსა“.

იგი მით აკრობს ელევასა, შინისაცა უთამაშისა,  
შას საბოძვარი უბოძა, მისი ყველაი დაშოსა.

როსტევანი შეჯდა და ავთანდილს მიეგება. მოყმევ დახვეწე-  
ლან ჩამოხტა და მოწიწებით თაყვანი სცა, ბეჭდების გადა-  
ბადრულმა სელმწიფემ მხურვალედ გადაკოცნა. შვება-ლიქიდი  
გამოეშურნენ და სამეფო დარბაზს მიმართეს. მისი დაბრუნე-  
ბა ყველას სიამეს ჰგვრიდა, დიდებულთაგან ზოგი მთვრალსა  
ჰგავდა, სიხარულით რეტლისხმული. მალე თინათინიც გამო-  
ჩნდა და

შას ავთანდილ თაყვანის-სცა ლომთა ლომთა მშეთა მშესა,  
მენ ბროლი და ვარდ-გმერი გაეტერფა სინაზესა,  
პარი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა-ზესა,  
სახლ-სამყოფი არა ჰშართებს, ცამცა გაიღარბაზესა!

იმ დღეს ნადიმად ისხდნენ და უხვი საბოძვარი გასცეს.  
მეფე მოყმეს, როგორც შეიღლს ტებილი მამა, ისე შექხაროდა  
და უალერსებდა, „მათ ორთავე აშვენებდა ფიფქსა თოვნა-  
ვარდსა ნამა“. ნადიმის შემდეგ მარტო დიდებული დარჩნეო.  
შელმწიფემ ავთანდილი ახლოს დაისვა და აამბობინა, თავს  
რაც გადახდომოდა ან უცხო მოყმისა „რა ენახა, რა ესმინა“.

გამწირავი წუთისოფელი კაცს ჭირში გამოატარებს და  
ნიჩს შეუცელის, მისი სიმუხთლით „ქაცვი ლერწამმან, ზაფ-  
რანა იმსგავსოს ფერად მინამან“. ტარიელი მაინც სხვა იყო,  
შექდაუბინდავი! მისი სახელის ხსენებაზე ავთანდილს ღაშვი ცრემლით დაენამა და ქვითინი აღმოხდა. დაიჩივლა, ნუ გა-  
იოცებო, თუ იმის მომგონი სულ ვკვნესოდე და ვვაებლე:

„მე თუ ვთქვა მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა,  
ვინ უნახავ ქმნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა!  
ვარდი. დამკნარი, უყალთა შეა შორის შეოფი, ახ, ის ა!“

მის ამბავს დაწერილებით მოჰყეა. თხრობა რომ დაისულო, ქება შეასხეს და მხნე მარჯვენა დაულოცეს. მურე მიიღო ულად დაიშალნენ, დიდად კმაყოფილნი.

ის იყო საწოლს მივიღა, რომ თინათინის უფრო მეტ უდიდეს და, გიხმობსო, მოკრძალებით მოახსენა. რაჭიგერამია, ქრისტეს იტყვის. ადგა და ფიცხლად გაემართა „ყმა სოფლისა ხასიათი, ჯავარ-სრული, მრავალ-წყალი“. სიხარულით ფრთაშესხმული მიდიოდა. თავად ხომ ლომი იყო და შამბნარშიაც ლომთა შორის უშიშრად ევლო, მასთან მაინც შემკრთალი შევიღა, თუმცა გული გულთან გაეერთებინა.

შე უკადრა ტახტა ზედა ზის მორცეული, არ ნადევრი, წყლად ეუჩატასა უხვად ერწყო ედემს რგული ალვა შეეცრი, ბროლ-ბადახშა აშევენებდა თმა გიშერი, წარბა ტევრი.

მე ვინ ვაქები ათენს ბრძენთა, ხამს, აქებდეს ენა ბევრი!

თინათინი მხიარულად დაუხვდა, სკამი შესთავაზა და პირის-პირ დაისვა. ლხინით სავსენი ერთმანეთს შესტრფოდნენ, ტკბილად და თამამად ბაასობდნენ. ქალმა უთხრა: იპოვე არა, ვისი ძებნითაც გაიტანჯო? როცა კაცი გულის წადილს აისრულებსო, მიუგო ავთანდილმა, მაშინ უკვე

„ხსოვნა არა ხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასარცლისა. ვპოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყალთა აწყულისა, მუნ პირი, მსვავეს ვარდისა, მაგრა აუ ფერ-ნაკლულისა.“

— მე რომ მივიღია, ისიც იმავე ცეცხლით იწვის და მეტადრე ეს მაღონებს. ვაი, რომ წუთისოფელს უცრემლოდ ვერავინ გადაურჩება! — დაიჩივლა ჭაბუკმა მიჯნურმა და ტარიელის ამბავი უფრი დაწერილებით უამბო: — საბრალოს ვერ აუტანია ბროლ-მინანქარივით სხივმოელვარე გულისსწორის დაკარგვა და გახელებული, მტირალი ტყე-ველად „მხეც-

თა თანა იარების". სიცოცხლე მოსძაგებია და დებორი და  
ახლოს არ ეკარება, ვეფხვივით მღვიმეში ბინაღრობს. „სულ  
თა დგმად და ქირთა თმენად" ერთადერთი ფქშვიცე წჟუჟეს  
სატრფოს რჩეული მოახლე და მეხვაშიადე. ტრუჟლებუკუმჭუცე კ  
რა ენა იტყვის ან მის მნახველს სხვა რაღად მოეწონება:

„თვალი მეცრეტელთა, ვით მზისა ციაგსა, დაელონების,  
ვარდი შექმნილა ზაფრანად, აწ ა შეიკონების!"

თინათინს წადილი აუხდა: ამბავი, მის შეტყობის რომ ასე ნატ-  
რობდა, დიდი ხალისით მოისმინა და „განათლდა პირი მთვა-  
რისა, ვით ნათლად ნავანებისა". თანაც ამ ამბავმა ჩააფიქრა  
და გული აუჩვილა. რა ვუშველოთ, ჭირთა გაძლება რით გა-  
ვუადვილოთ, მის წყლულს რა წამალი ეწამლებაო, ჰკითხა  
ავთანდილს. მოყმემ აღარ დაახანა და გაუმჯლავნა:

— მისელის ვადაც დამითქვამს და მზეც შემიფიცავს, შენ-  
თვის სიცოცხლეს არ დავიშურებ-მეთქი. იგი ჩემი გულისთვის  
არ დაერიდა და თავისი მწარე თავგადასავალი გაუძლისი წვა-  
ლავით მიამბო. მომენდო, მიძმო და როვორლა ვუმტყუნო!

„ხამს მოყვარე მოყერისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად,  
კვლა მიწნურსა მიწნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად. —  
ისა, მაქვეშეა უმისოსა-ლხინი არმად, თავი ფლიდად!"

— აქამდის დადაგული გული დამიამდა, სურვილი რომ  
ერთობ ამსრულებია, — უთხრა თინათინმა: — შენ მშვიდო-  
ბით დამიბრუნდი, გადაყარგული უცხო მოყმის მპოვნელი, და  
დამიბრუნდი ისე, რომ „ზრდა სიყვარულისა გაქვს, ჩემგან  
დანერგულისა". წუთისოფელი ყველასათვის ამინდივით ცვა-  
ლებადი ყოფილა: კაცს თურმე ხან მზეს გამოუბრწყინებს და

ხან კიდევ ცას რისხეით მოუქუხებს. ხომ ჭარაზ,  ასე ლხინად უხვდების“, რაც უშენოდ ჭირი მიზნეავს, რათვან შვება აქცს სოფელსა“, არა, უსასო ურეა-წუქუჭურაშოთვეში არ უნდა მისცეს.

### გიგანტისა

„შენ არ-გარეხა კარგი გვირს ზენარისა, ფიცისა,

ხამ ვასრულება მოუკრისა სიყვარულისა მტკიცისა“.

შენ წახვალ და, თუ რამ ეწამლება, ვიცი, გაუჩენელს გააჩენ და მიეშველებიო, ოღონდ მე რა ვქნა „ბნელ-ქმნილმან, მზე მიმეფაროს, მი, ცისა?“

— შენმა მცირე ხნით ნახვამ ურვა უფრო მომიმატა, — შესჩივლა ჭაბუკმა, — დამშრალ წყალს სულის შებერვა რას გაათბობს? ისიც ხომ ამაოა, მზეს მაღლა, ცაში, დაბლიდან სიყვარულით ეალერსებოდე და ამბორს უგზავნიდე. „თუ გეასლო, ერთხელ ვა და, რა მოუშორდე, ათასჯერ ვა!“ საშველი ველარ დამდგომია და ეს არი.

„ვა თუ ვავიცრა, ვაჭრილსა სადა, გლაბ, დამწვავს სამ ალი, გული ძეს სავნად ისრისა, მესრეის საკრავად სიმაღლი, დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითვან ჩანს ნასამაღლი, მაღვა მწადს, მაგრა გარდახდა ქაში პატივთა სამაღლი!“

ვიცი, ვარდი უკელოდ არ მოიხელობა და, თვითონ ხედავ, ეკალს არც ვუფრთხიო, დასძინა ავთანდილმა, ოღონდ, „მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე, სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე!“ ტკბილი მოყმე იყო და ენაც ტკბილი ჰქონდა, მისთვის სიკეთეს ვინ დაიშურებდა? ქალმა წადილი წამსვე აუსრულა: მარგალიტის მკლავსაბამი შეიხსნა და მისცა.

რა სკობს, რა კაცმან ვაშერი ბროლ-ლალსა თანა ახიოს, ანუ ბალს ილვა საროსა ახლოს ჩვენს, მორწყოს, ახიოს,



შისხა მცერეტელსა ილჩინოს, ეერ-მცერეტსა ავაგდაბისას  
გა მოყვრისა ვაყრილსა, ანი ოს ეყოს, ანი ოს!

ერთურთის კერეტით ტკბებოდნენ და ხარისხები შავლები  
რა მისგან წამოვიდა, ავთანდილს სევდამ ხელი დარიალის ტკბები  
შმაგდა, მცერდში მჯილს იცემდა და ილურჯებდა, ცრემლად  
ილვრებოდა მიჯნურობით აგულჩილებული: „მზე ტირს სის-  
ხლისა ცრემლითა ზღვისაცა მეტის-მეტითა“. რად ვერ გა-  
ძლაო ჩემი სისხლით წუთისოფელი, მწარედ ქვითინებდა. ასეა,  
„რა ლრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს“,  
მასაც შუქმომუინარე სატრუოს დაშორებით გულს ბინდი და-  
სცემოდა, თინათინის სიახლოების სიამე ჩაშხამებოდა. ცრემ-  
ლითა და ვაებით გზად მიმავალს მძიმე ფიქრები სულ უფრო  
უკარგავდა მოსვენებას, თავის ძნელბედობას მოთქვამდა,  
წუთისოფლის სიცრუესა და სიმუხხთლეს უჩიოდა:

სისხლში და ცრემლის ვარევით ღაწეო ქმნის ღარად და ღარად,  
იტყვის: „მზე ჩემიგან თავისად კრა დასადებლად აღარად  
მიყვარს, თუ გული ალმასი შევმან წამეგმიშინ ღალა რად,  
ვირე ვნახევიდე, სოფელო, მინდა სალჩინოდ აღარად!

„ვინ უწინ ედეს ნაზარდი ალეა მრგო, მომრწყო, მასია,  
დღეს საწერომან ღახეარსა მიმცა, დანასა შახია,  
დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დამშიო დამიბა, მახია,  
აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩშახია!“

ვერც შინ მისულმა მოისვენა, საწოლზე წამომჯდარი ისევ  
სისხლის ცრემლს აფრქვევდა და ვონი მისდიოდა. სატრუოს  
სახე სულ თვალწინ ედგა დათრთვილული ბალახივით ფერ-  
გამკრთალს. „ჰევდავთ, ვარდსა უმზეობა როგორ იღრე დააჩნ-  
დების!“ თინათინის მკლავს ნაბამი მარგალიტის სამკაული სა-  
ოუთად მკერდში ჩაიკრა და ემბორა. მერე, გული რომ ვერა-

ურით დაიწყნარა, გამწყვრალმა მისი სიხარბე<sup>და</sup> დაუდიორმ-  
ლობა დაგმო:

ტრანსლატი  
შელი — ფამ-ებიძე უოველთა ვირთა მომო, ტესტა ჩატაქელი,  
გელი — ბრძა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,  
ვერცა მატრონობს სიკვდილი, ვერც პატრონია რომელი=

რა გათენდა, კაცი მოუვიდა, მეფე დარბაზს გიხმობსო. შეისვე გაემართა, ლალად და მოხდენილად მიეშურებოდა, დარღვა და უძილობას არ იმჩნევდა. მოყმის სანახავად უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ერთმანეთს აწყდებოლნენ, ტევა აღარ-სად იყო. უჩვეულო ურიამული იტგა, საკრავთა ხმიანობას ხომ შურთასმენა წაელო. მეფე შეეკაზმა და შეჯდა, ავთანდილი სა-ნადიროდ აწვია. თან იმდენი წაეყვანათ, „მზესა ქორნი აბნე-ლებდეს“, მწევარ-მეძებართაც თვლა არა ჰქონდათ. უამრავი ნადირი დახოცეს, სულ სისხლით მორწყეს მიდამო. სასახლე-ში მხიარულნი დაბრუნდნენ, აქ გაშლილი<sup>8</sup> სუფრა ელოდებო-დათ. დიდებული ნადიმი გაჩაღდა, მომლერალ-მოსაკრავენი ხომ, ნულარ იყითხავთ, ისეთნი იყვნენ. ავთანდილი მეფეს გვერდით დაესვა და ტკბილად ბაასობდნენ, იციონოდნენ, ხა-რობდნენ, „ბაგეთა გასჭვირს ბროლ-ლალი, მათ კბილთა ელ-ვა ჰქონდებოდა“. მახლობლად რჩეულნი ისხდნენ და ისმენდ-ნენ, „შორს ჭარი დაიჯრებოდა“. უტარიელოდ ხომ ენა ვერა-ვის მოებრუნებინა, ყველა მის სენებაში იყო.

მოყმე შინ გულმოკლული მივიდა. სასახლიდან წამოსულს გზად ბევრი ცრემლი ელვარა. თვალშინ სულ სატრფოს სახე ედგა, თინათინი ელანდებოდა. ვერა და ვერ დაწყნარებული- ყო: „ზოგჯერ აღვის, ზოგჯერ დაწვის, ხელსა რაღმცა დაეძი-

ნა!“ გულს ამაოდ ეველრებოდა, აიტანეო, არ უსმერნდა, წარჩინდა.

წევს, იტყვის: „გულსა სალხინო რამპარა დაუცაქესი მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ჭყაფული მოგვიანებულთა ნიშატი, ევრ-მევრეტთა საფავლახეო, ცხადად ნიხვასა არ ლირს ვაჩ, ნეტარმცა სიზირად ვნახეო!”

მოთქმა-ტირილით ამას შეპლაღადებდა სატრაფოს. მერე კვლავ შეეცადა დაწყნარებულიყო. გულს უთხრა: მოთმენაო „ჰევან-დეს სიბრძნისა წყაროთა, არ დავთმოთ, რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოვუგვაროთა?“ ლეთისაგან თუ ლხინი გვინდა, ჭირიც ავიტანოთო! იცოდე, გულო, სიკვდილს რაოდენ მოწა-დინებულიც ვიყოთ, სჯობია, სიცოცხლის გასაძლებად თავი გამოვიდოთ, ოლონდ დამალე, ვერავინ შეგატყოს, რა ცეცხლიც გიყიდია, მიჯნურს ხომ მიჯნურობის გამეღავნება „ავად შეჰფერობს“, არ შეშვენისო!

## ავთანეიღის მიერ ჩოსგევანისაგან ხეღახეღ გაგვიგის თხოვნე

გ ათენდა თუ არა, ავთანდილი შეეკაზმა, შეჯდა და ვეზირის სახლისაერ გასწია. გზად სულ იმის ფიქრ-ში იყო, ნეტავი, მიჯნურობა არ დამეტყოს, არავინ შემამჩნიოსო. გულს ჰვლავ ეველრებოდა, მოითმინე, გაუძელიო. ვეზირმა მოყმე ჩომ დაინახა, მიეგება, თაყვანი სცა და 8.

ქება შეისხა: ჩემს კერას ეს რა ელირსა, მზე ამომდინარენდი! დღეს სასიხარულო ნიშანი მენიშნა და თურმე ამის მოაწევებდათ. ასე, „ხამს სტუმარი“ სასურველი, უპირესულ შეკრული“. ვეზირმა ცხენი ხალისით ჩამოუკრულ გრძელდა.

უერხთა ქერე ხატაურსა უფენენ და მიწად უქმინ.

ყმამან სახლი განანთლა, ვით სამყარო მზისა შექმან,

ოქეას: „სერნელი სული ვარდთა დღეს მოვაბერა ქეენა ბუქმან“.

მნახველთ გული მისდიოდათ და ოხერა-კვნესა ვერ შეეკავებინათ. მისი ჭვრეტით რომ ჭკუას კარგავდნენ, ესახელებოდათ კიდევ. მოყმემ ვეზირთან განმარტოება ისურვა და ჭალაბობა გაიკრიფა.

— სასახლეში ისე არაფერი მოხდება, რომ შენ არ შეგარყობინონ და მოგეხსაუბრონ, — უთხრა ავთანდილმა ვეზირს, — მეფეს შენი ხათრი აქვს და, რა საქმესაც მოიწადინებ, უარს არ გეტყვის. ახლა ჩემს გასაჭირს გიამბობ და „მკურნე, რაცა შეკურნების“. იმ მოყმის სატანჯველს დაუუწვავარ, მისი ცეცხლი მეც ცეცხლად მომდებია. თვითონ ჩემთვის სულიც არ დაუშურავს. მისგან ისე ვარ დავალებული, „შეზღვა ხამს შეუზღველისა! ხამს სიყვარული მოყვრისა უხვისა, უშერველისა“. უნდა წაეიღე, უმისობის ატანა მეტი აღარ შემიძლია.

„მისი ნახევ გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,

მუნევ დაჩხა, დაომობაცა მასთანაევ დაება, და!

ჩათვან დაწვიეს მოახლეთა, ღმერთსა მშედეა დაებადა,

მერმე ამათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაებადა“.

როცა ვშორდებოდი. დიდი ამბით შევფიცე: კულავ მოვალ და მოგეშველები, „შენსა მე ვეძებ ნათელსა“, ვისთვისაც გული დაგბნელებია-მეთქი. ჩემი წასვლის დრომ მოაწია და ამაზედ ეწუხვარ. არას დაგიფარავ, სრულ სიმართლეს გეტყვი: მიმე-

ლის და ვერ წავსულვარ, გაუნელებელი ცეცხლით სწორედ  
ამიტომ ვიწვი.

„ვერ გაეტებ ზენაარსა, ვერ გაესწირავ ხელი ხელშემოვავა—  
რამცა საღა გაუმარჩედა კაცა, ფიცია გამრეხელს ნიშანებით  
ხელმწიფის კარის თავკაცი ხარ და, ფიცით მითქვამს, ეს  
იცოდე: თუ არ შემიძყრობს, წასვლას არასგზით არ და-  
ვიშლი, შეპყრობილი კი რაღად ვუნდივარ, რაში გამოვადგე-  
ბი? მიშველე რამე, სანამ გულს ცეცხლი ერთობ დამიწყლუ-  
ლებდეს. როსტევანს ეახლე და, რაც გითხარი, ჩემ მაგიერ მო-  
ახსენე: დიდებულო ხელმწიფეო, ღმერთია მოწამე, ამას რა  
შიშითა და ძრწოლით შემოგადრებ-თქო,

„ზაგრა მან ყმამან ცეცხლითა დამწერა, ალვისა სახემან,  
გული წამხავე წამილო, ვერათ ვერ შევინახე, მან!“

ახლა, მეფეო, იგი რომ არ ვნახო, არასგზით არ იქნება-თქო:  
მთელი არსებით იქან ვარ, „გული მას აქვს გულოვანსა“ და  
უგულოდ აქ რის მაქნისი ვარ! თუ რამეს ვარგებ, უპირვე-  
ლესად თქვენი სახელია, ვერ ვარგებ და, გულს მაინც დავ-  
დებ, რაც უნდა იყოს, ფიცს ვერა და ვერ გავტებ-თქო. ჩემი  
წასვლა ნუ გეწყინებათ და ნუ დალონდებით, ღმერთს რაც  
ენებოს, დაი, ისე იყოს-თქო. იქნებ გაგვიმართლოს და კვლავ  
გეახლოს თქვენი ავთანდილი, თუ არადა, „თქვენმცა ჰსუ-  
ფევთ, თქვენი მტერი დაძაბუნდეს!“

— მეფესთან რომ არავინ შეგასწროს, სათქმელს ვამოკლებ,  
— უთხრა მან ვეზირს. — ახლავე წადი და მოახსენე, აბა, შენ  
იცი, თავს ნუ დაიზოგავ და ისე შემავედრე, სიამტებილობით  
გამიშვას. ქრთამაღ ასიათას ოქროს მოგარიმევ.

— შენი ქრთამი შენ გქონდეს,—სიცილით უთხრა ვეზირმა,

— შენგან წყალობად ისიც მეყოფა, გამგზავრებას ჩოტ გირები! როცა მეფეს მაგას მოვახსენებ, ვიკი, უსათუოდ ასამოვარით ამავსებს, შოგნა ვის მოსწყენია? მისმა სახეობები გამათავებს, მგონი, წამიც აღარ მაცოცხლოს: შეკვეთი წარმატები ჩავწევები, შენი ოქრო კი შენვე დაგრჩება. მიუარა მომკერძო, რამ ამიჯლო და მიწასთან გამასწორა: ეგ როგორ მითხარი, იგრე რამ გაზაგრია, რომ უმალვე ვირმოისაზრე, მაგის თქმა არ ეგებოდაო?! რა ვქნა, აკლებას წყალობა მირჩევნია და სიცოცხლის ფასი ხომ კაცს არა გააჩნია რა! ვერა, რავინდ მისაყვედურო, „არ ითქმის და ვერცა ვიტყვი“. მეფემ კიდევაც რომ გაგიშვას, ლაშქარს რას ეუბნები? ნუ გვინია, მოტყუვლნენ და მშე დაგომონ მოსაშორებლად, მეტალრე, რაკი კარგად იციან, რომ შენი წასვლა მტერთ დაგვითამამებს. არა, „ეგე აგრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაქორდენ“.

— ეტყობა, სიყვარულისა არა იცი რა, — უთხრა ვეზირს ცრემლმორიულმა მოყმემ, — არც ფიცი და მეგობრობა გინახავს, თორემ მიხვდებოდი, უმისობით რა გასაჭირშიაც ვარ. ახლა ისრა დამჩრჩნია, გულში დანა დავიცე.

„ვე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მშესა რამცა დაბრუნებს! აუ ვეზეელო, ვეიჯობს, იგი ნარელად დლესა დაგვისაბუნებს. ჩემი ჩემები აჩვინ იცის, რა მამრავებს, რა მატკბუნებს. ცდო კაცთა საცბარი კაცსა მეტად დაპმუნებს“.

მეფესა და მის ლაშქარს, ნეტავი, რაში გამოვალგები, მუდამდღე მტირალი და გონმიხდილი? „სჯობს წავიდე, არ გავტეხნე, კაცსა ფიცი გამოსცდიან“. ეგ შენი რჩევა, ვეზირო, ამ ტანჯულმა გულმა რანაირად უნდა შეიწყნაროს? ჩემს ადგილას კაცი კი არა, რკინავ; რომ ყოფილიყო, ტარიელის სიბრალული ცვილივით დაადნობდა: რა უბედობა არ დასტურომია

თავს, რა ჭირი არ გამოუვლია! თითქოს ცრემლი და კეტა  
ჰკლებოდეს, მეც ბევრი ვატირე, „ვერ გარდვისძი ცრემლთ  
მისთა, ჯეონიცა თვალთა მდინდეს!“ ახლა, არ ფაშიშუუბურ და  
სულერთია, გავიპარები, მივალ, მის წვა-დაზერუს მუგირუსუბურ  
„ვითა მნუკევს, ეგრე დავპრთო გული ცეცხლთა ძოსაღებ-  
ლად“. თუ გასაძევებლად არ უნდიხარ, ვიცი, ჩემი გულისთვის  
არას გიზამს. მოდი და, რაც უნდა დაგემართოს, თავი გადა-  
დე, ნურა სატანჯველს ნუ შეუშინდები!

— შენი ცეცხლი მეც ცეცხლად მეღება,— მიუგო ვეზირ-  
მა, — მაგ ცრემლს ველარ ვუცმერ, გული მელევა, თითქოს  
სიცოცხლეს ვეთხოვები! რას ვიზამთ, „ზოგჯერ თქმა სჯობა  
არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“. მივალ და მოვახ-  
სენებ, გინდ მოვკვდე, აღარ ვნაღვლობ, ჩემი ღლეც შენ შეგ-  
მატებოდეს.


ეს თქვა და მყისვე სასახლისაკენ გაეშურა. ხელმწიფე მო-  
რთულ-მოკაზძული დაუხვდა, მხიარულს სახე მზესავით უბრ-  
წყიონავდა. ვეზირი შეშინდა, საწყვენის მოხსენება ვერ შეებედა,  
შეწუხებული იდგა და საგონებელს მისცემოდა. რა დაგმართია,  
რა მოხდა, რას შეუჭირვებიხარო, შეშტოოთებით ჰყითხა მეცემ.

— ვაი, რომ ჩემი ჭმუნვა ჩემს ჭირს შესტოლებია, „არცა  
პმატს და არცა სდიდობს“. რა ვერა, თქმა მეშინია, მაგრამ მო-  
ციქული ხომ შიშს ვერ დაერიდება. მემართლებით, მომკლათ,  
ამას რომ მოგახსენებთ: ავთანდილი შემოგეხვეწათ, ტარიელ-  
თან ისევ გამიშვითო, უმისოდ წუთისოფელი გამცუდებიაო.

რაცა იცოდა, უველავ ჰყადრა მოშიშრად ენითა,

კვლა მოახსენა: „რამცა სცან სიტყვითა ესოდენითა,

თუ რაგვარ მყოფი მინახავს, თუ რაგვარ ცრემლთა დენითა  
მართალ ხართ, თუმცა რისკვანი ჩემთვის იანაზდენითა“.



რა ეს მოისმინა, მეფე „გაგულისდა, გაპეცნობდა“, დარი  
გაუკრთა და შემზარავი იერი დაედო, ვეზირს შესძენას?

— შმაგო, ენა როგორ მოგიბრუნდა ჰქონდება კულტურული?!

ეგეთი შმაგი არამცოთ ვეზირად, სხვადაც ჭიათურად კუნტავის!

თითქოს დიდი სასიხარულო ამბავი ყოფილიყოს, ისე მოსწრა-  
ფებით რომ მომახარე, მაგის მეტს ვინ რას მიზანს, თუ მუხთ-  
ლად, ღალატით არ მომკლა?! პატრონის წყენას კაცი ნუთუ  
არ უნდა დაერიდოს და უალავოდ დაიყბედოს უმეცრული სი-  
ტუვა?! ნეტავი, მაგის გაგონებამდე რად არ დავყრუვდი! ერთი  
იმისგან არ იყო მოგზავნილი, უსათუოდ თავს წაგაცლიდი და  
ზემს სისხლს კისრად დავიდებდი!

„წა, ჩერდეგ ავი, შმაგი, უმეცარი, შლევი, წბილი  
შაბაშ სიტუვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქშე, მისგან ქმნილია“

დაიხარა და სკამი შესტყორცნა. სკამი კედელს შეელეწა,  
ვეზირს არ მოხვედრია, მაგრამ მაინც გული თითქოს ალმასით  
დაესერა და მდუღარე ცრუმლით ღაწვები დაეწვა. შიშით ხმა  
ვეღარ გაეღო, შეფეს გამოერიდა, გულნატკენი „გამოძრწა და  
გამოშელდა“, პირმომუინარე რომ შესულიყო. აი, რა უყო  
ენამ, რა სირცხვილი და დამცირება აგრძა! ვერა, თვით „მტერი  
მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს“. რა ცოდვა  
მიმიძლვის ისეთი, რომ ღმერთმა კიდევ ამაზე მეტად დამსაჯო-  
სო, ფიქრობდა გამწარებული ვეზირი. ასეა, ვინც პატრონს გა-  
უთამამდება და საწყენს კადნიერად მოახსენებს, ნახოს, რა  
შვება-სიამესაც მოიმკის, ჩემს დღეში რომ ჩავარდებაო. ეს რა  
დამემართა, „რად მოვლორდი, რად დავბნელდი, ნეტარ ვინდა  
გამითენოს?!“

გაწბილებული და შეწუხებული მოდიოდა. როცა ავთანდი-  
ლი ნახა, დალვრემით და პირქუშად უთხრა: არ ვიცი, რა მადლი

გადაგინადო, რომ ეგრერიგად გავიხარე! ვაიმე, უფრო მკლებ  
მყოფმა თავი როგორ გავიუბედურე და დავიღუპსი! ზერე მო/  
ქარგული ენით, თითქოს ხუმრობსო, ქრთამი მოცეკვაშვილი ზუმჭვი  
ჯერ ისევ გული უწუხდა და ცრემლი ვერ მოეზრულერთჲურეა  
საოცარი იყო! ურცხვად უუბნებოდა:

„ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმდერვებს.

ოქმულა, ქრთამი საურავსა წოჭოხეთსცა დაიურვებს.“

— შევი დღე დამაყენა, — შესჩივლა მოყმეს, — ჩემგან არ  
ითქმის, რაც იმან მაკადრა: „რა სიავე, რა სირეგვნე, რა შლე-  
გობა, რა შმაგობა!“ კაცად აღარ ვარგივარ, თავი ვერც კი მიც-  
ვნია, ან კი რად არ მომქლა, მიყვირს, როგორ მოითმინა! განა  
არ ვიცოდი, რაც მომელოდა, და მეტადრე ეს მაღონებს. რა  
ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ხევდრი, ღვთით მოვლენილ რისხვას  
სხვა ვინ დამალვია?! ესეც არ იყოს, რახან „შენთვის სიკვდი-  
ლი ლხინად მიჩნს“, კირი ფუჭად როდი მინახავს.

ყმამან უთხრა: „აღარ-წასლვა არ ეგების ჩემგან არას.

იადონი მაშინ მოკედეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს,

ხამს, უძებნოს ცვარი წაკლის, მისთვის თავი ყოვლვან აროს,

ვერ უპოვოს, რა ქმნას, ანუ გული რეთა დაიწყნაროს!“

— უტარიელოდ რა გამაძლებინებს, — შესჩივლა მან ვე-  
ზირს, — მირჩევნია, ველად გავიკრა და ნადირთა შორის გავე-  
რიო. ან კი ამ დღეში მყოფი მეფისა და ქვეყნის მტერს რანა-  
ირად გავუმკლავდები? ნურც ის დაავიწყდება, „სჯობს უყო-  
ლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა“. რაგინდ წყრებოდეს,  
ერთხელ კიდევ მოვახსენებ ხელმწიფეს, „გული ჩემი ვით იწვის  
და ვით ენთების“, ეგებ გამიკითხოს და გამიშვას. არადა, როცა  
იმედი გადამიწყდება, გავიპარები და ის იქნება. მე თუ მოვკვ-  
დი, ჩემი წილი წუთისოფელიმც დაქცეულა!

მოისაუბრეს. მერე ვეზირმა, ავთანდილს რომ შემთხოვა,  
ისეთი წვეულება გამართა, „უმასპინძლა, ქლვენი ცმლენა  
შვენიერსა შვენიერნი“, სხვა წვეულნიც, მოხუცი თუ აქენ-  
გაზრდა, ერთობ საბოძვარით აკვსო. მერე მომდევ მისი შეტყიშობითი მოვა,  
წავიდა და ვეზირის კარმიდამოს მისი შეტყიშობელი, „ჩატ-  
ლად ჩადგეს მზისა წვერნი“.

პირმზე და ტანსარო ჭაბუკი შინ მივიდა თუ არა, ასიათა-  
სი ოქრო, სამასი თავი სტავრა-ატლასი და სამოცი თვალი  
ლალ-იაგუნდი, ნაირფრად რომ ციაგებდა, მაშინევ გამოატანი-  
ნა და ვეზირს გაუგზავნა. აბა, სიძუნწე და უპირობა რა მისი  
ხელი იყო? შეუთვალა: რაც მე შენი ვალი მაძევს, მაგიერი რა  
უნდა შემოგზო, რომ იგი ვაჯავიხადოო, მაგრამ, თუ ცოცხა-  
ლი დავრჩი, იცოდე, თავს განაცვალებ, „სიყვარული სიყვა-  
რულსა შეგიცალო, შეგიწონო“.

ავთანდილის სიკეთესა და უებრობას რა ენა იტყვის! კაცი  
იყო, რომ უნდა ისეთი, და ხელიც შესაფერი საქმისათვის მო-  
ეკიდა. ვისაც ვინმეზე გული შესტკივა, მოხმარებაც ამასა  
ჰქვია. აბა, მოძმე და მოკეთე რის მაქნისია, თუ გასაჭირში არ  
შეგიშველა: „ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და  
თვისი“.

**პ**ეთანდილმა ოლარ დაახანჭი მატერიალური

თელთა მფენელი “შერმადინს კვლავ გაენდო და უთხრა: დღევანდელი დღე ჩემთვის იმედისა და სიხარულის დღეა, აბა, შენ აცი, თავს როგორ გამოიჩენ, როგორ მიერთგულებო. როსტევანს ჩემს წასცლაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდა, არ იცის, რა მჭირს ან ვისით ვსულდგმულობ, მე კი „უმისოდმცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა!“

— უსამართლო საქციელს ღმერთი არავის შეარჩენს, — დასძინა ავთანდილმა. — მე მისი გამწირავი ვერასგზით ვერ შევეიწები, ეს უეკველია, მაგრამ, დანაპირები თუ დროშე არ ავუსრულე, მაინც ცრუ და მოღალატე არ გამოვდივარი? უმისობა ვეღარ მომითმენია, გული მიტირის და მიკვენესის, „არას კაცსა არ იახლებს“, ყველას უკრთის და ერიდება.

„სამი არის მოყვრისაგან მოყერობისა გამოჩენა: პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ეერ-მოთმენა, მიცემა და არას შერი, ჩეუქებისა არ-მოწყვენა, გავლენა და მოხმარება, მისად ჩევბად ველთა რბენა“.

სიტყვა გამიგრძელდა, — მოკლედ მოვკრი: „აშ გაპარეაა წამალი ამა გულისა ლებისა“. სანამ დრო კიდევ გვაქვს, მომისმინე, რასაც გევედრები, ჩემი დარიგება გულში ლრმად ჩაიბეჭდე. უპირველესად ხელმწიფის სამსახური გმართებს, მთელი შენი სიკეთე და უზადობა უნდა გამოაჩინო. ჩემი ლაშქრის მეთაურობას ხომ ისევე გასწევ, აქამდე რომ გაგიწევია:

„მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი ნურა მოგაყლობის,  
ერთგულთაოვის კარგი ნუ გშერს, ორგულიშპა წენი კვლების!“



მერე, იმასა გთხოვ, სახლ-კარს მიმიხედვე, არ უჟერე წულუკე  
დავბრუნდი, ვალში არ დაგრჩები. იცოდე, პირულურ უსტა  
ხური ფუქად არასდროს ჩაივლის.

ეს რომ მოისმინა, შერმადინს თვალთაგან მდუღარე ცრემ-  
ლი გაღმოსცივდა. მარტოობით ჭირს როდი შევუშინდებიო,  
მოახსენა, „მაგრა რა ვქმნა, უშენოსა დამეცემის გულსა ბინდი!“  
რა შენ გადაკარგულს გიგონებდე, ბედშავს მე აქ რაღა გამაძ-  
ლებინებსო. ერთი მითხარი, სად გაგონილა ამდენ ხანს ყარი-  
ბად მარტო სიარული, ან კიდევ გასაჭირში ჩავარდნილ პატ-  
რონს ყმა განერიდოს და მხარი არ მისცეს?! არა, მეც თან წა-  
მიტანე და, როგორც გენებოს, ისე მიმსახურეო.

— რავინდ ცრემლი ლვარო, მაინც ვერა და ვერ გიახლებ,  
— მიუგო ავთანდილმა, — მერედა ჩემ მაგივრობას აქ სხვა ვინ  
გასწევს ან სახლ-კარი ვის დავუტოვო, ვინა მყავს შენებრ მი-  
სანდო?! ველად გაქრა მიჯნურის ხვედრია, აბა, მას საღა სცა-  
ლია შინ ქერას მიუჭდეს და თავი დაიბეროს! გაჭრილი მიჯნუ-  
რი ხომ მარტო უნდა იყოს, სისხლის ცრემლდანადენი, და მეც,  
მიჯნურობით გახელებული, თან ვერავის ვიახლებ. რა გაეწყო-  
ბა, ასეთია წესი წუთისოფლისა. განა არ ვიცი, რარიგ გიყვარ-  
ვარ, მაგრამ „უამი ასრე დამემტერა“ და, რასაცა მთხოვ, ეგ არ  
იქნება, დაიჯერე და დაწყნარდი, გული დადევ. რა მოგზორდე,  
არ დამივიწყო და ეგ სიყვარული არ გაგინელდეს. ჩემშე ნუ  
იდარდებ, ვინ რას დამაკლებს, მტერი ქედს ვერ მომახრევა-  
ნებს. „ხემს მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დაღონდეს“,  
დასაძრანი საქმის არაფრად ჩაგდება კი მძულს და ვერ ვე-  
გუები.

„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ მოვპერეთ კატრად ბერიდ,  
ვის სიყვდილი მოყვრისათვის თამაშიად და მიჩინს მღვაცე.

ჩემსა მზესა დავეთხოვე, გავუშვივარ, დავდგე მე რალ!

მისი გულისთვის თვით სატრატოს მოშირებას, უძირებელი უნდა  
ვარ და სხვა რაღა დამაკავებს?! როსტევანის წინაშე ანდრეობს  
დავტოვებ, შენი თავი უნდა შევაუელო: ჩემს განზრდილს რომ  
შეშვენის, ისე მოეპყარი-მეთქი. მე თუ ბედმა მიმუხოლოს და

„მოვევდე, თავსა ნე მოიყლავ, სატანისგან ნე იქმ ქმნილსა,  
ამას ზედა იტირებდი, დაიდებდი თვალთა მილსა“.

## ევთანების ანდები აოსტოვან მარის ციხეში

დაჭლა და ანდერძსა წერდა თბილად, გუ-  
ლის შემძრავად:

— მეფეო, მის საპოვნელად მივიპარები, ვინც ცეცხლი მო-  
მიღო და ვის უნახვადაც ველარ გამიძლია. შემინდევ და  
ლეთიური მოწყალებით გზა დამილოცე. ვიცი, ამ ჩემს განზრაბ-  
ვას ბოლოს არც შენ დამიგობდ: „კაცი ბრძენი ვერ გასწირავს  
მოყვარესა მოყვარულსა“. გავკადნიერდები და პლატონის  
შეგონებას შეგანსენებ: სიცრუე და ორპირობა ჭერ აქ ხორცს  
ავნებს, მერე კი იქ სულს აწამებსო.

„რათვან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,  
მე რად გავწირო მოუვარე, ძმა უმტკიცესი მმობისა?!

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა წილინობისა  
მით ვისწავლებით, მოვკეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა!“

ქართული ტრადიციი

ხომ წაგიქითხავს, თვით ღვთის მოციქული ტრიუმფულე კ  
ყვარულზე, როგორ აქებენ და აღიდებენ?! ექვანივით ადასა  
ზღვერენ, სიყვარული აღგვამალლებსო. რად არ გინდა გულის-  
ყური მიაპყრო და დაიჯერო? შენ ვერ დამირწმუნებიხარ და  
უსწავლელი როგორლა დავარწმუნო!

— რაოდენ გამწყრალიც იყო, მაინც მომიტევე, რომ ხათრი  
ვერ გაგიშიე და შეს ბრძანებას გადავუხვიე. რა უნდა მექნა,  
როცა იმ მოყმისაგან გულდატყვევებულს საამისოდ ძალ-ღონე  
აღარა მქონდა: „აშ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა  
გზნებისა!“ რაკი საწადელს ვეწევი, სადაც გინდ ვიყო, აღარა  
ვნალვლობ, ყოველგვარ გასაჭირს ავიტან, როგორც მამაცთა  
წესია.

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,  
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოველთა მიწიერთად,  
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,  
იგი გაპენის წამის-ყოფილ ერთსა ასად, ასა ერთად“.

მზის შექს რომ ვერ იხილავს, „ია ხმების, ვარდი ჭნების“,  
უცხო და ტურთა საჭვრეტელი თვალს ხიბლავს და იტაცებს.  
მეტადრე მე როგორ გამეძლო უმისოდ, რაღად მინდოდა თავი  
ცოცხალი?! ავდექი და წავედი. ასეთი ყოფილა ღვთის ნება-  
სურვილი, ყველასათვის გარდაუვალი რამ, მის გარეშე რომ  
ქვეყნად არაფერი ხდება. ამიტომ წუხილს ნუ მიეცემი, ცრემ-  
ლი და ვაება, აბა, რას გარგებს?!“

„რაცა ლმერთსა გაუვია თავსა ჩემსა გარდასავლად,  
გარდამხდეს და შემოვიქცე, აღა დამრჩეს გრძელვლად,  
ოქვენე გნახნე მხარელნი დიღებით და დავლამრავლად,  
მას რა გარვო, ეს ჩემთვის დიღებად და მარის ჭარებულებად!“

— მეფეო, მომკალ, თუ ეს სიტყვა ვინშემ ჭიშკრისა  
ჩემი წასვლით რად უნდა დაღონდე, განა ურიგო გზას დავს-  
დგომივარი?! რა ვქნა, „ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა სა-  
ძაბუნოსა“, იმქვეყნად ხომ მაინც შევხვდები და პირშერცხვე-  
ნილმა რალა პასუხი მიესცე? მოძმისა და მოკეთის დაუფიტყებ-  
ლობა არასდროს გვაწყენს, ზედმეტად ნურავის მოეჩვენება.  
ცრუსა და მოლალატეს ხომ ვერა და ვერ ვიტან! აბა, მითხარი,  
„მას ხელმწიფელი მშიანესა“ როგორლა ვეცრუო?! მოგეხსენე-  
ბა, ამპარტავანი და საშუალ საქმეზედ ზანტად მიმავალი ვაჟკა-  
ცი ერთობ დასაგმობია.

„რა უარეა მამაცა ომშიგან პირის მხეკელსა,  
შეღრეულ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეპელსა,  
კაცი ჯაბანი რითა ხეობს დიაცსა ქსლისა მბეკელსა?!

სკობს სახელისა მოხვეცა უოელსა მოსახვეცელსა!“

— ახლა კიდევ, თუმცა ამის თქმას ეშიშობ, მაინც უნდა  
გაებედო და გითხრა. ცდება, ვინც სიკვდილს წამდაშემ არ მო-  
ელის, ივი ხომ ყველას ანაზღად ეწვევა და დღეს ლამედ უქ-  
ცევს. სიკვდილი არავის და არაფერს ერიდება, მისი მსახურა-  
ლი ხელი ყველას განურჩევლად მუსრავეს და ამიწებს. საზა-  
რელია სიკვდილი, მაგრამ შერცხვენილ სიცოცხლეს მაინც ისა  
სკობია.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდევანი,  
მისგან გისწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი,

ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცილანი.  
სქობს სიცოცხლესა ნაზრისა სიკვდილი სახელოვანი"



ვინ იცის, იქნებ ცოცხალმა ველარც გიხილო. საქართველოში კი კი  
მყოფელში დავისადგურო. თუ, ყოვლის დამამუშებულმექანიზმა  
რომ დღე მომისწრაფოს და უცხოობაში ყარიბად მოვცვე,  
მშობლისაგან დატტირები და დაზრდილ-მისანდოთაგან შე-  
უსულრავი. აი, მაშინ შემიწყალოს შენმა მოწყალე ჯულმა! უთ-  
ვალავ სიმდიდრეს ვტოვებ და „ჩემი ჩემთვის წარსაგებლად“  
ნურა დაგეშურება რა:

„მიეც გლახეთი საჭურულე, ათავისუულე მონები,  
შენ დაამდიდრე ყოველი თბოლი, არას მქონები,  
მიღეწიან, მომივონებენ, დამილოცენ, მოვევონებია“.

რაც სამეფო საგანძურისთვის თავად არ ინდომო, ერთობ ვა-  
კცი, რომ ჩემ მოსაგონრად ხილნი და პალატნი ააგონ. თუ არ  
შენ, სხვა ვინა მყავს „ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად“, სულის  
მეურვედ?!

— მივდივარ, ამიტოდან ჩემს ამბავსაც ველარ შეგატყობი-  
ნებ. ამიტომ ვგეძავ და წერილით გეხვეწები გზა დამილოცო.  
თუ მაინც ეშმაკეულმა ძალამ მიმსხვერპლა, „შემინდევ და  
შემივედრე, მკვდარსა რალა გარდმებდევის!“ ჩემი რჩეული მსა-  
ხური შერმადინი შენთვის ჩამიბარებია და, გვივრები. ნუ და-  
მიჩაგრავ, „ნუ დაადინებ თვალთაგან ცრემლსა, სისხლითა  
ფრქვეულსა“. მაინც წლიერანდელ წელიწადს ხომ ჭირი და ვა-  
ება სამისოდ ჭარბად აქვს, წყალობით ანუგაშე, ჩემგან წყა-  
ლობას ჩეეული.

„გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემვან ნაშერი ხელითა  
ასა, გამზრდელო, მოგშორდი, წავე გულითა ხელითი

ნე სკმუნავთ ჩემთვის მეცენი, ნე ხართ მოსილნი ბრენდი, სულეეიომისა ხართ თავითა, მტერთავან საქართველო-ბრძანება!“

წერა რომ დაასრულა, ანდერძი შერმაფინირებული უთხრა: შენებურად ჰქვიანურად მოახსენე ღარებული მუსა ვერავინ გაჯობებს, რაგინდ სამსახურიც იყოსო. მერე მოეხვია და სისხლის ცრემლით ატირდა.

## ღობვა ავთანეიღისა

— ესა და მიწის მაღალო ღმერთო, ზოგ-ჯერ რომ სატანჯველს მიგვცემ და ზოგჯერ სიკეთეს გვიბო-ძებ, შეუცნობელი და ენით უთქმელი ყოვლის მპყრობელად რომ მოვლენილხარ, — შეპლალადებდა ავთანდილი, — გუ-ლისთქმაც ხომ შენ გემორჩილება და სურვილთა მოთმენის ძალი მომანიჭე!

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი პფლობ ქვენათ ჟესა, შენ დაბადე მიწნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა, მე სოლელმან მომაშორება უკეთესსა ჩემსა მშესა, ნე აღმოპფხერი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!“

— ღმერთო მოწყალეო, სხვა არავინ მყავს, შენ ერთს მო-გვნდე მიუსაცარი და, წინ რაოდენ ძნელი გზაც მეღოს, შეწევ-ნას, შენგან ვითხოვ და ველი: მტერი დამაძლევინე და „ზღვა-თა ლელვა, ღამით მავნე განმარიდე!“ თუ ცოცხალი დავრჩი,

შედამ შენი მაღიდებელი და მსხვერპლის შემოწინაა გი-  
ნები.

ლოცვა რომ მოათავა, შეჯდა და მალულად გაეშურა. შეო-  
მაღინი ოდენ მცირეზედ იახლა. უკან გამობრუშებული შექმნი  
დილს საბრალოდ მისტიროდა და მკერდშე მაჭილი ჩატანა  
ცრემლად ილვრებოდა, „სისხლმან მისმან კლდენი ღარნა: პატ-  
რონისა ვერა-მჭვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა!“

## ავთანების გაკარის გაშეხა არსევან მიზისაგან

განრისხებულ როსტევანს იმ დღეს დარბა-  
ზობა აღარ გაუმართავს. მეორე დღესაც, რა გათენდა, მწყრა-  
ლად წამოდგა, „ჰგავს, თუ ადენს პირით აღსა“. მყისვე ვეზი-  
რი იხმო. მოჰევარეს, მისი შიშით მოცახეახე, დარბაზს მო-  
წიწებით შემოსული რომ დაინახა, მეფემ უთხრა:

— არ მახსოვს, გუშინ რას მეუბნებოდი, თუ გაგონდება,  
რა უნდოდა? არა, მართლა, ისე როგორ მაწყენინეთ და გამა-  
რისხეთ, რომ დიღხანს სული ვერ მოვიბრუნე და შენ, საყვა-  
რელი ვეზირი, ესოდენ გაგიცხე! ბრძენს ტყუილად არ  
უვეამს, „წყენაო ჰირთა ბადე“. მსგავს რამეს ნურასდროს  
იზამ, საქმე კარგად გასინჯე ხოლმე. ახლა ერთი კიდევ მითხა-  
რი, რასაც გუშინ ჰყვებოდი, რიგიანად ყური არც მიგდია.



ვეზირმა რომ ხელმეორედ მოახსენა, ხელმწიფემ არა და  
ახანა და პასუხი მოკლედ შეუთვალა: ხომ არ გუდარებულების  
ეგ მეტად აღარ გამაგონო, „თვარა მე სრული მისამართი უკა  
გავთავდები და ის იქნებაო!

რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნა, ვერ პოენა მინანი,  
მართ გაძარებას უთხრობდეს მონანი, ცრემლთა მდინანი.  
მან ოქვა: „მე დაჩბაზს ვერ შევალ, მახსოვან ლერი წინანი,  
უინცალა ჰქადრებს, მან ჰქადროს: რაცა ეოჭვი, მასცა ვინანი“.

ვეზირი რომ არ ეახლა, მეფემ სხვა კაცი გაგზავნა. ამანაც,  
რა ამბავი შეიტყო, გარეთ გაჩერდა. ავთანდილის წასვლის გა-  
მეღლავნებას მეფეს ვერავინ უბედავდა. როსტევანი შეეჭვდა და  
ჭმუნვამ ხელი დარია, ოქვა: უეჭველად გაიძარაო, „ვინ მარტო-  
მან ასთა ავნის“. თავდახრილი იდგა, გულს დარდი ლოდივით  
დასწოლოდა. მერე კვნესა აღმოხდა და მაღლა აიხედა, მონას  
უბრძანა: მიდი და იმ ფლიდს უთხარი, შემოვიდეს და ყველა-  
ფერი მიამბოსო. ვეზირი ეახლა, დაღვრემილი და ფერწასული  
იყო, ხელმწიფეს მშერას არიდებდა.

შეუეგან ჰქონდა: „წასრულა მზე დაუდგრომლად, მთეარელად?“  
მან მოახსენა ყოველი, ვა წასრულიყო ფარელად:  
„მზე აღარ მზეობს ჩევრონა, დარი არ დაჩობს დარულად!“

მეფემ რომ ეს მოისმინა, გაშმაგებულმა ყვირილი მორთო,  
ლაწვებს იკაწრავდა და წვერს იგლეჭდა, მცერეტელნი გაეკვირ-  
ვებინა. მერე მოოქმით დაიჩივლა: „ვა, ვაზრდილო, ვეღარ გნახ-  
ვენ თვალნი ჩეტნი! სად წაპხე და სად დაპკარგენ სინათლისა  
ეგ სვეტნი?!“ შენ კიდევ რა გიშავსო, „თუ თავი შენი შენ გახ-  
ლავს“, ყარიბობა არც გეოჭმისო, მაგრამ მე რა მეშველება,

სენმორეულსა და უნუგეშოდ შთენილს, გჭრა რაოდ წევ-  
ლიოს? ვაი, რომ შენ დაბრუნებამდე ენით უთქმელი წამებით  
უნდა ვეწამოო!

შესაბუთებელი

### პიგდიკორისი

ოდეს გნახავ მხიარულსა, ნადირობით შემოსახულსა?

ვეღარ გიშეჩერეტ ნაბერთალსა, ტანსა მქევრსა, ფავარ-სრულსა,  
ვეღარ ვისმენ ხმას შენსა, სასმენელად მე მას ჩერსა,  
აუ უშენოდ რალა ვუყო საჯდომისა და სჩასა სრულსა?!"


რაგინდ ბევრიც იარო, ვიცი, შიმშილით არ მოკვდები, შენ  
შენი მშვილდი შეგინახავსო, იქნებ ლმერთმა წყალობით  
გადმოგხედოს და ყოველი გასაჭირი გავიაზვილოს, მაგრამ,  
მე რომ ვეღარ მომესწრა, თუ არ შენგან, „გაზრდილო, ვის-  
განლა დავიტირები?"

გლოვის ზარი გაისმა და უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი-  
დარბაზს დიდებულთა ჯარი შეგროვილიყო. ყველა ქვითინებდა  
და იცრემლებოდა, თავში იცემდნენ და თმა-წვერს იგლიგდნენ.  
თქვეს: „ბნელი გვმართებს დლე-კრულთა, რათგან მზე მი-  
გვიდრეკა ცისა!" რა მეფემ დიდებულნი დაინახა, მწარედ შე-  
მოსტირა და

უთხრა: „ქსელავთ, მზეშან ჩეკჩიან შექნი სრულად დაგვიძეონა,  
რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ, რალ დაგვყარნა, რაღ გავვწიონა?!"

ლაშქარს მისებრ ვინდა მოეპატრონება და უთავადებსო.  
მოგვიანებით, როცა ცოტათი დაწყნარდნენ, მეფემ ბრძანა:  
იყითხეთ, მარტო წასულა, თუ მოყმენიც თან უახლებიაო.

მორცხვად და მოშიშრად შემოვიდა შერმადინი, ანდერძი  
მიართვა და მოახსენა: ეს დაუწერია და საწოლს დაუტოვებია,  
მისი მსახურნი ნამტირალევი დამიხვდნენ, მწუხარებისაგან თმა-



წვერი დაეგლიჭათ, მითხრეს, მარტო გაპარულა, არავინ ახლავ-  
სო. რომ მომკლათ, მემართლებით. სიცოცხლის ჩათა ლირსი  
ვარო, დასძინა გამწარებულმა მოყმემ. ანდერძი ჭირის გამარტინი  
კვლავ დიღხანს ტიროდნენ. მერე მეფემ ბრძანა: შემზღვეულის  
სამხიარულოს ნულაზ ჩაიცვამსო, დაგრძომილი და ქვრივ-  
ობოლნი ვამლოცველოთ, იქნებ ღმერთმა ისმინოს და ხიფათი  
აშოროს, მშვიდობით დაგვიბრუნდესო.

## ავთანაზის მეორე ნასველ გარიელთან

მზეს რომ დაშორდება, მთვარე გაბაღრუ-  
ლია და, რა მიუახლოვდება, გაილევა მისი შუქით დამწვარი,  
ვეღარ უძლებს და კვლავ გაურბის. ვარდს კი უმზეოდ ფერი  
ეკარგვის და ჰქნება, ასევეა მიჯნურიც: „ჩვენ ვერ-ვერეტა  
საყვარლისა ჭირსა ძეელსა გაგვიახლებს“. ავთანდილი მიდი-  
ოდა და ცრემლს მიაურქევიდა, ხატრეოს მოშორებით გულ-  
მდუღრად მტირალი.

წამ-წამ მობრუნდის, იაჯის მისოვის შისივე შინბასა,  
უძერეტდის, თვალი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის, მიხდის ცნობასა.

ვონს ძლივს იქრებდა და ენა ვეღარ დაეძრა, ცრემლთა ნაკალი  
კი შეუჩერებლივ სდიოდა „თვალთაგან მსგავსად დიჯლისა დე-  
ნისად“. ზოგჯერ მოძალებულ დარღდს ვეღარ ერეოდა, მოტრი-  
ალდებოდა და უკან დარჩენილ სივრცეს გასცეროდა, თითქოს

ამით ნუგეშს პოვებსო. მერე ისევ გზას ჭანაურიძიდა, არც  
იტორდა, საით მიაჩდევდა სადავემიშვებულუაჭარენულები

— ჩემო, შენგან შორს მყოფმა როგორიცენისაუკარებელი —  
შესჩიოდა იგი სატრენის, — ფიქრით მახდა ვარ და გულიც  
შენკენ მოისწრაფის, ამ აცრემლებულ თვალებსაც შენი შეხედ-  
გა სწყურიათ! რა გაეწყობა, უნდა მოვითმინო: „სკობს, საყვა-  
რელსა მოყვარე რაზომც არ დაუძაბუნდეს!“ ვიდრე გნახვდე,  
ვაი, რომ სულ ასე უნდა ვიტანჯო. თავს მოვიკლავდი, მაგრამ,  
ვიცი, გეშუინება და ამას ვერა, ვერ ვიზამ, ისლა დამჩრენია,  
„მივსცნე ცოცხალმან თვალნი ცრემლისა დენასა!“

მერე ზეცას ახედა და მზეს შეჭრალადა.


იტყვის: „ეკე მზეო, ეინ ხატად გოქეეს მზიანისა ლაშისად,  
ერთ-ასესებისა ერთისა, მის უკამისა გამისად,  
ვის გმორჩილობენ ციერნი ერთის იოტის წამისად,  
ბეღისა წუ მიცელი, მიაწე, შეურამდის ჩემად და მისად!

„ეის ხატად ლმრთისად გიტუვიან ფილოსოფოსნი წინანი,  
შენ მიშველე რა ტუვე-ქმნილსა, გაჭვინი მაპიან, აკინანი  
ბროლ-ბადანშისა მძებნელმან ხათნა დავეარგენ, მინანი,  
მაშინ ვერ გავძელ ხიახლე, აუ სიშორესა ვინანი“.

მოთქმა-ტირილით ამას ამბობდა გულმეურვალედ, სანთელი-  
ვით რომ იშვიოდა და ღნებოდა. ღლით გატანჯულს ლამე სი-  
ამეს ჰეგრიზა, მოუთმენლად ელოზა მზის ჩასვლას და მოვა-  
რის გამოჩენას, ბინდ-ბუნდში ცაზე ვაჩსკვლავთა აკიაუებას.  
ლამის მნათობთ მას ამსგავსებდა და შეჭრაროდა, ტრტობის  
სევდას უზიარებდა.

მოვარესა ეტყვის: „იფიცე სახელი ლმრთისა შენისა!  
შენ ხარ მიმცემი მიწნერთა მიწნერობისა სენისა,

შენ გაძეს წამალი მისისა შოთმინებისა თმენისა,  
მიაწე შეკრა პირისა, შენ გამო შენებრ შშვენისი"



ესად თუ მდინარეს ნახავდა, ცხენიდან ჩამოვიტაჭალა უშულოს კავლს უკვრეტდა და „მას თანა-პროცესის ნაკალება უაქტერული კავლთა ტბისასა“. მერე გადაივლიდა და კვლავ გზას გაუდებოდა, სიარულის მოსწრავე. საცა კლდიან ადგილს წაწყდებოდა, ქურცის მოინალირებდა და მწვადს შეეძლოდა. იდგა, თუ მიღიოდა, როცა კი მახლობლად არავინ ეგულებოდა, მუდამ ტირილსა და ვაებაში იყო ტანად ალვა და „პირ-მზე, გულმარიხიანი“ მიჯნური, ია-ვარდივით ნაზსა და მშვენებით სავსე სატრფოს მოშორებული.

აუ ეერ ეიტუვი მაშინდელსა მე მის ყშისა ნაუბარსა,  
რას უბნობდის, რას მოთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ გვარსა?  
ზოგან თოვლი ვაეწითლის ვარდსა, ბრტყლითა ნახოკარსა,  
ქვაბნი ნახნა, გაეხარეს, ზე გავიდა ქვებთა კარსა.

ავთანდილი რომ დაინახა, ასმათი თვალცრემლიანი მოეგება, მისი მოსვლით უზომოდ გახარებული. ასეა, „ეაცი კაცია მოეგოდეს, მოსლვა დია ეამების“. ჭაბუკი ცხენიდან ჩამოხტა, მოეხვია და აკოცა, მერე ჰყითხა: „პატრინი, ნეტარ, საღ არის და ვითა?“ ქალი მწარედ ატირდა, მისი ცრემლი ზღვას ერთვოდა, და უთხრა: წახვედი თუ არა, გამოქვაბულში ველარ ვაძლოდა წაეიდა, მის აქეთ მისი არა ვიცი რაო. ასმათის ნათქვამი მოყმეს გულში ლახვარივით მოხვდა, შესჩივლა:

— დაო, ეგ რა კაცობაა, მე არ ვეცრუ და თვითონ რაზედ  
მეცრუა, ფიცი როგორ გატეხა! ერთი მითხარი, თუ „ვერ იქმოდა,  
რად მიქადა, თუ მიქადა, რად მიტყუა?!!“ მე ხომ უმისოდ  
სიცოცხლე ჩირადაც არ მიღირს და მოშორებისთანავე რად

დამრეიწყა, რად ვერ გაუძლო გასაჭირს? პირის ზეშტანტი მე-  
მართლებოდა, ეგ რანაირად იყადრა? თუმცა ჩემი უბრძო ჭედი-  
სავან რა უნდა გამიკვირდეს!

— მართალი ხარ, ეგრე რომ გიმძიმს, ზეშტანტი მეტებუნ-  
მაგრამ. თუ მეც მოურიდებლად სიმართლე გითხოა, მაკერძო-  
ებაში ნე ჩამომართმევ. დიალაც, უნდა დაგლოდებოდა, ძმო-  
ბილი არ გაეწილებინე, და მაინც იგი ვერ გამიმტყუნებია: რა  
დღეში ჩავარდა, ჰქუაზე მყოფი, აბა, რას გაიგებს, ან კი რანა-  
ირად ითქმის: „ენა დაშვრების, გაცეცების, გულსა შეელმის  
ლმობილსა!“ მე უბედურ დღეზე გაჩენილს თავად მინახავს და  
ვიცი, რასაც ვამბობ. რომ ემდურები, ფიცი გამიტეხა და პირი  
შემიშალაო, მერედა „არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრუ-  
ლებასა?“ მოგეხსენება, რა უგულოდაც არის და ოდენ სიკვდი-  
ლის მოლოდინშია.

— გული, ცნობა და კონება ერთმანერთზედა ჟყიდიან,  
რა გული წავა, იგიცა წაცლენ და მისკე მიღიან,  
უცხლო კაცი ვერ კაცობს, კაცთავან განკიდიან.  
შენ არ გინახავს, არ იცი, მას რომე ცეცხლი სწვიდიან!

„ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად პსმენია,  
არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია,  
დიჭლადცა კმარის, მას რომე თვალთავან ცრემლი სდენია  
თვით რაცა პარაზოთ, ზართალ ხართ, სხვა სხვისა ომსა პრძენია.“

— წისგლის წინ ვკითხე, ავთანდილი რომ მოვიდეს, რა  
ქნას, მის დობილს მასთან რას მაბარებ-მეთქი. მან ასე მიპასუ-  
ხა, გულდამწვარმა და ცეცხლმოდებულმა: რასაც დავპირდი  
და შევფიცე, არ ვუმტყუნებ, არ ვეცრუები, რაგინდ გამიძნელ-  
დეს, შორს არ წავალ, დათქმულ დრომდე დავიცდიო, მახლო-  
ბელ მიდამოებში მეძებოს და, თუ მკვდარი მნახოს, დამიტი-

როს და დამმარხოს, ხოლო „ცოცხალი დავპევდე, უკვერთდა“, არა მცონია, მომესწრასო. იმ დღიდან მზე აღმარ მინახებას, ქედს იქით მიფარებული. ერთობ კვნესა-ვაებას მიისცემიან და ცრემლთა ნაკადით მიწას ვალბობ. ვაი, რომ შექმნის მარტინი დილსაც დავვიწყებივარ!

„ესე არავ მართალი ჩინს ჭვასა ზედა სწერია:  
დვინ მოყვარესა არ ეძებს, ივი თავისა მტერიაჲ.  
აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჟვანდის, ვერ ია,  
თუდა მოქნეხავ, მონახე, ქმენ, რაცა შენი უერია“.

— ეგ მართალია, მის სამდურავს რომ არ მიწონებ, — უთხრა ავთანდილმა, — ოლონდ ისიც ნუ გავიწყდება, რაც მე სამისოდ, „ტყვესა ტყვეისად“, მიჯნურს მიჯნურის გულისათვის ჩამიდენია. „გამოკრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“, და დღედაღამ დაუცხრომლად მასზე ფიქრით მიყლია, ყოველივე დავთმე, არაფერს დავრიდებივარ, თვით სატრფოს მოშორებასაც:

„პროლ-სადაცნი მარგალიტსა ლალის-ფერსა სცენ და პპურენ,  
მას მოექმორდი, ვერ ვეახელ, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ“.

არც ლეთის სწორი ხელმწიფე დავინდე, „მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი“, ამაგი ასე ავად გადავუხადე: ვუორგულე და გამოვეპარე, მოვიმდურვე და დავამწუხარე, მის შემცოდეს ლმერთი რა სიკეთეს დამაყრის! დაო, ყველაფერი ეს ხომ მისი გულისთვის ჩამიდენია, მასთან მომიხაროდა, აი, მოვსულვარ კიდევაც და რას ვხედავ: აქ აღარ არის, სადღაც გადაკარგულა, „ვიწვი ცეცხლითა ვისითა, ცულ-მაშვრალი და მტიჩალი ქვე ვზი პირითა მქისითა“. ახლა, რაც გვითქვამს, ეს ვიქმაროთ, დრო აღარ ითმენს, უნდა

გავეშურო. ბრძენთა სიტყვას ვერწმუნები და არ ვისარი ფრი-  
დასრულსა“.

წავალ, ვძებნი, ან ვიპოვი და ან სიკუთხის მოვი-  
აღრებ. რა გაეწყობა, ასეთი ბედისა ვყოფილებურცულები  
ამის მეტი არა უთქვამს რა, ცრემლმორულები მოწყვეტებუ-  
ლი დატოვა, მდინარე გაფალახა, შამბნარი გაიარა და გაიძიხ-  
დვრა. „ქარი, ველთა მონაქროლი, ლალის-ფერსა გარდა ზრვი-  
და“. ბედს შესჩიოდა, ამ გასაჭირში რად ჩამაგდეო. მერე  
ღმერთს შეპლალადა: რა შეგცოდე, რომ ესოდენ შუარე ბედი  
მარგუნე, „რად გამყარე მოყვარეთა“, ასე რად გამიმეტე, რომ  
„ერთი ორთა მგონებელი“ დაღუპვის პირას მიესულვარ, თავი  
მოსაკლავად აღარ მეწყალვისო!

„მოყვარემან გარდის კონა გულსა მერა და დაშიწყლელა,  
იყი ფიცი, ჩემვან სრული, მან ალარა გამისრულა,  
მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ლხინი გარდასრულა,  
სხვა მოყვარე თვალსა ჩემსა გაყიცხელა, გამასრულა!“

მოძალებულ სევდას ებრძოდა, თავს იმხნევებდა: რა გასა-  
შირშიაც იყოს, თუ კაცი გონიერია, უნდა ასსოვდეს, რომ  
ცრემლი და ვაება არას არგებს, უმჯობესია ის განსაჯოს და  
გაიაზროს, საქმეს რარიგად ეშველებაო, „აშ მეცა მიჯობს მო-  
ნახვა მის მზისა ლერწამ-ტანისა“. ტირილი მაინც ვერ დაეთმი-  
ნა, ცრემლს მიაფრქვევდა და მიღიოდა, ეძებდა, უხმობდა, ღა-  
მეს დღესავით ათენებდა. სამი დღე ასე იარა და „მოვლო მრა-  
ვალი ხევი, შამბნარი, ტყე-ველი“, მაგრამ მის კვალსაც ვერსაღ  
წაწყდა. კმუნვამ ხელი ისევ დარია, დაიჩივლა: „ღმერთო, ეგ-  
ზომ დიდი რა დამიშავებია შენთვის, რომ ასეთ სატანჯველს  
მიმეციო, გვედრები, შემიბრალე და ეს მაინც მიყავ: „ზა-  
ამოკლენ დღენი ჩემნი, კირი ამით მომილხინე!“



გონიერი ჩატილის პოვნა  
ავთანერისაგან



უკრაზენტი  
გიგანტი

**ქვლავ** მოთქმა-ტირილით მიღიოდა, ამდენი  
დარღისა და ვარამისაგან ფერდაკარგული. ერთ ქედს გადა-  
ადგა და თვალშინ ველი გადაეშალა, ალავ მზიანი, ალავ  
ჩრდილდანაცემი. მერე შაშბნარის პირას უალვირო შავი მე-  
რანი შენიშნა და, უეჭველად იმისია, გაიფიქრა გახარებულმა.

რა შეხედნა, ყმასა გულმან გაუფეოქნა, გაუნათდა,  
აქა ლხინი დაღრევილსა უათასდა, არ უათდა,  
ვარდმან ფერი განანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა,  
ვით გრიგალმან ჩაირჩინა, არ მოსცალდა კვრეტად მათდა.

როცა მიუახლოვდა და ტარიელი შეიცნო, ელდა ეცა: პირი-  
სახე დაღმევოდა, თმააბურძენილსა და საკინძეჩახეულს  
მკვდრის ფერი ედო, უგრძენობლად იწვა, „მას აღარა შეესმო-  
და, სოფლით გაღმა გაებიჯა“. გულს ცეცხლი მოსდებოდა და  
თვალთაგან ცრემლი წყაროსაებრ სდიოდა. ცალ მხარეს მო-  
კლული ლომი და სისხლიანი ხმალი ეგდო, მეორე მხარეს —  
მიწას დანარცხებული უსულო კეფხვი.

ავთანდილი ახლოს მიუჭდა და გამწარებული ჩასძახოდა:  
ტარიელ, ტარიელ! თვალი გაახილე, მე ვარ, „ვერ მიცნობ  
ავთანდილს, შენთვის გაჭრილსა და ხელსა?!“ რომ ვერაფერი  
ასმინა, ცრემლი სახელოთი მოსწმინდა და თვალები მოუსრისა.  
ძლივძლივობით ცოტათი მოასულიერა და

მაშინდა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოეძმობილა.  
ეიმოშებ ღმერთისა ცხოველსა, მათებრივ არვინ შოშილა!

— მშაო, არ მოგატუუე და, რომ ხედავ, ფლისას ერგის  
რულე, ცოცხალი დაგხვდი, — უთხრა მან ავთანდისა,  
ახლა კი დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და ზაქ-ჭრზე მიღება.  
მარტო ერთსა გთხოვ: მჯედარი დამშარხე, მხერაზე გაწრმუნად,  
ნუ გამხდი!

— რა მოგივიდა, ავ საქმეს რად ეპირები?! — უსაყველუ-  
რა ავთანდილმა. — მიჯნურობის ცეცხლით ვინ არ დამწვარა,  
მაგრამ, რასაც შენ სჩადი, სხვას ძეხორციელს მაგის მსგავსი  
ვის რა უქნია? სატანას ნუ წაულისარ და ნებით თავს ნუ იკლავ!

„თუ ბრძენი ხარ, ყოვლინი ბრძენი აპირებენ ამა პირსა:  
ხამს მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.  
პირსა შიგან ვამაგრება. ასრუ უნდა, ვით ქვიტეირსა.  
თავისისა ცნობისაგან ჩავირდების კაცი პირსა“.

თავად ბრძენი რად არ მიჰყები ბრძენთა ბრძნულ ნათქვამს?  
ტყე-ველად მტირალი რომ დაიარები და მხეცებში გარეულ-  
ხარ, ეგრე რა წადილს ეწევი? თუ წუთისოფელი მოიძულე  
და გაემუცი, ნეტავი, ვისთვისაც კვდები, იმას როგორდა იპო-  
ვი? აუტკივარსაც ძალად რაზედ იტყივებ, „თავსა მრთელსა  
რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ“, მაგ დღეში  
მარტო შენ ხომ არა ხარ?!

„ვინ არ ყოფილი მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან,  
ვის არ უნახვან პატინი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან,  
მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად ამოგხდებიან,  
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან?!

„ვარდსა პკითხეს: «ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად,  
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი, პოენი შენი რად არს ჭირად?»  
მან თქვა: «ტკბილსა მშერე პმოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ძვირად,  
ოდეს ტურფა გაიერდეს, აჩლარა ღირს არცა ჩირად».

უსულო და უდღეური ვარდიც რომ ამას აღბომის შენ  
რაღად ივიწყებ, სიხარული და ბედნიერება ჭირებას—  
ვად არავის მისცემია: „მაშა ლხინსა ვინ მოგმოქ ამჟამაშ  
ჭირთა უმუშაკო?“ გულიდან განდევნე ეშმაკეს, მორავა, კ  
ავი და ბოროტი რომ განუყრელად თან ახლავს! საწუზოს  
ნუ ემდური, სხვას რომ არ დამართოდეს, ისეთი არა უქნია რა  
შენთვის! გამაგრდი, გულისთქმას ნუ აპყოლიხარ, „რაცა არ  
გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წალილთა ნებასა!“ საამებლად  
არ გეუბნები, დამიჯერე, ასე სჯობია.

— ძმაო, რაღა გითხრა, ენას რომ ძლივს ვიბრუნებ, —  
შესჩიელა ტარიელმა,—გაშმაგებულს იმის თავიც აღარა მაქვს,  
სიტყვა მოგისმინო. მაინც რა ადვილად გეჩვენება ჩემი სატან-  
ჭვილის ატანა! ახლა მარტო ისლა მახარებს, რომ აღსასრულის  
უამი დამდგომია, „მო, მოყვარეთა დამმარხეთ, მიწანი მომაყა-  
რენით!“ მომაყვდავი გულში ამას ვლოცულობ, ვნატრობ მდუ-  
მარედ: ცოცხლივ დაშორებული მიჯნურნი იქ მაინც შევხვ-  
დეთ ერთმანეთს და კვლავ გავიხაროთ-მეთქი.

„საყვარელმან საყვარელი ეით არ ნახოს, ეით გაწიროს?!

მისკენ მიდალ მხიარული, შერმე მანცა ჩემ კერძ იჩოს,  
მივეგებებ, მომეგებოს, ატარდეს და აშატროს!  
ჰეითხე ასთა, ქმენ გულისა, რა ვინდ რა ვინ გივაზიროს!

„მართ გარდაწყველით იცოდი, ვეტყვი შართალსა პირასა:  
სიკედილი მახლავს, დამენსენ, ხახსაღა დავჭიოფ მცირასა!

არ ცოცხალ ვიყო, რას მაქმნევ? რა დავრჩე, ხელსა მხდა რასა?

დამშლიან ჩემნი კვეშირნი, შევპროვივარ სულთა სირასა“.

რა მითხარი ან რას მეუბნები, არ მესმის, მაგის მოსასმე-  
ნად სადა მცალია, წუთიც და... აღარ ვიქნები, მეც იქ  
მივდივარ, იმ მიწაში, ცრემლით რომ დამილბია. გულგახე-

ლებულს სიცოცხლე ისე უგემური მეჩვენება, როგორც  
არასდროს. ვმ, ბრძენიო! რის ბრძენი, რა ბრძენი შეაძინა  
ბრძნობა რარიგ გასწიოს?! ეგ მაშინ უნდა გეთქვა, კუაზეო  
რომ ვიყო.

„ვარდი ვერ არის უმშეოდ, იყოს, დაიწყებს კონბასა.“

მაწყენ, არა მცალს, დამეჩსენ, არცალა ვახლავ თმობასა!“

ავთანდილი მაინც არ ეშვებოდა. ათასნაირად ეხვეწა და  
არწმუნა, შენი სიკვდილი იმას რას არგებს და ტყუილუბრა-  
ლოდ თავს ნუ იღუპავო, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლია. მერე  
მდუღარე ცრემლი გადმოლვარა და უთხრა:

— რახან არ მისმენ, ამაო ლაპარაკით თავს აღარ შეგაწყენ.  
თუ სიკვდილი გირჩევნია, მოკვდი, „ვარდი დაჭნეს, და-ცა-  
მვნარა“. ოღონდ ერთსა გთხოვ და ნუ გამაშებილებ. „სადა  
ინდონი ბროლ-ვარჯასა სარვენ გიშრისა სარითა, მას მოვე-  
შორვე“, ჩემს სიყვარულსა და სასოებას, ვერც მეფის მა-  
მობრივმა შეგონებამ დამაკავა და შენკენ გამოვეშურე. გძებ-  
ნე და ძლივს მიპოვნიხარ, შენ კი თავიდან მიშორებ, ვაი,  
ჩემს მოსწრებას! სულმთლად გულმოკლულს ნუ გამაბრუ-  
ნებ, ეს სურვილი მაინც შემისრულე: „ერთხელ შეჯ, ცხე-  
ნოსანი გნახო ჩემი სულთა მხდელი“, იქნებ სევდა შემიმსუ-  
ბუქდეს, და მერე წავალ, დაგროვებ, რახან ასე გინებებია.

ეხვეწებოდა, შეფეო, აჯას სეეწნითა არვებდა,  
იცოდა, რომე შეჯდომა ეფშანს მოაქარებდა,  
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშერსა დააკარებდა.  
დაიმორჩილა, ეამა, არ ივაკლასა, არ ვებდა.

შევჯდები, ცხენი მომიუვანეო, უთხრა. მან მოჰვეარა და  
წყნარად, აუჩქარებლად შესვა. მინდვრისაკენ გაემართნენ.

რა ერთხანს იარეს და სიარულმა „ტანი მჟეცირი აძრევეიჩა“, ტარიელს მომჯობინება დაეტყო. ავთანდილი მიმზუდვებულად და ენაშვილიანად ებაასებოდა, ძოშისფერ ბრწყიშისკერ ჭრილუნილსა და ხალისიან სიტყვას ისე აფრევევტრი, რასც კასტერ მოხუცსაც გააყმაწვილებუა. ტარიელს თითქოს დარღი დაავიწყდა, „მოიშორვა კაეშანი“, გამოცოცხლდა, გამხნევდა. მისი გულისწუხილის მკურნალსა და დამაამებელს ეს შეუმნეველი არ დარჩენია:

ჩა შეატყო მოქობება მან სეედისა მოუარახმიან,  
გონანათლა პირი-ვარღი სიხარულმან დაესახმიან,  
ცნობიერთა დასტაქამიან, უცნობოთა ოჩრეა-ახმიან,  
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობოსა ჩასმე შირახმიან.

ნელ-ნელა საუბარში რომ შეიყოლია, აღარ დაერიდა და შეპბედა, ერთი რამ გამიმუღლავნე, ხვაშიადი გამანდე, და მერე დაუღუმდები, მეტს არას გყითხავო: „ეგე სამხრე მისეული, შენ განინია ვისგან წყლული, რაგვარ გიყვარს, რაგვარ გილირს?“ ეგ რად მითხარი, ხომ იცი, „არ-სასმენლისა მოსმენა“ ცხარეზე უცხარესიაო, უსაყვედურა ტარიელმა და დასძინა: ან კი მისი უებრობა რანაირად გამოვთქვა, „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახია!“ ესაა ჩემი სიცოცხლე და ჩემი შვების მომცემი, მთელ ქვეყანას რომ მირჩევნიაო, „მჯობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა და ხისა“.

— მეც ევ მინდოდა მეთქმევინებინა, — მიუვო ავთანდილმა, — ხოლო რახან სთქვი, პასუხსაც პირუთვნელად მოგახსენებ: ისა სჭობია, მაგ სამხრეზედ უფრო მეტად ასმათს არ შეელიო და არ მოიშორო. ოქროს სამხრე, ოქრომჭედლის ნახელავი, შეგიძამს და უტრევ, უგონო, უსულო ნივთს შესტრფი, შეპხარი, ასმათი კი აღარ გინდა, „პირველ, გლახ, მისი ნაპვრე-



ტი, თვით მერმე შენი ღობილი“, დად ნახმობარი, თქვენი შეფა  
მავალი და პირისპირ შემყრელი, რჩეული მსახურთა ტექსტები  
შიადე, მისი გამზრდელი და მისთვის ცნობამის და გამოწვევების  
ასმათი! ვაი, რომ მიგიტოვებია და ნახვას არც ეპირები. ვერა,  
მაგას ვერ მოგიწონებ, „შაბაშ მართლისა ბრჭობისა!“

— ჩაც გითქვამს, სრული სიმართლეა, — უთხრა ტარიელ-  
მა, — ნამდვილად შესაბრალისია ასმათი „მისად მეონებლად  
და ჩემად მჰვრეტად“. ჩას ვითქმებდი, თუ ცოცხალი დავ-  
რჩებოდი, ზედ სულზედ მომესწარ და ცეცხლი გამინელე. მაგ-  
რამ, ჩახან დავრჩი, ოღონდაც, წავიდეთ და ვნახოთ, თუმცა  
ჯერ ისევ რეტასხმული ვარ.

დაქორჩილდა, გაემართნეს აეთანდილ და ამირბარი.

ვერ მივია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:

კბილი — ვითა მარგალიტნი, ბავე — ვარდი ნაპობარი.

გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

ამას ეტყვის: „შენთვის დავსლებ ვონებასა, სულსა, ველსა,  
მაგრა შენცა ნე იგრე ხაჩ, ნე იწყლოლებ ახლად წყლულსა;  
არას ვარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:  
არ იხმარებ, ჩას ხელსა პსდი საუნჯესა დაფარულსა?“

— ურვა და წუხილი, აბა, ჩას გიშველის, — დასძინა აე-  
თანდილმა, — ესეც ხომ იცი, ულვთოდ და უგანგებოდ არავინ  
კვდება. მზეს გარდი სამ დღეს ელოდება ღაუჭინობლად. შენც  
გაუძელი, მოილოდინე. ბედი იყოს, ცდას ნუ დააკლებ და, თუ  
ლმერთმა ინება, უეჭველად გაიმარჯვება, საწალელს ეწევი: „ბე-  
დი, ცდა და... გამარჯვება, ლმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდე-  
ბის“.

— ევ დარიგება მთელ ქვეყნად მიღირს, — მიუგო ტარიელ-  
მა: — „გონიერსა მწვრთელი უყვარს, უგუნურსა გულსა

ჰემირდეს". მავრამ რა ვქნა, როგორ გავუძლო, როცა წუბილი გაუძლისი გულს მომაწვება! შენც მიჯნური ჩატარებისა გვირან ჰირნი " და, დიალაც მიკვირს გირგვინის გება!



## გარემოსაგან ღომ-ვეზევის გახმილის ამბის მპობა


— ჩაც გადამხდომია, ერთობ დაწვრილებით გიამბობ და მერე, შენ რომ იცი, ისე ჭყვიანურად და მართლაც განსაჭე, „გაბრჭევ მართალი მაგა გულითა ბრძენითა“,— უთხრა ტარიელმა. — შენს მომლოდინეს გამიშირდა და გამოშვაბულში ველარ გავძელი, ცხენს მოვაჭექი და ვაევმართე, ველ-მინდორს მოვივლი-მეთქი. შამბნარს რომ გამოვსცდი და აიმ ქედს გადმოვადექ, დავინახე, ლომი და ვეფხვი ერთად მოდიოდნენ და ერთმანეთს სიყვარულით ეალერსებოდნენ. ერთხანს ასე საამოდ ილალობეს, მავრამ მალე საოცარი და საზარელი რამის მოწმე გავხდი: ანაზდად ერთმანეთს წაეკიდნენ და ტოტი შემოჰერეს; შეუპოვრად და დაუნდობლად იბრძოდნენ. ძუ ვეფხვმა მკერდი მოარიდა, გაუსხლტა და გაიქცა, ხვალი ლომი ფიცხლად დაედევნა, აღარ ეშვებოდა.

„ლომსა დავუგმე ნაქმირი, ვარქვი: «არა ხარ ცნობასა, შენ საყვარელსა რად აშენ? ფრ შეგა მაშაცობასა!»“

ხმალამოწვდილი მიევარდი, თავში დავკარი და წუთძმოფენს  
გამოვასალმე. მერე ხმალი განზე გავტყორცნე, ცხუნდან გა-  
დავიქერ, უფხვი ხელით შევიპყარ და მიუჟურუსტავალების  
გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლით ასტლიროუს შემა  
რი ვამშვიდე, მაგრამ ამაოდ. მიღრენდა და ბრკყალით  
სისხლს მადენდა. ვეღარ გავუძელ, გულმოსულმა მოვიქნიე  
და მიწას დავანაჩცხე, იგიც მოვკალ. ამაზე მომაგონდა, ერთ-  
ხელ სატრუოს რომ წავეჩხუბე, და რად გიკვირს, თუ ასე  
გავხდი? საკვირველი ისაა, სული როგორლა შემრჩა! ვაი, რომ  
სიცოცხლისა აღარა ვარ და ვერც სიკვდილს ვეღირსე.

თხრობა რომ დაასრულა, ამოიგმინა და ატირდა. აეთან-  
დილიც მასთან ერთად ტიროდა, მერე, ანუგეშა:

— გულს სულმთლად ნუ დაიწყლულებ, ნუ მოპკვდები, გა-  
საჭირს კიდევ გაუძელ და, გწამდეს, მოწყალე ღმერთი არ გავ-  
წირავს: „თუმც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთად არ  
შეგყრიდა“. ასეა, მიჯნური ნაღველსა და ფათერაქს ვერ ასც-  
ლება. ძნელია მიჯნურობა, თვით ბრძენსაც რომ გააშეაგებს  
და უსწავლელს ბევრ რამეს ასწავლის. იგი ზოგჯერ კაცს  
სიკვდილის პირამდეც მიიყვანს, „მაგრა ბოლოდ ლხინსა მის-  
ცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძლებს“.



გარიელისა და ავთანდილის მისვება  
გამოწვევაგადა და ასმათის წაჭაპურა  
გიგანტისაკა

გამოქვეაბულისაკენ მიმავალნი ასმათშა შო-  
რილანეე შენიშნა და, ნულარ იყითხავთ, რაც იმან გაიხარა!  
„მოეგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი ღარნეს“.  
არც კაბუკები შეხვედრიან ღობილს გულდამშვიდებით, აკო-  
ცეს და მათაც ტირილი მოერიათ.

ასმათ ოქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,  
შენ ხარ სახეება ყოველთა, აგვისებ მზეებრ ფენითა,  
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არ-საქებელო სმენითა,  
ღილება შენდა, არ მომჟალ ამოთვის ცრემლთა დენითა!“

— ჰე, დაო ასმათ, ცრემლი მიტომ მდის, რომ წუთისო-  
ფელი, თუკი რამ ლხინი გვინახავს, ხომ ხედავ, ერთობ ტანჯ-  
ვით გვაზღვევინებს: „საწუთო ნაცვლად გვატირებს, რაც  
ოდენ გაგვიცინია“. რა გაეწყობა, ოდითგანვე ასე ყოფილა.  
შენ მებრალები, თორემ თავს აღარ ვიცოცხლებდი, სიკვდი-  
ლი ჩემი ლხინი და ნუგეშია!

„სწრუროდეს, წყალსა ვინ დალვრის კაცი უშმაგო, ცნობილი?  
მე თვალთა ჩემთა მით მიყვირს, რად ვიზ ცრემლითა ლტობილი!  
უწილესა პელავს, წყალი სღის, აროდეს არ გამომბილი,  
ვა, წარხდა ვარდი პობილი, ვა, მარგალიტი წყობილი!“

აეთანდილიც თავისი მზე-თინათინის მოვონებას დაეღო-  
ნებინა:

— ვინ გეტუვის, ჩემო, რა უქრობი ცეცხლითაც ვიწვი და,  
შენგან შორს მყოფი, თვით სიცოცხლეს რარიგ ვინანი? ან კი  
უშენოდ, ნეტავ, სული როგორლა მიღვაძე!

„ვარდი ამას კოთ იაშჩებს, მზე მომშორდეს, არ დავქრცო  
ანუ ჩვენ, ვლახ, რა გვერვების, რა ჩასვენდეს კორსა მშეორა

ტრაქი პრეზენტი

ჭირს გაუმაგრდე და გასალკლევდე, გვიყვარების მის ტრა-  
ჩევნია, ვინ იცის, იქნებ მისი ნახვა ისევ გელიოსოს, რე წარ-  
იცვეთ ჯერ სულმთლად იმდეს!

რა სული მოიბრუნეს და დაწყნარდნენ, სამივე გამოქვა-  
ბულში შევიდა. ასმათმა ვეფხვის ტყავი გაშალა და მოყშენი  
ზედ დასხდნენ, ტკბილად ბაასობდნენ. მალე მწვადი შეიწვა  
და, უამსა და გარემოს რომ შეპუეროდა, ისეთი პურობა გა-  
იმართა: „მუნ უპურობა პურობა, არ სიღიადე გამისა“. ტა-  
რიელს ეცვეწებოდნენ, ვამეო, მაგრამ „ძალი არ ჰქონდა ჭა-  
მისა, დაცოხნის, ლუკმა გატყორცის“, ძლიეს ერთ ციცქნას  
თუ ჩაყლაპავდა.

კეთილი სიტყვა კაცს სიიმეს მოჰკვრის, გულისხმიერად  
თუ გაიგონებს და უქმავ არ დავარგავს. ასევე „დიდი ლხინია  
ჭირთა თქმა“, დარდის გაზიარება, როცა ის გისმენს, ვისაც  
შენზედ გული შესტკივა: მთქმელს „ცოტად ეგრეცა დაუკ-  
სებს, ცეცხლი რაზომცა სდებოდეს“. მთელ სალამოს ლომ-  
გმირი ჭაბუკნი ტკბილად ბაასობდნენ, ერთმანეთს გული გა-  
დაუშალეს, ფიქრი და წუხილი ვაანდეს. რა გათენდა, ისევ  
სიტყვას შირი საუბარი გააჩალეს, აღრე ნაოქვამი ფიციო  
კალავ შეიფიცნენ.

— რალა ბევრი გავაგრძელო, — უთხრა ტარიელმა, —  
ჩემი გულისთვის რაც შენ ჩაგიდენია, ლმერთმა გადაგიხა-  
დოს! ახლა ფიცი ფიცად კმარა: „არ-დავიწყება, მოყვრობა  
მოყვრისა წარმავალისა“, წყალწალებული, განწირული კაცი-  
სათვის ძმობის გაწევა მართლაც დადად მოსაწონია. ოლონდ,  
რაკი მე მაინც არა მეშველება რა, ტყუილუბრალოდ შენიც

სიცოცხლეს ნუ გაიწამებ, იცოდე, ამით უარესად დაფატაჭები.

### უკროცხადი

„აშ შემიძლება, ნუ დაშვავ ცეცხლითა უცხელე პირზე იმისა  
მე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგზები კვესითა,  
კურ ადშერეტ, შენკა დაიწვი სოფლისა ქმნისა წესითა,  
წალი, დაპროცი, შეიქვე შენიოვე, შენი მშე სით ა!

„ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,  
ვისცა კეშის, ვაღონეთ, მით გავრილვარ ხელი ველად!  
რაცა პშართვებს ვონიერთა, ერთხელ ვაყავ მეცა მქონელად,  
აშ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად.“

— მაგის პასუხად მე რაღა გითხრა? — მიუკო ავთან-  
დილმა. — ბრძნად განსწავლული კაცის სიტყვაც სწორედ ეგ  
არის, დამბადებელზე. შემოქმედზე რაც ახლა ბრძანე: თეით  
მასაც უმძიმს ჩემი წყლულის განკურნებაო. უმძიმს. მაგრამ  
ხომ შეუძლია, ის ხომ ღმერთია, „მზრდელი ყოვლისა დანერ-  
გულ-დათესულისა?“ ღმერთი ამას, აბა, რად იზამს, რახან  
ეგეთნი გაუჩენიხართ, უერთმანეთოდ დაგტოვოთ და გულ-  
გაშმაგებულს ვამუდმებით გადინოს ცრემლი?! განკურიტე  
და დაინახე, რომ მიყნურს ფათერავი თანსდევს, კვალში  
უდგას. მომკალით, თუ თქეენ ერთმანეთის ხვედრი არ გა-  
ხდეთ!

— ნერარ, მამაცი სხვა რაა, არ გაძლოს, რაცა ვირია,  
ვირსა გადარება რად უნდა, რა სისაცბრო პირია?

— გვშის, ღმერთი უხვა, თუცა სოფელი ძვირია.

ისმინე ჩემი შეგონება და დამიჯერე, ნულარ ჭიუტობ გვად-  
რებ და გატყვი: ჭიუტი და გაუგონარი, თვითონაც იცი, რა  
ცხოველიცაა. კმარა, მომეტებული დამოძღვრით თავს აღარ



მოგაბეზრებ, ოლონდ ჭირში შენი მიტოვება აოდეგნით არ შემიძლია. შენთან რომ მოვდიოდი, „ჩემსა მწერა დაუთხოვე  
ვე“, ასე ვუთხარი: იმ მოყმეს ჩემი გული ჭირში უკარიფ-  
ლად უქცევია, და ბევრი ლაპარაკით რაღაც მუსკარტი, უცქ-  
ერთია, მაინც არ დავიშლი და გამიშვი-მეთქი. დამიმადლა და  
შემაქო, კეთილად და მამაცურად იქცევით, იცოდე, თუ რა-  
მეს უშველი, ისე მიღიჩნევ, სამსახური თითქოს ჩემთვის გა-  
გეწიოსო. აქ რომ მოვსულვარ, მთვრალს ვზა კი არ ამრევია,  
მისი დასტურით გეახელ. ახლა რომ მასთან დავბრუნდე, რა  
ვუთხრა? მკითხოს, მშიშარასაებრ გასაჭირს რაზ გამოქცევი-  
ხარო, რა პასუხი მივსცე?! მეტს ნუღარ მეტყვი, ნუღარ  
მოხოვ მაგას. ისა სჯობია, მე გამიგონო, რასაც გეუბნება.  
კაცმა რომ ძნელი საქმე მოაგვაროს, გონივრულად უნდა მო-  
იქცეს. ესეცაა, ვარდი უმშეოდ დაიჩიგრება, ვერ გაიხარებს.  
შენ თუ თავად ვერას გახდი და საწადელს ვერ ეწიე, მე აქ  
არ გყევარ?!

„ვერას ვერ შეიქმნ ნაყოფსა ვარდი უმშეოდ ქნობილი.

შენ ვერას ირვებ, მე ვარგებ, მშა ძმისა უნდა ქმობილი!“

მარტო ამას გევედრები: ერთი წელიწადი როგორმე დამე-  
ლოდე, მანამდე გამაგრდი, ნუ მოჰკვდები, „არ დასდნე ცეცხ-  
ლთა დაგითა“, მაგ სიტურიუესა და ახოვანებას ფუჭად ნუ  
წაახდენ. მეტს არასა გოხოვ: საცა მოვესურვოს, იქ წაზა  
და, როგორც აქამდე იქცეოდი, ვინ გიშლის, ისევე მოიქეცი,  
შენს ნებაზე იყავ, „გწადდეს — გულითა ბრძენითა, გწად-  
დეს — ცნობითა შმაგითა“. წლის თავზე კი

„აქა ქვაბსავ მომნახვილე მე, ამბავთა ყოელგნით მერეფსა.

ამა ფამსა ნიშნად მოგცემ, ღრისა ამს ვარდ-იეცსა,

ვარდთა ნახეა ვაგაურითობდეს, მართ ვითამცა ძალლა ყეცსა“.

თუ დაოქმულ ვაღაში აქ ვერ მოვიდე, იცოდე  ცოცხალი აღარ ვიქნები. ეს ნიშნად იკმარე, რომ ჩემთვის  
ცრემლი ლვარო. იმ დღიდან, როგორც გენებულებაზეც ვხდები  
რე და გინდ უფრო მეტ ურვა-ვაებას მიეცი უმატებეს მარტინ  
ვითხარ, ნუ დაგალონებს. უთქმელობაც არ ივარებდა, რა-  
სან მუნჯი არა ვარ: გშორიდები და „არ ვიცი, ღმერთი რას  
მიშამს, ანუ ცა მიწყივ მბრუნავი“, კლდეზე გადაჩეხა მო-  
მელის, თუ ზღვაში დანოქმა.

— თავს აღარ შევაწყენ, — უთხრა ტარიელმა, — ვხე-  
დავ, ბევრიც გელაპარაკო, მაინც არ გამიგონებ. ისეა, თუ  
კაცი გიყვარს, როცა შენსას არ დაიჭერებს, თავად უნდა და-  
უჭერო და სურვილი აუსრულო, ბოლოს ხომ მაინც გამო-  
ჩიდება, ვინ იყო მართალი:

„თუ არ მოგყვეს საყვარელი, შენ მას მისყვე, რაცა სწავლებს,  
ბოლოდ უოლი დამალული ხექვე ცხადად გამოცხადდეს“.

როცა თავად დარწმუნდები, მისი ძებნა ამაოა, მაშინ გაიგებ  
ჩემი ყოფის მთელ სიდუხვირეს. ველად გაჭრაც და გაუჭრე-  
ლობაც ჩემთვის ერთი სატანჯველია. მაინც კი იმას ვიშამ,  
რაც შენ მითხარი, სიშმაგმ რაგინდ დამრიოს ხელი. მაგრამ,  
ვაი, მაშინ რაღა ვქნა, თუ უშენოდ დღე მომესწრაფოს!

პირობად ეს დაოქვეს და საუბარიც დაასრულეს. მერე  
ცხენებშე შესხდნენ და სანუდიროდ გაემართნენ. თითომ რომ  
თითო ნადირი მოკლა, უკანვე გამობრუნდნენ. დარდი და წე-  
სილი ვერაფრით მოექარვებინათ, გული კელავ უტიროდათ.  
იმის ფიქრი, რომ ხვალ ერთმანეთს უნდა მოშორებოდნენ,  
ურვას ურვაზე უმატებდათ. ან კი რა გასამტყუნი იყვნენ,  
როცა მათი ამბის გაგონებაც კი კაცს ცრემლს მოჰვერიდა.  
აბა, თვითონ განსაჯეთ:

გულვან, ვლახ, რა ქჩის უგულოდ, თუ გელა მიღაური გადა  
მოშორება და მოკერისა გაურა კაცისა მელველია,  
ვინცა არ იცის, არ ესმის, ეს დღა როგორ ჰქილავ

### პრიური წული

რა დილა გათენდა, წასასვლელად აზერზე გორგოეკა

ტარიელ, ასმით, ავთანდილ თვალთავან ცრებლი დაღმინეს,  
სამითავე ლაწვეთა აღამნი არტავნის-ფერიდ აღამნეს,  
მათ ლომთა, მიწყივ მხეც-ქმნილთა, თვენი მხეციავე აღამნეს!

მოყმენი დობილს ცრემლითა და ვაებით გამოეთხოვნენ და  
წავიდნენ. ასმათი მწარედ მისტიროდა: „პე ლომნო, ეისნი  
ვით მოგთქმენ ენანი! მზემან დაგწვნა და დაგდაგნა ცისა  
მნათობნი ზენანი“. ვაი, ჩემს მოსწრებას, ამდენ დარღსა და  
წუხილს რანაირად გავუძლოო.

გამოქვაბულიდან წამოსულთ ის დღე ერთად იარეს. ზღვის  
ნაპირას გავიდნენ და იქ დადგნენ. ქურცი მოკლეს და  
მწვადი შეიწვეს, სვეს და ჭამეს, რარიგადაც მათს ჭირ-ვა-  
რამს შეპფეროდა. ლამეც ერთად გაათიეს. ხის ძირას მიწვ-  
ნენ და დიღხანს ბასობდნენ, ერთურთს კვლავ უზიარებდ-  
ნენ, გულს რა ცეცხლიც შემონთებოდათ. საცაა უნდა დაშო-  
რებულიყვნენ და ამაზედ წუხდნენ, ტიროდნენ, გამწირავი  
წუთისოფლის დაუდგრომლობით დანალვლებულნი: „ვჰგმობ  
მუხთალსა საწუთროსა, ზოგჯერ უხესა, ზოგჯერ ძვირსა“.

— კმარა, ამდენი ტირილით „რე გახმა ცრემლთა დენი-  
სა!“ — თქვა ავთანდილმა, მერე დანანებით ჰყითხა: — მაგ  
უხენის მომცემი რად მოიშორე? ახლა შენი ძმადნაფიცის  
გზა მიძასწავლე, ფრილონთან მივდივარ. მგონია, იქიდახ გა-  
ივება, შენი მზე სად არის და რანაირად უუშეველოთ.

ტარიელმა სიამოვნებით მიისწავლა, უოხრა, რის თქმაც  
კი შეეძლო: აღმოსავლეთით წადი, ზღვის პირ-პირ იარე და

მიხვალო. თუ ნახო, ძმობილის ამბავს გყითხავს ჯე, ჩერია აც  
იცი, უამშეო.

ცისკარმა რომ მოატანა, ადგნენ. გამოსამშვიდობებლად  
ერთმანეთს მოეხვივნენ, „მკერდი მკერდა ჟეკენიშვილი  
დიდხანს იყვნენ ასე შეკედობილი. ტირილი ჟერიასმა უმუშეს  
თათ, ვითა წყაროს თვალით, ცრემლი ველთა მოაუინეს!“  
რაც მათ მაშინ იუბნეს, იმის მოსმენით ვინ არ დაღრებოდა.

ვისუარნეს ტირილითა, პირსა ხოუთ, თმათა გლეჭით,  
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოლ ელიდეს შამბოა ეჭით.  
ეირე უჩნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბღნეჭით.  
იგი ნახნეს დაღრეკილი, მხე დაიღრექს მათის ღრეჭით.



## ეპთანებილის ნასველი ვაილონისას

მოძმის მოშორებით შეწუხებული ევთანდი-  
ლი მწარედ ტიროდა, მისი მოთქმა-ვაება ცასა სწელებოდა.  
წუთისოფელს დიდი სამდურავი უთხრა:

„ვა, სოლელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნვებ, რა ზე გვირსა,  
ყოველი შენი მონდობილი ნიაღავმცა ჩემებრ ტირსა,  
საღ წაიყვან სადაურსა, საღ აღუცხერი სადით ძირსა?!

მაგრა ღმერთი არ გასწირავს ვაცსა, შენგან განაწირსა.“

რაოდენ მაშინ მისი ნახვა მეამა და გავიხარე, ახლა უმისობა  
ისევე მეძნელება და ვერ ამიტანია, რა ვქნა, ასეთი ვარო,  
უკაცი არ უველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის!“

ავთანდილის თვალთაგან დაფენილი სისხლის უძრავით  
გზად მხეცი ძლებოლნენ, გულს შემონიშვლით კაცი-  
ლი ვერა და ვერ გაენელებინა. თინათინის შოგონება ხომ  
კიდევ მეტი ურვითა და ვარამით ავსებდა. მტკრის მწერებულებები  
კი უებრო მშვენებით გაბრწყინებულიყო: ჰქონდეს სარეზონო მარტინ  
ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა“. უზომო დარღი და ნაღ-  
ველი მაინც თავის დაღს ასვამდა:

ვარდი ჭრებოდა, ღრებოდა, ალვისა შტო ირხეოდა,  
ბროლი და ლალი გაოლილი ღაევეარდად ვარდიქეოდა,  
გამავრებოდა სიკვდილსა, ამისთვის არ უშენეოდ ა.

იტყვის, თუ: „ბნელი რას შიკვირს, რათვან დაგაგდე, მზეო, და!“

— მე შენში, მზეო, თინათინის ღაწვთა ელევარებას ვხე-  
დავ, „შენ მას პგავ და იგი შენ გვავს, თქვენ ანათობთ შთად  
და ბარად“, გაშმაგებულს შენი ხილვა მახარებს და მიტომ  
შემოგცერი თვალმოუშორებლივ, შენ კი რად მომიძულე და  
გულს რად არ მითბობ? — ცრემლით შეპტაღადებდა მწეს  
ავთანდილი. — ზამთარში, ერთი მზე რომ გვშორდება,  
გვცია და ვწუხეართ. მე ორ მზეს ერთად მოვშორებივარ  
და გული როგორ არ დამიწყლულდეს, კლდე ხომ არა ვარ,  
უკრძნობელი და უტკივარი?! ამ წყლულს ვერა დასტავარი  
ვერას უშეველის. მისმინე, მზეო, გვევდჩები „შენ, უმდლეს-  
თა მძლეთა მძლესა, ვინ მდაბალთა გაამაღლებ, მეფობასა მის-  
ცემ, სვესა“, ნუ, გულის საყვარელს ნუ გამყრი და დღეს  
ღამედ ნუ შემიცვლი!

— მოდი, ზუალო, მომიმატე ცრემლი და ურვა, „გული  
შავად შემიღებე“ და მიმეცი უკუნ სიბნელეს, კაეშანი მძიმე  
ტვირთად შემომახვივიე, ოღონდ მას უთხარ, ნუ გამწირავს,  
მისი ვარ და მისთვის მტირალი!

— მუშაორო, შენ გემუდარები, კეშიარიტსა და დვორულ  
მსაჯულს, მოღი, ჩემს გულში ჩამოიხედე და ისე გამაჯე  
„მართალი ვარ, გამიკითხე, რად მაწყლულებ მისავედა  
წყლულსა?!” იცოდე, სწორს ნუ ამრუდებ, სკრინი ეცვალი  
იწყმედ!

„მოღი, მართო, უწყალოდ დამწერ ლაპვრითა შენითა,  
შე-ცა-მღებე და შემსვარე წითლად სასხლისა დენითა,  
მას უთხრენ ჩემინ პატივი, მას გააგონენ ენითა,  
როგორ გასრულეარ, შენ იცი, გუღი არღა არს ლხენითა!

„მოღი, ასპიროზ, მარგე რა, მან დამწერ ცეცხლთა დავითა,  
ვინ მარგალიტსა გარეშე მოსცავს ძოშისა ბავითა!  
შენ დაშეენებ კეცულთა დაშეენებითა მავითა,  
ვისმე, ვლახ, ჩემებრ დააგდებ, გაძნდი ცნობითა შემავითა.

„ოტარიღო, შენვან კიდე არეის შეგვეს საქშე სხვასა:  
მზე მაპრუნებს, არ გამიშეებს, შემიყრის და მიმცემს წვასა,  
დაჯე წერად პირთა ჩემთა, მელნიდ მოვცემ ცრემლთა ტბასა,  
კალმად გავით ვაწლობილსა ტანსა ჩემსა ვითა იმასა!”

— მოღი, მთვარეო, შემიბრალე შენებრ მიმცრალი! მეც  
ხომ შენებრ ხან გამავსებს მზე ნათლით და ხან ასე გამ-  
ლევს. ჩემს მზეს უამბე, რანიარად ვიტანჯები და ვონსა გვარ-  
გვ, უთხარ, მისი ვარ, მისთვის ვკვდები და ნუ გამწირავს.

— აპა, შვიდნივე მნათობნი ცისა, ჩემო, ჩემთვის რომ  
შუქმიბნედილან, მემოწმებიან, რა უშრეტი ცეცხლითაც ვიწ-  
ვი, ნეტავი, შენ შეგატყობინონ!

მსნეობა მოიკრიბა და გულს იმშვიდებდა: კმარაო ამღე-  
ნი ცრემლი და ვაება, თავი მოვიკლა, აბა, რას ვვარგებს,  
დაგმე ეშმაკი, ნუ აპყოლიხარ იმის ცითუნებას! მეც ხომ ვიცი,  
რა უებრო მშვენება ამკობს ჩემს გამხელებელს, ვისაც

„თმად ყორნის ბოლო სთმობია, მაგრა, თუ ჭირისა არ დათმობ, ლხინი რა დასათმობია!“ გაუძელ, გულო, იქნებ ცოტხალი გადავრჩეთ და მისი ნახვა ისევ გვეღირებულებულებულა ნაკადი მაინც ვერა და ვერ დაეწუვიტა. სუკრატეტრომულებულად სიმღერა წიმოიწყო და მერე რა სიმღერა, შასთაა ბულბულის გალობაც კი ბუს კივილად გეჩვენებოდა.

რა ესმოდის მღერა უმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან, მისვე ხმისა სიტყპოსაგან წყლით წვანდეა გამოსხლიან, ისმენდიან, -გავეირდიან, რა ატირდიას, ატირდიან, იმღერს ლექსთა საპრალოთა, ლვარისაებრ ცრეპლი სდიან.



## ავთანდილის მისვლა ზეიზონისას

პვთანდილს ზღვის პირ-პირ ორ თვეზე მეტი ევლო. შორს ზღვაში მენავენი დაინახა, ნაპირისაენ მოდიოდნენ. დაელოდა და ჰყითხა, მითხარით, ვინა ხართ ან ეს სამეფო ვისიაო. მათ ქება შეასხეს და მოახსენეს: გვიცხოვე და მოგვეწონე, გეტყვით, თუ შენი სიტურფისა და ახოვანების პვრეტით გონი არ დაგვეკარგაო. აქამდის თურქთა სამფლობელოა და მოსაზღვრე ჩვენი ხელმწიფეა, ფრიდონიო:

„ნერალინ ფრიდონ შეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა, მოყმე მხნე, უხვი, ძლიერი, ფიცხლად მომხლტომი ქადანისა, ენგბა არავის არ ძალუც მის მზისა თდნად შმვენისა, ივია ჩვენი პატრიონი, მსვავესი კათ შექთა შუენისა!“

ძმანო, სწორედ რომ კარგ ხალხს გადაგეყირეთ, მე მეფეს დაუეძებ და მიმასწავლეთ, საით წავიდეთ, აფხოვა ავთანდილმა, ისიც შემატყობინეთ, იქამდე უკარისტულები მენავენი წინ წაუძლვნენ, მულლაზანზარის გენუზე გრიგორი პეტრე ანგელი და უთხრეს: ამ გზას დაადექ. ათ დღეში მიხეალ და ხმალბასრი, მშეილდოფიცელი ჩვენი ხელმწიფე იქ დავიხვდებათ. ვაი, რომ შენ, „ნაკვთად სარო, ფერად ლალი“, გეშორიდები, უცხომ უცხონი ცეცხლის ალში გაგვჭირე, დაგვწვი, დაგვდავ და ისე გვატოვებო. მოყმემ გაიკვირვა: ზამთრის ვარდივით ფერნაკლული შევქნილვარ და, ძმანო, ისე როგორ მოგეწონეთ, რომ ჩემთვის გული გიკვდებათო, „თქვენმცა მაშინ გენახენით, ლალნი ვსხედით, არ საცყრულნი, ჩვენი მცვრეტნი დავაშეენით“, ჩვენით ხარობდნენო.

მენავენი უკან გაბრუნდნენ და ახოვანი, გულმხნე ჭაბუკი გზას ისევ მარტო გაუდგა. მოხდენილი თოხარიყით მიჰყავდა ცხენი, გულის ნატერას მოთქმით მიუბნობდა და ცრემლს მიატრქვედა: „ნარგისნი ქუბან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და მინასა“. ვინც კი გზად ნახა, ყველა იმის ცდაში იყო, უებრო უცნობს შექსიდებოდა, ერთგული ყმისაებრ ემსახურა. რას იყითხავდა, რომ არ ეთქვათ, თუ რამ იცოდნენ. ხმა დაირჩეოდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ მის საცვრეტლად, შესტრფოდნენ და შექსაროდნენ. მოშორება ეძნელებოდათ, „გაცყრასა ძლივ დასთმობდიან“, შორს მიაცილებდნენ, მერე ბაღრაგას აახლებდნენ.

გრძელი გზა აღრე გაელია და მულლაზანზარს უკვე მიახლოებული იყო, როცა შენიშნა, ლაშქარი ველ-შამბნარს გარე მოსდგომოდა და ალყა შემოერტყა, ნაღირთ ყიჯინასა სცემდნენ და მუსრს ავლებდნენ: „ისრვიან და იზახიან, მხეც-


თა სჭრიან ვითა მჰელსა“. წინ კაცი შემოხდა და იმათა  
ჰქითხა, ეს რა ზათქის ხმა ისმისო. მან უთხრა, მოულდახანზა-  
რის ხელმწიფე ფრიდონი ნაღირობსო. მოყმუქა, მოუტესა გადა  
გაეშურა, მოხდენილად მიღიოდა უებრო გრძელებული რულს შნო და ლაზათი შეემატებინა და ისე დამშეენებული-  
ყო, ენა ვერ იტყვის:

მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწევს მზე ვითა,  
ნახვა მცენერელთა ახელებს, ტანი ლერწმობს რჩევითა.

ალყაშემორტყმული მინდვრის შუაგულისაენ ანაზღად  
ორბი გაღმოფრინდა და ცაში გაინავარდა. ავთანდილშა ცხე-  
ნი იქით გააქროლა, თამამად შეუტია, ისარი შესტყორცნა  
და ჩამოავდო სისხლით მოსვრილი, მერე ცხენიდან ჩამო-  
ხტა, ფრთები დააჭრა და ისევ შეჯდა დინჯად, იუჩქარებლად.  
რა იგი დაინახეს, მსროლელნი სროლას მოეშვნენ, ალყა მო-  
შალეს და მოვიდნენ. ჭაბუქს გარს ესვეოდნენ, ზოგი იქით,  
ზოგი იქეთ, ზოგიც უკან მოპყვებოდა, მისი პერეტით კუსის  
კარგავდნენ. ვინ არისო, ამის შეტყობა სწყუროდათ, მაგრამ  
კითხვა ვერ შეებედათ, სიტყვის სათქმელად ენა ვერ მოებ-  
რუნებინათ.

მინდორში ერთგან მთა აღმართულიყო. ფრიდონი ამ  
მთაზედ იდგა, ორმოცი კაცი ეახლებინა, „ღირსნი მას თანა  
სროლასა“. ავთანდილი იქით გაემართა, მოალყეთა ამაღაც  
მოპყვებოდა. ფრიდონს უკვირდა, ეს რა ქნესო, ლაშქარზედ  
გული მოსდიოდა. მსახურს უბრანა: წადი და ნახე, ალყა  
რად მოშალეს, ბრმებივით საით მოეხეტებინო.

მონა ფიცხლად მოეგება, ნახა საჩო, მორჩი ტანი,  
დაღგა, ოვალი გაურეტდეს, დააეიწყდეს სიტყვის თქმანი.



ავთანდილი მიხვდა, რომ ის მსახური ფრიდონისაგან მასთან  
იყო მოგზავნილი, და პასუხად დააბარა: სამკეთაროს მოშო-  
რებული ერთი ვინმე უცხო ყარიბი, ტარიელი და მუსიკის  
თქვენ წინაშე მოვსულვარო. მსახური დაბრუნდა და ყველა  
დონს

უთხრა: „მზე ენახე მოსჩუღი, ჩანს მანათობლად დღისისად,  
ვაზრობ, ივიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად!  
ვარ ძმით ტარიელისი შეურად ფრიდონის მჯისისად“.

ტარიელის ხსენებაზე ფრიდონს გული აუჩუყდა და ცრემლი  
გადმოსცეივდა: „მონაქროლმან ვარდი ღაზრა, წამწამთაგან  
ბუქი ბუქდა“. მთა ფიცხლად ჩამოვლო და ავთანდილს ჩა-  
მოეგება. რა დაინახა, გაოცებულმა ესა თქვა: თუ არ მზე,  
აბა, სხვა ვინ არისო? მსახურის ნათქვამი ქება ფრიდონს  
ახლა კიდევაც ეცოტავა, სტუმარი რომ უზომოდ მოეწონა.  
ასევე ავთანდილიც მისით მოხიბლული იყო. ჩამოქვეეითლნენ  
და, უცხოობით არ დარიდებიან, ერთურთს მოეხვივნენ,  
ხოტბას ასხამდნენ, ცრემლთა მფრქვეველნი.

რა შვერტელთა ივი ნახონ, მზე მათთანა გააულიდონ,  
მომჟალ, ბაზარს სხვა მათებრი ივაჭრონ რა, ან გაყიდონ.

ფრიდონისთანა მოყმე ხომ ძნელად თუ სადმე იპოვება,  
მაგრამ, ავთანდილს რომ ქება-დიდება ხედა, მეტი აღარ ეგე-  
ბოდა. ასეა, „მზე უჩინო-იქმს მნათობთა, რა ახლოს შეიყ-  
რებიან“, სანთელიც დღისით ვერ ანათებს, ღამის სიბნე-  
ლეში კი მისი შუქიც კიაფობს.

ნადირობას თავი გაანებეს, შესხდნენ და სასახლისაკენ  
გაემართნენ. ავთანდილის სანახავად მოლაშქრენი ერთმანეთს  
აწყდებოდნენ, უკვირდათ, ძეხორციელი ასეთი, ნეტავ,

რას შეუქმნიაო. გზაში ჭაბუკმა ფრიდონს ურთხა: ვაკა, ძაწ-  
რაფი შეიტყო, ვინა ვარ ან ტარიელს საიდან ვიცხობ, და  
ძმობით რად ვიხსენიებო. ძმად თვითონ მისქაშვილი მისი  
უმობის ღირსიც ძლივს თუ ვარო, დასტიმისტი მისი უკა-  
ნაობაც ამცნო:

„მე ვარ ყველა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,  
დიდი სპასპეტი, სახელად მინმობენ ავთანდილობით,  
რე დალებულთა დილ-გვართა, ზრდილი მეფეთა შეილობით,  
საკრძალევი და უკალრი, მყოფი არეისგან ცილობით.“

მერე უამბო, არაბეთში უცხო მოყმის ანაზდეული გამოჩე-  
ნის დღიდან რაც თავად გადახცომოდა და ფრიდონისაგან წა-  
სულ ტარიელს რა ჭირიც გამოველო. „მის ყმისა ცეცხლი მე-  
დების“ და, მისი სიბრალულით გულგახელებული, აქეთ-იქით  
ვაწყდებიო. მზად ვარ ზღვა და ხმელი შევაჭრო, ოლონდ კი  
მისი წყლულის წამალი ვპოვო, როგორმე ის მოვუძებნო,  
ვისიც „ჰქლავს სურვილი და ვერ-ჰვრეტა“. მან ყველათერი  
მითხრა, რა ძმობაც გქონიათ, და შენკენ ამიტომ გამოვემუ-  
რეო. აი, მიპოვნიხარ კიდეც-უებრო ვაუკაცი, და ახლა ამასა  
გთხოვ:

„ვამომიტინი, სით მივობს ძებნა მის მზისა ზენისა,  
მისთა მვერეტელთა ლხინისა, ეერ-მვერეტო ამაზრენისა!“

მოყმის ნაამბობმა ფრიდონიც მისებრ დარღითა და ნალე-  
ლით აავსო. თავი ველარ შეემაგრებინათ. ორივენი გულამო-  
სკვენილი ქვითინებდნენ და ცრქემლად იღვრებოდნენ: „მუნ  
ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბარითა“.  
ლაშქარიც ერთობ ტირილსა და ვაებას მისცემოდა, ვინ სა-  
ხეს იხოკდა, ვინ საკინძეს იგლეჭდა. ფრიდონი ხმამაღლა

მოთქვამდა, წუთისოფლის სიმუხოლისა და რეაგირების  
მგმობარი, და შეიდი წლის უნახავ ბედკრულ მოქმედს. მას სა-  
ქებრად რომ სიტყვა არ ჰყოფნიდა, მხურვალეს რეზიტაციი  
დებდა:

### გიგანტის გადამოწვევა

„ჩელთა მშეო, სამყაროსა მშისა ეტლთა გარდამსმელო,  
მოახევთა სალხინო, სიცოცხლეო, სულთა მღვმელო,  
ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანაქმელო!“

რარიგ მწყურიაო შენი ნახვა, მაგრამ შენ ჩემთვის, აბა, სად  
მოიცლი! იქნებ უჩემოდ კიდევაც გირჩევნია, მე კი უშენობა  
ძალიან ძიმდიმს: მას აქეთ, რაც შენ მოგშორდი. წუ-  
თისოფლის სამსალას დავსწავლებიყარ და სიცოცხლე მომდე-  
ლებია. ბარემ ნუმც მიცოცხლიაო უშენოდ!

გზა მოთქმა-ტირილში გალიეს. ქალაქს რომ მიუახლოვ-  
ლენ, ძლიეს მაშინდა დაწყნარდნენ. ფრიდონის სასიხლეს  
მიაშერეს, დიდებული რამ იყო, მართლაც ხელმწიფურად  
მორთულ-მოკაზმული. მსახურთაც ისე ტურფად ემოსაო.  
კაცს ეამებოდა. ყველანი უცნობ ჭაბუქს შესტრუმოდნენ და  
შეპხაროდნენ, თვალი ვერ მოეშორებინათ.

აეთანდილ მჭერეტა აშეენბს ტურფითა აერ-ფერითა,  
მელნისა ტბათა მიწარვით ბერავს გიშრისა ჭერითა.

მისვლისთანავე დიდი ნადიმი გაიმართა. ფრიდონი და ივ-  
თანდილი ერთად ისხდნენ, მათ ქებას რომ ენა ვერ იტყოდა:  
„ბროლ-ბადახშისა აშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი“  
აქეთ-იქით ასამდე დიღებული გამწკრივებულიყო.

დასხელეს, შეიქმნა პერობა, გაამრავლებდეს შახილსა,  
უმასპინძლებდეს ავთანდილს. ვითა მზახალი მზახალსა,  
მოიღებდინ პერპელსა ტურტასა, ახალ-ახალსა,  
შავრა შის ყმისა მჭერეტალთა გრძი მიეცა, გლახ, ალსა.

ის დღე ნაღიმობაში მიიწურა. ჩა დილა გათემდა, კარნეს  
ავთანდილ“ და ტურფაზე ტურფა შესამოსელით შემჩისეს,  
წელთ ხომ ისეთი სარტყელი შეარტყეს, უქარეს რცფლებო-  
და. ჭაბუკი მულლაზანზარს ჩამდენსამე უფლუბერტუფტი-  
დონს სასეირნოდ და საასპარეზოდ დაჰყავდა, ერთად ხადი-  
რობდნენ. ავთანდილის ნასროლი ისარი „სწორად პხოცის  
შორს და ახლოს“, მშვილდოსანნი ერთობ დაეწილებინა,  
არავინ იყო მისი ბალალი. წასვლას ესწრატოდა, მეტი მოცდა  
აღარ შეეძლო.

— შენი დაშორება სიკეთილივით მიმძიმს, — უთხრა მან  
ფრიდონს, — მაგრამ ჩა ვქნა, „არა მცალს დღე-კრელსა,  
ცეცხლი მწვავს მოუთმინებინ“, წინ გრძელი გზა და სასწრა-  
ფო საქმე მიძევს, მე კი ძლიერ ვაყოვნებ, ვიგვიანებ. მოგეხ-  
სენება, „დგომა მგზავრისა ცოომაა“, და უნდა ვიჩქარო,  
დღეს უეპველად უნდა წავიდე. ესაა, რომ ცეცხლზე კიდევ  
ცეცხლს მიყიდებს, გული მიკვნესის, ცრემლი მერევა, ან კი  
შენს გამყრელს სხვა რაღა მმართებს! ახლა ამასა გთხოვ,  
ზღვის პირას წამომყვე და, „სადა გინახავს იგი მზე“, იქ მი-  
მიყვანო.

— ვიცი, აღარ გცალია, „შენ ლახვარი სხვა გესობის“,  
და დარჩენას ვერცა გთხოვ, — მიუვო ფრიდონშა, — წადი,  
ღმერთმა გიშინაშძლვროს, მტერიმც დაგმარცხებია, მაგრამ  
მე ჩა ვქნა, უშენობას როგორ გავუძლო იცოდე, მარტო ვერ  
გაგიშვებ, ეგ არ იქნება, მსახურთ გაახლებ და მცირე ბარვიც  
დაგჭირდება, „არ წაიტან, გაირჩები ლაშვი-ვარდი ცრემლ-  
ნადენი“.

სტუმარს უარი არ უთქვაშს, დაუმადლა. მასპინძელმაც  
აღარ დაახანა და გულით მისანდო ოთხი მსახური მოჰვერა,

ერთ კაცს ჩაც აბჯარი უნდოდა, უკლებლივ მოაწითვა, გრიფ  
უებრო ტაიპიც უძღვნა, მდიდრულად შეკაზმული, წავმა-  
გარ ჭორს საგებელი აუკიდა, ოქროც ბევრი ფაქტურულება  
ფრიდონი თავად შეჭდა და გვერდით ამოულგულისტი მომდევ  
მომლოდინე გულდამწვარი მოთქვამდა: „თუმცა მზე გვეახ-  
ლა, ჩვენ ზამთარი ვერ დაგვზრდიდა“. ავთანდილი შიდისო,  
ამბავი მთელ ქალაქს მოედო. ვინ სად იყო, ყველაფერს თავი  
ანებეს და დალონებულნი მოაწყდნენ:

ხმა ზახილისა მათისა პევანდა იერთა ჭეხილსა,  
იტყოდეს: „მზესა მოექმორდით, მო, თვალით მიესცნეთ წეხილსა!“

ფრიდონმა ავთანდილს ზლვის ნაპირას ის ადგილი უჩვე-  
ნა, სადაც ნესტანი ენახა. გულმოკლულნი „მუნ დაადენდეს  
ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა“. ფრიდონმა უამბო:  
მონა ზანგებმა აქ „მზე მოიყვანეს ნავითა, კბილ-თეთრი.  
ბაგე-ბადახში“, შავთვალა იყოო. გადავწყვიტე, დატყვევე  
ბული მნათობი ხმლით გამომეხსნა, და ცხენი ფიცხლად გა-  
ვაქროლე, მაგრამ შორიდანვე შემნიშნეს და გამექცნენ, ნავს  
ისე მიასრიალებდნენ, გეგონებოდა მიფრინავსო.

მეტი ალარა უთქვამთ რა. ერთმანეთს მოეხვიენენ, აკოცეს  
და წავიდა ავთანდილი, „გაიყარნეს გაუყრელნი ძმად-ფიც-  
ნი“, ურვა-ვარამი რომ ერთობ გაახლებოდათ.

ავთანდინის ნასველ ნისტან-ზარაჯანის  
საძებნებაზე და ქარავანის უკანონობების შესახებ

**მოყმე** მიღიოდა და სავსე მოვარისაებრ შექს  
მიაფენდა. თინათინის მოვონებით იამებდა დაწყლულებულ  
გულს, ფიქრში შეპლალადებდა, შენ გაქვსო იმ წყლულის მა-  
მრთელებელი წამალი, ვაი, რომ ცრუ და მუხანათ საწუთროს  
დაუუშორებივართ და ასე უმოწყალოდ ვეწამებიო.

„რად სიცხე გულსა ნიადაგ მწვავეს ვმირთა სამს ალებისა?  
რად გული კლდისა ტინისა შეგვენია სამ სალებისა,  
არ შეუძლია ლახვისა დაჩინა სამსა ლებისა?  
შენ ხარ მიზეზი სოფლისა ასრე „გასამსალებისა!“

ზღვის ნაპირს მიუყვებოდა, ტარიელის მზის მძებნელი,  
და დლედალამ თვალთაგან ცრუმლი ლეარად სდიოდა. მგზავ-  
რი არ გაუშეია, არ ეკითხა, მისი თუ რამე იციო. კვალიც  
რომ ვერსად ეპოვნა. მისთვის ყველაფერს ფასი დაჭკარვო-  
და: „ჩალად უჩნს ყოვლი მვეყანა მისვე ჩალისა წონითა“.  
ასი დღე ასე ევლო, როცა ქედს გადაადგა და იქიდან და-  
ტვირთული აქლემები შენიშნა. რა მივიდა, ნახა, ზღვის პირას  
ურიცხვი ქარავანი იჯგა. მოქარავნენი სავონებელს მისცე-  
მოდნენ: ვერც გაჩერებულიყვნენ და ვერც მიღიოდნენ. მო-  
ყმე მიესალმა და ჰერთხმა, ვაჭარნო, საღაური ხართო. ქარავნის  
უფროსი უსამი ჭკვიანი და გამოცდილი კაცი იყო, უებ-  
რო ჭაბუკი დალოცა და ხოტბა შეასხა, შენ, ქვეყნის მანა-  
თობელი, ჩევნდა ნუგეშად ამობრწყინებულხარო, უთხრა  
გახარებულმა და მიიწვია, ჩამობრძანდი, ჩვენს ამბავს გიამ-  
ბობთო. ავთანდილი ცხენიდან ჩამოვიდა და უსამმა მოახსენა:


— ჩვენ ბალდაცელი ვაჭრები ვართ, მაკმათის რეალური  
ერთგული მიმდევარნი. ზღვათა მეფის ქალაქს დიდია გამ-  
და და საქონელი მიგვაქეს გასაყიდად. ზღვის უკარის უცხალე  
მიხდილი კაცი ვნახეთ, მივეშველეთ და მოუსკრდობრუნვა  
ვიჩრდა, ცოცხალი როგორლა ვარო, გავაფრთხილა, ზღვაში  
ნუ შეხვალო, თორემ დაგხოცავენო.

„ოქეა: «ქარაგანი ეგვიპტით გამოვემართოთ ერთოთ,  
ზღვასა შეკედათ ტვირთულნი ლარითა შრავალ-ცერითა,  
მუნ მეფიშრეთა დაგვხოცეს ძელის სახნისი წვერითა,  
ყველაი წახდა, არ ვიცი, აქა მოსრულეაჩ მე ჩითავა».

ლომო და მშეო, აქ ამიტომ გავჩერებულვართ, — შესჩივლა  
უსამშა, — რა ვქნათ, აღარ ვიცით: უკან დავბრუნდეთ, უზო-  
მო ზარალს ვნახავთ, ომი კი ჩვენ არ შევიძლია და. შევი-  
დეთ, ვაითუ დაგვხოცონ. ვერც აქეთ, ვერც იქით წავსულ-  
ვართ და მეტი მოცდის ლონეც აღარა გვაქვს.

— ურვა და წუხილი ამაოა, — უთხრა ავთანდილმა. —  
ცაში რაც გარიგებულა, მაინც არ აგვცდება და ბარემ მოსა-  
ხდენი მოხდეს. მე მომენტეთ, თქვენი სისხლი ჩემს კისერ-  
ზედ იყოს. ნუ გედარჟებათ, „ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენ-  
თა დააცეთების“.

მოქარავნებმა დიდად გაიხარეს: უშიშარი რაინდია. ჩვე-  
ნებრ მხდალი კი არა, თავის იმედი აქვს და. რაღა გვიშირს.  
გულდამშეიღებით ვიყოთო ხომალდში ჩასხდნენ და ზღვა-  
ში შევიდნენ. საამო ამინდი ედგათ და დაუბრკოლებლივ  
მიცურავდნენ. ავთანდილი ბაღრაგად უძლოდათ, მხნე და  
ლომ-გმირი ჭაბუკი. ანაზდად მეკობრეთა ხომალდი გამო-  
ჩნდა, ვეება დროშას მოაფრიკალებდა, ხომალდთა შესალეწად  
წინ სახნისი ჰქონდა მიმაგრებული ხის ტარით. ყიჯინითა და

  
ბუკ-ნალარით მოდიოდნენ. ქარავანი ლაშქრის ცემოალებ  
შეაკრო. მოყმემ დამშვილა: ნუ გეშინიათ, ჩიათ ჭავაცობას  
ახლავე გიჩვენებთ, ერთობ ამოვწყვეტ, თუ შემცირებულის დღე არ დამდგარია.

“უგანგებოდ ვერას მიზენ, შე-ცა-შეპნენ ხმელთა სანი,  
განგებაა, არ დავრჩები, ლახვარნაა ჩემთვის მზანი,  
ვერ მისსნაან ვერ ციხენი, ვერ მოყვასნი, ვერცა ძმანი.  
ვანცა იცის ეს ასრე, ჩემებრვეა შულოვანი”.

აბა, თქვენ ომისა ჩა იცით, მშიშარა ვაჭრებმა, შედით და  
კარი ჩაიკეტეთ, შორიდან რომ ისრით არ დაგხოცონო, მე მი-  
ყურეთ, მარტო როგორ შევება და მათი სისხლი ღვარად ვა-  
დინოო. ჭაბუქმა აბჯარი ვეფხვივით მკვირცხლად ჩაიცვა.  
რკინის კეტი ცალ ხელში დაიჭირა და ხომალდის ზედ ცხვირ-  
ზედ მედგრად დადგა. მეკობრენი ღრიანცელით მოიქრნენ  
და ის იყო სახნისი მოქარავნეთა ხომალდისათვის უნდა ეძ-  
გერებინათ, რომ მოყმე მძვინვარე ლომივით ვევეთა, კეტი  
ჰქია და ხის ტარი გაღაუმტერია. მეკობრეთა ლაშქარს თავ-  
ზარი დაეცა, იყალრეს და გაქცევა დააპირეს.

ეელარ გაესწრეს, გარდუხდა მტერთა მი და მო მლეწელი,  
არ დარჩა კაცა ცოცხალი მენ მისგან დაუფრეწელი.

მნედ დაერია, თითქოს ცხვრის ფარა ყოფილიყოს, და მუსრის  
ავლებდა, ერთი ხელის მოსმით მთელ გროვას თავს რისხვის  
ატეხდა, „რვა ცხრასა და ცხრა ჰქიასა“. ზოგი ხომალდს  
შეანარცხა, ზოგიც ზღვაში გაღიყარა, უფრო მეტი მახვილით  
აყაფა, „ვითა მჭერეტელნი ჭერეტითა, მტერნი დახოცნა  
ხრმალითა“. დაკოდილო ხმა გაეკმინდათ და მკვდრებში იმა-  
ლებოდნენ. თუკი ვინმე უვნებელი დარჩენილიყო, ძლევამო-

სილ ჭაბუქს შეევედრა და რჯული აფიცა, ნე  შეგვიწყალეო. უსმინა და აღარ დახოცა, ტყველ წამოასხა, მასი მლოცველნი. „მართლად იტყვის მოციქული ჩამომ შექვეული სიყვარულსა“.

ომი ისე გაუმარჯვდა ავთანდილს, გულით რომ ეწადა. მერე მეკობრეთა ხომალდი მოიარა, იქ დიდძალი განძეულობა ნახა. ხომალდი ხომალდს შეაწყვეილა და ქარავანს გასძახა, გამოდითო. მხიარულნი გამოცვიდნენ. უსამმა მის უებრო სიმამაცეს ქება-დიდება შეასხა, „სასახავნი დიდნი სახნა“.

ხოტბას არც სხვები იშურებდნენ, ათასი ენა ერთად აქებდა, მაგრამ

ვერცა მათ ოქეეს, ნაომრობა როგორ ტურუად დაუშეენდა. ქარავანმა იზრიალა, ოქეეს: „უფალო, მაღლი შენდა, შემან შექნი შემოგვალვნა, ღამე ბნელი გავათენდა!“

თავ-პირსა და ხელ-ფეხს უკოცნიდნენ, ისევ და ისევ უსაზომო ხოტბას ასხამდნენ, მხსნელად მოგვევლინეო, შექმალადებდნენ, ესოდენ მძიმე ფათერაქს შენი წყალობით გადაუერჩითო უებრო ჭაბუქის შერეტით ბრძენიც კი გახელდებოდა, შეუას დაკარგავდა, ქარავანს რაღა მოუვიდოდა?!

— მაღლი ღმერთს უნდა შესწიროთ, — მიუგო მოყმემ, — შეეყნად ხომ ყოველივე მისი ნება-სურვილით ხდება, ზოგიცხადად და ზოგიც ფარულად. ღმერთმა გიხსნათ, ამოღენახალხი მან-შეგიბრალათ და არ გაგწირათ, თორემ მე რა ვარ, მიწა და მტვერი, უმისოდ, აბა, რას გაეხდებოდი?! ღვთის შეწევნით ქადილი ამისრულებია და თქვენი მტერი შემიშურავს, საუნჯით სავსე ხომალდიც ძღვენივით მიმიღია.

ამოა, ქარგსა მოყმესა რა თში გაქმარევებოდეს,  
ამხანაგთათვის ეჭობინოს, ვინცა მას თანა-მხლებოდეს,



მიულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სწავლისას,  
ჰშევნოდეს დაკოლილობა, ცოტაი რამე პენებოდეს.

მეცობრეთა ნაძარცვი განძეულობა, ანგლიურის წარმატების  
ეგებოდა, იმავე დღეს გადმოტვირთეს, ხოლო დამკუშებული  
ბული ხომალდი დალეწეს და ცეცხლს მისცეს. მერე უსამი  
ავთანდილს ეახლა და ვაჭართა შემონათვალი მოახსენა: ვი-  
ცით, თავად რა უმშეონიცა ვართ, ძალი და სიმტკიცე შენ-  
გან მოვენიშებია რაც კი სიმდიდრე გაგვაჩნია, უმპველად  
ისიც შენია და გვიბოძე, თუ რამეს გვარგუნებო. ავთან-  
დილმა შეუთვალა:

— მმანო, აქამდეც მითქვამს, მე კი არა, ღმერთს უნდა  
უმადლოდეთ, მან შეისმინა, ცრემლთა ნაკადით რომ ევედ-  
რებოდით, და გადაგარჩინათ. მაგ სიმდიდრეშიც წილს ვერ  
დავიდებ: „რა გინდა მომცეთ, რას ვაქმნევ, მე ვარ და ჩემი  
ცხენია!“ საუნჯე თუ მდომებოდა, „ჩემსაცა მქონდა ურიცხ-  
ვი, უსახო ლარ-საგებელი“. თქვენთან მოვდივარ და, იცო-  
დეთ, არას გეცილებით, თქვენი მხლებელი ვიქნები მხო-  
ლოდ. ჩემი საქმე სხვაა, თავი სხვა რამეზედ გამომიღვია.

„აუ რაცა აქა ვიშოვე საქურჭლე დაუთვალავი,  
რაცა ვის გინდა, წაიღო, არვისი ვიყო მლალავი,  
ერთსი ვიაჩი, მიაჩეთ სახო აზ-საკრძალავი:  
საქმე რამე მიც თქვენშიგა თავისი დასამალავი!“

დრომდე ჩემს კაბუკობას ნუ გაამეღავნებო, თქვით, ჩვენი  
პატრონია-თქო. ვაჭრულად ჩავიცვამ და ვაჭრობას დავიწყებ. აბა, თქვენ იცით, ძმობა გამიწიეთ და ხევაშიაუი შემინაბეთ.

მოყმის ნათქვამმა ქარავანი დიდად გაახარა. მოვიდნენ,  
თაყვანი სცეს და მოახსენეს, ნატვრა აგვსრულებია და ეგ  
არისო: ჩვენ უნდა გვეთხოვა და თავად გითხოვიათ, რომ

იგი ვიწინამძღვროთ და „მას ვმსახუროთ, ვისი პირი შეიძლო  
პირად გაგვიცდია“.

ხომალდი დაძრეს და შეუჩერებლივ მუქამტეზურუნველი  
საამო ტაროსი ედგათ და მგზავრობაც საამო გრძელებული და  
დილს შეპხაროდნენ, ხოტბას ასხამდნენ, მის კბილთაებრ შექ-  
მოციაგე მარგალიტი ძლვნად მოჰქონდათ.



## ევთანედის გუდამარას მისვლის პეპავი

ზედა გადაცურეს და ქალაქს მიადგნენ, გარ-  
შემო ბაღები რომ ხშირ ტყედ მოვლებოდა, უცხო და ნაირ-  
ფერი უვავილებით დამშვენებული. ენა ვერ იტყვის, რა ტურ-  
ფა ქვეყანა იყო! ხომალდი ბაღის განაპირას საგულდაგულოდ  
დააბეს, მერე მზიდავნი დაიქირავეს და გაღრმოტვირთვას შე-  
უდგნენ. ავთანდილს ვაჭრელი ჭუბა ჩაეცა, ვაჭრებს უფრო-  
სობდა და ამით თავის ვინაობას ფარავდა. მალე ამ ბაღის მე-  
ბაღე გამოეცხადათ და ავთანდილს შორით შესტეროდა გან-  
ცვიფრებული: „მას ყმასა უჭვრეტს შეფრთვინვით პირსა, ელ-  
ვათა მერთომელსა“. ქაბუქმა მოუხმო და გამოჰკითხა. რა ქვე-  
ყანაა ან ქაურ მეფეს რა ჰქეიაო, ძეირად რა ფასობს ან ია-  
ფი რა არისო, ყველაფერი დაწვრილებით მიამბეო, სთხოვა.  
მებაღემ მოწიწებით უთხრა: „ვხედავ პირსა თქვენსა, მზისა  
პირად მემეცნების“ და, რაც ვიცი, ერთობ მართალს მოგახ-  
სენებო.

აქცეა ზღვათა სამეცნ თვისა ათისა სავლითა,  
თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა,  
აქ მოძის ტურფა ყველაი ნავითა ზღვა-ზღვა მიგლითა,  
მელიქ-სურახევი ხელმწიფობს, სრული სკითა ტრაქეფტრუ მა ॥

— აქ მოსვლით მოხუციც გაყმაწვილდნენ, და მათ ქალები  
მებალემ: — ნიადაგ ლხინი დ სიმღერა-გართობაა, ზამთარ-  
ზაფხულ ნაირფერი ყვავილი ჰყავის, თვით მტრებიც კი შე-  
მოგვნატრიან. დიდვაჭარნი ხომ უკეთეს იდგილს ვერსად ნა-  
ხავენ, თავს აქ იყრიან და „იყიდიან, გაყიდიან, მოიგებენ, წა-  
აგებენ“. ლარიბ-ლატაყი ერთ თვეში გამდიდრდება, უქონელი  
წლამდის დიდ ქონებას შეიძენს. მე ვაკართა უფროსის, უსე-  
ნის, მებალე ვარ, ეს ბალი მისია. ჩვენს ქალაქში წესად არის  
დადებული: დიდვაჭარნი რა აქ მოვლენ, პირველად უსენს  
მოინახულებენ და ძღვენს უძლვნიან, ყოვლის უტურფესი და  
უძვირფასესი რაც რამ აქვთ, ჯერ მას უჩეენებენ და მეტის  
ჯალაბობისათვის გადააწყობინებს, საფასურსაც მაშინვე მი-  
უთვლის და მერე ალარ უშლის, როგორც უნდათ, ისე ყი-  
დიან. თქვენებრ საპარიოთა მასპინძლობა თავად მართებს,  
სხვებს კიდევ სხვანი წაიყვანენ მისი ბრძანებით და შესაფე-  
რისად მოასვენებენ. მაგრამ იგი ახლა აქ არ არის და მისი  
ხსენება, აბა, რას მარგებს, სჯობია ისა ვთქვა, მის ნაცვ-  
ლად ვინ უნდა მიგიწვიოთ და გიმასპინძლოთ:

„ფატბან ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი,  
პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მეისი“.

წავალ და თქვენს მოსვლას შევატყობინებ, იგი კაცს გაახ-  
ლებთ და როგორც თავისიანს შინ აშეარად, დღისით-მზისით,  
მიგიყვანთ.

ავთანდილმა დასტური მისცა და მებაღე მყისვე გამოშორისა, ალტაცებული გარბოდა, მივიღა და ხათუნს მიახარია: „წევსე დამიქადიან, ყმა მოვა, მისთა მცვრეტელუკა წევრუს გაიცადიან!“ ერთი ვინმე ვაჭარიაო, დიდი ჭარვული ერტურუს ნი, ალვისებრ ლალად აზრდილი და შევიდი დღის მთვარის მსგავსად გაბადრული, კოსტა ჭუბა აცვია და ძოშისფერი მოსახვევიც პშვენის. მიმიხმო, აქაური ამბები და ბაზრის მაზან-და მკითხაო.

ფატმანმა მეტად გაიხარა. ერთი კი არა, ათი მსახური აახ-ლა და მიიწვია. ქარვასლა მოურთო და მოუკაზმა, მათი ბარგიც იქ შეანახვინა. ავთანდილმაც აღარ დაახანა, ფატმანის მსახურთ გამოჰყვა და ქალაქში

შემოვიდა ლაშვილ-ვარდი, ბროლ-ბალახში, შინა-სათი, მისთა მცვერეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლომისა — თათი.

ხმა დაირხა და მთელი ქალაქი შეიქრიბა, გარს შემოეხვია. ერთმანეთში ირეოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, როგორ-მე ვუკვრიტოთო. ნდომითა და სურვილით შესტრფოდნენ, შეპარიდნენ, ზოგი მაინც ერთობ სულწასულად იყო. ქმრებს ჯავრი მოსდიოდათ, ცოლები რომ ათვალწუნებით უც-ქეროდნენ, მისი მნახველნი: „მათთა ცოლთა მოიძულვნეს ქმარნი, დარჩეს გაბასრულად“.

ფატმანი კარებთან გამოეგება, ლალად მიესალმა, სიხა-რულს არ მალავდა: „ფატმან ხათუნს მისლვა მისი, შე-ვით-ვატუევ, არ ეწყინა“. რა ერთმანეთი მოიკითხეს, შიგნით შე-ვიდნენ და დასხდნენ.

ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე, არ-უმაშვილი, მაგრა მშელი, ნაკვთად კარვი, შავ-ვრემიანი, პირ-შეუქანი, არ პირ-ხშელი,

შეტრიბთა და მომლერალთა მოყვარული, ლვანის-მსეული  
და ედვა სისალუქო დასაბურავ-ჩისაცმელი.



იმ ღამეს ფატმანია ჩინებულიად უმასპინძლებული უკანი-  
ვაც: ოლონდ იგი არ დაეკარგა და რამეს ღიანი უკუმინესი ჭი-  
მის შემდეგ მოყმე გამოეთხოვა და დასაწოლიად წავიდა. ღი-  
ლით ფატმანს უკლებლივ უჩვენა, რაც რამ სავაჭროდ ჩამო-  
ეტანათ, საუკეთესონი სასახლისათვის აარჩევინა და საფასუ-  
რიც მიითვალა. მერე მოქარავნენი მათი განძითა და საქონ-  
ლითურთ ბაზარში გაისტუმრა: მე ნუ გამამჟღავნებთ და,  
როგორც გინდოდეთ, ისე ივაჭრეთო.

გადიოდა დღეები. აკოანდილი ვინაობას ისევ ფარავდა  
და ტანთ ისევ ვაჭრულად ემოსა. ხან თვითონ მიიწვევდა  
ფატმანს და ხან იქით ეწვეოდა, ერთად ისხდნენ და ტკბი-  
ლიად ბაასობდნენ, ქალს უმისოდ ვეღარ გაეძლო: „ფატმანს  
ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“.



## შაგმანის გამიჯნახება და ნერიდი ავთანდილი

■ კაცს მოთმინება შესწევს, დიაცის და-  
ქსელილ ტრფობის ბაღეს უნდა განერიდოს: ვნებააშლილი  
თვალს თვალში გავიყრის, მოგხიბლავს, მივიზიდავს, მიგინ-  
დობს, თავიაღაც მოგენდობა და... ანაზდად გიღალატებს, არ  
დაგზოგავს, არ შეგიბრალებს. ახლა მოლი და მას საიდუმლო  
გუმჟღავნე, სულერთია, რაც გინდა იყოს!

სქობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაიომობს: გილიზებს და შეგვავეთებს, მივინდობს და მოგვინდობის, მართ ანაზღაუ გილალატებს, გაქვეოს, რასცა დაესთხმის, მით დიაცისა სამალავი არასთანა არ ეთხრობას! ჩამომავალი

### პიგდეირიეკა

ფატმანს ავთანდილის ნდომა გულს ჩავარდნოდა. მალე მისი ტრფობის ცეცხლი ისე მძლავრად შემოენოო, ვერა და ვერ მალავდა. გამწარებული ვაებდა და თვალთაგან ტრემლს აწვიმებდა. ოღარ იცოდა, რა ექნა: მიღმა ვუთხრა, ვაითუ გამიწყრეს და ჰერეტიც დამანატროსო, არადა რანაირად გავუძლო ამ ცეცხლს, სულ უფრო მეტად რომ მწვავს და მდა-გავსო! ვეტვი, მაინც ვეტვი და ან მომკლას, ან დამარჩი-ნოს, უთქმელობით ხომ ჩემს წყლულს მაინც არა ეწამლება რაო: „მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს?“ მოყმეს წერილი მისწერა, სიბრალულით კაცს რომ გულს შეუძრავდა, დაუფარავად აუწყა, მისი მიჯ-ნურობით რა სატანჯველსაც მისცემოდა:

„ე მხეო, ლმერთისა ვანათვან მხედ სწადდი დასაბადებლად, მით შეგვენა მოშორებულთა ჭირთა, არ ლხინთა მწადებლად, ახლოს შემყრელთა დაწველად, მათად ცეცხლისა მადებლად, მნათობთა შენი შეხედვა ტყბილად უჩნის, დასაქადებლად!

„შენ გტრფიალობენ მკერეტელი, შენოვის საბრალოდ ბნდებიან, ვაჩდი ხაჩ, მივიორს, ბულბული რად არა შეწედ კრფებიან, შენი შეენება ყვავილთა აჭინობს და ჩემნიც ცნებიან, სრულიდ დაწვეოჩვარა თუ მხისა შექნი არ მომესტრებიან!“

— მოწმედ თვით ლმერთი მყავს, რა შიშითა და ძრწო-ლით ეწერ ამას, მაგრამ ბედკრულმა რა ვიღონო, მოთმინე-ბა რომ ერთობ დამკარგვია, მაგ შავი წამწამების ისართა სო-ბას გული ნიაღავ ხომ ვერ გაუძლებს? თუ რამეს მიშველი,

მიშველე, თორემ საცაა გავგიდები! ვიდრე პატუჩი მართვა  
ლოდეს და შევიტყობდე, დასამიწებლად გამწირე, თუ მოგე-  
ნალოდე და ვერ გამიმეტე, მანამდე კიჯი უჭავჭურულებული  
დგმული, რაგინდ ვეწამო. ან სიკვდილი და ზეწული და ფრინველი ტუ-  
ტავ, როდის გადამიწყდება?!

მისი წერილი ავთანდილშა ისე წიკითხა, თითქოს დას ან  
ნათესავს მოეწეროს. არ იცისო ჩემი გულისნადები, ვისი ვარ  
და ვინ მეტრფიალება, სად ეგ და სად ჩემი მზე, ან კი იმას  
რად ვადარებო, ფიქრობდა ჭაბუკი და ფატმანზე ჭავრი მო-  
სლიოდა.

თქვეა: „უვავი ვარდსა რას აქმნებს,“ ანუ ჩა მისი უერია  
მაგრა მას ზედა ბელბელსა ჭერთ ტებილად არ უშედერია.  
უმსგავსო საქმე ცოკელი მოყლეა, მით თხერია.  
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოეწერია!“

გმობით რომ გული იჯერა, მერე სხვარიგად განსაჭა:

— თავს იქით შემწე ვინა მყავს და, რახან მისი პოენა  
მწადია, ვისთვისაც გაღმოვხვეწილვარ, მმართებს, რომ გუ-  
ლისყური ერთობ იმაზედ მქონდეს მიპყრობილი, როგორმე  
მის კვალს მივაგნო. დიაცს ვინც უყვარს, „ვაექსვის და მის-  
ცემს გულსა“, სირცხვილს ირას დაგიდევს, რაც რამ იცის,  
უამბობს, ხვაშიადს უკლებლივ გაუმჯდავნებს. ის დიაციც  
ბევრი ვინმეს მნაცველია, ყოველი მხრიდან მოსულ მგზავრთა  
ცნობისმოვარე მასპინძელი. მიჯობს სურვილი ავუსრულო,  
არ გავაწილო, ვინ უწყის, იქნებ მან იცოდეს ის საიდუმლო,  
ესოდენი წვითა და დაგვით მე რომ დავეძებ, დაუფარავად  
ყოველივე მიამბოს და მომეშველოს მოძმის ვალი გადავიხა-  
დო, ჩემი გულისთვის მძიმე სატანჯველს რომ არ მოერიდა  
და სისხლის ცრემლი ღვარა.



კვლა იტყვის: „ვერენ ვერას იქმს, ოუ ეტლი არ შესასტონდებას, მით ჩაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების. ბინდის გვარია სოფელი, ეს თურე ამად ბინდდებური რიცხვი კოქისა შევან ჩაცა დვას, იგივე წარმოსდინდების!“ ზეგანვითარებული



## ავთანდილის ხეილი ზაჟმანიან

**ნ**ავიკითხეო, ჩემი ქება მოვიწერია, თქმა შენ ლამასწარ, თორემ შენგან მე უფრო მაქვს ცეცხლი მოდებული, „შენცა ვინდა, მეცა მინდა გაუწყვედლად შენი ხლება“ და წევნი შეხვედრა სწორედ რომ პირიანია, მოვალ, თუ მიხ-მობო, სწერდა პასუხად ავთანდილი. ენა ვერ იტყვის. რარიგ გაიხარა ფატმანმა. მყისვე მისწერა: ქმარა, რაც უშენოდ ცრემლი მიღვრიაო, შენი მომლოდინე შინ მარტო ვაქნები და, რა შეღამდეს, ფიცხლად მომაშურეო. დაოქმულ ჯროს მოყმე მასთან რომ მიღიოდა, წინ მსახური შემოხვდა და მო-ახსენა: შემოგითვალა, ამაღამ ნუ მოხვალო, „ვერა მპოვებ შენთვის მზასა“. ჭაბუქს ეწყინა, ეს რასა პგავსო, და გაჯავ-რებულმა გზა განაგრძო:

შეერლი ალარ დაბრუნდა კულა ზევე უკუწევეოთა.

უატმან ზის წყენით, შევიდა აეთანდილ მარტო ხე ვითა.

შეხედვისთანავე ქალს წყენა შეატყო, თუმცა მისი შიშითა და ხაორით არყი იმჩნევდა. ერთად დასხლნენ და ხვევნა-კოცნაში ღროს სიამით ატარებდნენ. ანაზუად ვიღაც ლამა-

ზი და ახოვანი მოყმე შემოვიდა, თან ხმლოსანი მსახური შე-  
მოჰყეა. მოყმე რა მათ მიუახლოვდა და ავთანდილი დაინარა,  
შეკრთა, თითქოს კლდიან გზაზედ უთსკრულტ შემსულშემდებ.  
ფატმანი მისმა მოსვლად საშინლად შეაძრწუნდა იმის დროისა

შან გაყვირებით უპერიტა შათხა ლალობა-წოლას,  
უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მი კრთოლას,  
გამითენდების, განანებ შავა მოყმისა ყოლასა!“

ბოზო დიაცო, ხომ ასე მისხრად ამიგდე და შემარცხვინე,  
ნახე, ხვალ რაც მოგეზღლოს მაგის სამავიეროდ: უსაზომო სა-  
ტანჯველს მიგცემ, „ვარ შენთა შეილთა შენითა კბილითა და-  
მაჭმეველად!“ თუ გადავთქვა, სახეში მომაფურითხეო. ეს  
უთხრა და წავიდა. ფატმანმა თავში ხელი წაიშინა, ღაწვებს  
იყარიავდა, „ცრემლთა, მისთა მონადენთა, წყაროსებრნა ის-  
მნეს წყარნი“, მოდით, ქვა მომაყარეთ და დამჭოლეთო, მწა-  
რედ ვაებდა.

შოთევამს: „მოვყალ, ჰაი, ქმარი, ამოვწყვილენ წვრილნი შეილნი,  
იაგარ-ცავ საქონელი, უსაზონი თვალნი თლილნი,  
ვავეყარე საყვარელთა, ვა გამშრდელნი, ვა ვაზრდილნი,  
ბოლოდ ვექმენ სახლსა ჩემსა, სიტყვანია ჩემნი წბილნი!“

ავთანდილი განცეიფრებული უსმენდა, მერე ჰკიოთხა: რა  
დაგმართია, რა მოთქმა-ვაებას მისცემიხარ, ან ის მოყმე ვინ  
იყო და რას გერჩიდა, რა წაგირთმევია, რაზედ დაგემუქრაო.  
ნურას მკიოთხავ, ლომო, გახელებულს ცრემლი მახრჩიბს და  
მაინც ვერაფერს გეტყვიო, მიუგო ქალმა, ვაი, რომ შენი მო-  
უთმენელი სიყვარულით თავიც დავიღუპე და ოჯახიც ძირ-  
ბუდიანად ამოვაგდე, რაღა გამახარებსო, მწარედ შესჩიელა.

„ესეგვარი დია მისხდეს სიტყვა-მცორნსა, ენა-მეტსა,  
ხვაშიალის ვერ-მმაღავსა, უპეროსა, შმაგსა, რეტსა.

ვაგლახითა მეწივენით, გეტუვი ყოვლსა ჩემსა მჰვრელსა!  
მურნალმანტა ვერა პკურნის თავისისა სისხლის ტხევრებია.

— ახლა ორისაგან ერთი მოიმოქმედე, შეტურიჭის უკუ  
დები, — უთხრა ფატმანმა ავთანდილს: — ჰქი ზრდის ჩამას  
კაცი ამაღამ მალულად მოკალ. იცოდე, ამით მე და მთელ  
ჩემს სახლობას ამოწყვეტისაგან გვიხსნი. როცა დაბრუნდები,  
უკლებლივ გიამბობ, რაზედ ვტირი და ვვაებ. ან არადა ამა-  
ღამვი თქვენი ბარგი ააყიდებინეთ და ჩემს მიღამოს ერთობ მო-  
ეცალეთ, მგონია, ჩემმა ცოდვამ შენც ჭირითა და წუხილით  
აგავსოს: თუ ის მოყმე ხვალ ხელმწიფესთან მიეიდა, დიდი  
უბედურება დატრიალდება ჩემს თავს.

რა ესე ესმა ავთანდილს ლალსა, ბუნება-ზიარსა,  
აღგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე შენ არსა!  
„ამ საქმისა ვერ-ცნობა, — თქვა, — ჩემი სიძუნულე არსა“.  
ნუ ეპე სელ-დგმულსა ქვეყანად, თუ ვითე მისებრი არსა!

კაცი მომეც, რომ გამომყევს და გზა მიმასწიავლის, თო-  
რემ მისი შველა არად მინდაო, უთხრა მან ფატმანს. იმ მო-  
ყმეს რაღაც ვერ ვატყობ, რომ მეომრობაში გამიტოლდეს, მშვიდად დამელოდე, მოვალ და მოგახსენებ, რასაც უუზამო.  
ქალმა მსახური აახლა და მიმავალს მიაძახა: „ვინათვან ცეცხ-  
ლი ცხელია აშ ნელალ, თუ მო-ვითა-პკულა იგი უმა ჩემად გუ-  
ლისა მფხანელად“, თითხე ჩემი ბეჭედი უკეთია და, გვედრე-  
ბი, ის მომიტანეო.

ქალაქი გავლეს და ზლვის პირას სასახლეს მიადგნენ: წი-  
თელ-მწვანე ქვით იყო ნაკები, ქვემოთ ვრცელი დარბაზები  
პქუნდა, ზემო სართულს შუაში კიდევ სართული ელგა, ერ-  
თობ ტურფა და მიმზიდველი ჩანდა. მხლებელმა ავთანდილს  
უჩურჩულა: ვისაც ეძებ, ეს სასახლე იმისია, დასაძინებლად

ზემოთ აღის, ხოლო, თუ ფეხზეა, ქვემოთ იქნება. აკანზილი იქით გაემართა ნახა, კარის წინ ორი დარბაზი უჩვა, ფეხაკრეფით მიეპარა, თითო ხელით ორივეს ჭრუშები უძღვის მდა წამსვე სული გააფრითხობინა: „თავი თავში შეჭრებული უტურია ტვინი თმასა“. მოყმე საწოლს მარტო იწვა გულგავრიანი, წამოდგომაც ვერ მოასწრო, აეთანდილი ფიცხლად მიეჭრა, ძირს დაანარცხა და დანით იღუმალ მოკლა.

შევრეტელთა მზე და შებრძოლთა მჩეული და ვითა ზარია  
ბეჭდითურთ თითო მოქვეთა, ქვესენელთ მიწასა ვარია,  
ზლეათავე სარქმლით ვატუოჩა, ზლეისა ქვიშათა დარია,  
მისთვის არცა სად სამარე, არცა სათხარალ ბარია.

მათი დახოცვის ამბავი არავის გაუგია, იქიდან ისე უჩუმრად „წამოვიდა ვარდი ტქბილი“, ან კი რას უნდა გაემშარებინა?! უკან იმავე გზით დაბრუნდა და ფატმანს მისვლისთანავე მიახარა: მოვკალ, მზე დავუბნელეო, შენივე მსახური მოწმედ მყავს და, ამა, ბეჭედიც თითოთურთ მომიტანიაო. ახლა კი მითხარ, წელან ისე რამ გავაშმავა ან ის კაცი რას გემუქრებოდა, ამ ამბის შეტყობა მეტისმეტად მეჩქარებაო. ფატმანი მუხლებზე მოეხვია, სახეში გიცქერდე, ლირსი არა ვარო, ქება შეასხა და მაღლი მოახსენა: „გამიმრთელდა გული წყლული, ახლა დავჩე ცეცხლთა შრეტად“, მე და უსენი წერილშეილითურთ თითქოს ხელმეორედ დავიბადეთო. მერე დასძინა: რახან იმისი ჭავრი ამომყარე, ყური მომაპყარ და ყველაფერს მოგიყვებიო.



ვაზმანისაგან ნესტან-ჩარეჯანის კრებული  
მბრძანებელი  
გიგანტი

— ქალწლის დღესასწაულს მთელი ქალები უქმობს, — უაშობდა ფატმანი ავთანდილს, — „არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა“. ყველანი მოვირთვებით, მოვიყაზმებით და მხიარულებას ვეძლევით. ათ დღეს სულ საკრავთა ქლერა და სიმღერა ისმის. მოედანზე ხომ არის ერთი თვალის სეირი: ბურთაობა, ჭირითი, ნაირნაირი სხვა გართობა-თაშიაშობანი. სასახლეში დიდი ნადიმი და დარბაზობა იმართება. დიდვაჭართ წინ ჩემი ქმარი, უსენი, წაუძლება და მეფეს ძვირფას ძლვენს მიართმევენ. მათი ცოლები მე გამომყვებიან და ჩვენ დედოფალს ვუძლვნით ძლვენს. თავადაც შესაფერის საბოძვარს ვიბოძებენ, „დარბაზს ამოდ გავიხარებთ“ და შინ ხალისიანი ვბრუნდებით.

— მაშინაც, რა ეს დღესასწაული მოვიდა, დედოფალს ძლვენით ვეახლეთ, „ჩვენ მივართვთ, მათ გვიბოძეს, ავასენით, ავიგსენით“. დროზედ გამოვეთხოვთ და მხიარულნი წამოვედით. მერე ჩემსა დაესხდით და კვლავ ნებირაჟ მოვილხინეთ. სალამოებს ბალს მივაშურეთ, ვსეირნობდით, ვლალობდით.

„მომყვებოდეს მომლერალნი, იტყოდიან ტკბილსა ხშასა,  
ვიმლერდი ლა კუმარილობდი, ვაცვალებდი რიცე-ომასა“.

ბალში ნატიფად ნაგები მშეენიერი სახლი იდგა, ზედ ზლვას გადაპყურებდა, მაღალი იყო და შემოგარენი სელისგულიყით მოჩანდა. მხლებელნი იქ მივიწვიე. შევეღით და ისევ ნადი-

მად დავსხედით. „ვაჭრის ცოლთა ვუმასპინძლე მსახულად, ამოდ, დურად“. სმაში როგორლაც უგუნებოდ გვეხიდ და, ეს რომ შემატყვეს, დაიშალნენ. მარტო დაკარგი და უფრო შემომაწვა. სარქმელი გამოვალუ და კერძის მოსაქარვებლად სივრცეს გავსცეროდი. თვალი მოვკარ, შორს ზღვაში რაღაც ოდნავ მოჩანდა, გაჩქარებული მოცურავდა, „მფრინველად ვთქვი, ანუ მხეცად“, სხვას ვერას ვამსგავსე. რა მოახლოვდა, დავინახე, ნავი ყოფილიყო. შივ ორი ზანგი იჯდა, რაღაცას აქეთ-იქით ამოსდგომოდნენ. ნავი ნაპირზე ბალის წინ გამოიტანეს. მიიხედ-მოიხედეს, საიდანმე ხომ არავინ გვიყურებსო. რაკი ძეხორციელი ვერსად შენიშნეს, ნავი-დან გულდამშვიდებით გადმოიღეს კიდობანი და

„აპხადეს, ქალი გარდმოსვეს უცხოთა რამე ტანითა,  
თავსა რიდოთა შავითა, ქვეშეთ მოსილი მშვანითა,  
მხესა სიტურული ეყოფის, იყოს მისითა გვანითა“.

ქალი რა ჩემქენ შემობრუნდა, „შემოადგეს სხივნი კლდესა, ლაწვთა მისთა ელვარება ელვარებდა ზესთა ზესა“, თვალი ვერ გავუსწორე და დავხუჭე, თითქოს ჩახჩახა მზეს შევსცეროდი. თან ოთხი მსახური მახლდა, ფიცხლად მოვიხშე და ვუჩენე: „ჰედავთ, ინდოთა ტყვედ ჰყვანან შუქნი რომელნი?“ უჩუმრად ჩაეპარეთ და თავს წაადექით-მეთქი, მოგყიდონ, ფასს ნუ დაეძებთ, რამდენიც გითხრან, მიეცით, ხოლო თუ არ დათმონ, ძალად წაართვით და „მოიყვანეთ ისი მთვარე“, აბა, თქვენ იცით, რა მარჯვედ იქნებით-მეთქი. სულ ფრენით წავიდნენ და ანაზღად იქ გაჩნდნენ. მოგვყიდეთო, რომ შესთავაზეს, მათ ეს დიდად იწყინეს. რა შევატყვე, უარობდნენ, სარქმლიდან გადავსძახე, დახოცეთ-მეთქი. ზანგი მყისვე შეიძყრეს და თავმოკვეთილი ზღვაში გადაყარეს, მე-

ჩე ქალს მოწიწებით გარს მოეხვივნენ და წამოყვანეს და-  
ხარებული ჩავეგებე და ჩამოვართვი.




### ცარიცნულება

„რა გიამბო ქება მისი, რა სიტურფა, რა ნაზობჲ გეგენე იმის უფლავ, რომე ივი მზეა, არა პატოვბს მზესა მზობა  
კინ გაიცდის შექთა მისთა, კინმედა კათ ქმნა ნახანობა,  
მე თუ დამწევას, ამა, მზა გარ, არლა უნდა ამას მზობა!“

თქვა თუ არა ეს, თავ-პირში წაიშინა და მწარედ ატირტა,  
აეთანდილსაც მდუღარე ცრემლი გადმოსცვივდა: „ღვარშან,  
ზედათ მონადენმან, გააწყალნა ფიფქნი თხელნი“. მისთვის  
გახელებულთ ერთმანეთი დავიწყებოდათ. ტირილითა და ვა-  
ებით გული რომ იჯერეს, მოყმემ სთხოვა, ნუღარ გაწყვეტ,  
ბოლომდე მითხარიო.

— იმთავითვე ისე შევიტკბე და შევიყვარე, სულში ვიძე-  
რენდი, — უამბობდა ფატმანი. — შინ რომ მივიყვანე, ჩემს  
ტახტზედ დავსვი და „გარდუკოცნე ყოველი ასო“, მომეტე-  
ბული ალერსით თავი მოვაბეზრე. მერე კრძალვითა და რი-  
ლით ვკითხე: მზეო, ვინა ხარ ან რა ტომისა-მეფეი, იმ ზან-  
გებს შენთან რა ხელი ჰქონდათ და საიდან მოპყავდი „შენ,  
პატრონი ცისა ხომთა?“ მან არა მიპასუხა რა, ცრემლში იხრ-  
ჩიბოდდა, „ას-ნაკეცი წყარო ვნახე ცრემლთა, მისთა მონა-  
წოომთა“. რა მაინც აღარ მოვეშვი და მეტისმეტად შევაწუხე,  
გულამოსკვნილი „ატირდა მით რამე ხმითა წყნარითა, ბროლ-  
ლალსა ღვარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ღარითა“, მისი  
შემყურე დაედნი და დავიწვი. მერე

„მითხრა: «შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,  
რას აქმნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა,  
ღარიბი. ვინმე შემსწრობა ვარ უბედისა ბედისა,  
თუ რაცა მეოთხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისი!»“

— რას ვიზამ, მოთმინებით უნდა ველოცო  ჩისაფრიჩის ღროს-მეთქი, გავიფიქრე, ახლა ამაოდ ვშშავობ, და გონია ვკარგავ: მზეს ბევრიც ეხვეწო ამოსელა, შესწოდებული ჟამი მოაწევს, ხომ ვერა და ვერ ამოიყვან, ჭრის და დატეს ჟამი, რა როდის მოიწადინოს-მეთქი, მე კი „რად არ ვაცი ამა მზისა საუბრისა უქამობა?“ გადავწყვიტე, ღრომდე ფარულად მყოლოდა. სამყოფელი მყუდრო აღვილას მოვუკაზმე პირმზე და ტანალვა ასულს. სარქმელნი მძიმე სტარით მრავალკუცად ჩამოვუბურე და მაინც, მასვე ვფიცავ, ძლივ დავმალე მისი შექი“. მსახურად ერთი ზანგი მიღუჩინე, სხვას სულიერს არავის გავნდობივარ, მალეით მარტო შევდიოდი და თავს ვევლუბოდი. საბრალო დღედალამ მწარედ ტიროდა: „ცრემლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოქრის ბუქი“. შევეხვეწებოდი, დაწყნარდი-მეთქი, და ჩემი ხაორით ორი-ოჯე წუთს თუ შეისვენებდა, მეტი ველარ მოეთმინა.

„შინა შევიდი, მას წინა ედვის ცრემლისა გუბები,  
შიგან მელნისა მოჩეუსა ეყარის გიშრის შებება,  
შელნისა ტბათათ იღერბის სავს სათისა რუბები,  
შეა ძოწისა და აყისა სკვირს მარგალიტი ტყუბები“.

ათასი ხეეწნა-მუდარით ძლიეს ცოტა რამეს თუ შევაჭმევდი. ღონებისდილი სასთუმლად მკლავს ამოიღებდა და ისე მიწვებოდა, უსაგებლოდ. მოსახვევი ეხვია მოუშორებლივ, მუდამ ერთი კაბით იყო, ესეც ამოეჩემებინა და სხვა აღარ უნდოდა. რანაირი უცხო და ძვირფასი სამოსელი არ მინახავს, იმ მოსახვევისა და კაბისთანა საკვირველი კი არსად არაფერი შემხვედრია! ვერ გავუგე, რისგან ან როგორ დამზადებინათ: „სილბო პქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე — ნაკედისა“.

— დიდხანს ასე საიდუმლოდ ვინახავდი, ჰეროსა კარგი გეუბნებოდი: მეშინოდა, სასახლეში მივა და მიმუშავებდი, გამამელავნებს-მეთქი. მასთან ყოველი შესვლა გამოსულისკენ სულ ამის საკონებელში ვიყავი. მერე გავისული იყო მეტად მოვუხერსო, მეტადრე, როცა არ ვიცი, რტებულის მეტად ვის შეუძლია უშველოს რამე, ან კი „ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დაედარების?“ ქმარი შემიტყობს და უეჭველად მომჯლავს, ვეღარაფერი დამიფარავს, მოდი, გავენდობი, თუკი შემომფიცავს, არ გავიმელავნებო, და ისე როგორ წახდება, ფიცი გატეხოს-მეთქი.

— რა უსენი მარტო მოვიხელთე, ვეფერე, ვუალერსე და ნელა შევპარე: ფიცი მოშეც, მტკიცე ფიცი, რომ არავის გაუმხელ, და ერთ საიდუმლოს გეტყვი-მეთქი. საშინელი ფიცით იფიცა, ოღონდ თქვი და, რაც გინდა იყოს, ცოცხალი თავით „არვის ვუთხრა სულიერსა, არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა“. მეც ჩველაფერი მოვუყევა, მერე მასთან წავიყვანე. შევედით და „უსენ გაკვირდა, გა-ცა-კრთა, რა შექნი ნანა მზისანი“, თქვა: ეს რა მიჩვენე, ღმერთი მრისხავდეს, თუ ხორციელი იყოსო. თავადაც გაოცებული ვარ და, რაც გიამბე, მის მეტი მეც არა ვიცი რა-მეთქი, მიცუშვი, ორივემ ერთად ვკითხოთ, ვინ არის ან ასე რას შეუჭირვება, შეეცვეწოთ, იქნებ მეტად დაგვხათროს და რამე გვათხრას-მეთქი. მიცედით და დიდი მოკრძალებით

„ვპარეთ, თუ: «მზერ, სახმილი ვვედების შენგან ალისა, გვითხარ, რა არის წაშალი მოვარისა შეუქნამერთალისა, რას შეუქნისარ ზაფრანდ შენ, ფერად მსკავსი ლალისა?»“

ვერ მივუხვდით, ვაიგონა, თუ არც უსმენია, რას ვეუბნებოდით:

„ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა არ აჩენდა  
გველი მოშლით მოყეცნეს, ბალი შეღმა შეარეცეცა.  
მხე ვეშასა დაებნელა, ზედა რაღმუა გაგვიძენდა“



პირქუშად იჯდა, ვეფხვივით გარინდებულქრძაშე მცინა  
წყრებოდა, პასუხი კი ვერა და ვერ დავჭრისტები მსმეც ქაბა  
არ მოვუსვენეთ და გული შევუწუხეთ, ცრემლი ნაკადად და-  
ედინა და მტირალმა ესლა გვითხრა: არაფერი ვიცი, დამესხსე-  
ნითო. დავსხედით და მასთან ერთად ცრემლი ვღვარეთ. ოლა-  
რას ვეკითხებოდით, რაც გვეთქვა, ისიც შევინანეთ, მოვუბო-  
დიშეთ. დიდი ხვეწნა-მუდარით ძლივს დავაწყნარეთ, მერე  
ხილი მივართვით, მაგრამ პირი არ დაუკარებია. დიდხანს  
თვალი ვერ მოვაშორეთ, ბოლოს, ივლექით და გამოვეთხო-  
ვეთ, ობვრა-ვაებით მოვდიოდით. რაც რამ დარდი და ვარა-  
მი მქონდა, ერთობ დამავიწყაო, ამბობდა განცვიფრებული  
უსენი, აშნაირი არა მინახავს რათ: „ესე ღაწვნი მზისად კმა-  
რან, კაცთაგანმცა ვით იქოცნეს!“ რა გასამტყუნია, მისი ვერ-  
მჰერეტელი უსაზომო სატანჯველს მიეცესო, ღმერთმა დამი-  
ხოცოს, თუ მას შვილები მერჩივნოსო. უმისოდ ვეღარა  
ვძლებდით, მოვიცლიდით თუ არა, მაშინვე მივაშურებდით,  
ნახვა სიხარულით გვავსებდა და მოშორება მწარედ გვაკვ-  
ნესებდა, „გული ჩვენი გაუშვებლად დაეტყვევნეს მისით მა-  
ხით“.

— ასე გადიოდა დღეები. ერთხელ უსენმა მითხრა: ხელ-  
მწიფის ნახვა შემიგვიანდა და, თუ მირჩევ, წავალ, ვეახლე-  
ბი, ძლევის ვუძლენიო. განზრახვა მოვუწონე. მან ლანგარ-  
ზე ლალი და მარგალიტი დააწყო და სალარბაზოდ აემზალა.  
შევეხვეწე: სასახლეში ნადიმზე მოერალები იქნებიან, შენც  
დაითვრები და, თუ ამ ქალის ამბავს გაამხელ, ბარემ მომქა-

ლი-მეთქი. კვლავ შემომფიცა: თავი ხმლით გამიპონ, მანც  
არ ვიტყვიო.

— უსენი რომ ეახლა, ხელმწიფე ნადიმად იჯდა, სასურ  
ველი თანამესუფრის მოსელა ესიამოვნა, წინ ჭავჭავა ჭავჭავა  
მეული ძღვენი შეიძლვნა. სასმისს სასმისი მუსულიშვილი უკა  
ნიც ერთიმეორეზედ ცლიდა და, რა დაითვრა, ცრუ, ცეტა  
და ორბირ ვაჭარს

„დაავიშუდეს იგი ფიცნი, რა მუსაფრნი, რა მაქანი!

მართლად თქმულა: არა პშაროებს უვავსა ვარდი, ვირსა რქანი“.

უკურ, მთვრალი უსენი მეფემ შეაქო. მიკვირსო, საიდან მო-  
გაქვს ძღვნად ასეთი უებრო ლალი და მარგალიტი, ჩემმა  
მზემ, შენთა ძღვენთა მეათეზსაც ვერ გადავიხდიო. უსენმა  
თაყვანი სცა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფეო, „ზეცით შუქთა მომფენელო,  
მარჩენელო არსთა, მზეო!“ რაც რამ სხვა განძი გამაჩინია, ვი-  
სია, თუ არ თქვენი? დედის მუცლიდან არა გამოყოლია რა,  
ზველაფერი თქვენგან მაქვს ნაბოძებიო. თქვენმა სიცოცხ-  
ლემ, აქამდე შემოძლვნილ ძღვენზე მადლის გადახდა არა  
გმართებთ, მაგრამ, თქვენი ძისათვის მზის საღარ საპატარ-  
ძლოს რომ მოგვვრით, აი, იმას კი უეპველად დამიმადლებთ,  
ისეთია, ბედს შენატროდეთო!

— რაღა ბევრი გავაგრძელო, ფიცი გატეხა და „უაშბო  
პოვნა ქალისა, მჭვრეტთაგან მზედ სახულისა“. მეფეს მეტად  
ეამა, გულით გაიხარა, ბრძანა, უსენის ნათქვამი აესრულები-  
ნათ და ქალი სასახლეში მოეყვანათ. შინ არხეინად ვიჯექი,  
როცა ანაზღად ხელმწიფის მსახურთუხუცესი კარს მომად-  
გა, თან სამოცი კაცი ახლდა. ძლიერ გამიკვირდა, გავიფიქრე,  
რაღაც დიდი ამბავია-მეთქი. მომესალმნენ და გამომიცხადეს:

მეფის ბრძანებაა, უსენმა რომ დღეს მას მზისუბის მასთობელი ქალი უძლვნა, იგი მოგვივარე, უნდა ჩავიყვანოთ. / რა ეს გავიგონე, „დამტყუდეს ცანი, რისხვა ღმრთისა ეცა ღრმა“. მაინც თითქოს გავიკვირვე და ისე ვკითხე, სრული წერტილის მეტქი. მათ მითხრეს, უსენმა ხელმწიფეს შემზღვევის შემთხვევაში „პირი ელვათა მერთომელი“. უარით, აბა, რას გავხდებოდი, აშკარა იყო, სულის ამოხდომის დღე დამდგომოდა. ავთროლდი, ვერც ავდექი და აღარც ჯდომა შემეძლო. შევედი და ვნახე, ტიროდა, ცრემლად იღვრებოდა. გულმოკლულმა მწარედ შევჩივლე: მზეო, შავმა ბედმა, ხედავ, რარიგ მიმუხთლა, „ცა მობრუნდა რისხვით ჩემკე, იავარ-მყო, ამფხვრა სრულად!“ ვაი, რომ დავვასმინეს და შენს თავს მეფე მართმევს-მეტქი.

„მან მითხრა: «დაო, ნე გიყვირს, ეგვ რაზომცა ძნელია, ბეღი უბეჭო ჩემშედა მიწყოვ ავისა მემნელია, კარგი რამ შვირდეს, გიყვირდეს, ავ რა საყვირელია სხეადასხვა ჭირი ჩემშედა აზ ახალია, ძეელია».

„თვალთათ ეთა მარგალიტი კარდმოყარა ცრემლი სშირი. აღგა არე გულ-უშიშრად, ეეფხი იყო, ანუ ვმირი, ლხინი ლხინად არად უჩნდა, მართ აგრძვე — ჭირად ჭირი. მოხვევა, ვარე აფილითა მობრუ ტანი, პირი“.

ფასღაუდებელი საგანძურილან თვალ-მარგალიტი უშურველად გამოვუტანე, თითო მათვანი რომ თითო ქალაქად ღირდა, წელთ მალვით შემოვარტყი და ვუთხარი, იქნებ სადმე რამეში გამოგადგეს-მეტქი. მერე ხელმწიფის მსახურო „ხელთა მივეც იგი პირი, მზისა დარი“. —

— რა მეფეს ახარეს, მოგვყაესო, გამოეგება და ალეის-ტანა, პირმსე ასულის სილამაზით განცვიფრებული დარჩა:

ლილი ამბით შეხვდნენ, ურიამული და საკრავთა ხელისწა  
არემარეს აყრუებდა. მის სანახავად მოზღვევებიც ზალის  
მცველი ველარ აკავებდნენ. იგი თავდახრილი მოვარდი  
შილიოდა.

### ურიკნული

- „ვით მჩემან, მისი მცველეობით შექმნია თვალისწილების მცველი
- მეფემან ბრძანა: «ვაშნადა ნახელი მე უნახველად,  
ღვრითისაგან კიდე ვინ იყო კაცი ამისად შსახველად,  
შპართებს ამისსა მიწნერსა, ხელი თუ რბოდეს, ახ, ველად!»

სასახლეში რომ მივიდნენ, ხელმწიფემ გვერდით დაისვა და  
ტკბილად, ალერსიანად ვინაობა პკითხა. იგი თავაუწევლად,  
დალვრემით იჯდა და ფიქრით სულ სხვაგან იყო, არც უს-  
მენდა, მეფე რას ეუბნებოდა, და რაღა პასუხი უნდა მიეცა,  
ბაგე არც გაუხსნია: „ვარდი ერთგან შეეწება, მარგალიტსა  
არ აღებდა“. გაკვირვებული მცველეობით ვერას მიმხვდარიყვ-  
ნენ, მისი გულისნაზები ვერ გამოიცნოთ. ხელმწიფემ აღარ  
იცოდა, რა ეფიქრა ან რა-ელონა. მერე ბრძანა, ორისაგან  
ერთი უეპველიაო: ან მიჯნურია ვისიმე, თვალწინ მუდამ გე-  
ლისსწორი უდგას და სხვისოვის რაღას მოიცისო.

- „ან არის ბრძენი ვინშე, მაღალი და მაღლად შედი,  
არც ლინი ლინიად უჩიანს, არც ჭირი სედა-ზედი,  
ვით ზლაპარი, ასრე ესმის უბედიბა, თუნდა ბედი,  
სხვაგან არის, სხვაგან ფრინაეს, გონება უც ვითა ტრედი“.

ღმერთმა ქნას, ჩემი ძე გამარჯვებული დამიბრუნდეს, იქნებ  
მან ათქმევინოს რამე და მისგან ჩვენც ხომ გავიგებოთ, მა-  
ნამდე კი „მოვარე შექ-ქრთომით ჯდეს, მზისა მოშორვე-  
ბული“.

უფლისწული გულადი მოყმე იყო, ქცევითა და ზნეობით  
უებრო, პირმშვენიერი და ტანახოვანი. სალაშქროდ წასული

დიდხანს ვერ დაბრუნდებოდა. „მამა მისთვის ამჟადებია შას, მნათობთა დასაგვანსა“. ქალი შექმოცია გერმანიის კულტურის ბით მოოცვილ სამოსში გამოაწყვეს, თავს გვირვებით და-ადგეს „ერთობილისა ლალისა, მუს ვარდსა ჭურამ“ და შესუსტებულ ბროლისა გამცვირვალისა“. მეფემ უფლისშემცირების მეშვიდე მოაკაზმვინა, ოქროს ტახტი დაადგმევინა და „მას ზედა და-სვა იგი მზე“, მცერეტელთა გულის გამხარებელი. კარის მცველად ცხრა საკურისი მიუჩინა, თვითონ კი კვლავ ნადი-მაჯ დაჭდა და დროს ისე ატარებდა, მის ხელმწიფობას რომ შეშვენოდა. პირმზე ასულის მოგვრისათვის უსენს უსაზომო განძი უბოძა.

ნადიმი გაგრძელდა, სმა და მოლხენა არ თავდებოდა, დო-ლისა და საყვირის ხმა სულ უფრო მძლავრად გაისმოდა. სა-ბრალო ქალი კი მუხთალ ბედს მწარედ შესჩიოდა, მკვლელად რაზედ მომევლინეო: „სადაური სად მოსრულ ვარ, ვის მივჰევ-დები ვისთვის ხელი“, რა ვქნა, რა მეშველება, ძლიერ, ძლი-ერ მიჭირსო სიცოცხლე!

„კელაცა იტუვებს: «ერ დაუაჭნობ შევნებასა ვარდო ფერსა, ვეცადო რას, ნეცე ლმერთმან მომარიოს ჩემსა მტერსა! სიკედილამდის ვის მოუკლავს თვეი კაცსა მეცნიერსა? რა მისკირდეს, მაშინ უნდან გონიერსა!»“

— გამიგონეთ და ჭიუაზე მოღით, — უთხრა მან საკუ-რისთ, — მოტყუებულხართ და ჩემს მოულა-პატრონობაზედ ამაოდ ირჩებით, თქვენი ხელმწიფეც დიდად შემცდარა, სასძ-ლოდ რომ მივუჩნევივარ, და სიხარულს ნაადრევად მისცე-მია. არა, დედოფლად არ გამოგაღვებით, ჩემი გზა სულ სხვაა და, რასაც თქვენ ფიქრობთ, ის არ იქნება. ლმერთმა მაშო-როს მამაკაცი, რაგინდ პირმზე და ტანსარო იყოს! ცოცხლივ

თქვენთან ვერ დავრჩები, უაშებელად თავს მოვდილავ, კულმი  
დანას დავიცემ, და მაშინ კი ხელმწიფე თქვენი დაგროვათ.  
მაგას ესა სჯობია, დიდძალ განძს მოგცემთ და გამაპარეთ.  
იცოდეთ დამიჯერეთ, თორემ ინანებთ. ურარცხული


რა ეს თქვა, წელთ შემორტყმული თვაზურის მუსტებ  
მოიხსნა, ლალის გამჭვირვალე გვირგვინიც მოიხადა, მათ  
გადასცა და გულმხურვალედ შევეველრა: ახლა გამიშვით და  
ამ დიდ სიკეთეს ღმერთი არ დაგიყარებავთო. მსახურნი სი-  
მდიდრეს დახარბდნენ, მეფის შიში დაივიწყეს, თითქოს უბ-  
რალო ვინმე გზირი ყოფილიყოს, და გადაწყვიტეს, იგი უებ-  
რო მნათობი გამოეპარებინათ. დახეთ, წყეული ოქრო,  
„კერთხი ეშმაკთა ძირისა“, რარივ მაცოუნებელი შეექნათ!

„ვა ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,  
დღედ სიკედილამდის სხიხარბე შეაქმნეს კბილთა ღრკენასა,  
შესდის და გასდის, იკრა, ემდეტვის ეტლთა რბენასა,  
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის ალმაურენასა!“

ერთმა მსახურმა თავისი სამოსი ჩააცვა და, დარბაზს რომ გა-  
ხურებული ნადიმი იყო, სხვა კარით იდუმალ გამოაპარეს:  
„დარჩა მთვარე გავსებული გველისაგან ჩაუნთქმელი“. მე-  
რე თვითონაც გადაიხვეწნენ.

— ქალმა კარს დამიკაუნა და ფატმანობით მიხმო. ვი-  
ცან, გავედი და გულში ჩავიყარ. მის მოსკვლას გავეკვირვები-  
ნე. შემოვიწვიე, არ შემომყვა, რა დროს ეგ არისო. მსწრაფლ  
მიამბო: შენი მოცემული განძით თავი ეისხენ, მაგიერი  
ღმერთმა გიზლოსო. ახლა ვეღარ დამმალავ, ფიცხლად ცხე-  
ნით გამიშვი, სანამ მეფე გაიგებდეს და მდევარს მომწევდე-  
სო. საჯინიბოში შევევარდი, არჩეული ცხენი გამოვუყვანე, შე-  
უკაზმე და ზედ შევსვი გახარებული.

„პევანდა, ოდეს ლომისა შეჯდეს მხე, მნათობთა უკორწილი.  
წახდა ჩემი ჰიტნახული, ვერ მოვიმკი, რაცა ესთეს!“



შებინდებისას ერთი აურხაური ატყდა, მღერის რწმულებელ  
ქალაქი მოიცვეს. რა ჩემთან მოვიდნენ დაუმიუხუჭური შეჭრა  
რი: თუ ჩემს სახლში ნახოთ, „მეფეთა ვიუო შემცოდე და მათ-  
თა სისხლთა მზღვევარი!“ ამაოდ ძებნეს, გაწბილებული წა-  
ვიდნენ. მას აქეთ, რაც „მხე მოგვეშორვა“ და მისი შუქი  
მოგვაკლდა, ხელმწიფე იგლოვს მახლობლებითურთ, მთელი  
სასახლე დამწუხრებულია.

— იმ დაკარგული მთვარის ამბავს კვლავ გიამბობ, კერ-  
ეს გითხრა, ის კაცი რას მეტექრებოდა. „მე ვიყავი მისი ნეზ-  
ვი, იგი იყო ჩემი ვაკი“. კაცს უგულობა შეარცხვენს და  
დიაცს — ვნებააშლილობა. ქმარს იშიტომ არ ესჭერდები,  
შელე და შეუხედავია. იმ კაცს ჰაშნავირი ერქვა, წარჩინებუ-  
ლი მოყმე იყო, სასახლეში მეტად გავლენიანი.

„ჩვენ გვიყვარდა ერთმანერთი, არ მაცვია თულა ფლასი,  
ნეტარძი ეინ სისხლი მისი შემახერიტა ერთი თასი!“

„ესე ამბავი შასთანა ვთქვი დიაცურად, ხელურად:  
ჩემსავე მოსლვა მის შეისა და გაპაჩება შელურად“.

წავიჩიხუბებდით თუ არა, მაშინვე გამჟღავნებას მემუქრებო-  
და. ვიშ, როგორ გადავრჩი, მოკვდა და მეც მოვისვენე! რო-  
ცა ვიშმე, შინ არ მეგულებოდა. ადრე დაბრუნებულიყო, შე-  
მოეთვალა, შენთან მოვდივარო. შევშინდი და მსახური წინ  
ამაზედ მოგაგებე, რა მექნა, შემოგბედე, ნუ მოხვალ-მეთქი.  
უკან ალარ გაბრუნდი და მოხვედი, „შექნი თქვენ ჩემთვის  
არენით“, აქ ერთმანეთს შეეფეთეთ და, ვაი, რა დღეში ჩავ-  
ვარდი! იმას ჩემი სიკვდილი ენით კი არა, გულით ეწადა: სა-



სახლეში მისვლა რომ მოესწრო, გავრისაგან გაცეცხლებული  
დამასმენდა და გამწყრალი ხელშით ჩემს „სახურავის“, მწრ  
წასთან გაასწორებდა, „შვილთა, ღმერთო, დაშავდებული ჟეპ  
ქოლვიდა მერმე ქვითა!“ არ ვიცი, მაღლობა როგორ გადაგი-  
ხავო, მე თუ ვერა, ღმერთი ვიზღვას სამავიეროს, მშვიდო-  
ბით რომ გადამარჩინე, იმ გველისაგან დაუგესლავი! ამიერი-  
დან ჩემს ბედს შევნატროდე, ჰაი, რას მოვესწარი, სიკვდი-  
ლისა აღარ მეშინია!

ავთანდილ უთხრა: „ნუ გვშის, წიგნისაცა იგრე სწერია:  
მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია,  
არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია.  
ნულარ იშიშევი იშისგან, აუ იგი მკვდაროა ფერია.“

ახლა ისევ ის მითხარ: მას აქეთ, რაც ქალი გაისტუმრე, იმა-  
ზედ თუ რამე გსმენიაო. ფატმანს ცრემლი-მოერია და ტი-  
რილით დაიჩივლა: „ვა, წახდეს შუქნი, რომელნი მზისაბრ  
ველთა ჰევენდეს!“ იგი შორს გადაკარგულა და, ნეტავი,  
უმისოდ ცოცხალი როგორლა ვარო.

## ნესტან-ჩაგეჯანის ქაჯთაბან შეკყრბის ამბავი

— მთელი ქვეყნის მანათობელი მხე,  
ჩემი სიცოცხლე და საუნგე რომ მომშორლა, — თქვა ფატ-  
მანმა; — იმ დღიდან გაუნელებელი ცეცხლით ვიწვოდი და  
ვტიროდი, თვალთაგან მონადენი ცრემლის წყარო ვერა და

ვერ დამეშრო. ხალისი ერთობ დამკარგოდა, წვედი გაცემოთა გულითა“, სახლ-კარი და ოვით შვილნიც ქიქ ჭრებულებულა. მღვიძარე ხომ სულ მის მოგონებაში გრიგორი მეტერ ლემდი თუ არა, მაშინაც მუდამ თვალწინ შედგა. ფიცის გაძტებსა და მოღალატე უსენს ველარ ვიტანი, „მიჩნს უსკულოთა სჯულითა, ვერ მიმიახლოს საახლოდ კრულმან პირითა კრულითა“.

— ერთ დღეს, საღამოეამს, კიბეს გადავადექ, ქარვასლის კარს გავსცექეროდი და, მისი მოგონების სევდით გულმოკლული, გუნებაში მამაკაცთა მთელ მოდგმას ვწყევლიდი, უპირობას უზრუნავდი.

„მოეიდა სიომე ლარიბი მონა მოყვითა საშითა,  
მონა მონურად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხაშითა“.

ქალაქში სასმელ-საჭმელი ეყიდათ, დასხდნენ, შეექცეოდნენ და მხიარულად ბასობდნენ. იღუმალ ვეჭვრეტდი და ყურს ვუგდებდი. უცხონი ერთად შევკრებილვართ, მეგობრულად ვიშვებთ და ვიხარებთო, ის კი არ გვითქვამს, ვინა ვართ ან საიდან მოვსულვართ, მოდი, ბარემ ჩვენ-ჩვენი ამბავი მოვყეოთ, შესთავაზეს ერთმანეთს. სამივეს თავგადასავალი რომ მოისმინა, მაშინ მათ

„მონაშან უთხრა: «პე ძმანო, განვება რამე ზესია:  
მე მარგვალიტა მოგიმკი, თქვენ ქერიში დაგიოსითა»“.

— ჩემი ამბავი თქვენსას ბევრად სჯობიაო, — თქვა მან. — მე ქაჯთა დიდებული მეფის მსახური ვიყავ, ახლაც მის ტახტს ვემსახურები. ვაი, რომ ჩემს ხელმწიფეს დამამხობელი სენი ეცა და „მოგვიცდა შემწე ქვრივისა, შემწყნარებელი ობლისა“. მცირეწლოვან უფლისწულთ როსანსა და რო-

დიას ახლა მამიდა, დუღარდუბტი, ზრდის. ლეიიძლი შშობელი ვით თავს ეცლება. ქალია, მაგრამ კლდისაებრ შეუზრუნველი, ქაჯეთს მეფედ ზის განცხრომით, შიში მარტვილუნი მოყმენი ხომ უძლეველნი ჰყვანან, თვით სპუმისწილის მქონე აღენენ, მათ კი ვერავინ ავნებს. ზღვის გაღმა, მხრიდან მისი დის სიკვდილის ამბავი მოვიდა. ვეზირი შეიკრიბნენ, საგონებელში ჩავარდნილიყვნენ: „ვითა ვჰქაღროთო დავსება პირისა, ხმელთა მნათისა?“ როშაქმა, ხელმწიფის რიცხვმრავალი რაზმის მოთავეემ, ოქვა: თუნდ მომკლან, მე აქ ტირილს ვერ ვუყურებ. წავალ, ვითარეშებ და ნადავლით სავსე დავბრუნდებიო, სანამ მეუე დის დასატირებლად წავიდოდეს, მეც მოვუსწრებ და თან წავყვებიო. ხელქვეითთაგან ასი კაცი შეგვარჩია და გვიახლა. დღისით, მზისით ქარავანს ქარავანზე ვძარცვავდით, დიდალი განძი ვიშოვეთ. ლამეებიც ვათიეთ, უქმად არც მაშინ მოვმცდარვართ.

„მინდორ-მინდორ მოვდიოდით ჩვენ ლაშესა დია ბნელსა,  
დიღნი ასე სინათლენი გამოგვიჩდეს შუა ეკლსა,  
ვოქვით, თუ: «მწეა ნუოუ ზეცით ჩამოჭრილი ზედა ჩელსა!»“

დაბნეულნი ხან რას ვამსგავსებდით და ხან რას. ზოგმა თქვა, ცისკრის ვარსკევლავიაო, ზოგმაც — მთვარეო. ყველანი მისენ გაერებული, შორიდან მოვუარეთ და ალყად მოვერტყით. მოგვესმა, იმ ნათლიდან ხმა გამოვიდა, ჩვენ მოგვმართავდა: მხედარნო, ვინა ხართ, მერიდეთ, გულანშაროდან ქაჯეთს მოციქული მივღივარო. რა მივუახლოვდით, დაუინახეთ, პირმზე ცხენოსანი იყო. განცვილებულნი შეესცეროდით სახეს „მნათობსა, ელვათა მაელვარებსა“, მისი ციმციმი არემარეს მზისაებრ რომ ეფინებოდა. სიტყვაძვირობდა, პასუხს დინგად იძლეოდა. ბაგე გახსნა თუ არა, „კბილთაგან შეადგა

ჟედან გიშრისა საჩებსა". მივუხვდით, რომ ტურლა, რომა-  
ში გვერდით ამოუღა, მაშინვე შეატყო, ქალი იყო. არა  
გავუშვით, შევიპყარით. დავუყვაეთ და ვთქმის უკანასკნელი  
გვითხარით: „ვისი ხარ, ვინ ხარ, სით მოხვდეს შემსწორებულ  
ბნელისა?“ მან არა გვიპასუხა რა, მდუღარე ცრემლი წყაროდ  
გადმოედინა. მწყრალად შემოგყურებდა, „კუშტი, თავისა  
მერძალავი, ვითა ასპიტი მცვრეტელთა მისთა თვალითა მლა-  
ლავი“.

— ნულარას პეითხავთო, გვიბრძანა როშაქმა. ეტყობა,  
ამისი ამბავი უცნაურია და არც აღვილად ითქმისო.  
ჟედავთ, ჩვენს ხელმწიფეს რა სანატრელი ბედი პქონია: ეს  
საკვირველთა საკვირველი არსება „ღმერთსა მისაგვრელად  
მისად ჩვენთვის მოუგვრია“, არმალნად მივუძღვნათ, მეტის-  
მეტად დავვიმადლებსო. დამალვა არ იქნება, სულერთია, დავ-  
შელავნდებით და ხომ იცით, ჩვენი მეფე რა ამაყიცაა, დანა-  
შაულს შეგვანანებს, ესეც არ იყოს, დიჭი აუგია, შევრცხვე-  
ბით, თავი მოგვეკრებაო.

— განზრახვა მოვუწონეთ და უმალვე ქაჯეთისაკენ გავე-  
მართეთ. ქალს მოწიფებით ვექცეოდით, ავი არა ვაიკაღრებია  
რა. იგი გულმდუღარედ ტიროლა, ლაწვებზე ცრემლი ღვა-  
რად ჩამოსდიოდა. მე როშაქს დაევთხოვე: გულანშაროს მინ-  
და წავიდე, გამიშვი და აღრე დავბრუნდები-მეოქი. გამომიშ-  
ვა, აქ ცოტაოდენი განძი მაქვს, წავილებ და ღროწედ ვეახ-  
ლებიო.

„მათ კაცთა დიდად ეამა ესე ამბავი მონისა.

მე გავიგონე, შე-რე-მშრა ნაკადი ცრემლთა ფონისა,

მენიშნა, ყოვლი ნიშანი ვიცან ჩემისა ღონისა,

ცოტაი ლხინი მომეცა, მსგავსი ღრამისა წონისა“.

— ამ ამბავმა მისთვის გამწარებულსა და სულთმოულის  
სიცოცხლის ძალა შთამბერა. მთქმელი მოვიწვიუ, აღარ და-  
ვისვი და ვსთხოვე: რას ჰყვებოდი, მეც მითხარი-მეთქი. მაა  
იგივე ხელახლა მიამბო. თითქოს მკვდარი გაჟურნალუშავე  
ორი ზანგი მსახური მყავს, გრძნებით საცსეჭიშვილი უთხი-  
რად „წავლენ-წამოვლენ მათითა ხელოვნებითა“. მათ ვუხმე  
და ქაჯეთს გავვჩავნე, ეუბრძანე, ფიცხლად იარეთ და მისი  
ამბავი მომიტანეთ-მეთქი. სამ დღეში დაბრუნდნენ და მო-  
მახსენეს:

— ქაჯთა მეფის დულარდუხტისათვის მიუგვრიათ. როსანს  
შევრთოთო, უბრძანებია მეფეს და უფლისწულის საცოლედ  
დაუწინდავს. ის იყო დულარზუხტი ზღვის გაღმა მხარეს მი-  
დიოდა დის დასატირებლად, ასე უთქვამს: ჯერ მაგათ დასა-  
ქორწინებლად არა მცალია მწუხარებით გულდამწვარს, აი,  
დავბრუნდებით და „შევისძლობ, ვინ ცისა მჩედ ნაქებია“,  
ციხე-კოშკში დაუსვამს და მსახურად ერთი საჭურისი მიუჩე-  
ნია. გრძნეული ერთობ თან წაუყვანია, რადგან წინ სახიფა-  
თო გზა უძევთ, მტრები შესაბმელად მზად არიან. ჯერ ვერ  
დაბრუნდებიან, ცოტა ხნის წინ წასულან. მოყმეთაგან ვინც  
უფრო გულადი იყო, ქაჯთა ქალაქის მცველად დაუტოვებია.  
ამ ქალაქს იქამდის ვერარა მტრები ვერ მორევია.

„ქალაქსა შიგან მავარი კლდე მაღალი და გრძელია,  
მას კლდესა შიგან ვეირაბი, ასაძრომელი ხერებია,  
მუნ არის შარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია“.

მზისაებრ ბრწყინავს, თვალი ვერავის გაუსწორებია. ვეირა-  
ბის შესასვლელთან გამუდმებით ათიათასი რჩეული ვაბუკი  
დგას მცველად, ქალაქის სამ კარიბჭეს კი სამიათას-სამიათასი  
მეომარი დარაჭობსო.

ავთანდილმა რა ეს ამბავი მოისმინა, დიდად ეამა, მაგრამ ფატმანს ხვაშიადი მაინც არ გაუმჯობეს. პირველ და მკლავმაგარმა რაინდმა ღმერთს მადლობა შესწირა, მარე ქალს მიუალერსა და უთხრა, ეს რა სანატრეულ ფაქტურარი ამბავი მიამბეო, ოლონდ ერთი ვერ გამიგვა და მარტინ ხეულონი არიან და იმ ქალთან რა ესაქმებათო:

„მის ქალისა სიბრალული აშანოებს და მიდებს აღსა, მაგრა ქაჯნა უხორცონი რას აქმნევენ, მიკვირს, ქალსა?“  
ფატმან უთხრა: „მოშიამინე, ჰართლად გხედავ მანდა მკრთალსა, არ ქაჯნია, კაცნია, მინდობიან კლდესა სალსა.“

ქაჯები იმიტომ ჰქეიათ, რომ გრძნეულობაში გაწაფული კაცნი ერთად შეკრებილან, მათ ვერავინ ვერას იყნებს, თავად კი „ყოველთა კაცთა მავნენი“ არიან, რა საკვირველება გინდა, რომ არ ჩაიდენენო: მტერთ თვალს დაუბრმავებენ, საშინელ ქარიშხალს აღძრავენ და ზღვაში ხომალდს ჩაძირავენ, წყალს პირწმინდად დაშრობენ და ზედ ისე გაივლიან, თითქოს ხმელეთი ყოფილიყოს! „ამისთვის ქაჯაზ უხმობენ გარეშემონი“, თორემ ისე ჩვენებრევ ხორციელი ადამიანები არიან. ვაი, როგორ მეცოდება იგი, მათ ხელში ჩავარდნილია: „რა საბრალოა გავსილი მოვარე, ჩანთქმული გველისა!“ ავთანდილმა მადლი გადაუხადა: დიდად მაამე, ეს რომ მითხარი, მწველი ცეცხლი დამიშრიტეო. სიხარულით ცრემლმორეული ჭაბუკი გუნებაში ღმერთს ადიდებდა: „გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი, ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი“, საოცარია, რა იჩქითად მოგვფენ მოწყალებასო! ფატმანს ევონა, ჩემთვის ტირისო, და ტრფობის ცეცხლი უფრო ედებოდა, მოყმეს ყელზე ეხვეოდა,

„პირსა მხესა აკოცებდა“. ხვაშიადი რომ შეენახა უძინებელი  
იფერებდა მის სიყვარულს.

მას ლამე ფატმან იამა აეთანდილთანა წოლითა,  
უმა უნდო-გვარად ეხევევის ყელსა ყელითა ბროლით  
ჰქლავს თინათინის გონება, ძრწის იღმლითა ძრწილი-ირისებ  
გვლი მხეც-ქმნილი გასჭრია მხეცთავე თანა ჩბოლითა.

აეთანდილ მალეთ ცრემლსა სწეიმს, სდის ზღვათა შესართავისად,  
შიგან მეტნისა მორევსა ცერავს ვიშრისა ნევი ხად,  
იტუვის, თუ: „მნახეთ, მიქნურნო, იყი, ეინ ვარდი ა ვისად,  
უშისოდ ნეხეთა ზედა ცხი ბულბული მსვანესად კვავისად!“

მერ ცრემლი, მისვან ნადენნი, ჭეათაცა დასალბონია,  
ვიშრისა ცევრსა ავებებს, ვარდისა ველსა ფონია,  
ფატმან მას ზედა იხარებს მართ ეკთა იადონია.

თუ ყვავე ვარდსა იშოვნის, თვით ბულბული ჰგონია.

გათენდა. ქალმა ქვეყნის მანათობელ მოყმეს ნაირნაირი  
ტურფა სამოსი მიართვა, რაც გეწადოს, ჩაიცვიო, და აბანოს  
გაისტუმრა. დღეს სიმართლეს ვეტყვი, მეტს აღარ დავუშა-  
ლავო, გადაწყვიტა ჭაბუქმა და ვაჭრულის ნაცვლად სარაინ-  
დო „შეიმოსა ტანსა მხესა, მოიმატა დაშვენება, დაეშსგაესა  
ლომი მზესა“. ფატმანს აეთანდილისაოვის სუფრა გაეწყო.  
მოყმე მხიარულად შევიდა. ფატმანს გაუკვირდა, ვაჭრულად  
რომ არ ეცვა, შემოსცინა და უთხრა: აგრე სჯობს, შენთვის  
გახელებულო უფრო მოეწონებიო. სუფრას მიუსხდნენ და ხა-  
ლისიანად შეექცეოდნენ. ლვინოსმული ჭაბუკი თავის სამყო-  
ფელში დაბრუნდა, კარგ გუნებაზედ იყო, დაწვა და ტკბი-  
ლად დაიძინა. სალამოეამს გაეღვიძა, „შუქი ველთა მოაფინა“.  
ფატმანი იხმო: მინახულე, მარტო ვარო. ქალი უმალვე ეახლა,  
ავთანდილს მისი ოხვრა-კვნესა შემოესმა.

იტუოლა: „მოშევლავს უცილოდ ტანი ალეისა, მო, ხისა“  
გვერდსა დაისვა, ბალიში მისცა მისისა ნობისა,  
ვარდისა ჰალსა უჩრდილობს ჩირდილი წამშამთა კრისისა.

— ვიცი, ფატმან, ამ ამბის გაგონებაზე უფრთხოებით  
შეკრთები და შეძრწუნდები, — უთხრა ვერა ქადაგი მაგ-  
რამ სიმართლე მაინც უნდა შეგატყობინოს. უც კავარი გვი-  
ნიერ, ქარავნის მეპატრონე, მე კი დიდებული ხელშეიფის  
როსტევანის სარდალი ვარ, მის მეფობას რომ შეშვენის, ისე-  
თი რიცხვმრავალი ლაშქრის მოთავე. განძიც უამრავი მაქვა  
და აბჭარ-იარალიც. კარგი მეგობარი ხაჩ, ერთვული და მი-  
სანდო, მეც მოგენდობი. როსტევანს ერთადერთი ასული  
ჰყავს, „მზე ხმელთა მანათობელი, იგია ჩემი დამწველი და ჩემი  
დამადნობელი“. შენ რომ ქალის ამბავი მიამბე, ჩემმა სატრ-  
ცომ მის საძებნელად გამომვარავნა. მოთელი ქვეყნიერება შე-  
მომივლია „მის მზისა მონაცვალისაღ“. მე თვითონ მინახავს,  
მისი მიჯნურობით ველად გაჭრილი ლომივით ვაეკაცი რა  
უზომოდ იტანჯება, რა ფუჭად მიღის მისი სიცოცხლე:

„მისოვის გაჭრილი მინახავს, წევს ღომი ფერ-ნამერთალი საღ,  
გამცოლებელად თავისაღ, მის გულისა და ძალისაღ“.

ავთანდილმა ფატმანს ყოველივე დაწერილებით უამბო,  
თავისი ამბავიც და ტარიელისაც, მერე დასძინა: იმ უებრო  
მოყმეს თუმცა არც იცნობ, მაგრამ „შენ ხაჩ წამალი ჭერთ  
შენგან უნახავისა, ღონე წამშმისა ხშირისა, ყორნის ფრთებრ  
ნაფუშავისა“. მოღი და დამებმარე, ვეცაღოთ, იქნებ რამე  
ვუშველოთ იმ მნათობ მიჯნურთ და ერთმანეთით გავახარო-  
თო, ვინც შეიტყობს, ყველა ჩეენი მაქებარი შეიქნებაო. შენი  
გრძნეული მსახური ქაჯეთს კვლავ გავეგზავნოთ, ქალს ყველა-  
ფერი ვაცნობოთ და

„მანტა გვაცნობოს მართალი, ვქმნათ მისი გამორჩეულობა,  
ღმერთმან ქმნას, ქაფთა სამეცო მოვესმას ჩვენგან ძლევლი“

### უკარისტია

ღმერთო ღიდებულო, ეს რა ამბები გავიჟერულაშვილი  
„ცხვდავებისა სწორანი“, თქვა განცვიფრებულმა ფატმანმა.  
მყისვე გრძნეული მსახური იხმო, ყორანივით შავი, და უბრა-  
ძანა: ქაჯეთს გვზავნი და, იცოდე, ახლა ვნახვ, რა მოსახმა-  
რაცაა ჩემთვის შენი გრძნეულობაო, ფიცხლად იარე, წინ  
შორი გზა გიძევს, მიღი და „მას მზესა პკადრე მიზეზი მისისა  
განკურნებისა“, აბა, თუ დამივსებ, გულს რომ მტანჯველი  
ცეცხლი მიყიდიაო. მან მოსხსენა, ხვალ აქ ვიქნები და მის  
ამბავს მოგარომევთო.

### ვაზმანის ხერილი ხესჩერ-ჩარაჯანთან

— ქვეყნის მანათობელო შეეო ზეცით  
მოვლენილო, — სწერდა ფატმანი, — შენგან შორს მყოფთა  
დამწველო და ამაერუოლებო, „ტურფაო, ლამაზ-ენაო, ბრო-  
ლო და ლალო, ოროვე კალა ერთგან შენათხშენა!“ შენი  
ამბავი თუმცა თავად არ გამიმხილე, მაინც გავიგე დანამდვი-  
ლებით, გული დავიტებე და დავიამე. ახლა ტარიელს წერილი  
და „ნიშანი რამ გაუგზავნე“, გაახარე უშენობით გაშმაგებუ-  
ლი! გწამდეს, საწადელს ეწევით და „იგი ვარუობდეს, შენ  
იყ“. აქ მისი ძმადნათიცია მოსული, არაბი მოყმე ავთანდი-  
ლი, როსტევან მეფის სახელოვანი სარდალი, და შენ დაგვ-



ძებს. ეს ზანგი იმიტომ გამოვგზავნეთ, ქაჯეთისა ყაველივე  
დაწვრილებით გვინდა შევიტყოთ: ზღვის ვაუმა მხარეს წა-  
სული ლამქარი თუ დაბრუნდა, „ვინ არიან ქუჩა მტკურა შეჭირა“  
ან მათ ვინ მოთავეობს. მანდაური რაც პატი დუღუქი, ყუქუქ-  
ლივ გაგვაგებინე, მოიწერე, ბრძენსა და თამამს როგორც შე-  
გშვენის. მხნედ იყავ, აქამდე რა ჭირიც გინახავს, ლხინად  
შეგვეცლება, ვკონებ, ღვთის ნებით მალე შეგყაროთ ერთ-  
მანეთის შესაფერი უებრო მიჯნურნი!

ფატმანმა წერილი გრძნეულ ზანგს მისცა და უბრძანა,  
„მიართვით ქალსა, მზისა დასაგვანსა!“ გრძნეულმა ტანთ სა-  
გრძნეულო წამოსასხამი წამოისხა და წამსვე ისარივით გა-  
ფრინდა, გადაიკარგა. შებინდებისას უკვე ქაჯეთი იყო მისუ-  
ლი. უამრავ მოყმეთ, მცველად რომ იდგნენ, გვერდი უჩინ-  
რად აუარა, ციხის დახშული კარნი ისე შევლო, თითქოს ლია  
ყოფილიყოს, და

შეეიდა ზანგი პირ-შეკი, თმა-ვრძელი, ტან-ნაბდიანი,  
იგი შე დაკრთა, ეგონა სამისო რამე ზიანი,  
შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის-ტერად — იანი.

ზანგმა დაამშვიდა: ვინა გვონივარ, გული რაზედ მიგდის? მე  
ფატმანმა გამომგზავნა, სასურველი ამბავი მომიტანია, თუ არა  
გვერა, აი, წერილი მოგართვი და დარწმუნდებიო, „მზისა  
შუქნი მოიცადენ, ვარდო, აღრე ნუ დასჭირი!“ ფატმანის  
სსენებაზე ქალი გაოცდა, თვალები ფართოდ გაახილა და შა-  
ვი წამწამები შეარხია: „ნუშნი გააპნის, შეიძრნეს საონი გიშ-  
რისა წნელითა“ წერილი გამოართვა, კითხულობდა და მდუ-  
ღარე ცრემლით ალბობდა, საბრალოდ მგმინავი. ქალს უკ-  
ვირდა, საიდან გაუგიათ, რომ ისევ სული მიდგასო. ზანგსა  
სთხოვა, მიამბე, ჩემი მძებნელი ვინ არისო. მან მოახსენა:

— რაც წამოსულხარ, უშენობით მხე დაგვანებები. ფატმანი ხომ გულს ლახვარგაწონილი გაუთავესტოვა მუჟის რის, მით ცრემლი ზღვას ერთვის. აქ ერთხელ მეტად მუჟის მგზავნა და შენი ამბავი მივართუი. ახლა ვისჯე ძელავაგარი და პირმშვერნიერი მოყმე ეწვია და, რაც რამ თავს ჭირი ვა-დაგხდომია, დაწვრილებით მოუყა. ის მოყმე დაგეძებს. მა-ლე უნდა დაებრუნდე, მოუთმენლად მიმელიან.

— ეტყობა, მართალს ამბობ, — უთხრა ქალმა, — უეკვე-ლად ჩემი დამწველი სადმე ცოცხალია, თორემ ფატმანმა რა იცოდა, „ვიყავ ვისი წანაგვარი?“ წერილს მივსწერ და შენც მოახსენე, რაჩიგ გულმდელარეცა ვარ!

## ნესტან-ჩახაჯანის ნეირი ჭავახოან

— ჩემო ტკბილო ქალბატონო და „დეუ-ი-სა მჯობო დედაო“, ხედავ, წუთისოფელმა რა მიყო მისგანვე დატვევებულს, ტანჯვაზე კიდევ ტანჯვა დამერთო! შენმა ბა-რათმა დიდად გამახარა. ორგზის ხომ მიხსენ გრძნეულთაგან და ჭირი შემიმსუბუქე. ახლა აქ მთელ ქაჯეთს თითქოს ჩემთვის მოუცლია, „ერთსა მცავს ერთი სამეფო“, ათასობით გმირი მდარაჭობს. ვაი, რომ ზრახვა ავად ამიხდა, რას ვაპირებდი და რას გაზავეყარე! აქაური ამბავი სხვა რა მოგწერო: ქაჯთა მე-ლე და მისი გრძნეულნი არ მოსულან და ჯერ ვერც დაბრუნ-დებიან, მაგრამ მამაც მეომართა უთვალავი ლაშქარი მაინც

გარს მახვევია. მისნათ, ამაოდ ნე ეცდებით, დაიკრო, / რომ  
ეს არა და არ იქნება!

### ურუცნებული

— ვინცაღა ჩემი მტებნელი მოსრულა, კუნძულუმარიე  
იქირეის, იშვის, ენთების, ჩემი სწვავს ცეცხლებრ ალა,  
მაგრა მას ვპატრი, უნახას შე, მაგ არ-დაშრალია,  
უმისოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ბრალია!“

— მაშინ იმიტომ არა გიამბე რა, „ვერ იტყოდა ენა ჩე-  
მი“, მეთქვა, ვერ ავიტანდი და ჭირს განვერიდე. ახლა ამასა  
გთხოვ, ტარიელს მისწერე და შემახვეწე, ჩემ დასახსნელად  
ნუ წამოვა, სულერთია, მე ვერს მარგებს და ტყუილუბრა-  
ლოდ დაილუპება. კმარა, რა სატანჯველსაც მივსცემივარ, შე-  
მიბრალოს და „ნუ მომქლავს ამისითავე სწორითა: მას  
მყედარსა ვნახავ, მოვკვდები მე სიკვდილითა ორითა“. თუ  
არ გისმინოს, შავი ქვითამც დაგიქოლივარ! ნიშნის გაგზავნა  
გიბრძანებია და მეც ვუგზავნი მცირე მონაკვეთს მისეული  
მოსახვევისას, ესოლენ რომ შევსტროი, შევპხარი, თუმცალა  
ფერით ჩემი ბედის მსგავსად შავია.



### ნესტან-ზარეჯანის ნაირი მიჯნატან

**პ**ერე მიგნურს მიუწერა წერილი, „მსმენელ-  
თა გულისა გასაგმირალი“. მწარედ ტიროდა და მისოვის მო-  
ნადენი ცრემლის ლვარი მისგანვე მოდებულ ტანჯვის ცეცხლს  
უნელებდა. უებრო ბაგეებიდან კბილთა ელვარება გამო-



უკრთოდა: „ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი დამიუვი  
რალი“. ნაღვლიანად შეპლალაზებდა:

### პრიზენტი

— ჩე ჩემო, ესე ცხრარი ასე ჩემგან მონალვაწები, პიგალიონი  
ტანი კალმად შექვს, კალამი ნაცლელსა მონაწები,  
მე გადი შენი ქადალდად ჯულსავე ჩემსა ვაწები, —  
გვლო შავ-გულო, დამულხარ, სუ აკხნები, აწ ები!

— ვაი, რა მწარე, რა ძნელია ჩემი სიცოცხლე! რა ქნას  
უშენოდ გულმა, შენგან ლახვარსობილმა?! რაგინდ ნათელი  
იდგეს, ჩემთვის ხომ მაინც ბნელა, რომ „ველარ გნახე საყვა-  
რელი მხიარული მხიარულმან“. ხედავ, რა გვიყო, როგორ  
გავვყარა გამწირავმა წუთისოფელმა?! ბრძენთ რომ უგმიათ,  
არყი შემცდარან. შენს მზესა ვფიცავ, არ მეგონა, თუ კიდევ  
ცოცხალი იყავ, ვფიქრობდი, ჩემთვის ყველაფერი გათავდა-  
მეთქი. ახლა, ეს რომ შევიტყვე, ღმერთი ვადიდე და, რაც  
აქამდის ჭირი მინახავს, ერთობ ლხინი შევუწონე.

„შენი სიცოცხლე მეყოფის ჩემად იმედად გველისად,  
გვლისა ერთობ წყლელისა და ასრე დადაგულისად,  
მომიგონებდე, გახსოვდე მე შენთვის დაკარგული საჯ,  
ვზი მზრდელი სიყვარულისა მის, ჩემგან დანერგულისად“.

ამის მეტი, „ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოგეწერების:“  
ენა ამაოდ დაიღლება და, ვისაც თვალით არ უნახავს, ნა-  
თქვამს უერა და ვერ დაიკერებს! ღმერთმა უშველოს ფატმანს,  
იმან მიხსნა გრძნეულთა ხელიდან, მაგრამ წუთისოფელმა  
თავისი მაინც არ დაიშალა და უარესი ჭირი ჭირზედ მომი-  
მატა: არ მაქმარა, მანამდე რომ მრავალგვარი ტანჯვა-წამება  
გამოვიარე, და ძნელად საომარ ქაჯებს მიმცა შესაბურობე-  
ლად. რაც დაგვემართა, ჩემო, ყველაფერი ხომ ბედმა გვი-

ყო! ვეება ციხე-ქოშეში ვზივარ, თვალი ძლიერ ზემოს გვდება.  
გზა გვირაბით ამოდის, მცველნი დღედალამ გუშავოდენ. ნუ  
გვონია, ესენი სხვა მებრძოლებივით იბრძმენ წერტილები  
ცოცხალი ვერავინ წაუვათ, „მისთა შემბურებას მქონე მჭიდრე  
მართ ფეხლად მოედებიან!“ გვერდები, ნუ მოხვალ და თავს  
ამაოდ ნუ შეაკლავ, ამის უარესი ტანჯვა-წამებით ნურც მე  
ამომხდი სულს: შენ რომ მკვდარი გნახო, ხომ აბედივით და-  
ვიფერფლე, არა, რახან „მოგშორდი, დამომე გულითა, კლდი-  
საცა უმაგრესითა!“ ოლონდ ტყუილუბრალოდ არ დალონდე  
და ფიქრადაც არ გაივლო, „სხვათა მიპევდაო იგი ალეისა ტა-  
ნითა“. იცოდე, უმალვე კლდეზედ გადავიჩეხები ან გულს  
მახვილით გავიგმირავ, უშენოდ ნუმც მიცოცხლია! იმასაც  
ვნანობ, აქამდის რომ მოვატანე.

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიქედეს მოვარე უენი,  
შენმამ მზემან, ევრის მიპევდეს, მო-ცა-ეიდენ სამნი მზენი  
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,  
სული ჩემი შევეღრე, ზეცით მიმხვდენ ნუოჟ ფრთხის!

„ღმერთისა შემეეღრე, ნუოჟ კვლა დამხსნას სოფლისა შრომისა,  
ცეცხლისა, წყალისა და მიწასა, ჰერთა თანა ძრომისა,  
მომცნეს ფრთხის და იღეფრინდე, მიექნედე მას ჩემსა ნდომისა,  
დღისით და ღმით ვპევდვიდე მზისა ელვათა კრომისა!

„მზე უშენოდ ვერ იქნების, რათგან შენ ხარ მისი წილი,  
განაღამცა მას ეახელ მისი ეტლი, არ თე წბილი!  
მუნა გნახო, მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი,  
თე სიცოცხლე მწარე შეონდა, სიკედილიმცა შეონდა ტკბილი!“

არა, სიკედილი აღარ მიმძიმს, რახან სულს შენ შემოგვედ-  
რებ, ღვთის წინაშე მზრუნველ-მეურვედ შენ მეყოლები.

„შენთვის მოკედები, გავხდები ყორანთა დასაყივარად“, ხო-  
202

ლო ვიდრე ცოცხალი ვარ, შენს ნატვრაში ცრემლი და გადა  
არ მომაკლდება. სიცოცხლეს დავთმობ, შენს ციყვარულს ი  
ვერ შევალევი, მარად გულში დამტჩება იგი! უქორისულებულება  
შორდი, იმ დღის ყოველი გახსენება ტანჯვაზე გულები წონა  
ვას მიმატებს. დამიჯერე, ამიერიდან ნურც მიგლოვ და ხურც  
მომტირი, შენთვის დაკარგულს. წალი, ინდოეთს გაეშერე,  
მტერთაგან შევიწროებულსა და ყოველი მხრივ უმწეოდ შეე-  
ნილ მამაჩემს მიეშველე, გაამხნევე და გაახარე უჩემობით  
დაჩაგრული ჩემი მშობელნი. სულმთლად ნურც მე დამივი-  
წყებ, „მომიგონებდი მტირალსა, შენთვის ცრემლ-შეუძრო-  
ბელსა!“ ჩივილად კმარა, ჩემი უბედო ბედის გამო რაც დავი-  
ჩივლე. ახლა შენ იცი, სამართალი მართლად განსაჯე, ერთობ  
ალალი გულით მითქვამს და მაგ გულმაც ასე გამიგოს.

„აპა, ინიშნე ნიშანი შენეულისა რიდისა,  
გარდმიკეთია ალამი, ჩემო, ერთისა კიდისა,  
ესედა დაგრჩეს სანაცვლოდ მის იმედისა ფიდისა,  
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩევნედა ცისა შვილისა!“


რა წერა დაასრულა, მიჯნურისეული მოსახვევი მოიხადა  
და ერთი კუთხე მოაკვეთა. თავშიშველს შნოსა და ლაშაოს  
ჰმატებდა შავზე შავი დიდრონი ნაწნავები, უცხო და ტურფა  
სურნელების მფრქვეველნი: „დაუშვენდა სისხო, სიგრძე,  
თმათა ფერი, ალვისაგან სული მოქრის, ყორნის ფრთათათ  
მონაბერი“.

გრძნეული ზანგი გამოეთხოვა და გულანშაროს გამო-  
ეშერა. იმავე დღეს ფატმანს ეახლა. ნატვრა რომ ასე აუხდა,  
აეთანდილი ხელაპყრობით ღმერთს მადლობას შექლალადებ-  
და. მერე ფატმანს მიუბრუნდა: რაც შენ ჩემთვის გასაჭირი  
გამოგივლია, იმას ხომ ვერაფრით გადავიხდიო, ახლა წავალ,

მეტი მოცდა აღარ იქნება, საწადელი უძინებოდ არ გაუდიდა, უნდა ვისწრაფო, რომ დათქმულ დროზედ შისელა არ და-მიგვიანდესო და „ფიცხლად ქაჯეთს მოვიშვილი შენქანაში—შემ-მსპობ-ამწყველელი!“ ლომო, შენს შუქნაობშიც დასრულდება დები, გული მიბნელდება, ახლა უფრო ვიწვი, ვიდაგვიო, მწა-რედ შესჩივლა ქალმა. მაგრამ მე ნუ გედარდები, იჩქარე, ქაჯთა დაბრუნებას ეგებ როგორმე დაასწროთ, თორემ მერე იქ მისვლა გაგიძნელდებათო. ავთანდილმა ფრიდონის მა-სურნი ისმო, თან რომ ეახლებინა, და მათ უთხრა:

— აქამდის მკვდარინი ახლა დავცოცხლდით, სანატრელი ამბის მოსმენით გახარებულნი! წადით და თქვენს ხელმწიფეს უოველივე დანამდვილებით მოახსენეთ, თავად ვერ ვინახუ-ლებ, მეჩქარება, წინ მეტად სასწრაფო გზა მიძევს. მტერთა ვაგლახ-ვაების მოწმედ მალე გაგხდით, ფრიდონის ომახიანი ყიუინაც კიდევ უფრო მედგრად დაიქუხებს, „მან გაახაფოს ხმა ხაფი, კვლა უფრო გასახაფავი“. თქვენ დიდი ვალი დამ-დეთ და, თუ ფრიდონს შევხვდი, მადლობას სხვარიგ გადა-გიხდით. ახლა კი, რაც რამ ავაზაქთაგან ნადავლი წამომილია, ერთობ თქვენი იყოს. ვიცი, გეცოტავებათ და გეძუნწებით, მაგრამ მეტს ვერას მოგცემთ, სახლ-კარს მოშორებული.

ტურფა განძეულობით სავსე ხომალდი უბოძა და უბრ-ძანა: წაიყვანეთ და წადით, აქ რომ მოვსულვართ, უკან იმავე გზით იარეთ, ფრიდონს ჩემგან, ძმადნათიცისაგან, ეს წერი-ლი მიართვითო.



— დიდებულო და ბედნიერი ქადაგებულის შემცირებელი, შევეძითა და სიხარულით გაბრწყვეტებულის მატებუქი, შეუქთა უხვად და უშურველაზ მომფენელო, ღომივით ძალაშულოვანო და მტერთ სისხლის ღამდენო ღვარად, — სწერდა ავთანდილი ფრიდონს, — შენი უმცროსი ძმა შორით მდაბლად სალამს გიძღვნი! გასაჭირი არ ღამყლებია, სამაგიეროდ საწადელსაც ვეწიე: დანამდვილებით შევიტყვე „ამბავი პირისა მხედ სახულისა, დამარჩენელი ღომისა მის, ქვესკნელს დამარტულისა“.

— იგი ქაჯთა მეფეს ჰყოლია პატიმრად, თვალთაგან ნიადაგ ცრემლის მფრქვეველი: „ნარგისთათ წვიმა ბროლისა წვიმს, ვარდი ნაწვიმარია“. ყერ ქაჯნი ქალთან არ არიან, ზღვის გაღმა მხარეს წასულან, მაგრამ უამრავი ჯარი უდგას დარაჯად. თუმცა გზა ბრძოლით უნდა გავიკაფოთ, იქ მისვლა მაინც თამაშად მეჩვენება. ვიცი, სადაც შენ და შენი ძმობილი იქნებით, იქ ძნელაც გაადვილდება: რასაც მოინდომებთ, კიდევაც იზამთ, არათუ კაცი დაგიმაგრდეთ, მგონია, თვით კლდეც გაგირბილდებოთ გულს ეს მიხარებს და ცრემლის ნაյადი აღარ მდის. მომიტევე, რომ ვერ გეახელ და ვერ გინახულე, „გზა-გზა ყოვნა აღარა მცალს, პატიმრად ა იგი მთვარე“. წავალ, ტარიელს წამოვიყვან, მალე გეწვევით მნიარულნი და ჩეენი მოსვლით შენც გაიხარებ. ამის მეტი მე რა უნდა შემოგყადრო, თავად იცი, ძმას ძმურად რარიგ მიეშველები!

— მსახურნი რომ წამომატანე, ამათ დიდი მისამიზნები, დაუფასებელი ამაგი დამდეს და, გვიღებული, ნების მოაკლებ მოწყალებას:

„ქება რად უნდა მას, ვინცა თქვენთანა ხან-დაზე მისამიზნები მსგავსი უფელაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგა მეტელი მომართებას“

წერილი გრაგნილად დაახვია, შეკრა და ფრიდონის მსახურთ მისცა, რაც რამ კიდევ შესათვლელი იყო, ზეპირ დააბარა. გახარებულს სახე ია-ვარდივით უყვაოდა. უებრო ბაგე-კბილთაგან მსახურთ ლიმილი შეაფრქვია და ტკბილად გაისტუმრა: „მათ მარგალიტი უჩიენის ძოწისა კარმან ლიამან“, მერე ავთანდილმა მისი გზით მომავალი ხომალდი მონახა და ლალად „გამოემართა იგი მშე პირითა სავსე მთვარისა“, თუმცალა გულმდუღარე ფატმანის დატოვებაც უმძიმდა. მისმა დაშორებამ ყველა დაამწუხარა. ფატმანი, უსენი და მსახურნი ცხარე ცრემლით მოსტიროდნენ.

იტყვიან: „მშეო, რა გვიუავ? დაგვწვენ ცეცხლითა მწველითა რად დაგვაპნელენ შენისა მოშორებისა ბნელითა? და-ცა-გვმარჩენო ხელითა ჩვენისა დაშმარხველითა!“

**პ**ოთანდილმა ხომალდით ჰქონის გემოს მისამართ  
მერე ცხენით გაემართა, მოხდენილად მიირხეოდა. ტარიელ-  
თან სანატრელი ამბავი მიძქონდა და მიუხაროდა. ზაფხული  
მოახლოებულიყო, „ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სა-  
რატანისა“, მიწის მწვანებისა და ვარდის გაფურჩქვნის ეამი  
იდგა, ძმობილთაგან დათქმული პაემნის ეამი ჭაბუკი დიდი  
ხნის უნახავი ვარდის დანახვამ გაახარა. უუკუნა წვიმა წა-  
მოვიდა:

აგრევინდა ცა ცა ლრუბელნი ცროფეს ბროლისა ცეარითა.  
ვარდთა აფოცა ბაგითა, მითვე ვარდისა დარითა.

ვარდ-ცვავილებს ალერსით შესცეკეროდა, ტარიელის ნაც-  
ლად მათ ებაასებოდა და ამით ხარობდა. მეგობრის გახსე-  
ნებაზე ცხარე ცრემლი სდიოდა. უცხო და უდაბური არე-  
მიდამონი გავლო, ხიფათით სავსე უგზო გზით იარა: „სადა-  
ცა ნახნის, დახოცნის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი“. გამოქვა-  
ბულნი რომ გამოჩნდა, იცნო და ეამა, გაიფიქრა: აი, ჩემი  
მეგობრის სამყოფელი, ვისოთვისაც ცრემლი მდენიაო. დი-  
ალაც, ლირსი ვარ, პირისპირ ვნახო, სათქმელი ვუთხრა და  
გავახარო! მაგრამ რაღა ვქნა, თუ წავიდა და გადაიკარგა, მა-  
შინ ხომ ყველაფერმა ფუჭად ჩამიარა?! მოსული თუა, შინ  
დიდხანს მაინც არ გაჩერდებოდა, საღმე ახლომახლო ველად  
იქნება მხეცებრ გაჭრილი, სჭობია, შამბნარს გავუყვეო.

ეს თქვა და შამბნარისაკენ გაუხვია. ტაოში კონცეპტ მა-  
ათამაშებდა და მხიარულად მიიმღეროდა, ძორილს სახელით  
უხმობდა ხალისიანად მოყიფინე. ცოტაოდენი მარილი კი  
გაიარა და „ვამოჩნდა მხე სინათლითა სასულის მენტურის-  
რის პირის ტარიელი ქვეითად იდგა, ცხეშიჭია მარ მუჭქუმ,  
ლომი მოეკლა და ხელთ სისხლიანი ხმალი ეპყრა. ავთანდი-  
ლის ძახილი რომ ესმოდა, გაოცებას იყო. რა დაინახა, ხმალი  
განხედ გატყორუნა და ძმობილს მიაშურა, სულ ხტუნვა-  
ხტუნვით მირბოდა. ავთანდილი ცხენიდან გაღმოიშრა, მო-  
ყმენი ერთმანეთს ყელზედ მოეხვივნენ და აყოცეს, უებრო ბა-  
გეთაგან ტებილსა და საალერსო სიტყვებს აფრქვევდნენ:  
„ხმა შაქრის-ცერიად გაუხდა ვარდა, ხშირ-ხშირად პობილსა“.  
ტარიელს ტირილი მოერია. თვალთაგან მონადენ სისხლის  
ცრემლს ხშირი შავი წამწამები წითლად შეეღება, ახოვან  
ტანს მრავალკუცად ჩამოლურილი ცრემლის წყარო ურწყავ-  
და:

სისხლისა ლვარმან შელება წითლად გიშრისა ტევრები,  
ალეასა წყარო ცრემლისა მორწყავს, ნაკადი ბევრები.

ენამჭერად, მიმზიდველად მოთქვამდა. ძმობილს უთხრა:  
შენი ნახვა რახან მელირსა, რავინდ ტანგვაშიაც ვიყო, აღარ  
ვნალვლობო. ავთანდილი ლალად შესცინოდა, ძოწისფერ  
ბაგეზედ ლიმილი დასთამაშებდა: „ვაღლიმდის, ძოწი გააპის,  
კბილთაგან ელვა ჰკრთებოდა“. ტარიელს მიახარა: შენი გუ-  
ლის დამაამებელი ამბავი გავიგე! ახლა ხომ სიცოცხლის  
ხალისით აივსები, აქამდის თუ ურვით კვდებოდიო: „აშ გა-  
ახლდების ყვავილი, ვარდი აქამდის ჭნებოდა“.

— ძმაო, დღეს რომ გავიხარე, სიხარულად მეყოფა,  
მთელი ჩემი შეება და ლხენა შენი ნახვაა, — შიუგო ტარიელ-

მა, — აღარა სთქვა, თითქოს მისი რამ გსმენია, რახადა წარმოიშვა  
კი ღმერთმა ნუ მომცეს! რა გაეწყობა, ზეციურს ჰერუნად  
ვინ იპოვის: „კაცმანმცა სოფელს ვით პოვა, ტაჭირი ჩი რცხუჭეში  
ზენია!“

რახან სიტყვით ვერ დააჯერა, ავთანდილი აჩქარდა, იღარ  
დააყოვნა და ამოიღო მოსახვევის კიდე, მას რომ გამოეგზავ-  
ნა, „ვინ ბაგეთა ვარდი ვარდა“. ტარიელმა ნახვისთანავე იც-  
ნო, მსწრაფლ გამოართვა, გაშალა და გულში ჩაიხუტა. შეტი  
ძალა აღარ ეყო: ფერი გაუკრთა და შევი წამწამები დახარა,  
„მოღრიკა თავი გიშრისა ტალამან“, გონწასული დაეცა. მმო-  
ბილი ძმობილს მოეჭიდა და ცდილობდა მოესულიერებინა,  
მაგრამ ვერა არგო რა „დამწვარსა, სრულად ცეცხლ-ნადე-  
ბარესა“, სიცოცხლის ნიშანწყალი ერთობ გასცლოდა. შერე  
გვერდით მიუჭდა, გულმოკლული ტიროდა და გოლებდა, ყო-  
რანივით შეა თმას ბლუჭა-ბლუჭად იგლეჭდა, დაკაწრული ლაწ-  
ვებიდან სისხლი ღვარად ჩამოსდიოდა:

ავთანდილ დაჭდა ტირილად, ტირს ხმით შეენიერითა,  
ყორანსა გაპგლეჩს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა,  
გახეოჭა ლალი, გათლილი ანდამატისა კვერითა,  
შენით წყარონი გამოწნდეს, ძოწხი ვამსგავსე ფერითა.

— რაცა ვქენ, გიქსაც ირ უქნია, — ვაებდა ავთანდი-  
ლი, — მე მოვკალ ჩემი მეგობარი, თავი შევირცხვინე, ახ-  
ლა კი რალას ვუშველი! სანამ დრო იყო, საქმეს დინჯად ვერ  
დავუხედი, ძნელად ჩასაქრობ ცეცხლს წყალი სწრაფად და-  
ვასხი, დავივიწყე ბრძენთა ნათქვამი, რომ ზოგჯერ „სიწყნარე  
გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“ რაღ ვერ მოვიაზრე,  
მომეტებული სიხარულის ჭიქურ დაჯახების გული ვერ გა-  
უძლებდა?


ტარიელი უგონოდ იწვა, ჩალურჯებულიყო, ცკვდის  
ფერი დასდებოდა. ავთანდილი წამოდგა და წერის სკემიწერი-  
ლად გაემართა. შამბნარში რომ გაიარა, შანვრის სკემი განვი-  
რულ ლომს წააწყდა. მისი სისხლი პეშვით აიღო, მოვადა,  
ძმობილს ასხურა, „მკერდსა დასხა მას ლომსა სისხლი ლო-  
მისა“, და ლაქვარდი ლალისფრად გაუხედა. ტარიელი შე-  
კრთა, შავი წამწამები შეარჩია, „შეირჩა რაზმი ინდოთა ტომი-  
სა“, თვალი გაახილა. ჯერ ისევ ფერმისდილი ჩანდა, სილურ-  
ჯის იერი დაპკრავდა: „ლურჯად ჩანს შუქი მოვარისა, მზი-  
საგან შუქ-ნაკრთომისა“. ძალა მოიკრიბა და წამოჭდა.

ზამთარი ვაჩდთა ვააბმობს, ფერცველი ჩამოსცვივიან,  
ზაფხულის მზისა სიახლე დაწვევს, ვვალვასა ჩავიან,  
მავრა მას ზედა ბერბული ტერფასა ხმისა ყივიან, —  
სიცხე სწვევს, ყინვა დაახრობს, წყლული ორჩელვე სტკივიან.

ავრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,  
კინისა და ლხინსა ოჩსავე ზედა მართ ვითა ხელია,  
მიწევი წყლულდების, საწერთო მზი ართდეს მრთელია.  
იგი მეტობს სოფელსა, ვინცა თვისა მტერია!

ტარიელმა თავისი დამდაგველის წერილი ძლივძლივო-  
ბით წაიქითხა, უზომოდ ლელავდა, ცრემლი სინათლეს უნ-  
შობდა, დღის შუქი ბნელად ეჩვენებოდა. ავთანდილი შე-  
მოსწრა:

— არა, შენისთანა ვანსწავლულ კაცს ეგ არ ეკაზრება,  
ღიმილი გვმართებს და რაღად სტირი?! აღექი, იმ გადაკარ-  
გული მზის საძებნელად წავიდეთ და, საცა შენ გწალია, იქ  
მალე მივიყვან! ოღონდ ჯერ შესატერისად გავინაროთ, მერე  
კი შევსხდეთ და ქაჯეთს გავეშუროთ. ვინც წინ გადაგვიდგეს,



ერთობ ხმლით ავკატოთ და თავად ლაღნი, უცნებდელნი / ავ  
ბრუნდეთ.

ტარიელმა ამბავი გამოქვითხა. გული აღმართ შეტრატეჭა //  
ბოდა, ხალისიანად შეჰყურებდა და უსმენდა. შეტრატეჭა ეპ  
გაბრწყინებულს თვალებიდან „შავ-თეორი ელვა ჰერთებოდა,  
მართ ვითა ლალსა მზისაგან. მას ფერი ეზარდებოდა“. რა მო-  
ისმინა, ავთანდილს მაღლი მოახსენა და უთხრა: შენს ამაგს  
მე ვერ გადავიხდი, მაგრამ ჩემ მაგიერ ღმერთი გიზღავსო.

„შე შენი ქება ვითა ვთქვა, ბრძენთაგან საქებარისა!  
ვითა ზე-მოისა წყარომან, მოპრწყე ყვავილი ბარისა,  
დაწყვიდე ლენა ცრეილისა, ნარვისთა ნაგუბარისა“.

შესხდნენ და ასმათისაკენ გაემართნენ, სიხარულით სავ-  
სენი. ქალი გამოქვაბულის კართან მარტო იჯდა, ხალვათად  
იყო. თმააშლილი. პერანგისამარა. ტარიელი შორილანვე შე-  
ნიშნა, თეთრტაიჭოსანი მოყმეც იცნო. მას რომ თან მოპყე-  
ბოდა. მალე მათი ხმაც გაიკონა, „ორნივე ტურფად იმღერ-  
დეს, ვით იაღონი მგოსანი“. ზეზე წამოვარდა. გაოცებისაგან  
რეტი ესხმოდა: აქამდის მუდამ მტირალის მოსვლა ენახა და  
უკვირდა, ახლა რომ ჭიამით მომღერალ ტარიელს ხელავდა.  
შეამჩნიეს თუ არა ღობილი, მათ გაულიმეს და მხიარულად  
გასძახეს:

„ჲე ასმათო, მოგვივიდა მოწყალება ლერთისა ზენით,  
ვპოვეთ მოვარე დაკარგული, რაცა გვწადდა. იგი ვქმენით,  
აწ გავხედით ბელისაგან უეცხლთა შრეტით, ვირთა ლხენით!“

ავთანდილი ცხენილან ჩამოხტა და ასმათს მოეხვია. დობილი  
ახოვან ჭაბუქს მოეჭდო, მისწვდა „ალვასა, შტო მოჰყვა  
მოსარხეველად“, ყელსა და პირზედ ჰკოცნილა, ცრემლად

ილვრებოდა. მერე ჰეითხა: რა ჰქენი, რა შეიტყვა, გამოწერი, მიამბეო. ავთანდილმა მას გაუწოდა ბარათი „ალექსა შერთ-დამჭინარისა, მთვარისა ფერ-მიხდილისა“ და პუსტიშე ნაცალეს, შენი გახრდილის ნაშერია! მის ტანჯვას მატერიალური სტუქტურა და გულს ეს გვიხარებსო: „მშე მოგვეახლა, მოგვეცა ჩვენ მოშიარება ჩრდილისა“. ასმათმა ბარათს დახედა თუ არა, მისი ხელი მაშინვე იცნო. მომეტებული განცვიფრებისაგან ათრთოლდა, „ტერფით თხემამდის“ ურუანტულმა დაუარა, თქვა: ეს რა ვნახე და რა გავიგონე, დავიჭრო ნამდვილიაო? ნუ გეშინია, ნამდვილიაო, დაუდასტურა ივთანდილმა, ჭირი მოგვშორდა და ლხინი მოგვეცა:

„მშე მოგვეახლა, უკუნი ჩეკრევის აღარა ბრელია,  
ბოროტსა სძლია კეთილმან, აჩსება მისი გრძელია!“

— მისმინე, ისეთ ამბავს გიამბობ, მოამბედ ვერ დამიწუნო, — უთხრა ტარიელმა ძმობილს: — აქ რომ დევები ამოვწყვიტე, მას შემდეგ მათი დიდალი განძი ხელუხლებელი ძევს. მე არ დამჭირებდა და არც მინახავს. მოდი, საუნცენი გავხსნათ და გავსინჯოთ, შიგ რა სიმდიდრეა.

ივთანდილს ეამა, იდგა და გაძყვა, ასმათიც თან წაიტანეს. ორმოცი საგანძურის კარი შელეწეს და შევიღნენ. უამრავი და უმავალითო განძი დახვდათ: ხელწინდად გათლილი ძვირფასი თვლები გროვად ეყარა. „ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა“, ოქროს ხომ ვერაეინ დაითელიდა, ანგარიში არ ეგებოდა! ორმოციე საგანძური განძით იყო გამოტენილი. ერთი გამოვეაბული აბჯრის შესანახად ჰქონილათ, ყოველნაირი იარაღ-საჭურველი მწნილვით ჩაეწყოთ. იქვე კიდობარი იდგა, საგულდაგულოდ

დაკეტილი და ბეჭედდასმული, ზედ ეწერა:  ზარალი და ალმასივით ბასრი ხმალია, დევთ რომ ქაჯნი შე  
მოებან, იმ მძიმე დღისთვისო, მანამდე ვინც გუაჩუფრუაშენი-  
იღოს, მეფის მოლალატეა, მისი მკვლელიო. **ჰუაზარიშრუტეს**  
ხელი აბჯარ-იარალი იპოვეს, რასაც კი სამი მეომარი რაინდი  
შეიმოსავდა. ხმალი, შუზარალი და ფაჭვის პერანგი საბარ-  
კულითურთ მოზურმუსტებულ ბულეებში იდო. ჩაიცვეს  
და, რარიგ გვევარგებაო, მოსასინჯავად ერთმანეთს მი-  
ეტივნენ. ფავშან-მუზარალს ვერა ავნეს რა, თუმცა ხმალი ისე-  
თი იყო, რკინას ბამბის მკედივით კრიდა. უზომოდ მოეწო-  
ნათ, „მათ ულირს ყოვლად ქვეყანად, შევატყვევ, არ გაჰყიდი-  
ან“. ხარობდნენ, ნიშნად ესეც კმარა, რომ ბედი გვიღიმის,  
ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედაო. იმ აბჯრიდან  
თითო ხელი თავად დაიტოვეს, ერთიც „ურიდონის საძღვ-  
ნობლად შეკრეს ღვედითა“. ურჩეულესი თვალ-მარგალიტი  
თან წამოიღეს, ოქროც არ დავიწყებიათ.

აფთანდილ თქვა: „ამას იქით დავამაგრო ხრმიალთა ნები,  
ამას ლამე არსად წავალ, რა გათენდეს, არ დავდგები“.

პიგლიტობის

**რ**ა გათენდა. შესხდნენ და გეემართენ. ას-  
მათიც თან მიჰყავდათ, უნავირზედ უკან შემოსმული. ასე  
იარეს ფრიდონის სამეფომდე, იქ კი მესამე ცხენიც იშოვეს,  
ვაჭარმა ოქროს ფასად მისცა, არყი უძღვნა. მევზურად ავ-  
თანდილიც კმაროდა, სხვა არავინ დასტირვებიათ. ერთგან  
ჯოგს წააწყდნენ, მოეწონათ, მინვდნენ, ფრიდონისა იყო. ტა-  
რიელმა ძმობილს შესთავაზა: მოდი, ფრიდონს გავეხუმროთ,  
ჯოგი გამოვირევოთ, თითქოს მის წასართმევად ვართ მოსუ-  
ლიო, გაიგებს და

„გამოეშართვის საომრად, ეელთა სისწლისა დალებად,  
ანაზღად გვიცნობს, გაკრთების, გულსა შეპლაშის დალებად.  
ამითა კარგი ლალობა, ლალსა შე-ეე-იქმს ლალებად.“

ჯოგს დაერივნენ და საუკეთესო ტაიპებს იქერდნენ. მეჯო-  
გეებმა მსწრაფლ ცეცხლი გააჩაღეს, პატრონისათვის კვამ-  
ლით რომ ხიფათი ენიშნებინათ. მერე მომხდურთ გასძახეს:  
ვინა ხართ, მოყმენო, რას სჩადით? ჯოგი იმისია, ვინც მტერს  
ხმლით წამსვე მზეს დაუბნელებს, დავვნესებაც ვერ მოასწ-  
როსო! რაინდებმა მშვილდი მოიმარჯვეს და უკან დაედევ-  
ნენ. მეჯოგენი, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ  
და გაჰყვიროდნენ: გვიშველეთ, მძარცველებმა დაგვხოცესო.  
ხმიანობაზე ხალხი შეიყარა. აღარ ტაერიდნენ და თვით  
ხელმწიფესაც აუწყეს. ფრიდონი ფიცხლად შეეკაზმა და გა-  
ეშურა, თან ურიცხვი რაზმი ახლდა. წინ „იგი მზენი მოეგებ-

ნეს, ვის „ზამთარი ვერ დაპატიჟიდა“, ძმობილს რომ არ გამო, სახეზედ მუშარადები ჩამოეფარებინათ. ტარიელი ქორით ნი რომ დაინახა, მუშარადი მოიხადა, გაუღიმა და სიცალით უთხრა: რას გვერჩი, „ჩვენი მოსლვა რას გრძელებული უკავშირი ავი მასპინძელი მოგვევებვი ომად წინა!“ ფრანგული ერთობენ ცხენიდან ჩამოხტა და ორივეს მდაბლად თაყვანი სცა. თავადაც ჩამოქვეითდნენ, ძმობილს მოეხვივნენ და აკოცეს. ერთმანეთს ამშვიდებდნენ, გვევობოდა, „შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე“. რად შეგივიანდათ, უფრო ადრე მოგელოდით, მე მზადა ვაჩ, ოღონდაც, თქვენს სამსახურს ჩოგორ დავიზარებო, უთხრა მათ ფრიდონმა და სასახლისაკენ წაუძღვა. რა მიეიღნენ, შეიწვია და მოწიწებით უმასპინძლა. მას აბჯარი მიართვეს და მოუბოდიშეს: ახლა ამის მეტი არმალნად არა მოგვიტანია რა, მაგრამ საშენოდ სხვაც ბევრი გვაქვს გადადებული ტურთა ძლვენით.

შან დასდგვა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია:  
„ჩემთვის ამისი ბოძება არს თქვენი შესაგვანია!“

იმ ღამეს სანატრელი სტუმრები საამოდ მოასვენა, „აბანოს ბანნა“, ნაირნაირი შესამოსელი უძღვნა, სიტურფით ერთმანეთზედ უკეთესნი, მერე ოქროს გობით უცხო და საკვირველი თვალ-მასწავლიტი მიართეა. დილა რომ გათენდა, უთხრა:

— აფი მასპინძლის სიტუვას გეუბნებით, თითქოს თქვენი სტუმრობა მომშეყვნოდეს, მაგრამ დაყოვნება არ გვარგია: წინ გრძელი გზა გვიძევს და, თუ ქაჭა ლაშქარმა მოგვისწრო, საჭმე გაჭირდება. ქაჭეთს ერთხელ უკვე ვყოფილვარ, ნახავთ და თქვენც დარწმუნდებით, რაოდენ ძნელი მისადგომია:

ირგვლივ სულ კლდეები აქრავს, ალის შემოჩენას არ  
უხერხდება. თუ მალულად არ შევეპარეთ, აშკარად ეერას  
გავხდებით. ამიტომ დიდ ლაშქარს ნუ ვიახლებთ, შეუმჩნევ-  
ლად ველაზ ვივლით.

ურარივნებელ

ბიბლიოგრაფია

„დიდთა რას ვაქმნევთ ლაშქართა? კარგი გვიანდან და ცოტანი,  
საჭარი კაცი გვეუოფის, წავიდეთ მართ შეოტანი,  
ჩვენ ქაჯეთს ქაჯთა ხაომრად დავიგნეთ ნტმალთა კოტანი,  
მას აღრე ვაპოვებთ, ვისიცა მოგველავს ალფისა, მო, ტანი!“

მის ნათქვამს მიემოშმნენ. ამათი იქ დატოვეს, ფრიდო-  
ნისაგან დასაჩუქრებული. სამახი მამაცი მხედარი იახლეს და  
გაემართნენ. ზღვა გადაცურეს და ნაპირზედ გავიდნენ, კვლავ  
სიარულში უღამდებოდათ და უთენდებოდათ. ფრიდონმა  
გზა იცოდა და, ქაჯეთს რომ მიუაწლოვდნენ, თქვა: აწი მარ-  
ტო ლამლამობით უნდა ვიაროთ, თორემ დავმულავნდებითო.  
მისი რჩევა ახლაც გაიზიარეს: დღისით იღვნენ და ლაშით  
ფიცხლად მიეშურებოდნენ. აი, ქაჯთა ქალაქიც გამოჩნდა,  
უთვალავი ლაშქარი რომ იცავდა. გუშაგნი მეტად ახლო-ახ-  
ლოს იყვნენ და მათი ძახილი ერთიან გუგუნად გაისქმდა.  
გვირაბის კარს ათიათასი რჩეული მოყმე-ჭაბუკი ედგა და-  
რაჯად. ქალაქს მთვარე დაპნათოდა და ლომგული ძმობილნი  
მას ლამითაც ხედავდნენ, უთვალთვალებდნენ.

თქვეს: „ვითავზირთ, ვითა ვქმნათ, აუ გამოჩინევა ძნელია.  
ასი ათასსა აქობებს, თუ გამოჩინევით მქმნელია“.



განვითარის, ავთანდილისა და ფინანსების  
მინისტრის მაჯალის ციხესიმან

უკრაზნული

გიგანტი

— მე ჩემსას ვიტყვი და, მგონია, არ  
უნდა ვცდებოდე, — თქვა ფრიდონმა. — ჩვენ ცოტანი ვართ,  
ქაჭა ქალაქი კი დიდი ლაშქრის საომარია. პირისპირ ბრძო-  
ლით ვერას გავალებით და ამაოდ ნუ დავიჩემებთ, კვესნისა-  
თვის საღა გვცალა. თუ კარი დაგვიხშეს, ათას წელიწადს ვე-  
ცალოთ, მაინც ვერსაით შევუვალთ. სიყმაწვილის უამს ჯამბა-  
ზობას მასწავლიდნენ, კარგადაც გავიწაფე: თვალის დახამხა-  
მებაში თოკზედ ისე გავირბენდი, ტოლ-სწორნი შემომნატ-  
როდნენ. აბლა, ჩვენგან ვისაც უკეთ შეუძლია საგდებლის შე-  
ტყორუნა, გალავნის ერთ ბურჯს გრძელი თოკის მაჩუუე  
მოაცეას, და იმ თოკზედ ისე გავივლი. თითქოს ველად მივრ-  
ბოდე. გალავანს ფიცხლად გადავევლები და მერე მე ვიცი:  
ვნახოთ, თუ ჩემს მახვილს გაზარჩენილი კაცი იქ საძებნელი  
არ შეგვენეთ!

„აბჭეთითა გავდა არად, მიჩნს ჭირად, გატანა ფარისა,  
შიგან ჩივებლტები კასკასად, უეცემი მსგავსიდ ქარისა,  
ლაშქართა დავპნოც, გაეახვამ, ქნახოთ გაღება კარისა!  
თქვენცა შენ მოლით, საღაცა გვსმას ზრიალი ზარისა“.

— რა გვეთქმის, მოძმენი ვერ დაგემდურებით, — უთხ-  
რა ავთანდილმა: — ჭან-ღონით სავსე ხარ, არა გტყივა რა,  
და გალომებული მქლავის მოიმედე „სთათბირობ ძნელთა  
თათბირთა“, სიფათს არ უფრთხი. მაგრამ, აბა, ყური მიაპყარ,  
რა ახლო-ახლოს ისმის გუშაგთა ძახილი ნუ გვინია, შეუმ-  
ნევლად გადახვიდე, აბჭრის ჩხარუნს გაიგონებენ და თოკს

გადაგიჭრიან, მაშინ ხომ ყველაფერშია ფუჭად ჩაგდიასა და მარტინი, ეგ ჩჩევა არ გამოვადგება, საქმეს სხვარიგად ცნობა გამოიწვევა ლოთ. კარგად იცით, ისინი ქალაქს შემავალ მგზავრს აა იქერენ. სჯობია, თქვენ აქ საღმე უჩინარ აქტუალურ წესების და თუმცა გამოიწვევა მოვეკაზმები და თუმცა გამოიწვევა მოვეკაზმები უცვებაპარებ. მარტო უნდა შავიდე, სამივე რომ ერთად ვინახონ, ვაითუ განჩინახვას მიგვიძვდნენ. აბჯარს ერთ ჭორს აკეთდებ და, რა შევალ, მალულად ავისხამ, ღმერთმა ქნას, „უხვად ვადინო შიგნით სისხლისა რუები!“ გარეთ ლაშქარს თქვენ ეკვეთეთ აურველნი მსგავსად გმირისად“, შიგნითა მცველთ თვითონაც ადვილად გავუმკლავდები. რაც რამ ელიტეა, დავლეწავ და კარებს გავალებ, ვერაფერი დამიმაგრდება! მე ეს მირჩევია და, თუ რამ სხვა სჯობდეს, თავად ბრძანეთ.

— ვხედავ, უებრო გმირები რომ ხართ, — თქვა ტარიელმა, — თქვენი ჩჩევაც თქვენს ძალულოვნებას შექცერის. ფიცხელი ბრძოლა გწყურიათ და სხვა კაცი მარტოოდენ მაშინ გინდათ მშეელელად, როცა გახურებულ ომში გაგიჭირდებათ. მაგრამ ჩემზედაც იფიქრეთ, მე რაღა ვაკეთო:

„ჩმა ესმას ჩემსა ხელ-მქმნელსა, ზედა ვარდმოდგეს მშე ვითა, თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა!“

ხომ შევრცხვი და თავი მომექრა! არა, მაგას ნულარ მეტყვით, სჯობია, ასე ვენათ: რაზმი თანაბრად გავიყოთ, თითოს ას-ასი კაცი მოგვეკდება. და უთენია ცხენები ფიცხლად გავაჭროლოთ, სამივემ სამი მხრიდან შევუტიოთ. ვეორტავიბით და წინ მოგვეგებებიან, აი, მაშინ კი ხმალი ვარდაცურად დავატრიალოთ, „ხელი კვლა ვპხადოთ აბჯარსა მას, ჩვენგან მძლედ ნახმარებსა!“ გონს მოსელა არ დავაცადოთ, ცველანი ერთად ვიკეთოთ და კართა დახშვეს ვეღარ მოგვასწრებენ.

სამიღან ერთი ხომ მაინც შევუვალა და იმ ერთმა შეგნილ  
თი სისხლის ლვარი დააყენოს, სხვები გარეთა ლაშეას და ი-  
რიოთ და მუსრი გავავლოთ.

— კარგად ვიცი, მაგ ჩემეულ ცხენს კარის ქარის ქარის ქარის  
მოასწრებენ, — ლიმილით უთხრა ფრიდონმა, ტესლა მუქის ეპი-  
თუ ქაჯეთს ლაშერობა მოგვიწევდა, თორემ, ჩემი სიძუნე  
გითხრა, არა და არ გიძლვნიდი.

ამაზედ გაიცინეს და გახალისდნენ, ენაშევერი მევობ-  
რები ერთმანეთს მოხდენილად და მიმზიდველად ესუმრებოდ-  
ნენ, ლალობდნენ, მხიარულობდნენ. ორივე ძმობილი ტა-  
რიელს მიემოწმა, მისი რჩევა გაიზიარა: რაზმი თანაბრად გა-  
რყევს, თოთომ ას-ასი გმირთა დაზი მეომარი წაიყვანა და თი-  
თო კარიბჭე დაიგულა საიერიშოდ. საომრად აბჭარასხმული  
სამი უებრო მხედარი-რაინდის ხახვას არა სკობდა რა:

ივი ჰაბუქი შექითა ვნახენ მზისაცა შეტითა,  
მათ სამთა შვილი მნაონბნი ჰეიარენ ნათლისა სკეტითა,  
ტარიელ შევსა ზედან ზის ტანითა მით წერწეტითა,  
დალიენს შტერნი ოშითა, ვითა მცერეტელი კვრეტითა.

ჩემი აუ ესე ნაოქეამი მათი სახე და დარია:  
რა ზედა წვიმდეს ლრუბელნი და მთათა ატყელეს ლვარია,  
მოვა და ხევთა მოვრაგნის, ისმის ზაფი და ზარია,  
მაგრა რა ზლვათა შეერთვის, მაშინ ევრეცა წყნარია.

თუმცა ავთანდილი და ფრიდონი მიუწვდომელი სიკე-  
თით ბრწყინავდნენ, მაგრამ ტარიელის ვაჟკაცურ შემართებას  
მაინც ვერა შეედრებოდა რა, როგორც მზეს, სხვა მნათობთ  
რომ ერთობ დაფარავს და მის შუქწედ თვით მთიებნიც აღარ  
ჩანან. ახლა მათი ფიცხელი ომის ამბავს გიამბობთ და ყური  
დაუგდეთ, მოისმინეთ.



საქართველო

**დამით სახელდახელოდ გარშუშუმარმიზუსტ**  
 საფრებში იყვნენ ჩასაფრებულინი. რა გათენდა, გამოვიდნენ  
 და გაემართნენ. ერთხანს უწყინარი მგზავრებივით მიღიოდ-  
 ნენ. ქალაქის მცენერი მოტყუცდნენ, ალლო ვერ აულეს, ნე-  
 ბივრად და უდარდელად იღვნენ, შიში არაფრისა ჰქონდათ.  
 ახლოს მისულთ ანაზდად თავს მუზარადი დაიხურეს, ცხენებს  
 მათრახი გადაუკირეს და სამივე კარიბჭისაკენ ძოსხლეტით  
 გაქანდნენ. მაშინ კი ციხე-ქალაქში ბუკ-დაფდაფს ჰქონდა:  
 დიდი განგაში ატყდა. მყისვე კარიბჭენი გააღეს და მიმბდურთ  
 მახვილით მოეგებნენ, მაგრამ ვაი მათ: ტარიელი და მისი მო-  
 ძმენი რაშმითურთ უმოწყალოდ დაერივნენ და იმდენი კაფეს,  
 ღეშს ბრძოლის ველი ველარ იტევდა. ქაჯეთს ღვთის უსაზო-  
 მო რისხვა მოიწია:

ერონის, წყრომით შემხედველებინ, მოიშორეა სიტყბო მშისა,  
 მათვე რისხვით გარდებრუნდა ბორბალი და სიმკრავლე ცისა  
 კაცსა უკრავდა დაბნედდის ხშა ტარიელის ხაფისა,  
 აბგარსა ფრეწის, გაცედის სიმაგრე ჯავშან-ქაფისა!

ტარიელი ქალაქში პირველი შეიქრა და მსწრაფლ ცი-  
 ხეს ეკვეთა. ავთანდილი და ცრილონი მტერს გალომებით  
 ებრძოლნენ და ერთობ მუსრი გაავლეს. რა ერთმანეთს შე-  
 ხედნენ, ღილად გაიხარეს. ტარიელი მოიკითხეს, მიათვალიერ-  
 მოათვალიერეს, მაგრამ არსად ჩანდა. ციხეში ასასვლელ  
 გვირაბს მიაშურეს, მტრის რიდი არა ჰქონდათ. მივიდნენ  
 და ნახეს, ნალეში აბგარ-იარალი გროვა-გროვად ეყარა. თა-

ვით ფეხამდის აკაფული ათიათასი გუშაგი უსულოდ მწერა  
ციხის კარებიც შეღეწილი იყო. ტარიელის მეტი ამს ვის  
იზამდაო, თქვეს და შევიძნენ. ვზაც შეკაფუჭირებული მცველთა  
გვამებით მოფენილი. გვირაბშემდგრძნელი მცველი

ნახს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მოვარე ჟველსა,  
მრავარადი მოეხადა, ვშევნის აკრა თმასა ლელსა,  
შეერდი შეერდა შეეწება, გარდაექდო ყელი ჟველსა.

გეგონებოდა, ცის კაშკაშა მნათობნი მუშთარი და ზუალი  
ერთად შეკრილიყვნენ. ერთმანეთს ეხვეოდნენ, ჰეოცნიდნენ,  
„ქვლა შეეწებნეს ხშირ-ხშირად ვარდნი ბაგეთათ პობილნი“,  
სიხარულის ცრემლი სდიოდათ.

მზე რა ვარდსა შემოადგეს, დაშვენდეს და შექნი არნეს,  
აქანამდის ჭირ-ნახულთა ამას იქით ვაიხარნეს.

შმობილნი წვეულივით წინ წადგნენ და ტარიელის მზე-  
სატრეფოს მოწიწებით სალამი უძღვნეს. „მზე მოეგება პი-  
რითა ტურფითა, მოცინარითა“, შეება-ლხენით სავსემ შშვე-  
ლელთ აკოცა და საამო სიტყვით მდაბლად მადლი მოახსნა.   
მერე თვით ტარიელს მიესალმნენ, უებრო და ახოვან ვაბუკს,  
„მას ალვისა მორჩისა ვით ხეს“, და ვამარჯვება მიულოცეს.  
რაინდებმა ტკბილად მოიუბნეს, გამოიკითხეს ერთმანეთის  
ამბავი და დიდად ეამათ, რომ მტრის მახვილს მათთვის ვერა  
ევნო რა, მძიმე აბჯარი ამაოდ არ ეტარებინათ: „თავნი მათ-  
ნი გაალომნეს, მათნი მბრძოლანი იშველეს, ითხეს“. სამასი  
კაცილან ასსამოცი შერჩენოდათ. ფრიდონს უმძიმდა, მეომ-  
რები რომ დაეღუპნენ, მაგრამ თან უხაროდა კიდეც, რომ  
კეთილ საქმეს შეეწირნენო. მათი ჯავრის ამოსაყრელად მო-  
ნახეს, თუ საღმე მტერი კიდევ ბოვინობდა, და ცოცხალი  
ერთიც აღარ დაუტოვებიათ.

იმდენი საუნჯე იპოვეს, ანგარიში არ წერბოლა, სამი-  
თას მუხლმაგარ ჭორსა და აქლემს მარგალიტე და თლილი  
ლალ-იაგუნდი აპეიდეს. მზეთაშე ასული ჭავჭავაძე მარ-  
როში შესვეს და სათუთად, მოკრძალებით ჭავჭავაძე უწი-  
შეეძლო კი ვინჩეს მისი წარიმევა! ქაჯეთის ციხის მცველად  
სამოცი კაცი დატოვეს. გზის დაგრძელებას არ დაერიდნენ  
და გულანშაროსაკენ გაემართნენ, თქვეს: ფატმანი მოვინა-  
ხულოთ, მის ამავს რომ ვერასოდეს გადავიხდითო.

## ჩაგიერის მისველი ზღვათა მეფისას

**ზღვათვალი:** ზღვათა მეფეს მახარობელი გაუგზავნა და

— მტერთა მძლეველი და ამომელეტელი ტარიელი  
ქაჯეთიდან მოვდივარ და „მომყავს ჩემი მზე, ჩემი ლახვართა  
მსობელი“. მეფეო, ყოველივე სიკეთეს თქვენით ვწევივარ: იგი  
იგი გრძნეულთა ხელიდან ფატმანს უხსნია, მერე კი მისთვის  
დისა და დედის მაგივრობა გაუწევია, „სდედებია და სდე-  
ბია“. ფუჭი ქადილი მძულს და თქვენს ამავს, აბა, რით გადა-  
ვიხდი? ქაჯთა ქვეყანა და მთელი მათი სიმღიდრე ახლა ჩემ  
ხელთაა, ერთობ თქვენთვის მომიძლვნია, იმათ ციხე-ქალაქში  
თქვენი მეომრები დააყენეთ და მავრად გეჭიროთ. ახლა მე  
ვისწრაფი და მანდ ვერ მოვალ, ჩვენენ თავად გამოემართეთ,  
გვნახეთ, ვიდრე თქვენს სამეფოს გავსცდებოდეთ. მწარს,



მოწიწებით გეამბოროთ, როგორც ლვიძლ მამას. ჩემ მაციერ  
უსენს სთხოვეთ, ფატმანი გამოგზავნოს, მის გაცემის მიზან  
სი ნახვა ეამება:

## პირდღირითა

„მისგან კიდე ინატრიდა ჭვრეტასამცა სხვალა ვისა,  
უნ შესაცა უნათლე, ასრე ვითა ბროლი ფისსა“

ტარიელის კაცი რომ ესტუმრა, ზღვათა მეფე გაოცებას  
მიეცა: „წესია, გული გაქერთების ამბავსა გასაკრთობელსა“.  
ღმერთს ჰმადლობდა და მის სამართალს ადიდებდა. მაშინ-  
ვე შეჯდა, სხვა მაწვევარს აღარ დალოდებია. ქორწილის  
თადარიგი დააჭირა, მძიმე ბარგი ააკიდებინა, დიდალი  
თვალ-მარგალიტი და სხვა ტურფა ძლევნი წამოილო, თან  
ფატმანი წამოიტანა და გამოეშურა, „უხარის ნახვა ლომისა  
და მზისა, ხმელთა მნათისა“. თი დღის სავალი რომ გამო-  
იარეს, პირისპირ რაზმი გამოიუჩნდათ. აქედანაც შენიშვნეს, მო-  
ყმე-რაინდთ აღარ დააყოვნეს, რაზმს მოსწყდნენ და „შორს  
გაეგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა“, ცხენებიდან  
ჩამოხტნენ, მოწიწებით ეამბორნენ. მოსულთ ტარიელს უზო-  
მო ქება შეასხეს, ამანაც ათასი მაღლობა მოახსენა. მერე  
ბროლით შუქმოციაგე ქალი მოინახულეს, მის უებრო  
სიტურფეს შესტრიფოდნენ, შეპხაროდნენ.

ფატმან ბათუნს, მისა მცენეტსა, ედებოდა ცეცხლი ნელი,  
მოეხვია, გარდუა-ცანა ხელი, ფეხი, პირი უელი,  
იტყვის: „ლმერთო, რა გმისახურო, განმინაოლუა ჩაოგან პნელი  
ვცან სიმოკლე ბოროტისა, კვთილია მისი გრძელი“.

ჭალი ფატმანს ეხცევოდა, ტყბილად იტყვის, არ გამწყრალი:  
ღმერთმან გული განმინაოლა გახეოქილი, გა-ცა-მწყრალი,  
ამ ეგრე ვარ გაესებული, წინას ვიყავ ვითა მცხრალი,  
შეჟმან შექნი შემომაღვნა, ვარდი მით ეარ არ-დამზრალი“.

ზღვათა მეფემ მიჯნურთ დიდებული ქორწილი გამოიყენა, შვიდ დღეს არ გაუშვა. ქაჯეთის ძლენობა ძალისებ დაუმადლა. თვითონაც საბოძვარი უხვად გასცა ქართული ტარაცელი მოეტანა: ოქრო იმდენი მიმოაფანდა შესტუკებული შესტუკებული გით დადიოდნენ, სტავრა-ატლასი თუ სხვა სიძლიდრე-განძეულობა ხომ გორივით იდო. ტარიელს გვირგვინი უძღვნა, ერთი მთლიანი ყვითელი იაგუნდისა იყო, ფასი არ დაედებოდა, მერე ხალასი ოქროს ტახტიც მიართვა. ნესტან-დარეჯანი ბადახშითა და ლალით შემკული ტურფა ქათიბით დაასაჩუქრა.

დასხვეს ორივე ქალ-უძანი პირითა ელვა-მერითალითა,  
მათი შეერებელი დაიწენეს ცეცხლითა მართ ახალითა.

არც აეთანდილი და ფრიდონი დავიწყებია, მათაც შესაფერი ძღვენი უძღვნა: ძეირფასი უნაგირით შეკაზმული თითო სა-უკეთესო ტაძეო და თვლებით მოოჭვილი, „უცხო ფერთა შუქთა მფენი“ თითო შესამოსელი. ორივემ დიდად დაუმადლა და სეე-ბედი დაულოცა.

გამოთხვეებისას ტარიელმა მოხდენილი სიტყვით კიდევ და კიდევ მადლობა გადაიხადა, მასპინძელს უთხრა: მეფეო, დიდად ვიამე უპირველესად თქვენი ნახეით, მერე იმით, რომ უცხო და ტურფა ძლვენით აგვავსე, რა კარგი ვქენით, რომ შორს არ ჩაგიარეთ და გეწვიეთო. ამაზედ ზღვათა მეფემ მოწიწებით მოახსენა: თქვენი საკადრისი, აბა, რა უნდა მეძღვნა, „ხელმწიფურ ლომო, ქველო, მოახლეთა სიცოცხლეო, ვერ-მშერეტელთა შორით მკლველო!“ შორიდები და, მავ მშვენებას რომ ვერ ვიხილავ, მაშინ რაღა მეშვეოლებაო.

დაო, შენს ამიგს ვერა და ვერ გადავიხდიო, უთხრა ტარიელმა ფატმანს. ახლა ეს მიბოძებია, რაც რამ საუნჯე ქა-

ჯეთიდან ჯორ-აქლემით აქ მოვიტანე, და წაილე, ერთობლივი  
იყოსო. ფატმანმა თაყვანი სცა, უზომოდ დაუმახლა და თან/  
მწარედ შესჩივლა: მეფეო, თქვენმა ნახვამ ჩაუტარდეს კი  
ცეცხლი გამიჩინა, მიღინართ, მტოვებთ და რაღა კვერცხები და  
ნი მოშორებით გახელებულმა და გულდამწვარისთვის, უკან  
რარძი მოახლეთა, ვაგლან თქვენსა ვერა-მცვრეტსა!“

ბოლოს, შუქთა მომფენელი სამი ჭაბუკი, „კბილნი  
ბროლნი და ბაგენი სადაფთა მოსადაფენი“, ზღვათა მეფეს  
დანანებით გამოეთხოვა: მშობელივით შეეტყობეთ და შევი-  
თვისეთ, აწი უთქვენოდ რაღად გვინდა ნაღიმი და მოლხენა,  
მაგრამ რა გაეწყობა, წასულა გვიგვიანდება, გაგვიშვი, ამა-  
საცა გთხოვთ, სამგზავროდ ერთი ხომალდი გვიბოძეო. ხო-  
მალდი რა უნდა იყოს, თქვენი გულისთვის მოვკლე. დავ-  
მიწდე, ესეც არა მშურსო, მიუგო ზღვათა მეფემ. ახლა, რა-  
ხან აგრე ისწრაფით, დარჩენა როგორლა შემოვთავაზოთ,  
„წა. გიწინამძღვრდეს მელავიო!“ ხომალდი მოუკაზმა და გა-  
მოისტუმრა. მათი განშორებით შეწუხებულნი მწარედ მოს-  
ტიროდნენ, თავ-პირში იცემდნენ, თმა-წვერს იგლეჭდნენ,  
„ფატმანის ცრემლთა შედენით ოვით ზღვაცა გააღიდესა!“.


მოყმენი ტკბილად ბასობდუნენ. ძმობის იმ ფიცით, ად-  
რე რაც ეთქვათ, ერთმანეთს კვლავ შეემტკიცნენ. იცინოდ-  
ნენ, მღეროდნენ ბედნიერებით გაბადრულნი, „ბაგეთათ შუ-  
ქი შეაღვის ზედან ბროლისა ფიცართა“. ზღვა რომ გამო-  
ვლეს და ნაპირზედ გამოვიდნენ, ასმათსა და ფრიდონის დი-  
დებულთ მახარობელნი გაუგზავნეს. ქაჯეთის ომში გამარჯვე-  
ბისა და ტარიელის მზეთამზის გამოხსნის ამბავი აუწყეს:

„მანდა მოვა, მოიმაღლებს მზე მნათობთა მაშავრობლად,  
ჩვენ, დამზადნი აქანამდის, აწ ეიქმნებით დაუზრობლაზ!“

ზღვისპირ მოდიოდნენ და მოჰყავდათ იგი შედ, ტარეულების ჩეროში ნებივრად რომ დაებრძანებინათ. ესრდენი კირი გადაეხადათ და ახლა ლალობდნენ, მხიარულუკანის წერტილი-დონის სამეფოს საზღვარს მოატანეს, სიმარტინული მარტინული მათ. ფრიდონის დიდებულები იყვნენ, მათ შესაგებებლად წამოსულნი. ასმათიც თან წამოეყვანათ, ურვა-წუხილის ნაცვლად შეება-ლხენით აღსავსე. იგი ნესტან-დარეგანს მოექდო და გულში ისე ჩაიკრა, „რომე ვერ გაჰყრის ცულები, აშვაუსრულა ყოველი მან მისი ნაერთგულები“. ნესტანი ენვეოდა და ჰერცოგიდა, მერე უთხრა: ვაიმე, ჩემო, შენც ჩაოდენი ტანჯვა-წამება გარგუნე, „მე გულსა შენსა ეზომსა, არ ვიცი, გარდვიხდი ჩითა!“ ხომ ხედავ, რა ბედნიერი ვართ, ღმერთმა მიჭნურნი არ გაგვწირა და უხეად მოიღო მოწყალებაო. მაღლი ღმერთს, რომ ბოლოს დაფარული გამოაჩინა და შენი მშვენება კვლავ დაუშენობელი ვიხილეო, „ვარდნი ვნახენ არ-დაზრულნი“, მოახსენა ასმათმა, შენს სიხარულსა და ბედნიერებას რომ შეეყურებ, „სიკვდილიცა სიცოცხლედ მიჩნს“, აღარ ვინაღვლი, თუნდ ახლავე სული ამომხდესო.

დიდებული მოწიწებით ხელზედ ეამზორნენ და ქება შეასხეს. ღმერთს ლოცვა-კურთხევას უგზავნილნენ, თქვენი ნახვით გავვახარაო, „აღარა გვწვავს ცეცხლთა დება, წყლულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე ძალ-უც განკურნება“. ტარიელმა მათ უთხრა: ვაი, რომ თქვენი მომშენი ბრძოლაში დაეცნენ, თავი შემოგვწირესო, თუმცა ამშვეუნაღ მარადისი შვება-დიდება დაიმკვიდრეს და ღვთისაგან უკვდავი ჯილდო ხვდათ, მაგრამ მათი დახოცეა სამძიმოა და მიმიმსო.

ესე ოქვა, ნელად ატირდა და წვიმა თოველსა არია, ნარგისთავ იარების ბორიო, ვარდსა ზრავს, იანვაჭია.



იგი რომ მტირალი დაინახეს, ყველანი ერთობ გაიშარებულებუ  
საც ვინ დალუბვოდა. მისთვის ვაებდა და ცრეშლი აფაქვეკდა  
გული რომ მოიოხეს და დაწყნარდნენ, ტარიელს მოახსენეს:  
„რათვან ბრძენთა მშეებრ გსახეს“, თქვენი მჰვრეტელნი  
ცრემლისა და ვაების წილ უნდა იმღეროდნენ და ხარობდ-  
ნენო, თქვენი ესოდენი ტირილისა და მწუხარების ღირსი,  
აბა, ვინ არის, თქვენი გულისთვის სიკვდილი ბევრად სჯო-  
ბიაო „მიწათა ზედა რებასა!“ მეჩე ფრიდონმაც სთხოვა: თავს  
ნუ გაიმწარებ, ღმერთიმც ამ ურვა-ვარამს ერთიათასად გი-  
ზლავსო სიხარულით. დიდებულო ავთანდილმაც მხურვა-  
ლედ მიუსამძიმრა, მათ ქება შეასხეს და მოახსენეს, იხლა  
გლოვა-შეკირვებაზე უფრო შეება-ლხენა შეგვშევისო:

„რათვან მიმსვდა დაკარგული ლომი მხესა წარხდომილსა,  
აღარ ვტირთ სატირალსა, აღარ დაესდებო თვალთა მიღსა“.

ფრიდონის სატახტო ჭალაქი, მულლაზანსარი, დიდი  
ზეიმით დაუხედათ, ბუქ-დაფლაფს სცემდნენ და ისმოდა „ხმა  
ტურფად შენათხზარია“. მოქალაქენი ერთობ მოაწყდნენ და  
გარს შემოეხვივნენ. ბოქაულები აბგარასხმული ტრიალებდ-  
ნენ, დიდი ჭაფა დაადგაო, ხალხი მიგრით ეჯახებოდათ, საკვ-  
რეტელად ახლოს მიშვებას ითხოვდნენ. სტუმრები ფრიდონ-  
მა სასახლეში მიიყვანა. წინ მდიდრულად მორთულ-მოკაზ-  
მული მსახურნი მრავლად მოეგებნენ, ფეხწვაშ აბრეშუმის სა-  
ფენს უფენდნენ, თავს ოქროს აყრილნენ მოწიწებით და მე-  
რე ჭარი იტაცებდა უხვად მიმოტანტულს.



ვიცე-მინისტრის მიერ განაცხადის და ნებარისებრის  
მომსახურის გადახედი

საქართველოს მთავრობის მიერ განაცხადის და ნებარისებრის  
მომსახურის გადახედი

საქართველოს მთავრობის მიერ განაცხადის და ნებარისებრის  
მომსახურის გადახედი

**ქ**რიდონის სასახლეში დიდი ზეიმი იყო. სა-  
ნატრელი სტუმრების საამებლად ხელგაშლილი მასპინძელი  
არაფერს იშურებდა. ტარიელისა და ნესტანისათვის თეთრ-  
ძოწეული საჯდომი მოაკაზმვინა, წითელ-ყვითელი თვლებით  
კიძლუცად მოკვილი, „ავთანდილისთვის — ყვითელი და  
შავი ერთგან ჩეული“. რა მოვიდნენ და დასხდნენ, მათი  
შევრეტით ყველას სული ელეოდა. მომლერალ-მოსაკრავენი  
ტკბილ ჰანგებს აქლერებდნენ. უსაზომო ქორწილი გაიმართა.  
ნეცე-პატარძალს დიდძალი ტურფა სტაურა-ატლასი და უებრო  
თვალ-მარგალიტი მოართვეს საჩუქრად.

მოილეს ძღვენი უსახო ფრიდონის არალქატისა,  
ცხრა მარგალიტი, სიღილით მართ ვითა კვერცხი ბატისა,  
კვლა ერთი თვალი, სამსვავსო მზისა შექ-მონამატისა,  
მას წინა ლამით ძალ-ედეს მხატვარისა ხატვა ხატისა.

შერე ფრიდონმა კვლავ დიდრონი მარგალიტით სავსე მძიმე  
ლანგარი მოატანინა და ავთანდილს უძღვნა. თითოს თითო  
ზელსაბამიც მიართვა, ერთობ მრგვლად დათლილი იაგუნდი-  
სა იყო. მათ ყოველივე დიდად დაუმადლეს. რვა დღეს ქორ-  
წილობდნენ, საქართვა ელერა არა წყდებოდა, მოპქონდათ და  
მოპქონდათ ნაირნაირი ძვირფასზე ძვირფასი ძლევნი, იშვებ-  
დნენ და იხარებდნენ უბადლო მიჯნურთა ბეღნიერებით:  
„აპა, მიპხვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა“. ქორ-  
წილი რომ გაიყარა, ტარიელმა ფრიდონი გაიხმო და ტკბი-  
ლად ეუბნა, გულისნადები გადაუშალა:

— ვიცი, ძმაზედ უფრო მიგანივარ და, თუ მაგრაც ბეჭდებ-  
ლე შემოგწირო, მაინც ვერ გიზლავ, იმდენი ძმაგი მარტო-  
ვის: მომაკვდავმა „ჩემი წამალი წყლულფუსა“ მუქუპ ჩოშ  
თქვენგან ვპოვე. ისიც კარგად მოგეხსენება, ამასთან დიდი ურა-  
თავდადება გამოიჩინა ჩემთვის. მიღი, ჰეთო, რაც ვახსერა  
გაგვიმედავნოს და, მან რომ მტანჯველი ცეცხლი ჩამიქრო,  
ახლა მეც მწადია მაგიერი მივაგო, მივეხმარო, ეყოფა იმდენი  
წვა-დაგვა. უთხარი: ძმაო, რაც შენ ჩემთვის ჭირი გინახავს,  
ვერა და ვერ გადავიხდი, „ღმერთი მოგეცემს წყალობასა, მის-  
გან ზეცით შესახულსა!“ მაგრამ საშენოდ ერთი განზრანვა  
მაქვს და, სანამ იმას არ ავისრულებ, სანამ გულის საწადელს  
არა გწევ, მანამ შინ წამსვლელი არა ვარ-თქო. იმას ვარჩევ,  
არაბეთს გავეშუროთ და, ეს იცოდე-თქო, რაც გინდა იყოს,  
ტკბილი სიტყვით იქნება, თუ ხმალდახმალ ბრძოლით, ვიდრე  
შენ შენსას „არ შეგროთავ, მე ჩემსა არ ვექმარები“.

ფრიდონმა რომ ტარიელის დანაბარები უთხრა, ავ-  
თანდილს გეცინა და, ლიმილით გაბადრული, კიდევ უფრო  
დამშვენდა, მიუგო: მშეელელი რად მინდა, თავად უვნებელი  
ვარ და „ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს“, არც შეება-ლხენა  
აკლიაო.

„ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორქმელი ღმრთისა ნებითა,  
საკრძალავი და უკადრი, ლალი, არეისგან ვნებითა,  
არცა რა უმძიმს ქაჯთაგან, არცა ვრძნეულთა გრძნებითა,  
მას ზედა შეელა რად მინდა, რად შეკვე რასაცა თნებითა?!

„რა მოვა ჩემთვის განვება, ზეცით მოსრულნი ზენანი,  
ღმერთი იწადებს, მომიცლენ გელის სახმილთა ლხენანი,  
მაშინდა მომხვდენ მოკვდავსა მზისა ელვათა ფენანი,  
უმისესმისოდ ცულია ჩემგან მი და მო რბენანი“.

## მერე ფრიდონისავე პირით ტარიელს — შესუბაზ შე- უთვალა:

— მეფეო, დაბადებითვე დაშედებია, შენ კომისახურო, და მადლის გადახდა არა გმართებს, რაგინდ ქართული ქადაგი. სიკეთით სივსე ხარ და კეთილ საქმეს ეუჭირდეთ, გრძელ უცხო ტრადიციის შემაწყვილო. მაგრამ მე იქ ხმალი „არ მიყვეთს, არცა სივრცელე ენისა“, მიჯობს, ღვთის განგებას მოთხინებით დაველოდო. ახლა ჩემი უპირველესი ნატვრა ესაა, ინდოეთის სამეფო ტახტზედ განცხრომითა და დიდებით დაბრძანებული გიხილო, გვერდს გიმშვენებდეს „მნათობი პირი ელვათა მკრთომარე“, მტერთათვის ერთობ მუსრი გაუვლოს, შემობმას ვეღარავინ გიბედავდეს. მე, შეს ფერხთა მტვერს, ლმერთმა მანამდის ნურა მალირსოს რა. ეს ნატვრა რომ ამინდება, აი, მაშინ კი არაბეთს მივაშურებ, ჩემს მზეს ვეახლები და, თავად მას „ოდესცა სწადდეს, დამიესნეს ამა ცეცხლისა დებანი“. მეტი რალა მინდა ან შენ ამაოდ რაზედ გაგხავო? ფუჭი ამება მძულს და არ შემიძლია.

ავთანდილს რაც შემოეთვალა, ფრიდონმა უკლებლივ მოახსენა, მაგრამ ტარიელი თავისას მაინც არ იშლიდა: რა საკითხავია, მაგას არა და არ ვიზამო, როგორც მან მიპოვაო ჩემი მალებელებელი, „მიზეზნი ჩემისა სულთა დგმისანი“, ისევე ახლა თვითონაც ნახოს. გამოსცადოსო სამისოდ მოძმის ძალ-გული. მიღი და უთხარიო ეს ჩემი ალალი სიტყვა:

— მე შენი გამზრდელის უნახავად არ დავდგები, მგონია, საყვარელი მსახურნი მაშინ მრავლად დავუხოცე, მო-ვუბოდიშებ, მისგან შენდობას ვითხოვ-თქო. ამის მეტად მო-ციქული ნუღარ გინდა, ხვალ უსათუოდ წავალ და, რა

ვეახლები, საშენოდ ასულის ხელს გამოესთხოვ, შევეხვარის-  
ბი, შევაგუებ, „მე არ მიზამს არაბთ მეფე“, რომ გაწმილე,  
ბული გამომისტუმროს-თქო. უკარისტუატი

ახლა ფრიდონმა ტარიელის დანაბარებმის შემცირებულ  
უამბო და თან დასძინა: ამაოდ ცდილობ, მაინც არ დადგება  
და თავისის გაიტანსო. ვაპუკს მეტად დაუმძიმდა, გულს ურ-  
გის ალი შემოენთო, მოყმეს ხომ მეფის რიცი და მოქრძალე-  
ბა მართებს და მე ესოდენ კადნიერად როგორ მოვეჭცეო  
როსტევანს. ავთანდილი მივიღა, ტარიელს მუხლი მოუყა-  
რა და

ფერხთა ექვევის, აკოცებს, ალარ შეხედავს ზე წელად,  
ეტყვის: „კავა, რაცა შევსცოდე როსტანს წლეულად მე წელად,  
კლა ნე მიქმ ერთგულობისა გამტეხლად, და-ცა-მლეწელად“.

— შენ რომ ეპირები, იმას ღვთის სამართალი არ დაგა-  
ნებებს. მითხარი, ჩემთვის ზრუნვით ფერგადალეულ გამზრ-  
დელ ხელმწიფეს როგორ ვუმუხთლო და მის საზიანოდ ხელი  
როგორ გავძრა, პატრონზედ სმალი ვით შევმართო?! ეგ სა-  
ქელიელი თვით სატრფოსაც მომამდეურებს, გამირისხდება და  
თავს მომანატრებს, ჰვრეტას ალარ მაღირსებს, მის ამბავსაც  
ძნელად თუ შევიტყობ. მაშინ ხომ დავიღუბე, არ მაპატიებს,  
ძეხორციელი ვეღარავინ მომეშველება!

ტარიელმა, მლიმარე რომ შეუქს შინისაებრ აფენდა, ძმო-  
ბილს ხელი მოჰკიდა, ააყენა და სიცილით უთხრა: რაც რამ  
კარგი მჭიდრის, ერთობ შენი შემწეობითაა, მაგრამ სჭობია,  
ახლა „შენცა გალხინოს ჩემმან შენითა ლაპარამან“. მაგას ვერ  
მოვიწონებ, არც მეტისმეტი მოწიწება ვარგა:

„დია მძულს შერი მოყვრისა შიში, კრძალვა და რიცობა,  
შერლს გაუწიველად კუშტობა და სულ-მძიმობა, დიდობა.“

თუ მოყვარეა, გულისა ქმნას ჩემევ მონაზიღობა,

თვარა მე ჩემდა, იგ მისდა, და სჯობს კიდისკეიღობა

— ვიცი, შენი სატრფოს გული შენ, უკამიცხული არ  
ეწყინება, მე რომ ვესტუმრები, თქვეჭმის გამეღნერების  
მსურველი. როსტევანის ნახვა ხომ სანატრელია და მეც  
ვნატრობ. ნუ გონია, მასთან ყბეღობას მოვყვე, ხელმწიფეს  
უკადრისი შევეადრო, ოდენ ერთ რამეს შევეხვეწები: ისე  
ქნას, თითქოს მასვე მოუვიდა აზრად, ისული ცოლად მოგ-  
ცეს. რახან ბოლო მაინც შეერთებაა, შორიშორ ყოფნას გა-  
ძლება არ უნდა? ბარემ ახლავე „დაშვენეთ ერთმანერთი, თა-  
ვის-თავის ნუ დასჭინებით!“

როცა დარწმუნდა, ტარიელი თავისას არ დაიშლიდა,  
ავთანდილი მეტად აღარ შეურჩებია, დაპყაბულდა. ფრი-  
დონმა მათ რჩეული მხლებელნი აახლა და, რაღა თქმა უნდა,  
თვითონაც თან გამყვა.

## სამივე ძმოგიღის მისველ გამოქვაბული და იქიდან არაბეთს ნასველ

**თ**რიდონისაგან წამოსული „იგი ლომნი, იგი  
შხენი“ ჯერ დევთა გამოქვაბულისაკენ გაემართნენ, საცა ტა-  
რიელს დაედო ბინა. ტახტრევანით თან მოპყავდათ პირმშე  
ასული, მცვრეტელთ რომ მისი სიტურფე ურუანტელსა  
ჰევრიდა:

ჰეთიდან ბროლსა ყორნის ბოლო დაწყობილი, თავათმხერი,  
მერ ბადახშა აშეენებდეს სინატიუე-სინაზენი.



უგზო გზით მიდიოდნენ და ტყე-ველს მეტადაც უჭირდეთ  
რწყავლნენ. როცა მოშენებულ მიღამოუბრივ უკადებოდნენ  
გავლა, მცხოვრები წინ ეგებებოდნენ. ძლვენსა სძლვინიდნენ  
და ხოტბას ასხამდნენ, მათი უებრო შევენების ხილვით გა-  
ხარებულნი: „მას ჰევანდეს, თუცა სამყაროს მშე უჯდა შუა  
მოვარეთა“.

ტკბილ საუბარში, ლალობა-მხიარულებაში მრავალი  
დღე გაილია და, აი, იმ უდაბურ, ვრცელ მინდვრებს წა-  
ადგნენ, მათ მიღმა რომ დევთა გამოქვაბული იყო. დღეს  
თქვენი მასპინძლობა მე მმართებსო, თქვა ტარიელმა, სულ  
მალე იქ ვიქნებით, საცა გულგაშმაგებული იმდენ ხანს ვყო-  
ფილვარ, ერთი მივიღეთ და თქვენი მოსაწონი ძლვენი გიძლვ-  
ნათ, ტურფა და ნაირფერი განძი მოვართვათო. მივიღნენ და  
გამოქვაბულში დაისაღებურეს. ასმათი ირმის ხმელი ხორცით  
გაუმასპინძლდათ. მხიარულობდნენ, ერთურთს შეგობრუ-  
ლად ეხუმრებოდნენ, ღმერთს ჰმადლობდნენ, რომ საქმე  
კარგად მიუღიოდათ, ჭირი ლხინად შეეცვალათ. მერე სა-  
განძურები მოინახულეს, ტარიელის ბეჭდით დაბეჭდილნი.  
განძულობა იმდენი იყო, ანგარიში არ ეგებოდა. უკელა  
შესაფერისად დააჯილდოვა, უხვი საბოძვარით აავსო, გულ-  
ნაკლული არავინ დაუტოვებია, მაგრამ აურაცხელ საუნჯეს  
მაინც არა დასტყობია რა, გეგონებოდა, ხელიც არ უხლია-  
თო. მერე ტარიელმა ფრიდონს უთხრა: შენს ამაგს, არ ვიცი,  
რანაირად გადავინდიო, მაგრამ თქმულა. „კარგის მქმნელი  
კაცი ბოლოდ არ წახდების“. ახლა, რაც რამ აქ საუნჯე ძევს,  
შენი წილხევედრია და წაიღე, ერთობ შენი იყოსო. ფრიდონ-

მა მოწიწებით თაყვანი სცა და უსაზომო მადლი მოაჩინა,  
თან უსაყველურა კიდეც, ისეთი რა ამაგი მიმიძღვის, ავრც  
რომ აზვიადებო:

ურარცხულები

### პიგდიონიერა

„მე, შეფერ, რად გვონივარ უჭიუო და ივრე ჩეტი?

მტერი ყოველი ჩალად გიჩინს, ვინმცა იყო ვითა კატი,

ჩემი ლხინა მუნამდის ა, ვირე ვიუო შენი მევრეტი!“

ფრიდონმა მულლაზანზარს კაცნი გაგზავნა, რომ საუნჯის  
წასაღებად აქლემები მოერექათ, თავად კი ძმობილთ არაბეთს  
გაჰყეა. ავთანდილს მოსეენება დაეკარგა და გაფიორებული-  
ყო, მიდიოდა „გალეული შესაყრელად მოვარე მზისაღ“.

დიდხანს იარეს და არაბეთის საზღვარს მიადგნენ. ხში-  
რი ქვეყანა იყო, სოფლები და ციხე-ქალაქი ერთმანეთზედ  
მიყოლებით ხვდებოდათ. ტანთ ერთობ ძაბა ემოსათ, „ავთან-  
დილისთვის ყველაი ცრემლითა არს ნაბანები“, მის დაკარგ-  
ვას გლოვობდნენ. ტარიელმა როსტევანს მოციქული აახლა  
და შეუთვალა:

—ხელმწიფეო, ამას მე, ინდოთა მეფე, მოწიწებით მო-  
გახსენებ: თქვენი სასახლისაკენ კეთილი სურვილით აღსავსე  
მოვეშურები, მოვალ და „გიჩვენებ ვარდსა“ კოკობსა,  
უფრპვნელსა, მოუკრეფესა“. თქვენს მიწა-წყალზედ უწინაც  
ვყოფილვირ, მაშინ ეს იწყინეთ და ავად მომექეცით, შესა-  
პყრობად ლაშქარი მომისიერ. მასსოვს, მეომრები მრავლად  
დაგიხოცეთ. ახლა ინდოეთს მიმავალს გზიდან აქეთ გადმო-  
მიხვევია და თქვენ წინაშე იმის სათხოვნელად მოვდივარ,  
შემინდოთ, რაც შეგცოდეთ, წყრომა მაკმაროთ. სხვა ძლვე-  
ნი არა მაქვს რა, ფრიდონი და მისი მოყმენი მემოწმებიან,  
„ოდენ ძლვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია“.

როსტევან მეფეს რომ მახარობელი მოუდიდა, ერთ კარგ  
იტყვის, რარიც გაიხარა. თინათინს ხომ ლაშვებიდ შეუეც-  
ვარება ერთისამაც მოემატა, „ბროლსა და ლაშვა, ქავნებს  
მუნ ჩრდილი წარბ-წამწამისა“. ლაშქრის მიმდინარეობის  
დოლს დაპკრეს და შეიქნა ერთი თქარა-თქუში, კარესიერებულ-  
ნი აქეთ-იქით მიმორბოლნენ, ცხენებს კაზმავდნენ, „შესხდა  
სიმრავლე მოყმისა მკლავ-ფიცხელ, გულ-მაგრებისა“. მეფე  
შეკდა და მთელი ლაშქრითურთ მათ მისაგებებლად გაემარ-  
თა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ყოველი მხრიდან, ვისაც კი  
ესმა, შინ აღარავინ ჩერდებოდა. ყველა ღმერთს ჰმადლობ-  
და, ხმამაღლა შეპლალადებდა: „ბოროტსა უმყოფოო, კეთილ-  
ნია შენთვის მზანი!“

თვალსაწიერზედ რომ დაახლოვდნენ, ავთნდილმა და-  
რცხვენით უთხრა ტარიელს: ხედავ, ამ მინჯორს მტვრის  
კორიანტელი რომ ასდის, ისინი მოდიანო და „ამისთვის  
ვიწვი, სახმილი გულსა ეცხელა, ებავთა“. ჩემი გამზრდე-  
ლი ხელმწიფე შესახვედრად მოეშურება, ვერა, მე მას-  
თან ვერ მივალ, რა პირით ვეჩვენო, ძეხორციელი ჩემებრ  
რომ სხვა არავინ შერცხვენილათ. თავად იცით, შენ და  
ფრიდონი თუ რამეს მიშველითო. ტარიელმა ხელმწიფის  
წინაშე მოკრძალება მოუწონა და უთხრა: მე მივალ და ვეტუ-  
ვი როსტევანს, როგორ იმალებიო, მგონია, ლვთის წყა-  
ლობით „ადრე შეგყარო მზესა მას, ტანად ალვასა“, შენ აქ  
დარჩი და დამელოდეო.

შენ დადგა ლომი ავთანდილ, დაიდგა შეცირე კარავი.  
ნესტან-დარევან მუნეე დგას, ივია შევრეტო მზარავი,  
მისთა წამწამთა ნიავი ქრის, ვითა ქარი არავი.

ტარიელს ფრიდონი წაჲყვა და წავიღნენ. კარგი საინდასჭირდათ, ვრცელი ველი ომი გაელიათ და მათ შეხვერ-როდნენ. როსტევანმა შენიშნა, ტარიელი მიუქრიაზუზული დიოდა, მოხდენილად მიირხოოდა მერანშეტესუსწერებული არაბეთის მხცოვანი ხელმწიფე ინდოთა ჭაბუკ მეფეს მიმა-სავით მოწიწებით მოეგება, „გარდასდა და თაუვანის-სცა მას უკადრსა, ლომებბრ ჯანსა“, ტკბილად მიუალერსა, გადაკოც-ნა, უძლეველი მკლავი დაულოცა და ხოტბა შეასხა: შენ მზე ხარო მანათობელი და, ვისაც შენი შუქი მოაკლდება, დღე ლამედ შეეცვლებაო. ტარიელმაც თაუვანი სცა და ეამბორა, გულითადი ქება უძლვნა. ხელმწიფე შეცბა და შეწუხდა, აქ-ოდა მაგ ქების რა ლირსი ვარო. მერე ფრიდონიც ეახლა და მდაბლად მიესალმა „მას მეფესა, ავთანდილის ნახეისათეის მოსწრაფესა“. როსტევანი თვალს ვერ აშორებდა ტარიელს, მისი მშვენებით განცვიფრებული და მოხიბლული.

— მეფეო, ესოდენ სიკეთეს, ნეტავი, რას ხელავთ ჩემ-ში, — უთხრა მას ტარიელმა, — მიკვირს, რახან ავთანდილი თქვენია, „სხვა რად ვინ მოგეწონების?“ ნუ გაიოცებთ, იგი ომი თქვენს ნახვას აყოვნებს. მოდით, ამ საამოდ ამწვანე-ბულ კორდზედ დავსხდეთ და მოგახსენებთ, თან რად ვერ მოგვიყვანია. ოღონდ ერთსა გთხოვთ, სიტყვა მიბოძოთ არ გაწყრებით.

დასხდეს მეფენი, მოადვა გარე სიმრაველე რაზმისა. ტარიელს პირსა ციმციმი ათქს, უნათლესი ბაზმისა, შერეტა ახელებს მცერეტელთა ყოფა-ქცევისა და ზმისა, დაუწიო თხრობა შეუესა სიტყვისა, ბრძნად ნაკაზმისა.

— მეფეო, საამისოდ თავი მემცრობა, მაკრამ გავკალნი-ერდები და მაინც მოგახსენებთ, რასაც იგი გველრებათ,

„რომელი ჩანს მშეებრ შუქთა მფენებლრდ, ვინ არის  
ჩემად სინათლედ და ჩემად გამათენებლად“. ავთანდი-  
ლი თავგანწირებით ეცადა და წყლულზედ წირენი ეწყლიდა,  
დაიღიშა. რომ თვითონაც ჩემნაირი სატაზემსუზისქე-  
ბოდა. ბევრი ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ, პირდაპირ  
ვიტყვეი: მათ ერთმანეთი უყვართ, თქვენს ასულსა და თქვენ-  
სავე ავთანდილს. საბრალო ჭაბუკი ამაზედ ტირის და ფერი  
გაკრომია. ახლა თქვენ წინაშე მოციქულად მოვსულვართ  
და ხვეწნა-მუდარით ორივე ამასა გთხოვთ, „ნულარ აწვი  
იმათ ალსა, რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-  
ფიქალსა“.

რა ეს თქვა, ხელმანდილი ამოილო, ყელზედ მოინასკვა და  
მოწიწებით მუხლი მოუყარა. ყველა გაკვირვებული შესტე-  
როდა ჭაბუკს. მეუემ რომ ტარიელი მორჩილად დაწოქილი  
დაინახა, შეძრწუნდა, შორს უკან დაიწია და თაყვანი სცა,  
„ქვე მიწამდის დაუვარდა“, მერე უთხრა:

— ხელმწიფეო, თქვენ რომ ჩემ წინაშე თავი აგრე და-  
იმდაბლეთ, ამან სიხარული ერთობ გამიქრო და თქვენი ნახვა  
ჩამადარდა. როგორ-იქნება, თქვენ რასაც მოიწადინებთ, ვინ-  
მემ გაგაწბილოთ! დატყვევებას ან თეთო მოკელასაც რომ  
უპირებდეთ, უარს არც მაშინ გეტყოდით და ჩემს ერთადერთ  
ასულს მოგვერიდათ უცრემლოდ, დაუნანებლად. თუნდ  
გეთქვათ, ვიღაც მონას შერთეო, უკან ამაზედაც არ დავიხევ-  
დი, „ვინმცა გკადრა შეცილება, უშმაგომცა ვით მოგმურ-  
და!“ ავთანდილის უკეთეს სიძეს ხომ, აბა, სად ვნახავ, თავა-  
დაც „სწვა მისებრი ვერა პოვოს, ცათამდისცა ალ-ცა-ფრინ-  
დეს!“ მოვეხსენებათ, მეფობა ჩემს ასულს შეპუეროდა, მი-  
ვეცი და აქვს კიდევაც, „ვარდი ახლად იფურჩების, მე ყვა-

ვილი დამებერა“, და როგორ შევკადრებ დავთმალო, რახან  
თვითონ კმაყოფილია ბედისა, მეტადრე, როცა მის არავაპ-  
ზედ მეც გული მიმერჩის:

ურუცნულებელი

„თუ ავთანდილ აჩ მიუკარდა, ასრე მისთვის რექტულების მიერ-  
დია, ღმერთო, წინაშე ვაჩ, ესე ჩემვან დაღასტურდა!“

რა ტარიელმა ხელმწიფის ნათქვამი მოისმინა, მოწიწე-  
ბით თავი მიწამდე დახარა და მღაბლად მაღლი მოახსენა.  
როსტევანი მიუახლოვდა და თავადაც თაყვანი სცა. ორივეს  
გული სიამით ავსებოდა. ფრიდონი შეჯდა და ავთანდილის  
მახარობლად გაეშურა, ესოდენ „დიდი სიხარული გაეხარნეს  
მაცცა განა!“ წამოუძლვა და მოიყვანა. როსტევანი ადგა და  
წინ მიეგება. დაზუცვენილ ჭაბუქს ფერი გაკრომოდა, „შუ-  
ქი ბნელად მოევანა“, ცხენიდან ჩამოხტა, მეფეს თვალს ვერ  
უსწორებდა, პირისახეს ხელმანლილით იფარავდა:

მხე ღრუბელია მოპორივოდა, ჭრშდებოდა, ვაოდსა ზრდიდა,  
მაგრა მისსა შეკენებასა რამცა ვითა ღაფარებიდა!

როსტევანს უნდოდა გადაეკოცნა, ავთანდილი კი მუხლებ-  
ზედ ეხვეოდა, „შუქნი ქეე დაუფენიან“. ვხედავ მაგ მოკრძა-  
ლებასა და თავაზიანობასო, ალერსით უთხრა ხელმწიფემ,  
ისიც ვიცი, რაოდენი სიკეთე და სიმამაცე გამოგიჩნია, რა-  
ღად მერიდები, ნუ გრცხვენიო ჩემი. ჭაბუქი წამოაყენა და

მოეხვია, გარდუკოცნა მან პირისა არე-მარე:  
„დამიღესეო ცეცხლი ცხელი, მაგრა წყალი არე მარე.  
ვინ ვიშერი დააწოვა და წამწმისა არემა-რე,  
გვალე, შეგური, ლომო, მზესა, თავი მისე არე მარე!“

მეფემ სანატრელი მოყმე გვერდით დაისვა, სიამით შესცემ-  
როდა, ტკბილად ებაასებოდა, ყელზედ ეხვეოდა, ჰქოცნიდა.

მოყმემ მოახსენა: ხელმწიფეო, მიკვირს, რად აგრძინებო  
ტარიელის მშეთამზის ნაბეჭა?! ნეტავი იმ შეღნიერ უაშა,  
თქვენ რომ იმას მხიარული მიეგებებით და უსახურა-ფრთხოენ  
სა მოიყვანებ, შემოიმოს შექთა მისთა, გარე ერთობლივ მოვა-  
ნებ!“ შესხდნენ და მიეგებნენ. როსტევანი ცხენიდაბ ჩამოვი-  
და და ქალს შორით მიესალმა, ახლოს მისცლა ვერ მოეხერ-  
ხებინა. ქალი თავად მოეგება მხცოვან მეფეს და ეამბორა.  
განცვიფრებულმა ხელმწიფემ ხოტბა შეასხა.

ეტვეის: „მზეო, ვითა ვაქო, ნათელო და დარიანო,

შენოვის ხელი გონებანი არა ცუდად არიანო,

მზიანო და მოვარიანო, ეტლად რაო და რიან!

თქვენ საჭვრეტლად აღარ მინდით, არ ვარდნო და არ ვანო“.

ნესტანის მშვენებას უველა გაეცვირებინა, მზისაებრ ბრწყი-  
ნავდა, თვალს ვერავინ უსწორებდა. გზად საცა კი შენიშნეს,  
მოდიოდნენ და მოდიოდნენ მნახველები, შესტროდნენ  
და შეპხაროდნენ, მისი უებრო სიტურფით დამწვარ-დაღა-  
გულნი, ქება-დიდებით ამკობდნენ, „პქონდეს შვიდნივე მნა-  
თობნი მის მზისა დასაღარებად“.

მალე როსტევანის სასახლეს მიაღვნენ. ალარ დაახანეს,  
შევიღნენ და თინათინი მოინახულეს, „პქვრეტთა მიმცემი  
ჰირისაა“, მათი გულის დამაღნობელი და გამგმირავი. სკიპ-  
როსან-გვირგვინოსანს ძოწეული სამეფო სამოსი პშვენო-  
და, მოსულთ „პირსა შეაღვა ელვა მისისა პირისა“. ტარიელი  
და ნესტანი მოწიწებით მიესალმნენ, აკოცეს და ტკბილი ბა-  
ასი გაუბეს.

ივი სახლი განანათლეს, არ ნათელი შეაღამეს,

ბროლ-ბაღაძში გააღაწეს და გიშერი აწამწამეს.

თინათინშა მათ სამეფო ტახტზედ დაბრძანება შესთავაშა. მა-

შინ ტარიელმა უთხრა: არა, თავად უნდა დაპრინდე, არა ასე სწადიაო, ყველა სხვა დღეზე უფრო მეტად სწორედ დღეს შეგმვენის, რომ შენი ტახტი შენვე გვაჟაჭავს მოქალაქე მი ლომთა დაგისვა გვერდსა შენ, მშესა მზურჭებულებულები ხელი მოკვიდა და თინათინი თავის ტახტზედ დასვეს, გვერდით ავთანდილი დაუსვეს, მისი სანატრელი გულისსწორი. უკეთეს სანახავს კაცის თვალი რას ნახავდა, „ნუ ეშვ მიჯნურად მათებრსა ნუცა თუ რამინს და ვისსა!“ ქალს ფერი გაუკრთა და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. მამამ მიუაღერსა და გაამხნევა: რად დაირცხვინე, სიყვარული ხომ ბრძენთ დაუწესებიათ და მათვე უთქვამთ „ბოლოდ მისი არ-წახდომა“, კეთილად დაგვირგვინებაო.

„აშ, შეილო, ლმერთმან თქენ მოგეცა ათას შეს დღეთა გრძელობა, სეე-სვიანობა, დიდობა, კვდა ქირთა გარდუხდელობა, კამცა ნუ შეგცელის, მოვცხვების თვით მიხებრ შეუცელელობა, თქვენის ხელითა მელირსოს მიწათა შემოშერელობა!“

მერე ხელმწიფემ ლაშქარს გამოუცხადა: ღვთის ნება-სურვილით ახლა თქვენი მეფე ავთანდილია, ამიერიდან ჩემი ტახტი მას აქვს, „მე — სიბერე ვითა სწება“, მიბრძანებია. თაყვანი ეციო და, როგორც ჩემთვის გიმსახურიათ, მასაც ისევე ემსახურეთო.

ლაშქარმა და დიდებულებმა ქედი მოიდრიკეს და მოწიწებით თაყვანი სცეს ავთანდილს, მერე როსტევანის წინაშე ალთქმა დადგეს: ვინც შენ პატრონად და კირისუფლად დაგვისვი, მისი ფერხთა მტვერი ვიქნებითო, მორჩილნი წყალობით აგვავსოს და ურჩით სიცოცხლე მოგვისწრაფოსო, „მტერთა მკლავნი შეაძუნტნეს, გულნი ჩვენი აგულვანნეს“. ტარიელმაც ხოტბა შეასხა და აღუთქვა: არასდროს გიმტყუნებთ,

ჩემი იმედი მუდამ გქონდეთ, თქვენს მეტოქესა და მოტორა  
ტეს ფლიდობას შევანანებო. მერე თინათინს უთხრა: „შე  
მიყრისართ, აღარა გწვავს ცეცხლთა დება, ქმუკაშირზეც ე  
ჩემი“ და მწადია შენ დად მყავდეო. ბედნიერს წილაშვირზეც ე  
და ავთანდილს:

ივი მზე და ხელმწიფობა ასრე მიმწვდა, ვითა ლირსა.  
მაშინ ლხინი ამო არის, რა გარდიძლის კაცი კირსა.

## ავთანდილსა და თინათინის პოეზია

როსტევანმა დიდებული ქორწილი გამართა.  
პირმზე ავთანდილს, არაბთა მაღალ ხელმწიფეს, შუქმოციაგე  
თინათინთან ერთად სამეფო ტახტზე რომ დაებრძანებინათ,  
გვერდით ტარიელი ესვა, მშვენებით სავსე უებრო ჭაბუკი.  
აქეთ კიდევ თინათინს რომ ნესტან-დარევანი უჯდა, სიტურ-  
ფითა და სინაზით მშვერტელთა ამარტვოლები, გეონებოდა,  
თითქოს „ცა მოღრკა ქვეყანად, შეყრილან ორნი მზენია“. რას  
ინატრებდა კაცის გული, რომ იქ ხავსის უმრავლესი არ ყო-  
ფილიყო. მსმელთათვის ლვინის წყარო ასგან დიოდა. ყო-  
ველი მხრიდან საამოდ ისმოდა სიმღერა და საკრავთა ელერა.  
ჯამ-ჭურჭელს ხომ ნულარ იკითხავთ:

ააგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები,  
კალა უცხო ფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები.  
შის ქორწილისა მაქები კაცი ბრძენთავან იქები,  
მშერეტელო, გვალსა ეტყოდა: „ნუ აეხსნები, იქ ები!“

უხვად და უშურველად ყველას შესაფერის ძღვენის ჩამონიდნენ, საბოძვარს აძლევდნენ, გულნაკლული პრავინ დაუტოვებიათ. ოქრო და თლილი ბაზაში მთვარე მწიფულებული. მერე მარგალიტიც იმდენი მიმოაბნიერს, ოქრუსულ შეფერებულასს უვე ხელს აღარავინ ახლებდა, წუნობდნენ წასალებად. შებინდებიდან განთიადამდე სვამდნენ და ილხენდნენ.

ტარიელი სამ დღეს მაყრად ასე უჯდა ავთანდილს. მეოთხე დღე რომ გათენდა, როსტევანმა ინდოთა ხელმწიფეს უთხრა, თქვენდა თანაბრად ჩვენ რა ლირსი ვართო ვისხდეთ: შენ მეფე ხარო „ყოვლთა მეფეთა და ეგვ დედოფალია, ხამს, ყურსა გვეგდოს საყურად ჩვენ თქვენი ნატერფალია“. რა ეს თქვა, მათოვის სახელმწიფო ტახტი განცალკევებით მომაღლოდ მოაკაზმვინა. მხცოვანი ხელმწიფე თავად უფრო შვემოთ დაჭდა და ავთანდილ-თინათინი თავის ტოლ-სწორად დაისხა, ფრიდონიც ამათ სიახლოეს დააბრძანა.

როსტევანი მხიარულად მასპინძლობდა, ხელმწიფობას კი არა და არ იჩემებდა, ისე იქცეოდა, თითქოს ერთი მონადიმეთაგანი ყოფილიყოს. უამრავი განძი გასცა, ყველა მის გულუხვობას აქებდა. პირველი ძლვენი მუდამ ტარიელის-თვის მოჰკონდათ, მის წინაშე მთისაებრ აღემართათ. თინათინი ხომ ნესტანს დიდი პატივითა და სიყვარულით ეკიდებოდა, ის და ტარიელი სიძე-სძალიერი მიაჩნდა. თითოს თითო სკიპტრა, სამეფო შესამოსელი და თვალ-მარგალიტის გვირგვინი მიართვა. რა უცხო და ტურფა განძით არ დაასაჩუქრა, თუნდ მეათედიც ვინ მოთვალოს:

კალა უძლვნა ძლვენი ორთვევე, მსგავსი მათისა ბედისა,  
ათასი თვალი, ნაშობი რომანულისა დედისა,

კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრელშე,  
ათასი ცხენი ტაიპი, სიღიღით მსგავსი ქედისა.

ტარიელმა თაყვანი სცა და, მის ღირსებას რომ შეშეუძლებელი  
მაღლი ისე მოახსენა ბრძნული და მოხდენილი უკრძალვა კრიტიკუ  
ლუინონასვამი იყო და მაინც ფხიზელსა პგავდა. თიხათისს  
არც ფრიდონი დაპვიწყებია: მარგალიტით დატვირთული  
ცხრა ლანგარი მოართვა, ძვირფასი უნავირით შეკაზმული  
ცხრა ტაიპიც უბოძა.

გაუთავებელ ლხინსა და გართობაში მთელი თვე მი-  
იწურა. ძლვენი ძლვენს მოსდევდა. ინდოთა მეფეს რომ ლა-  
ლის თვლები მოართვეს, მათი ელვარება ყველას მზის შექი-  
ვით ეფუინებოდა. შეება-სიამით გაბაღრულ ტარიელს თავისი  
ქვეყნის დარღი მოსვენებას უკარგავდა და ცრემლს ადენდა,  
„ჰგვანდის ვარდსა და იყვის ფიფქისა მთოველად“. როს-  
ტევანს ავთანდილი მიუგზავნა და შეუთვალა:

— თქვენი სიახლოვე კმარა „ჩემად ლხინად ყოველად“,  
მაგრამ მეტს ველარ დავრჩები, ჩემს სამეფოს უნდა მივხე-  
დო, მტერი რომ ნახირივით შესევია. თქმულა, „უცებნი მო-  
სრნის მოოდნელთა ცოლნამან, ხელოვნებამან“, მე ვიცი, იმათ  
როგორც მოვცვლი, დღონდ დროზედ წავიდე, აქ დაყოვნე-  
ბამ ავი საქმე არ მიყოს, მჯერა, ჩემი ზიანი თქვენც დაგაღო-  
ნებთ. ღმერთმა ინებოს, ლაღნი და შვებულნი კვლავ მალე  
მენახოთ

— მეფეო, ნეტავი, რისი გერიდებათ? — შემოუთვალა  
როსტევანმა. — კარგად გასინჯეთ, განჭერიტეთ და, რაც ვი-  
ჯობდეთ, ისა ქენით. ავთანდილი თან წაიყვანეთ და დიტი  
ლაშერით გაემართეთ, თქვენს მტერსა და ორგულს „დაპ-  
ლიტრიდით, და-ცა-სცრიდითა“.

როსტევანის პასუხი რომ მოისმინა, ტარიელმა და ასეთი დილს უთხრა: აბა, ჩას ამბობ, სჯობია ბაგენი ღაიხშო და ეგ თეთრი კბილნი, „ბროლისა ყორები“, აღარ ეშენაშემშეც და ლად შერთულსა „მთვარესა, მზეო, ვით მოეჭირებული მარი ეკაცია“

— მაგით ვერ მომატყუებ, — მიუგო ავთანდილმა, — არა, იქნებ ძალიანაც გინდა დამტოვო, მერე კი ჩემს კიცხვას მოჰყვები, ცოლის სიყვარულით გამიმეტაო! მე კიდევ იქ, შენი განშორებით გამწარებული, ვაგლახსა და ვაებას მივე-ცე?! განა არ ვიცი, მეგობრის გაწირვა კაცს რა სიავესაც დააწევს!

ტარიელმა გაუცინა და ეგ სიცილი „ბროლისა ვარდთათ ფრქვევასა“ ჰეგვია. პირფერობაში ნუ ჩამომართმევ და, იცო-დე, უშენობით მე უფრო დაეიტანჯებიო, უთხრა მან ავთან-დილს. რახან გწალია, კარგი, წამომყევიო. ავთანდილი მყის-ვე სამზადისს შეუდგა: არაბეთის ყოველი კუთხიდან ლაშქა-რი აწვია, ოთხმოც ითას მხედარს მოუყარა თავი, ყველა სა-ომრად მოკანმულიყო, „კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხეა-რაზმულია“, უკეთესი რომ არსად იპოვებოდა.

როსტევანი დაღონდა, მათი განშორება მეტად უმძიმდა, მწარედ კვნესოდა და ვაებდა გულგახელებული, „ცხელი სდის წყარო ცრემლისა, მართ ვითა ქვაბი ცხელდების“. ტა-რიელს მოეხვია და მავრად ჩაქოცნა, მერე უთხრა: შენი სიახ-ლოვე აქამდე ვერა და ვერ დამიჯერებია, თავი სისმარში მეო-ნიაო, გშორდები და ტანჯვა მიასკეცდება, მოსვლით გაგვახა-რე და ახლა წასვლით გულს გვიკლავო, „შენგან მოგვეცა სი-ცოცხლე, შენგანვე დავიხოცებით“. ტარიელი მეფეს მოწი-წებით გამოეთხოვა, ცრემლმორეული და ფერგამკრთალი: „ფიფქი ნასდების, თხელდების“. უებრო ჭაბუკი რომ ცხენ-

ზედ შეკლა და ის იყო უნდა გასცლოდა იქაურობას, თუმცი  
ლაშქარი ატირდა, მათი ცრემლით ველ-მინდორი მოკეოდა.  
ხოტბას ასხამდნენ, გულმდუღარედ შეპლატუზირჩუავები  
შენ გელმისო საომრად და თავი შენ მას ჟირუსი გამოსინი ვისძეს  
ოდესმე დასდგომოდესო, ტირილით უთხრა მათ ტარიილმა.

უზომოდ ეძნელებოდათ განშორება ნესტანსა და თი-  
ნათინს, ორ უებრო დობილს, ალალი ფიცით რომ შეფიცუ-  
ლიყვნენ და ერთურთისათვის ხვაშიალი გაენდოთ. „მეტიდი-  
თა შეერდსა შეკრულნი, ყელითა გარდაჭდობილნი“ მშარედ  
ტირილნენ, მათ შემყურეს ქვის გული უნდა ჰქონოდა.

მთვარე ცასკრისა ვარსკელავსა რა თანა-შეესწოროსა,  
ორნივე სწორად ნათობენ, მომშორდეს, მოეშოროსა,  
არა თუ ივი მომშორდეს, მართ ცავან მოაშოროსა,  
მათაც საკვრეტლად მქერეტელმან, ხამს, თავი იქედგოროსა.

მათაღვე სახედ რომელსა ესენი დაუბადიან,  
ივივე გაძირის, სიშორე არა თუ ნებით სწადიან,  
ვარდსა სწებენ და პობენ, ტირან და ცრემლნი ჩადიან.  
მათთა გამყრელთა ჭოველთა სიცოცხლე არ იქადიან.

ნეტავი, სულაც არ მენახეო, შესჩივლა ნესტანმა, ახლა  
რაღა მეშველება, მხეს გშორდები და ამ განშორებით უმო-  
წყალოდ ვიტანჯებიო. წერილი მაინც ხშირად მომწერე და  
„ამბავსა სცნევდი, მაცნევდი“, როგორც მე შენთვის ვიწვი  
და ვიდაგვი, შენც ასევე მოგერჩოდესო ჩემზედ გული! მხეო,  
მქერეტელთა გამხარებელო, ისიც კმარა, ამ განშორებას რო-  
გორმე თუ გავუძელი, შენს თავს, აბა, რა დამავიწყებსო, მი-  
უვო თინათინშა. იცოდე, დღეგრძელობის ნაცვლად ამიერი-  
დან ღმერთს ამასლა შევეხეწები, სიცოცხლე მომისწრაფო-

სო. ავრემც გავიხარია, რაოდენიც მე უშენობით დამატინებათ ცხარე ცრემლი! მერე ერთმანეთი კვლავ ჩაიოსეს / და გამოემშვიდობნენ. თინათინი თვალს ვერ აშორებითა მიმავილს, ნესტანიც ერთობ უკან იხედებოდ  შემატებული დამწვარი.

ძმად შეფიცული სამი უბადლო რაინდი, გელი რომ ერთურთის სასიყეთოდ უძევდათ, ინდოეთისაკენ ვა-ემართა. თან რიცხვმრავალი ლაშქარი იახლეს — ოთხმოცი-ათასი მარჯვე მხედარი, ბარგიც დიდხალი მიპქონდათ. ყვე-ლანი მორჩილებით ეგებებოდნენ, მტრობას ვინ შეჰვედავ-დათ!

## გარიელისა და ნესტან-გარეჯის ინდოეთს მისვე და კორიელი

ეს იარეს სამი თვე და, ის იყო ინდოეთის საზღვარს მიუახლოვდნენ, წინ ვაჭართა ქირავანი შემოხვდათ. მათვან შეიტყვეს ფარსაღან. მეცის სიკვდილის ამბავი. თავს დატეხილი აუტანელი მწუხარებით განაწიამები საბრალო მამა ასულმა მწარედ დაიტირა, გულსაყლავად ვაებდა და ცრემლი ნაყადად სდიოდა, „ნარკისთაგან ნაწეიმარი ღვარი აღვა, თოვლი გადნა“. ნესტანთან ერთად ტარიელიც ხმამაღლა დასტიროდა გამზრდელ ხელმწიფეს, თავ-პირში იცემდა და თმას იგლევდა, „გიშრისა ტევრსა მოპფოცხდა ბროლისა საფო-ცხელია“.

ცოტათი რომ სული მოიბრუნეს, აღარ დაახარეს და დოეთის სატახტოსაკენ ფიცხლად გაეშურნენ. მათ დამოუნებას ყველა ზეიმით ხვდებოდა. დიდებული ტაბიცად, მწერებნენ და მოწინებით თაყვანი სცეს. დედოფლის მიზანის გაიხარა მათი ნახეით, ორივე მხურეალედ ჩინქოს გულზე, ურემლი მოსწმინდა, ანუგეშა, თავადაც

მოიშორვა კაეშანი, ვული მდედრი აქვიტაირა,  
გლოვა ცვალა სიხარულად, აღარავინ აატირა.

ამ, სასახლეში მივიღნენ. ტაბილად აელერდა საკრავთა ხია, ზეიმით გაჩაღდა. ქალ-ვაჟი ინდოეთის სახელმწიფო ტახტზედ დასვეს და დალოცეს, სასოებით მიანდეს შეიღი სამეფოს ბედ-ილბალი. „თვით ორნივე ერთგან მსხდომნი პნახეთ, მზეულა ვერა სჯობდეს!“ მძიმეზე მძიმე განსაცდელის შემდეგ გაუგონარი სიხარული ხვდათ წილად, აქამდე რაც ტანჯვა გამოევლოთ, ერთობ „დაავიწყებს ლხინი ესე აშინდელი“. ასე ყოფილა, შეება-სიამეს თურმე სრულად ვერ იგამებს, ვისაც გასაჭირი არ გამოევლია: „ყოლა ღხინთა ვერ იამებს კაცი ჭირთა გარღუხდელი“.

დიდებული ქორწილი გაიმართა, სწორედ ისეთი, მათ რომ შეშვენოდათ. ყველას უხვად და უშურველად ასაჩუქრებდნენ. ავთანდილისა და ფრიდონისათვის ტახტი ცალ-ცალკე მოეკაზმათ და ორივენი ხელმწიფური განცხრომით დაებრძანებინათ. ბედნიერების ლიმილით გაბაღრული უებრო მოყმენი ხალისით ჰყვებოდნენ, რა გასაჭირიც გამოევლოთ.

მათ სამონეე გოლიათთა მშისა ცერად ღაშენი ლებნეს, შისხვედეს მათსა საწადელსა, ივი პოვეს, ჩაცა ძებნეს, ხელი ქაღალდა მათთა, არა ცელად წელთა ებნეს!

თქვენა ხართ ჩვენი მშველელი, ყოველი სიკეთე და განვითარება მოვალეობისათვის, ერთობ ამას ეუბნებოდნენ მრდოლების დონი ავთანდილსა და ფრიდონს, თავიანთი ხელში გადა-რონივით მიაჩნდათ, უკლებლივ უსრულებელობის უზური მოესურებოდათ, „სადარბაზობლად ნიალტე შეზრდობისა ციდოლიან“.

ტარიელმა ასმათი იძმო და ალერსით უთხრა: რაც შენ ჰქონი, „არ უქმნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა“, ახლა მეც მინდა სიკეთე სიკეთით გიზღო, ინდოეთის შვიდი სამე-ფოდან ერთი შენოვის მიბოძებია და მოეპატრონეო, ვინც გინდოდეს, ქმრად შეირთე და თქვენი საგამგებლოდან ტკბი-ლად გვემსახურეთ, ჩვენც ტკბილ წყალობას არ მოგაფ-ლებთო. ასმათი მოწიწებით მუხლთ მოეხვია და მოახსენა: „შენგან არი, ჩემი ლონე“ და, შენი მორჩილი მსახური ვიყო, ამის უკეთესი რა უნდა მინდოდესო.

ჭორწილის შემდეგ სამმა ძმიბილმა კიდევ რამდენიმე დღე ერთად დაყო. მხიარულად ერთობოდნენ, უცხო და ტურფა ძლვენი ხომ მოსდიოდათ და მოსდიოდათ დაუსრუ-ლებლივ: „რა მარგალიტი ლარიბი, რა უკეთესი ცხენია!“ ავთანდილს მაინც მოწყენა დაეტყო, ჭაბუკ მიჯნურს უმძიმ-და უთინათინოდ. ტარიელი მიუხვდა მეგობარს და უთხრა: ვიცი, რად მემდურები და რა სევდაც შემოგწოლია, ვაი, რომ უნდა მომშორდე, წუთისოფელს ასე შეშურდა ჩემი შვება-ლხენა, უშენოდ როგორლა გავიხარებო, მაგრამ, „რათგან ისწრაფი, რალა ვქმნა? მიგელის ლომსა მთვარეო!“

მერე ფრიდონიც დაეთხოვა ტარიელს: გამიშვი, შინ წა-ვალ და, იცოდე, ხშირად მოგინახულებ, გზას შენამდე ერ-თობ სიარულით გავტკეპნიო, მუდამ ძმურად გემსახურები,

ოლონდაც, მიბრძანებდე „უხუცესი ვითა მრწერსა!“ დამთვის  
ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა!“ ტანიერმა  
წასვლის დასტური მისცა, თან შეეხევეშა, ნუ უამიღინებებს, მა-  
ლე ისევ მეწვიერ. მხურვალედ დაემშვიდობეს!“ არაზაურს  
ინდოეთისა და მულღაზანზარის ხელმწიფერი შემდეგი მისამართის

ავთანდილი რომ შეჯდა და ტარიელს გამოეთხოვა, ორი-  
ვეს გულს ცეცხლის ალი შემოენთო, უზომოდ უმძმდათ  
დაშორება. აგრე რად მამწარებო, წუთისოფელს უჩიოდა  
არაბი მოყმე, უტარიელოდ რა გამაძლებინებსო. მის წასელას  
მარტო ტარიელი კი არა, „სრულად ინდონი მისტირან, ცრემ-  
ლმან მინდორი დალამა“. ინდოთა მეცემ ავთანდილს როს-  
ტრევანთან თლილი თვლებით მოოჭვილი სასმისები და ტურ-  
ფა სამოსი გაატანა ნესტანმაც თინათინს ისეთი ქათიბი და  
მოსახვევი გაუგზავნა, „რომე ჩაცმა-დაბურვასა ვინ ღირს  
იყო მათვან კიდე!“ დობილს უებრო მარვალიტიც უსახსოვ-  
რა, მისი შუქდაუბინდავი ელვარება ღამე მზისაებრ — ანა-  
თებდა.

მცირე ხანს იარეს ერთად ავთანდილმა და ფრიდონმა,  
მერე მათი გზა გაიყარა, ცრემლითა და ოხერით დაშორდნენ  
ძმადნაფიცნი. ერთურთი არ ეთმობოდათ, თორემ სხვა რა  
ჰქონდათ დასალონებელი: „კარვად მოუხდეს მათ მათნი სა-  
ქმენი დანაპირენი“.

არაბეთის მიწას რომ ფეხი დაადგა, ავთანდილს გული  
სიამით აევსო. გახარებულნი გამოეგებნენ ქვეყნის მანათო-  
ბელ მოყმეს. უმაღ თავისი მზე მოინახულა და უმისობის  
მძიმე სევდა მოიქარვა, სამეფო ტანტზელ მხარი დაუმშვენა,  
„ილხინა მცვრეტთა ლხენამან, გაახელმწიფა გვირგვინი ზე-  
ცით მოსრულმან ზენამან“.

ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს ძმური სიყვარული  
არასდროს განელებიათ. შორიშორ ვერ ძლებდნენ და ხში-  
რად ნახულობდნენ ერთმანეთს, კირი თუ ტრამი უნდა ჰქონდეს  
ჰქონდათ, მტერს ერთპირად აძერებდნენ მშეფერ მარტ-  
ლობელონი შემოიმატეს და სამეფო ტახტზე განცხრომით  
სუფევდნენ, სიკეთითა და სათნოებით ხომ ვერავინ შეეტო-  
ლებოდათ:

ყოვლთა სწორად წყალობება ვათა თოვლა შოათოვლეს,  
ობოლ-ქვრივნი დამდიდრნეს და გლახაენი არ ითხოვდეს,  
ავის მქონელნი დააშინეს, კრავინი კრავთა ვერ უწოდეს,  
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

1968 დეკ. „ოქმ.“



საქართველო  
შემცირებულ  
შინააგასი

83-

არაბთა შეფის როსტევანის ამბავი	3
როსტევანისა და ავთანდილის ნადირობა	9
არაბთა შეფისაგან ვეფხვისტყაოსანი მოყმის ნახვა	11
თინათინისაგან ავთანდილის გავზავნა უცხო მო- ყმის საძებნელად	16
ავთანდილის წერილი თავის მოყმეთა შიმართ	22
ავთანდილის წასულა უცხო მოყმის საძებნელად	24
ავთანდილისა და ასმათის შეხვედრა და საუბარი	33
შეხვედრა ტარიელისა და ავთანდილისა	41
ტარიელისაგან თავისი ამბის მშობა ავთანდილთან	46
ტარიელის გამიზნურების ამბავი	51
ნესტან-დარევანის პირელი წერილი მიწნერთან და ტარიელის პასუხი	57
ტარიელის წერილი ხატავლთა შეფეხსოან	59
ნესტანისაგან ტარიელის ხშობა	60
ხატავლთა შეფის პასუხი ტარიელისადმი	62
ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეხვედრა	63
ტარიელის წასულა ხატავთს და დადა იში	65
ტარიელის წერილი ინდოთა შეფისადმი და გა- მარჯვებით დაპრუნება	71



ნესტან-დარევანის წერილი მიწნურთან	76
ტარიელის ტირილი და უკონოდ გახდომა	77
ტარიელის საპასუხო წერილი სატრდოსთან	78
<b>ბპობა ნესტან-დარევანის გათხოვებაზე</b>	79
ტარიელისა და ნესტან-დარევანის სეა-ბასი	80
ტარიელისაგან ხეარაშელი სასიძოს მოკვლა	86
ნესტან-დარევანის დაქარგვის ამბავი	89
ნურაფინ-ფრიდონის ამბავი	93
ტარიელისაგან ფრიდონის შევლა	96 *
ფრიდონისაგან ნესტან-დარევანის ამბის მბობა	98
ავთანდილის ორაბეცს ღმბრუნების ამბავი	105
ავთანდილის მიერ როსტევანისაგან ხელანდლა გა- შების თხოვნა	113
ავთანდილის საეპარე შერმალინთან	121
ავთანდილის ანდერძი როსტევან შეფის წინაშე	123
ლოცვა ავთანდილისა	127
ავთანდილის გაპარების გაგება როსტევან შეუ- საგან	128
ავთანდილის მეორედ წასულა ტარიელთან	131 *
გომისხდილი ტარიელის პოვნა ავთანდილისაგან	137
ტარიელისაგან ლომ-ცეფხვის დახოცვის ამბის მბობა	143
ტარიელისა და ავთანდილის მისცელა გამოქვა- ბულში და ასმაოს ნახევ	145
ავთანდილის წასულა ფრიდონისას	151
ავთანდილის მისცელა ფრიდონისას	154
ავთანდილის წასულა ნესტან-დარევანის საქებ- ნელად და ქარავანთან შეხვედრა	162 *
ავთანდილის გულანშაროს მისცელის ამბავი	167
ფატმანის გამიჭნურება და წერილი ავთანდილთან	170
ავთანდილის წერილი ფატმანთან	173
ფატმანისაგან ნესტან-დარევანის ამბის მბობა	177

ნესტან-დარეკანის ქაზთაგან შეპურობის ამბავი	199
ფატმანის წერილი ნესტან-დარეკანთან	197
ნესტან-დარეკანის წერილი შიჭნურთან	200
ავთანდილის წერილი ფრიდონთან პრიმიტივი	
ავთანდილის წასულა გრლამაროდან გირდერი გრევა	
ელთან შეხვედრა	207
ტარიელისა და ავთანდილის წასულა ფრიდონისას	214
ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის ბჭო- ბა ქავეთის ცახესთან	217
ქავეთის ციბის ალება	220
ტარიელის მისვლა ზღვათა მცუისას	222
ფრიდონისაგან ტარიელისა და ნესტანისათვის ქორწილის გადახდა	228
სამიერ ძმობილის მისვლა გამოქვაბულში და იქიდან არაბეოს წასულა	232
ავთანდილისა და თინაოთინის ქორწილი	241
ტარიელისა და ნესტან-დარეკანის ინდოეთს მისვლა და ქორწილი	246



რედაქტორი თ. ჯან გულაშვილი  
გამოშეცემლობის რედაქტორი თ. შალაშბურიძე  
მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე  
გრაფიკული გაუმრმება თ. კარბულაშვილი  
ტექნიკური მ. ასათიანი  
კორექტორი ვ. გოგიაძე

სეღმოწერილია დასაბუძად 5/IX-66. ჭაღალის ზომა 70×105<sup>1/2</sup>  
ნაბეჭდი თაბაზი 16, საალიგოც-საგამომცემლო თაბაზი 9  
შევეოთ 1113. უკ 02771. ტირაჟი 30.000

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამოშეცემლობა „განათლება“, თბილისი, კამის ქ., 18  
Издательство „Ганатлеба“, Тбилиси, ул. Камо, 18  
1966

---

გამოშეცემლობა „მეცნიერებები“ სტამბა, თბილისი, 60, კუტეზივის ქ. 15  
Типография Издательства «Мечниреба». Тбилиси, 60,  
ул. Кутузова, 15



Мамаа Ираклиевич Эбрагидзе

О чём повествует  
«Витязь в тигровой шкуре»  
(на грузинском языке)

Г1  
899.962.1 — 93  
6 25



$\frac{7 - 3 - 2}{339 - 355 - 66}$

